



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი


**ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია**

11-12 დეკემბერი, 2015, გორი, საქართველო

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

**Georgian-Turkish Scientific Conference**

December 11-12, 2015, Gori, Georgia



წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2015 წლის 11-12 დეკემბერს ჩატარებულ ქართულ-თურქულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

The Collection covers the scientific works presented at Georgian-Turkish Scientific Conference at Gori State Teaching University held on December 11-12, 2015.

**საორგანიზაციო კოლეგია:**

ხელმძღვანელი: პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

**წევრები:**

**ირინე დარჩია** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უმაღლესის განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი

პროფ. დოქტორი **ჰუსეინ ქარამანი** - რიზეს რეჯუკ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის რექტორი

პროფ. დოქტორი **ილიას ჩილოღლუ** - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი

**ზექერია გიულთეჟინი** - იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

ხელმძღვანელი: **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

**წევრები:**

პროფ. **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

**ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

**გივი გაგნიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეურნეო სამსახურის უფროსი

**აფრია აფრიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

**ბეჟან რომელაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

**პროგრამული კომიტეტი:**

ხელმძღვანელი: პროფესორი **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

**წევრები:**

პროფ. **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

**ივანე ბალახაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი

პროფ. **ელდარ მამისთვალაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

პროფ. **ნელი ჭამპურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის ხელმძღვანელი

პროფ. **თეა ხორგუაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი

პროფ. **ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი

**სარედაქციო კომისია:**

**წევრები:**

პროფ. **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. **ელენე ხოჯევანიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. **მარიამ კობერიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. **მარიამ შერაზადიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. **მარინე ცერცვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფ. **ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ტექნიკური რედაქტორი:**

**გიორგი ყაზიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულების მთავარი სპეციალისტი

გამომცემლობა: „ჯეოპრინტი“

თბილისი 2016 წელი

**ISBN 978-9941-0-9412-5**

**ORGANIZATION BOARD:**

Head: Prof. **Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University

**Members:**

**Irine Darchia**, Ministry of Education and Science of Georgia, Head of Higher Education and Science Development Department

**Prof. Dr. Huseyin Karaman**, Rector of Recep Tayyip Erdoğan University

**Prof. Dr. Ilyas Ciloglu**, Rector of International Black Sea University

**Zekeriya Gültekin**, Head of Yunus Emre Turkish Cultural Center

**ORGANIZATIONAL COMMITTEE:**

Head: **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor

**Members:**

**Prof. Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service

**Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service

**Givi Gagnidze**, Gori State Teaching University, Head of Economic Service

**Apria Apriamashvili**, Gori State Teaching University, Head of Budgeting and Purchasing Service

**Bezhan Romelashvili**, Gori State Teaching University, Head of Service of Information Technologies Assurance

**PROGRAMME COMMITTEE:**

Head: Prof. **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector

**Members:**

Prof. **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature

**Ivane Balakhashvili**, Gori State Teaching University, Head of Practical Law Clinic and Faculty of Social Sciences

Prof. **Eldar Mamisvalishvili**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology

Prof. **Neli Champuridze**, Gori State Teaching University, Head of Faculty of Pedagogics and Methodology

Prof. **Tea Khorquashvili**, Gori State Teaching University, Head of Business Administration Faculty

Prof. **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Head of Foreign Language Faculty

**EDITORIAL BOARD:****Members:**

Prof. **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University

Prof. **Elene Khojevanishvili**, Gori State Teaching University

Prof. **Mariam Koberidze**, Gori State Teaching University

Prof. **Mariam Sherazadishvili**, Gori State Teaching University

Prof. **Marine Tsertsvadze**, Gori State Teaching University

Prof. **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Head of Foreign Language Faculty

**TECHNICAL EDITOR:**

**Giorgi Kazishvili**, Gori State Teaching University, Chief Specialist of Scientific Direction of Quality Assurance Service

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ჰუმანიტარული მეცნიერებები

- ლია გაბუნია, გურამ გაბუნია – საქართველო - ბიზანტია - ტრაპიზონის ურთიერთობის ისტორიიდან – 7
- თამარ გოგოლაძე – აკაკი წერეთელი და თურქეთში მცხოვრები ქართველობა – 12
- ეკა დადიანი, მათა მიქაუტაძე – ხარისხის ფორმათა წარმოება ტაოურსა და იმერხელში – 14
- რუსუდან კაშია – ქართული სამეფოების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთთან (XVIII ს. II ნახევარი) – 18
- მარიამ კობერიძე – პოლისემიური ლექსიკა ორჰან მემიშის „ქართულ-თურქულ“ და „თურქულ-ქართულ ლექსიკონში“ – 21
- ემზარ მაკარაძე – თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები 1991-2014 წლებში განვითარების პერსპექტივები – 25
- ელდარ მამისთვალიშვილი – ქართული დიპლომატია XVI საუკუნის 10-იან წლებში – 29
- მურად მთვარელიძე – რუჰი ბაღდადის სევდა – 34
- მანანა მიჩიტაშვილი – ოსმალური გადასახადები და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საციციანოს ნაჰიეში, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით – 38
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – სოფელ ერედვის მოსახლეობა 1728 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით – 48
- უჩა ოქროპირიძე – საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში – 50
- რუსუდან საღინაძე, მათა კიკვაძე – „ჰამიდიეს ქართული“ (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები) – 57
- გიორგი სოსიაშვილი – „ოსმალთა“ და პატარა ლიხვის ხეობა – 62
- გიგა ქამუშაძე, ლუიზა ხაჭაპურიძე – გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები თურქულსა და ქართულში – 66
- გიგა ქამუშაძე – მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი სიტუაციისათვის – 68
- რამაზ ხაჭაპურიძე – ჯადოების, შელოცვებისა და „საზოგადოების“ ურთიერთმიმართება ქართული და თურქული ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მასალების მიხედვით – 71
- ოთარ ჯანელიძე – ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები (1921-1924 წწ.) – 77

## განათლება

- თინათინ მშვიდლობაძე – ელექტრონული ტექნოლოგიები ქართულ-თურქული ენების სწავლების ეფექტურობისათვის – 85

## სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები

- მაია მანჩხაშვილი – თურქეთის ახალი გეოპოლიტიკური მისია 21-ე საუკუნეში – 88
- ნანა შენგელია, ეკატერინე კახიძე – ინტერნეტგამოცემებში ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების მდგომარეობისა და აზიზიის მეჩეთის მშენებლობის საკითხების გაშუქება – 91
- სალომე ხიზანიშვილი, თამარ კილასონია – იდეალის გაგების ზოგიერთი ასპექტისათვის – 96

# CONTENTS

## Humanities

- Lia Gabunia, Guram Gabunia** – *FROM THE HISTORY OF RELATIONS BETWEEN GEORGIA, BYZANTINE AND TRABZON* – 7
- Tamar Gogoladze** – *AKAKI TSERETELI AND THE GEORGIANS LIVING IN TURKEY* – 12
- Eka Dadiani, Maia Mikautadze** – *FORMATION OF DEGREES OF COMPARISON IN TAOIAN AND IMERKHEVIAN* – 14
- Rusudan Kashia** – *TURKISH-GEORGIAN TRADE RELATIONSHIPS IN THE LATE HALF OF THE XVIII GENTURY* – 18
- Mariam Koberidze** – *POLYSEMIC VOCABULARY IN ORHAN MEMISHI'S „GEORGIAN-TURKISH” AND „TURKISH-GEORGIAN DICTIONARY”* – 21
- Emzar Makaradze** – *TURKISH-GEORGIAN RELATIONS IN 1991-2014 YY., DEVELOPMENT PROSPECTIVES* – 25
- Eldar Mamistvalishvili** – *GEORGIAN DIPLOMACY IN THE FIRST DECADE OF THE 16<sup>TH</sup> CENTURY* – 29
- Murad Mtvarelidze** – *THE MELANCHOLY OF RUHI BAGHDADI* – 34
- Manana Michitashvili** – *OTTOMAN TURKEY TAXATION AND SOCIAL-ECONOMIC SITUATION IN SATSITSIANO NAHIESH ACCORDING TO TBILISI VILAYETI BIG REGISTER OF THE YEAR 1728* – 38
- Nikoloz Otinashvili** – *POPULATION OF THE VILLAGE OF EREDVI ACCORDING TO OSMAL RECORDS IN 1728* – 48
- Ucha Okropiridze** – *SOME ASPECTS OF GEORGIAN-TURKISH RELATIONS IN MODERN TURKISH HISTORIOGRAPHY* – 50
- Rusudan Saghinadze, Maia Kikvadze** – *“HAMIDIYE'S GEORGIAN” (ISSUES RELATED TO MIXING THE SPEECH CODES)* – 57
- Giorgi Sosiashvili** – *OTTOMAN REGIME AND PATARA LIAKHVI GORGE* – 62
- Giga Kamushadze, Luiza Khachapuridze** – *PHRASEOLOGISMS DEALING WITH HEART IN TURKISH AND GEORGIAN* – 66
- Giga Kamushadze** – *FOR THE LINGUISTIC SITUATION OF MUHAJIRUN GEORGIANS* – 68
- Ramaz Khatchapuridze** – *CASTING OF SPELLS, CONJURATIONS AND ‘PUBLIC’ ACCORDING TO GEORGIAN AND TURKISH ETHNOGRAPHIC AND ANTHROPOLOGICAL MATERIALS* – 71
- Otar Janelidze** – *TURKISH PAPERS OF GEORGIAN EMIGRATION (1921-1924 YY.)* – 77

## Education

- Tinatini Mshvidobadze** – *ELECTRONIC TECHNOLOGIES FOR EFFECTIVE TEACHING GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES* – 85

## Social and Economic Sciences

- Maia Manchkhashvili** – *NEW GEOPOLITICAL MISSION OF TURKEY IN THE 21<sup>ST</sup> CENTURY* – 88
- Nana Shengelia, Ekaterine Kakhidze** – *DISCUSSION OF THE ISSUES ON THE CONDITION OF CHURCH-MONASTERIES IN TAO-KLARJETI AND BUILDING OF AZIZIE MOSQUE IN INTERNETMEDIA* – 91
- Salome Khizanishvili, Tamar Kilasonia** – *UNDERSTANDING OF IDEAL FOR GENERAL ASPECT* – 96

## ჰუმანიტარული მეცნიერებები Humanities

### საქართველო - ბიზანტია - ტრაპიზონის ურთიერთობის ისტორიიდან

ლია გაბუნია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
გურამ გაბუნია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ემერიტუს პროფესორი

საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის ნაწილია, მან ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რასაც იგი საუკუნეების განმავლობაში აწყდებოდა, მისი საერთაშორისო პრესტიჟი ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ მტკიცდებოდა.

საქართველოს, ბიზანტიის და ტრაპიზონის ისტორია, თავისთავად, ყოველგვარი განსაკუთრებული ჩარევის გარეშე, ტერიტორიული სიახლოვის გამო გადაეჯაჭვა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ისტორიული წარსული, უმთავრესი პროცესები და კანონზომიერებანი ხშირად ურთიერთდამოკიდებული ხდებოდნენ. მათი სოციალური, ეკონომიკური და ეთნიკური კავშირები, კულტურის განვითარების დონე და სახელმწიფოებრივი მართვის ინსტიტუტი ბევრჯერ დამოუკიდებლად ვეღარ არსებობდა. ბედმა ასე გვარგუნა, ამბობენ „მეზობლებს არ ირჩევნო,” მეზობლები რელიგიისა და ეროვნების მიხედვით არც ჩვენ აგვირჩევია. ამ ახლო თანაცხოვრებამ განაპირობა ერთმანეთის მიმართ სიმულვილიც და სიყვარულიც, ომები, თავისი დამახასიათებელი პირობებით, ბევრჯერ რთულ მდგომარეობაში აყენებდა ქართველ ერს, პასუხის გარეშე არც ქართველები ტოვებდნენ მომხდურ მტრებს. ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები დატყვევებულები ხშირად იყიდებოდა თურქეთისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე. შავიზღვისპირეთის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, წარმოადგენდა „მონების ექსპორტის” მნიშვნელოვან კერას. ამის გამო ქართული, ბიზანტიური, ბერძნული და თურქული სისხლი ჭარბადაა შერეული ერთმანეთს. ვეცდებით ზოგიერთ მათგანს მივაქციოთ ყურადღება და ჩვენი მეცნიერების წლების განმავლობაში წარმოებული კვლევების ზოგიერთი ასპექტი გავითვალისწინოთ.

მკვლევრებს შორის, რომლებიც ქართულ-ბიზანტიურ-თურქულ-ბერძნულ ურთიერთობებზე მუშაობდნენ, ბევრი ქართველი იყო, მაგრამ ეს საკითხები მსოფლიოს მრავალი მეცნიერის კალმის ინტერესიც გამხდარა. ბიზანტიისა და თურქეთის საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებული იყვნენ ცნობილი მეცნიერები. არსებობს აგრეთვე დიპლომატიური და ნარატიული წყაროები: ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ, სპარსულ და დასავლეთ ევროპულ ენებზე. საქმე გვაქვს სრულიად სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ვითარებაში წარმომოხილ წყაროებთან, როგორცაა სულთნის ფირმანები, დიპლომატიური დოკუმენტები, საზღვაო ხელშეკრულებები, კერძო წერილები, პოლიტიკური აგენტების ჩანაწერები, კათოლიკე მისიონერთა რელაციები, ვაჭრებისა და მოგზაურების აღწერილობანი, თვითმხილველთა მატანეები. წყაროების ერთი ნაწილი რომ გამოუქვეყნებელია, ამაში, ჩვენი აზრით, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, ეს ეხება როგორც საქართველოს აგრეთვე თურქეთს, ბიზანტიას და სხვა მეზობელ ქვეყნებსაც. ამ ქვეყნებმა შეძლეს როგორც კარგი, ასევე ცუდი მხარეები, ბრძოლებში საკუთარი წარმატებები. თავისებურად და თავის სასარგებლოდ გაეზვიადებინათ. ამ საკითხით ქართველებიც იყვნენ დაინტერესებულნი. აგრეთვე იყვნენ მეცნიერები, რომელთა ბაგენი მხოლოდ სიმართლეს ღაღადებდნენ და მათი სკრუპულოზური გამოკვლევები ემთხვეოდა სხვა ქვეყნების, კერძოდ, ბიზანტიელთა, სომეხთა და სხვათა გამოკვლევებს, მოგონებებსა თუ ნარატიულ წყაროებს.

პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა სამხრეთ-საქართველოს თურქთა მიერ დაპყრობა ვახუშტი ბაგრატიონი იყო. საქართველოს პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ვახუშტის შემდეგ შეხედულებების მივიწყება, შეწყდა აღნიშნული საკითხების კვლევა-ძიება. XIX საუკუნის 70-იან წლებში არა მარტო ვახუშტის მემკვიდრეობა იქნა აღდგენილი, არამედ მისი უშუალო გამგრძელებელი დიმიტრი ბაქრაძე ბრძანდებოდა. ამას მოჰყვნენ ცნობილი მეცნიერები: პ. უმიკაშვილი, გ. ყაზბეგი, ალ. ფრონელი, ზ. ჭიჭინაძე, ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, უსპენსკი, მ. ბროსე, საბინინი, სკაბალონოვიჩი, სკრჟინევსკაია, მ. ლორთქიფანიძე, გ. გაბუნია, მ.

რეზიაშვილი, ტ. ფუტყარაძე. ა. ნიკოლეიშვილი, გ. ჭიღვარია და სხვები. მოკლედ, ძველად და ახლა ფართო კვლევის საგანია საქართველო-ბიზანტიისა და თურქეთის ურთიერთობა. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას გავიხსენოთ ზოგიერთი ისტორიული ფაქტი: დასაწყისისათვის, შემონახული წყაროების გამოყენებით რამოდენიმე ეპიზოდს შევხებით.

საინტერესოა VI-VII საუკუნეების ბრძოლა, საქართველოს განუყოფელი ნაწილის, სვანეთისათვის. „562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთი უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადაიქცა ბიზანტიასა და ირანს შორის. თუმცა ირანი მთელს ლაზეთს სცლიდა და ბიზანტიის უფლებებს აღიარებდა ამ ქვეყანაში, მაგრამ სვანეთს იგი არ უთმობდა... (და აცხადებდა ლაზეთი მე დავიპყარი და ახლა გიბრუნებ ზავის პირობების ძალით) ხოლო სვანებს არც კი დავცემივარო; გარკვეულ პირობებში მოხდა ( იგულისხმება 552 წლის მახლობელ ხანებში მომხდარი ამბავი) რომ სვანები „შემინებული სვანებისგან სპარსელებად იქცნენ“. 1 [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა III, 218] ამ საზავო მოლაპარაკების დროს ბიზანტიელმა ელჩმა, პეტრემ, ვერაფერს მიაღწია სვანეთის საკითხში და უშედეგოდ გამობრუნდა მიდიელთა საზღვრებიდან. 2 [იქვე, გვ. 227, ყაუხჩიშვილი, ბერაძე. 1918-1938]. შემდეგი ცნობები სვანეთის შესახებ ეკუთვნის VII საუკუნის ისტორიკოსს თეოფილაქტე სიმოკატტას. მან თავის III წიგნში აღწერა სვანეთის გარშემო ბრძოლა ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის. ეს იყო 590 წლის მახლობლად.

589-590 წლებში ირანმა საჭიროდ ჩათვალა სვანეთის წინააღმდეგ ლაშქრობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სვანეთი ამ პერიოდში ბიზანტიის ხელში იყო, ამიტომ სიმონ ყაუხჩიშვილი სვამს კითხვას. თუ ეს ასე იყო, როდის უნდა მომხდარიყო სვანეთის ხელმეორედ აღება ბიზანტიელების მიერ? ამის პასუხად უნდა არსებობდეს წყაროები, რომელიც ჯერ-ჯერობით ვერ იქნა მიკვლეული.

576-577 წლებში გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკება ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის სოფელ ათრაელში, დარას მახლობლად. ამ დროს მხოლოდ ერთ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება – ეს იყო „იბერიიდან ბიზანტიელების მიერ ჯარის გაყვანის საკითხი. 2 [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა III, 95 შმდდ]. „ცხადია, მასასადამე, რომ 576-577 წლებში სვანეთის საკითხი ბიზანტიისათვის არ იდგა ისე მწვავედ, როგორც 562 წელს. ჩანს ამ დროისათვის სვანეთი ბიზანტიას რაღაც გზით დაუბრუნებია“. 3 [ყაუხჩიშვილი, გეორგიკა III, გვ. 95]

562 წლის მოლაპარაკების შემდეგ, იმ საბუთების მიხედვით, ელჩი და მეფე სვანეთს თავის კუთვნილებად თვლიდა, მაგრამ ბიზანტიას მოუხერხებია 576-577 წლებში სვანეთის წართმევა ირანისათვის: „ხოლო როდესაც 589-590 წელს ირანის სარდალი ბარამი თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ, მას ირანის მეფის ჰორმიზდას დავალებით უცდია სვანეთი კვლავ წაერთმია ბიზანტიისათვის. თუ სახელდობრ როდის დაუბრუნებია სვანეთი ეს არა სჩანს ბიზანტიური წყაროებიდან, ამის შესახებ ცნობას იძლევა დასავლეთის ისტორიკოსი იოანე ბიკლარელი“ 4. [ყაუხჩიშვილი, გეორგიკა III, 95]. ცნობებიდან, რომელიც შეისწავლა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა, დასტურდება, რომ 567-590 წლებში სვანეთი ბიზანტიას არ ეკუთვნოდა. რომ ერთ-ერთმა სარდალმა სვანეთი ბიზანტიას დაუბრუნა. ე.ი. სვანეთი რომელიც ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი და შემდეგ დაკარგა, კვლავ დაიბრუნა მხოლოდ იუსტინეს მეფობაში.

სიმონ ყაუხჩიშვილის სარწმუნო დასკვნის შემდეგ ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ: „552 წლამდე სვანეთი ბიზანტიას ემორჩილებოდა, 552 წლიდან ირანს ეკუთვნოდა, ხოლო 565-569 წლებში იუსტინე კეისარი ამოდ ცდილობდა უკან დაებრუნებინა იგი;... გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ 576- 577 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ითრაელში ბიზანტიელები აღარას ლაპარაკობენ სვანეთზე, მასასადამე „იოანეს ქრონიკაში“ მოხსენიებული თარიღი (იუსტინეს იმპერატორობის მეათე წელს) 575 წელი სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს და სვანეთის უკან დაბრუნება ბიზანტიელების მიერ უნდა ვივარაუდოთ 575 წელს“ 5. [ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა III, გვ. 96].

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაზე კვლევის პროცესში დიდი მნიშვნელობა ეძლევა წყაროების სწორად შესწავლის პროცესს, რომელიც არაჩვეულებრივად მოახერხა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და გააკეთა შესაფერისი და სარწმუნო დასკვნებიც, რომელიც დიდად უწყობს ხელს მეცნიერებს შემდგომ კვლევა-ძიებაში.. მათი გამოყენებით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქება ხდება შესაძლებელი. მის კვლევებში მაქსიმალურად არის წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული მუშაობათა სრული სურათი. „ბიზანტიური მწერლობის კვლევის პარალელურად სიმონ ყაუხჩიშვილმა ნაყოფიერად იღვაწა ქართულ-ბიზანტიური საისტორიო წყაროდმცოდნეობის შესწავლის სფეროშიც. 1932 წლიდან იგი იწყებს საქართველოს შესახებ არსებულ ბიზანტიელ მწერალთა ცნობების სერიის გამოცემას საერთო სათაურით „გეორგიკა“. რადგან ასეთი ცნობები სისტემატიზებული და ქრონოლოგიურად დალაგებული სხვა ენებზეც არ იყო. თავიდან გამომცემელი ფიქრობდა, რომ მთელი მასალა ხუთ ტომად გამოექვეყნებინა... 1974 წელს კი სიმონ ყაუხჩიშვილმა დაიწყო ახალი სერიის „ძველი ქართული წყაროების ბიზანტიის შესახებ (გეორგიკა-



ბიზანტიას) გამოქვეყნება...” რომლებიც ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიის თანამედროვე მიღწევებს ეყრდნობიან...” 5. [1978 წელი, გვ. 11].

საინტერესოა აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა III ტომში გამოქვეყნებული, „საქართველოსა და ბიზანტიას შორის გაცხარებული ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო” 6. [ივ. ჯავახიშვილი, ტომი III, თბ, 1982, გვ. 93].

ვეცდებით ჯავახიშვილისეული კვლევის პერიფრაზირებას ამ საკითხთან დაკავშირებით და ჩვენეული ხედვის დაფიქსირებასაც. ბიზანტიის კეისარი და მთავრობა შეეცადა ტრაპიზონის სამეფო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ამით უნდოდათ, რომ ადრინდელი იმპერიის მთლიანობა აღედგინათ – „გულის მოსაგებად კონსტანტინეპოლის პატრიარქმა 1260 წელს ტრაპიზონის მიტროპოლიტს თავისი სამწყსოს სამღვდელეობის ხელდასმის უფლებაც კი დაუთმო” 7. [ჯავახიშვილი, ტომი III, თბ, 1982 წ. გვ. 93]. ფაქტიურად, ეცადა ასეთი დათმობით კეთილმეზობლობა დაემტკიცებინა და მათი სიფხიზლე მოედუნებინა, რათა თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. იმპერიის მთლიანობის აღდგენა ბევრად დიდი საქმე იყო ვიდრე ის, რაც დათმეს.

ბიზანტიასთან კავშირის უფრო მეტად განსამტკიცებლად ტრაპიზონის კეისარს, მანუელ პირველს, თითქოს, ბიზანტიის კეისართან დამოყვრებაც კი უცდია. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი ეჭვს გამოთქვამს და სვამს კითხვას: „მართლა ასე იყო თუ ეს უფრო კონსტანტინეპოლის მთავრობის ნატვრას წარმოადგენდა, მნელი სათქმელიაო.. აქ ერთ მთავარ საკითხს აქვს მნიშვნელობა როგორც პიროვნულად ქართველისათვის, ასე საქართველოსათვის. მანუელის იმ სამ თანამეცხედრეთაგან, რომლებიც მას ერთმანეთის მიყოლებით შეურთავს, არცერთი კონსტანტინეპოლელი უფლისწული არ ყოფილა. მანამდე ტრაპიზონის კეისარი საქართველოს სამეფო საგვარეულოს ენათესავებოდა და სჩანს მომავლისათვის ბიზანტიის მომხრე დასს „ამნაირი კავშირი აღარ უნდოდა დაეშვა. ამით უნდოდა ქართული პოლიტიკური გავლენის შესამღებლობა ჩაეშალა” 8. [ჯავახიშვილი, ტომი III, თბ, 1982 წ. გვ. 95.] მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, ტრაპიზონელებს აღარაფერი სწამდათ ბიზანტიელებისა, რადგან ისინი არასოდეს ცნობდნენ მათ ტოლად და ამცირებდნენ. ტრაპიზონის კეისრებს დაცინვით, ხან ლაზთა მფლობელს, ხან მთავარს, ხან ტრაპიზონის მპყრობელს უწოდებდნენ. რასაკვირველია, ყოველივე ესეც კმაროდა, რომ ტრაპიზონელებს კონსტანტინეპოლთან დაახლოების სურვილი არ ჰქონოდათ.

მანუელ მესამის თანამეცხედრეს რუსუდანი ერქვა. ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ რუსუდანი ქართველი იყო, აქედან გამომდინარე, მეუღლისათვის მასაც ქართველებთან კეთილმოყვრობა ურჩევია. ამ პერიოდში სამხედრო დასს, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ იმდენი ძალა ჰქონდა, რომ კონსტანტინოპოლის გაბატონებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

ამ მარცხმა ბიზანტიელები ვერ შეაშინა და როცა 1266 წელს ტრაპიზონის ტახტზე იოანე II ავიდა, ბიზანტიის კეისარმა, მიხეილ პალეოგოლოსმა, ყოველი ღონე იხმარა, რომ ტრაპიზონის კეისარი, პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია. ხშირად უგზავნიდა დესპანებს და უკრძალავდა, მამაპაპისეული წესებით დაედგა გვირგვინი, შემოსილიყო კეისრის ტანსაცმლით, ჩააგონებდა მათ, რომ კონსტანტინეპოლში მჯდარი მბრძანებლის გარდა, სხვას არავის აქვს უფლება თავის თავს კეისარი უწოდოსო. იოანე II-ის პასუხი ასეთი იყო, რომ არავის აქვს უფლება, დაარღვევინოს მამაპაპისეული წეს-ჩვეულება. ამჯერადაც ვერ აისრულეს სურვილი კონსტანტინეპოლელებმა. „ბიზანტიის კეისარმა მესამედაც სცადა დაერწმუნებინა რომ მისი სიძობის გარდა, სხვა არავითარი ბოროტი განზრახვა მას არა აქვს. მიხეილ კეისრის ხელახლად წარგზავნილმა დესპანმა და სამღვდელო პირმა იოანე II-ს შეჰპიცეს, რომ, კეისრის ასულზე ჯვარის დაწერის უშუალოდ, მას დიდი პატივისცემით უკანვე გამოისტუმრებდნენ. იოანე II-ც დათანხმდა და კონსტანტინოპოლში გაემგზავრა...” მიუხედავად იმისა, რომ ეს მგზავრობა იოანე II-ს სანაწურად შეექმნა მოტყუებული ვერაფერს გახდა და საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ტრაპიზონში გამოემგზავრა. ივანე ამტკიცებს, თუმცა, ძალიან თავმეკავებულად, რომ ეს ფაქტი მიუღებელი უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის და რომ ეს ნიშნავდა ბიზანტიის კეისრის შავი ზღვის სანაპიროზე კვლავ გაბატონების დასაწყისს. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი დავით ნარინის 1282 წელს აპრილში ტრაპიზონის საკეისროში შეჭრისა, მაგრამ უშედეგოდ. რა გარემოებაში მოუხდა დაბრუნება იოანე II-ს არ არის ცნობილი მაგრამ ამ შემთხვევაში მისი კეისრობა ხანგრძლივი არ გამოდგა:” 9. [ჯავახიშვილი, ტომი III, თბ, 1982 წ. გვ. 94]

„1285 წელს იოანე II-ს დამ თეოდორამ, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი, შეჰყარა ჯარი, შეიჭრა ტრაპიზონის საკეისროში და, ტრაპიზონის ალების შემდეგ, თითონ დაჯდა ტახტზე. ცხადია, რომ მისი ჯარი მთლიანად საქართველოს ჯარი უნდა ყოფილიყო და თვითონ თეოდორასაც, იმავე დროს, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკისა და ქართველთა მომხრე ტრაპიზონელ სამხედრო დასის წყალობით, შეეძლო გაემარჯვნა. სამწუხაროდ, საქმეთა მერმინდელ მიმდინარეობაზე წყაროებში ცნობები არ მოიპოვება და ამიტომ არა ჩანს, თუ როდის და როგორ მოახერხა იოანე II-მ თავისი ხელისუფლების დაბრუნება და კვლავ გაკეისრება.” 10. [ჯავახიშვილი, ტომი III, თბილისი, 1982 წ. გვ. 95].

ამრიგად, საქართველო XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ტრაპიზონის საკეისროს, რომელიც მისი წყალობით იყო შექმნილი და რომლის მოსახლეობაც უმთავრესად ლაზებისა და ჭანებისაგან შედგებოდა, ფიზიკურად ადევნებდა თავს იქ თავისი უპირატესობისა და უფლებების დაცვას.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ გურამ გაბუნია წერს; „ ერთი ბერძნული წყაროს წყალობით თითქმის ზუსტად ხერხდება (კერძოდ, ქ. ტრაპიზონის დაპყრობის) თარიღის გარკვევა. აი ისიც: ქართველი მემატეანის მოტანილ ცნობას ტრაპიზონელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსიც ადასტურებს. მას ამასთან ამ ლაშქრობის თარიღიც აქვს შემონახული. პანარეტოსი თხზულების „ტრაპიზონის ქრონიკის“ მოკლე, მაგრამ, კონკრეტულ ცნობაში ვკითხულობთ: „ მოვიდა დიდი კომნინოსი ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა, კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით, და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონს 11. [6712 წლის 14 აპრილს]”.

ლია და გურამ გაბუნიებს დაკვირვებით აქვთ შესწავლილი ტრაპიზონში 1204 წლის ლაშქრობა და მისი მნიშვნელობა. მათ სტატიაში გათვალისწინებულია ის ადგილები, რომლებიც აღნიშნული ომის შედეგად იქნა მოპოვებული: „თამარ მეფემ „წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუღეს [წართვეს] ლაზია, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, კოტიორა, ლიმანი, სამოსონი, [სამსუნი] სინოპ, ამასტრია, ჰერაკლეა, და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი და მისცა ნათესავსა თვისასა ალექსი კომნენოსსა, ანდრონიკეს ძის შვილსა, რომელი იყო მამინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი [შემოხიზნული]... 12. [გურამ და ლია გაბუნიები, კრ. XIII, გვ. 57]

მართალია, ალექსი კომნენოსი მამის მხრივ ენათესავებოდა თამარს, მაგრამ იგი (ე.ი. თამარი) ახალგაზრდა „დიდი კომნინოსის“ მამიდა არ ყოფილა, როგორც ამას პანარეტოსი ამტკიცებს. შევნიშნავთ, რომ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ საკმაოდ ფესვადგმულია მცდარი შეხედულება, თითქოს შავიზღვისპირეთში ქართველი ჯარის ლაშქრობა და ტრაპიზონის იმპერიის წარმოქმნა იყო მექანიკური შედეგი ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და ბიზანტიის ერთიანი იმპერიის დაცემის.

მაგრამ ახლა ირკვევა, რომ არა თუ საერთოდ ურთიერთშედეგი, არამედ დროის მიხედვითაც კი ისინი ორი, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად (მხოლოდ პარალელურად) მიმდინარე პროცესია, რომელსაც საკუთარი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნდა. ისინი, მხოლოდ თავიანთი ობიექტური შედეგებით, დროის გარკვეულ ეტაპზე, ან ხელს უწყობდნენ, ან ხელს უშლიდნენ ერთმანეთს.

აღნიშნულ ქვეყნებს ერთმანეთთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, ჩვენი აზრით, აქ მოტანილი რამოდენიმე მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ გავიმეოროთ დიდი ადამიანების ნათქვამი ჭეშმარიტება, და მისი პერიფრაზირების საშუალებით ჩვენი ინტერესებიც გამოვხატოთ: „არ არსებობენ მარადიული მტრები, არ არსებობენ მარადიული მოყვრები, მარადიულია მხოლოდ საქართველოს ინტერესები”. ამ სიტყვების დასტურია, ამჯერად, ჩვენი მეგობრობა თურქეთთან. ამაზე მეტყველებს: გაცვლითი ექსკურსიები, ამჯერად დამკვიდრებული ბიზნესი, მეგობრობა სახელმწიფოებისა და პიროვნებებისა, ორმხრივი ქოწინებები, წიგნები, რომლებიც მრავლად იწერება მეგობარ ქვეყანაზე და სხვა. აქ მოვიშველიებთ ერთ აზრსაც ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნიდან – „თურქული დღიურები”, სადაც წერს: „ქართველი ემიგრანტების ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალების მოძიებისა და შესწავლის დროს, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ჩემი ყურადღება იმ ფაქტმაც მიიქცია, რომ უშუალოდ ევროპასა და ამერიკაში წასვლამდე და დამკვიდრებამდე, ჩვენი ემიგრაციის ბევრმა წარმომადგენელმა თავი გარკვეული დროის განმავლობაში სტამბოლს, კერძოდ კი იქ არსებულ ქართულ სავანეს შეაფარა.” 13. [ნიკოლეიშვილი, „თურქული დღიურები” 2010 წ, გვ. 7]

„ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის მთავარი კურსი გახლავთ ევროპასთან სრული ინტეგრირება და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანება. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კავშირ-ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან განსაკუთრებით კი თურქეთთან, რომელიც ნატოს სრულუფლებიანი წევრია.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათელყო თურქეთის მზარდი როლი რეგიონალურ პოლიტიკაში. თურქეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საკმაოდ ძნელდება უახლეს პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმე. რაიმე ფაქტორის გასათვალისწინებლად კი საჭიროა მასზე გვეკონდეს შესაბამისი ინფორმაციის მინიმუმი მაინც.” 14. [ჭიღვარია, 2006 წ, გვ. 3]

აქ გამოყენებული და სხვა მრავალი ლიტერატურა, რომელიც სულ ახლახან შეიქმნა, დასტურია ჩვენი თბილი მეზობლობისა. ვისურვოთ მარადიული კეთილმეზობლობა გაგვეწიოს ერთმანეთისათვის.

### ლიტერატურა და შენიშვნები:

1. იხ. მენანდრე ფრგ. 11: ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია III, 218 შმდდ.
2. იქვე, გვ. 227, ს. ყაუხჩიშვილი, ირ. ბერამე, გვ. 39., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1918-1938 წწ.
3. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია III, 95 შმდდ.
4. ყაუხჩიშვილი, გეორგია III, 96 შმდდ.
5. „ბიზანტიოლოგიური ეტიუდები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978, გვ. 11, (მთავარი რედაქტორი თამაზ გამყრელიძე)
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილი, ტომი III, თბილისი, 1982, გვ. 93
7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილი, ტომი III, თბილისი, 1982, გვ. 93
8. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილი, ტომი III, თბილისი, 1982, გვ. 94
9. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილი, ტომი III, თბილისი, 1982, გვ. 95
10. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილი, ტომი III, თბილისი, 1982, გვ. 95
11. გურამ გაბუნია, „თამარ მეფის, მეორე ისტორიკოსის, თხზულების ერთი ადგილის გაგებისათვის“ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXIV, გვ. 45. ქუთაისი, 2013.
12. გურამ და ლია გაბუნიები, „ქართველთა 1204 წლის ლაშქრობა ბიზანტიის იმპერიაში, კრ. XIII, გვ. 57
13. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „თურქული დღიურები“ საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2010, გვ. 7
14. გიორგი ჭიღვარია, „თანამედროვე თურქეთი საზოგადოება, პოლიტიკა, ეკონომიკა“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2006, გვერდი 3.

## FROM THE HISTORY OF RELATIONS BETWEEN GEORGIA, BYZANTINE AND TRABZON

**Lia Gabunia**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor,  
**Guram Gabunia**, Akaki Tsereteli State University, Emeritus Professor

### RESUME

The histories of Georgia, Byzantine and Trabzon have been intertwined themselves without any specific intervention, due to their territorial nearness. Such was our fate. It is said that neighbors cannot be chosen, and so we had no such an opportunity to choose neighbors in accordance with their religion or nationality. Such a close coexistence of our countries conditioned both hatred and love toward each other. The wars with their characteristic conditions often faced Georgian nation with difficulties, but Georgians also didn't leave their intruders without response. The captive Georgian young boys and virgins often were sold on the markets of Turkey and other countries. So many were these cases that Georgian, Byzantine and Turkish bloods are intermixed in abundance. It is very difficult to sum up all that has been done over the centuries in a single paper, but we'll try to pay attention to some of them as well as to take account for some aspects of research works carried out by our scientists over the years.

Despite fact that researchers studying the Georgian-Byzantine-Turkish-Greek relations were Georgians, these issues often became interesting to many scientists. In the issues of relations between Georgia and Byzantine were interested many famous scientists. There are also diplomatic and narrative sources: in Georgian, Russian, Armenian, Turkish, Persian and West European languages. We deal with absolutely different and originated in various situations sources, such as Sultan's firmans, diplomatic documents, sketch books of political agents, reports of Catholic-Missionaries, descriptions made by merchants and travelers, and eyewitness accounts. We believe that the fact that a certain part of these sources has not been published is beyond questions for everyone, and this is true for Georgia, Turkey, Byzantine and other neighboring countries. These countries managed to exaggerate both positive and negative aspects of their successes in these struggles in a singular manner and for their own benefits.

As greatest patriots of their own country, Georgians were interested in these issues, but they were people whose lips say only a mouthful, and their scientific researches coincided with investigations, memories and narrative sources of researchers of other countries, Byzantine Armenians in particular.

During the process of studying Byzantine-Georgia relations, of great importance is the process of proper study of sources, which was pretty good implemented by Academician Simon Kakhchishvili, and he made the relevant and reliable conclusions as well, which in a large extent help scientists in their further research works and explorations. Due to the use of them, it has become possible to cover many significant issues. In his research works, there is maximally presented an aggregate picture of performed works over the centuries on the text of "Kartlis Tskhovreba" ("The Georgian Chronicles").

Also of interest is “The Furious Struggle between Georgia and Byzantine for Political Influence in Trabzon Caesarea”, which was published in the third volume of works by Ivane Javakhishvili.

These sources are what our research is based on.

## აკაკი წერეთელი და თურქეთში მცხოვრები ქართველობა

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ისტორიული ქართველების ეპოქებიდან გამომდინარე, XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული ქართველობის კავშირი თურქეთში მცხოვრებ გამუსულმანებულ თუ გაკათოლიკებულ ქართველებთან. ჩვეულებრივი სავაჭრო, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური კავშირები ხელს უწყობდა ამ ურთიერთობის გაღრმავებას. თურქეთში მცხოვრები ქართველები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. სულ ცოტა ხნის წინ კი იმერეთის სამეფოც იმპერიის კლანჭებში მოექცა. და უკანასკნელი მეფე, სოლომონ II, იძულებული გახდა თურქეთისთვის შეეფარებინა თავი, სადაც გარდაიცვალა კიდეც 5 წლის შემდეგ, ტრაპიზონში, 1815 წლის 19 თებერვალს. სოლომონ II დაკრძალეს ტრაპიზონში, მართლმადიდებელ ბერძენთა ეკლესიის გალავანში. საფლავის ქვა წარწერით, „განმემარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაც ვითხოვ შენდობას“ (ხუსკივაძე 1902: 34) საქართველოში გადმოსვენებისას გადმოჰყვა ქვეყნის ბედზე გულდამწვარი მეფის ნემოს, მაგრამ ეს გვიან მოხდა. XIX საუკუნის ქართველი კი ოცნებობდა ენახა იმერეთის უკანასკნელი მეფის საფლავი. მასალები სოლომონ II ცხოვრებაზე გროვდებოდა დიმიტრი ბაქრაძესთან, თეოფილე ხუსკივაძესთანა და ალექსანდრე ფრონელთან. ამ უკანასკნელმა ვერც მოასწრო თავისი შრომის გამოქვეყნება, რასაც განიცდიდა, პოეტი აკაკი წერეთელიც (1840-1915):

„ამ ავტორს (იგულისხმება ალ. ფრონელი) „საქართველოს უკანასკნელი დროება“ მაგალითად „სოლომონ მეორე“ და სხვანი დამთავრებული აქვს, მაგრამ თვითონ რომ სამსახურში აღარ არის და ჯამაგირი აღარ ეძლევა, აღარ შეუძლიან რომ თავის საფასურით მოიტანოს მსხვერპლი და რჩება ისევ დაუბეჭდავი, რას შვრებიან ჩვენი მეთაურები და წინამძღოლები? ეჰ, აღარას ვიტყვი... ვიტყვი მხოლოდ იმას, „ვაი რომ შეიძლება არა მაქვს, თორემ ამ წერილით არც ჩემ თავს შევიწუხებდი და არც მკითხველს შევაწუხებდი“ (ქ. „ნიშადური“, 1908 წ. №36 სახელწოდებით „მცირე რამ“).

„აკაკის დედა, ეკატერინე აბაშიძე, სოლომონ მეორის ასულის ბატონიშვილ დარეჯანის შვილიშვილი იყო. ბავშვობისას მას დიდედა ზრდიდა. 1813-1820 წლებში, როცა ეკატერინე 12-13 წლისა შეიქმნა, დაიწყო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული იმერეთის აჯანყება, რომლის ერთ-ერთი მეთაური იყო ეკატერინეს მამა - ივანე აბაშიძე. ეს ცნობილი აჯანყება გახდა აბაშიძეთა ოჯახის აკლების მიზეზი, რის შემდეგ პოეტის დედა საცხოვრებლად თავისთან გადაიყვანა ბიძამ - გურიის მთავარმა მამია გურიელმა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია 1974: 119).

აკაკის გული ერჩოდა თავისი დიდი წინაპრის მიმართ, ეს გრძნობა დიდხანს დუღდა მასში, ვიდრე 1909 წლის 14 ივლისს ბათუმიდან სტამბულზე გავლით არ მიემგზავრება საფრანგეთში ცოლ-შვილთან, გზაზე კი შეივლის ტრაპიზონში, ინახულებს დიდი წინაპრის საფლავს, გადმოწერს ეპიტაფიას, შემდეგ კი აქვეყნებს „განათლებაში“ (1910 წლის ენკენისთვის) ხელმოწერის გარეშე ჩანახატს „ტრაპიზონი (მგზავრის შენიშვნები)“: „საფლავი არ არის ურიგოდ შენახული და ზედწარწერაც ისე ცხოველია, თითქოს გუშინ დაუწერიათო. ფიქრებმა გამიტაცეს. გამახსენდა იმერეთის ამ უკანასკნელი მეფის შავი დღეები, მისი დაპატიმრება, მისი გაქცევა და სათათრეთში თავის შეფარება. აბა ამაზეა ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა?“ კიდევ კარგი, რომ ასე დაუმარხავთ მაინც. მაშინ ამ გადავარდნილ მეფეს თან გაჰყვა ორი სვიმონ წერეთელი და ალბათ იმათი მეოხებითაა ეს: დაუმარხავთ და, როცა დაბრუნებულან სამშობლოში, ის მიუტოვებიათ ასე სხვების ამარად. - საფლავის ქვაზედ წარწერაც, ალბათ, მისი მოძღვრის ყანჩავლის ხელითაა, იმ წმინდა მამის ხელით, რომელიც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, შევიდა ათონის მონასტერში და იქ იხსენიებდა წირვა-ლოცვის დროს უბედურ მეფეს...

საუკუნოდ იყოს მათი ხსენება“ (ა. წერეთელი, XIV 1961: 364). აქ მოხსენიებული წმ. გიორგის ტაძარი აკაკის მისწავლა ტრაპიზონში ნავიდან გადმოსვლისას შეხვედრილმა მოხუცმა, რომელმაც გააყოლა მას ბიჭი „იმ დიდებული გურჯის საფლავისაკენ“, ტაძარს აკაკი მოიხსენიებსა წმ. გიორგის სახელობისად, ხოლო თეოფილე ხუსკივაძე წმ. გრიგორისად. ამ რამდენიმე წლის წინ ვეძებთ აღნიშნული ტაძარი ტრაპიზონში და ვეღარ მივაკვლიეთ, თუმცა იქ, დიდ ბანერზე, იყო მოხატული წმ. გიორგის ეკლესიის კონტურები წარწერით.

სადღეისოდ გაურკვეველია სადაა ის ოქროთი მოჭედილი სახარება, რომელიც შეუწირავს სოლომონ II ამავე ტაძრისათვის, როგორც თეოფილე ხუსკივაძე გვამცნობს შემდეგი წარწერით: „შეიწირე წმინდაო გრიგორ, აქა მდებარე სრულიად იმერთა მეფე, ძე არჩილისა, მეორე სოლომონისა მიერ წმინდა ესე სახარება“, მეორე გვერდზე: „მოიხსენე უფალო სრულიად იმერთა არჩილის ძე მეფე სოლომონ, რომელ არს მდებარე წმინდა გრიგორის საყდარზედ, ტრაპიზონს. მიიცვალა წელსა ჩყიე, თებერვლის ზ-ს და შესწირა ეს წმინდა სახარება წმინდის გრიგორის ეკლესიას სულის საოხად, რათა შენდობა უბრძნოთ ქრისტეს მოყვარულმან მხილველმან სახარებისა ამისამან. მოიხსენე უფალო, მშრომელი სახარებისა ამისა, მეფის მოძღვარი მღვდელი ყანჩაველი იესე, ვითხოვ მეცა ყოველთა ქრისტეს მოყვარეთაგან შენდობას. მონა და მოსამსახურე მეფის ამის მადლითა ღვთისათა ვიქმენ შეძლებისამებრ ჩემისა“ (ხუსკივაძე 1902: 34-35).

ტრაპიზონს აკაკი კარგად ახასიათებს. ამის შემდგომ იგი მიდის სტამბოლში. აქ მას სტამბოლის ქართველობა უწყობს სახეიმო შეხვედრას, ათვალერებინებს ქალაქს, აქვს შეხვედრები იქაურ ქართველებთან. გაზეთი „დროება“ აქვეყნებს წერილს „გადახვეწილის“ ფსევდონიმით „აკაკი სტამბოლში“ (წერილი სტამბოლიდან).

წერილიდან ირკვევა, რომ სტამბოლი ქართველობას აკაკის ჩამოსვლის ამბავი წინასწარ იყო ცნობილი, მხოლოდ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ვლადიმერ წერეთელმა წინა დღეს მიიღო დეკემა და დაახვედრა საზოგადოება.

იგი მიესალმა აკაკის და გადაიწვია სტამბოლში. ყველას გული დასწყდა იმის გამო, რომ აკაკი მხოლოდ გავლით იყო სტამბოლში.

პირველად აკაკის მოუსურვებია ენახა ფერიქვეის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, სადაც ესაუბრა პატრებს, შემდეგ აკაკის გაუმასპინძლდნენ და მიიწვიეს ივანე სიდავასა და ვლადიმერ წერეთლის ოჯახებში. აქედან სტამბოლის საუკეთესო სასტუმროში გამართულა საზოგადო სადილი. შემდეგ აკაკის დაუთვალერებია აია-სოფია და პარლამენტი, სადაც მას შეეგებნენ ქართველ-მუსულმანი დეპუტატები.

ცოტათი ადრე, 1909 წლის 9 მაისს, „დროებაში“ (№101) გამოქვეყნდა ქართველიშვილის წერილი, რომელშიც აღწერილია, როგორ აღნიშნეს იუბილარის დაუსწრებლად აკაკის იუბილე სტამბოლში.

რამდენადაც საქართველოდან გამოწერილმა წიგნებმა და სურათებმა დაიგვიანა. გადაიწია აკაკის საიუბილეო დღის აღნიშვნამ, რამდენადაც სტამბოლელი ქართველების მიზანი ყოფილა დაეარსებინათ აკაკის სახელზე ბიბლიოთეკაც. ზეიმი დაინიშნა 26 აპრილს. ფერიქვის (ფერიქვეის) ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც სპეციალურად მომზადდა დიდი დარბაზი ყვავილებით, აკაკის სურათით თავზე წარწერით: „აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთაველი და სარგის-თმოგველი“.

აქაური ქრისტიანი ქართველობა, ვისაც კი გაეგო, მოვიდა ზეიმზე თავისი ოჯახობით, დაესწრო სხდომას სპარსეთს გაძევებული, რუსული გაზეთების კორესპონდენტი ი. ამირაჯიბი. „მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენდა სასიამოვნოდ, მაჰმადიანი ქართველებიც“. 3 საათზე პარაკლისი გადაიხადა მონასტრის უფროსის მოადგილემ პატრმა სტეფანე გიორგაძემ ქართული საგალობლებით, იასე რაჭველმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია მისი ლექსებით და აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვით, შემდეგ კი საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, ვლადიმერ წერეთელმა ისაუბრა იუბილეზე, გადაიღეს სურათი და შემოწირული წიგნებიც განათავსეს საქართველოს ღერბით შემკულ კარადაში. ზეიმი გაგრძელდა 7 საათამდე. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, „მადლობის ღირსნი არიან... ქართველ კათოლიკეთა პატრები და ძმები, რომელნიც არ მისდევდნენ გადამახინჯებულ ბერულს ფორმალისტობას და თავიანთი ნათელი სახით ჩვენო შეკრებილობა დაამშვენეს, ხალხში ჩადგნენ, ვითარცა მწყემსნი კეთილნი და აკაკის დღეობა ერთ-ორად საგულისხმო გახადეს“ („დროება“ 1909: 3).

ჩვენთვის უცნობია აკაკის გამოსვლების შინაარსი, მაგრამ უფრო ადრე, XIX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებასთან დაკავშირებით აკაკის დაუწერია მიმართვა „ოსმალეთის ქართველებს“, რომელშიც საოცარი სითბოთი და სიყვარულით აღნიშნავს: „ჩვენი ცალ-ცალოება, ჩვენი გაყოფა ორად - ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის, როგორც ძველად, ისე დღესაც. უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკედდება და ლხინი კი ნახევრდება ... ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის... დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთნი ვართ, ერთს ბედ ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის“ (ა. წერეთელი, ტ. XI 1960: 523-524).

აკაკის გულმა ერთიანად მიიღო ყველა ქართველი. ყველა იუბილე, რომელიც გაიმართა სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში, იქცა პოეტის ნიჭის აღიარებისადმი პატივისცემის გამოხატულებად.

#### ლიტერატურა:

- იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ისტორიული ამბავი თეოფ. ხუსკვიძისა, დ. ყვირილა, 1902;  
ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, „აკაკი წერეთელი ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან“, თბილისი, „მეცნიერება“, 1989;  
ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961;  
ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960;  
გ. „დროება“, 1909, 9 მაისი, №101.

## **AKAKI TSERETELI AND THE GEORGIANS LIVING IN TURKEY** **Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

Akaki Tsereteli was a son of the XIX century and all the historic cataclysms which Georgia overcame in that epoch, found reflection in sensitive spiritual nature of the poet. One of such reflections is his visit to the grave of Solomon II the last king of Imereti in Turkey, Trabzon.

The anniversary days dedicated to Akaki Tsereteli were celebrated in Istanbul without his presence. Orthodox, Catholic and Muslim Georgians participated in this celebration. Later, the Georgians living in Turkey, organized ceremonial meeting to the poet on his way to Europe. This was great appraisal of the poet.

### **ხარისხის ფორმათა წარმოება ტაოურსა და იმერხეულში**

**ეკა დადიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**  
E-mail: dadianiekaa@gmail.com

**მაია მიქაუტაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**  
E-mail: mikautadzemaia@gmail.com

ტაოელ და იმერხეველ ქართველთა მეტყველებაში თურქული ენის გავლენა შეიმჩნევა როგორც ლექსიკაში, ისე ფონეტიკა-მორფოლოგიასა და სინტაქსში.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებები ტაოურსა და იმერხეულში.<sup>1</sup>

ქართული ზედსართავი სახელები ტაოურსა და იმერხეულში მეტწილად დაცულია, გვხვდება როგორც უცვლელად, ისე ფონეტიკური/დიალექტური ვარიანტებით. საილუსტრაციო მასალა:

ტაოური: **ლამაზი** გოგო მყავსა მეც; **დიდი** ცულით შემა დუაპოფთ; **ცივი** წყალი **კააა**; ლაზუდი სამი სოა არი: **თეთრი**, **წითელი**, **ყუთელი**; აყირო ასე **კუწუწოლი**, ასე **გირძელი** და მეერე **პეტერაა**, გურგული; ერთი წარი მყავსა, ერთიც **პუტურუა** ხობო არი; **კემელი**-ნა იყვეს ორმო შიგანაა.

იმერხეული: **დიდი** თოვლი მევდა; აგზე ერთი **სუფთა** ბეზი-ნა გედეილო; ახლა **ავი** დარია; იქში ერთ **ლამაზ** მაწონ ჩავასხამთ; აქ **გერმელი** წყალია; **ზველი** გურჯები ჩუენ ვართ აქა; იმას **წარე** პურ ეტყვიან; **პაწაა** ბადვი; ტოლმა ბიბრები არი, ასე **სხვილ-სხვილი**.

პარალელურად თურქული (არაბული, სპარსული) სიტყვებიც იხმარება.

ტაოური: ერთი **დიღბერი** (ლამაზი) ქოთერი მომცეს; **აღლუზი** (კარგი) მარქვალი გომოა.

<sup>1</sup> კვლევა ძირითადად ემყარება ჩვენ მიერ ტაოსა და იმერხეულში 2006-2015 წლებში ჩაწერილ დიალექტურ მასალას. შედარებისთვის გამოვიყენეთ, აგრეთვე, გამოქვეყნებული ტექსტები (შ. ფუტყარაძე, 1993; მ. ფალავა..., 2005).

იმერხეული: ახლა **იმეილ** (მწვანე) ლობიოს ვჭამთ; იგზე **აჩული** (ღია) ადგილი არი; მე თუ ახლა **ყუვეთლი** (შეძლებული) ვარ და **ზენგინი** (მდიდარი) ვარ, ბევრ დავპატიჟავ; ბუზდოლაფში შედებ, ფენა **ხასი** (კარგი) გახდება.

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოების მხრივ ტაოურსა და იმერხეულში უმთავრესად საერთო ტენდენციები შეიმჩნევა, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებაც დასტურდება. ორივე კილოში ძირითადად ხარისხის აღწერითი წარმოებაა გავრცელებული. ორგანული წარმოების ფაქტები იშვიათია.

აღწერითი წარმოებისას, როგორც წესი, გამოიყენება დამხმარე სიტყვები (ნაწილაკები, ზმნისართები), რომელთა საშუალებითაც ხდება ნიშან-თვისების მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატვა. საანალიზო დიალექტებში გვხვდება როგორც ქართული, ასევე უცხოური (თურქული, არაბული, სპარსული) სიტყვები.

**I. უფროობითი** ხარისხის აღნიშვნა ტაოურსა და იმერხეულში მრავალფეროვანია. ზედსართავ სახელებს ინტენსივობის გადმოსაცემად დაერთვის: **სულ, ძალიან, ბევრი, იმფო, მეტი...**

ა) **სულ/სულა** ზმნისართი აღნიშნავს: „ყველაზე“, „ძალიან“. მაგალითად:

ტაოური: ე ბევრი ხნის სახლია, ძველი, **სულა ძველი**; დათვები **სულა ბევრ** არიან აქა; **სულა დილბერ** იყო, ჭკალთვალაიანი, ყუთელთმიანი, **სულა დილბერი**.

იმერხ.: **სულ ძველი** სახლები იქ ყოფილა; **სულ მაღალი** ადგილი არ იცი? **სულ დიდი** ძროხა აყვანილი გუაქ ჩვენ ამიდან; **სულ დიდი** ხიები გვაქ ჩვენ; **სულ ლამაზი** ემიებია იქ: ყართოფი, ლობიო... **სულ სქელი**-ნა იყვეს ყორავა...

ბ) **ძალიან** სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება:

იმერხ.: ლობიოს ასე დავტეხავთ, **ძან ლამაზი** იქნება; **ზალიან კაი** ხალღი ხართ თქვენ; იქა ზემოთ **ზალიან კაი** ძაღლა გუაქ... უბე-ფარნუხის თეები **ზალიან ლამაზია** (შ. ფუტკ., 288); **ზალიან ზველი** შენობაა (შ. ფუტკ., 238).

ტაოური: წინანდულები **ძან ბევრია**; თქვენი პარიკობაო **ძან კაი** წმინდა გურჯულიაო (მ. ფაღ., 162); **ძალიან სუფთა** ფეკი-ნა ქქონდეს (შ. ფუტკ., 180).

გ) **ბევრი** აღნიშნავს: „ძალიან“, „ყველაზე“; წარმოდგენილია სახელობითის ბრუნვის ფორმით ან ფუძის სახით:

ტაოური: ასე **ბევრი ჭკვიან** არ-ნა იყვეს; **ბევრი გასხნილ** არ-ნა იყვეს; სიძე თუ **ბევრი ზენგინ** იყო, თაფლით იქმოდეს ჰელვასა.

იმერხ.: სოფლიდან ფართი ვიღვეით თივა, **ბევრი დიდი** ფარა მივეციით; **ბევრი წარე** არ იჭმის; ძველი ჯამეც **ბევრ ლამაზი** იყო, შეშიდან გაკეთებული; ი ადგილი აქედამ **ბევრ ლამაზია**; შავშეთის **ბევრ დიდი** სოფელი იქ არი; **ბევრ კაა** ის.

შდრ.: **ბევრი** ზმნისართის ფუნქციით უშუალოდ ზმნებთანაც გვხვდება; მაგ.: ჩვენ **ბევრი** გვიყვარს ჩვენი თავი.

დ) იმერხეულში **უფრო** ფონეტიკურად ცვლილი ფორმითაა წარმოდგენილი - **იმფო**:

ბადვები **იმფო კაა**, და ილოცონ; თურქქა **იმფო ჩეთინია** (მნელია), გურჯიჯა ყოლაი (ადგილი).

ტაოური: ოროკი **უფრო ფართია** (შ. ფუტკ., 171).

ე) **მეტი** გამოიყენება „უფროს“ მნიშვნელობით (სახელობითშია, ნაცვლად ვითარებითისა). დასტურდება როგორც ტაოურში, ისე იმერხეულში:

ტაოური: **მეტი დიდი** ა(რ) არი, ამა დილბერია; **მეტი კაი** მოსული ადგილები ყოფილა; **მეტი აბლი** არა და, ოთხი-ხუთი ჯვალი ერთ ბოსტანში ეყოფა.

იმერხ.: ზათენ კაი ვიყავ, **მეტი ცქვიტი**; იმათი დიდი **მეტი გამჭრო** კაცი იყო, მეწინავე კაცი იყო (შ. ფუტკ., 263).

უფროობითი ხარისხის აღსანიშნავად შეგვხვდა: **მაგრამ, ნამეტრად, კაი/ა**:

იმერხ.: **მაგრამ გერმელი** მილეეთი ხართ; **ნამეტრად ზველი** ბერები ილაპარაკებენ; თუ გაწვიმდა, **კაი ლამაზი** იქნება თელი.

ტაოური: **კაი ჭირელ** წინდა მოვქსოვ.

ნიშან-თვისების მეტობის გამოსახატავად ტაოურსა და იმერხეულში საკმაოდ ხშირად ვხვდებით თურქული (აგრეთვე არაბული, სპარსული) წარმოშობის ნაწილაკებსა და ზმნისართებს: **ფენა** (არაბ. fena) „ძლიერ, ძალიან“, **ენ** (თურქ. en) „უფრო, ყველაზე უმეტესი, განსაკუთრებული“, **დაჰა** (თურქ. daha) „უფრო, მეტად“, **ზაბა** „ძალიან“, **ზოვლი/ზოლი** (სპ. zoulu) „ძალიან, კარგად“, **ჩოხ** (თურქ. çok) „ძალიან, ძლიერად“...

ა) **ფენა** იხმარება როგორც ზედსართავებთან, ისე უშუალოდ ზმნებთან და ზმნისართებთან, აღნიშნავს „ბევრს, მრავალს“. გავრცელებულია იმერხეულში, ტაოურში კი სპორადულად გამოვლინდება.

იმერხ.: ბაზგირეთი **ფენა დიდი** სოფელია; სახლი-და წეელო უნდა, **დიდი** სახლი **ფენა**; მეზობლის უკან **ფენა კამ** იყო; **ფენა კამ** კოტორი მუა; ბუსუტური **ლამაზი** ალაგია **ფენა**; მოწობილი **ფენა გერმელია**; ერთი მეზობელი მყავსა და **ფენა სუქანია**.

ტაოური: **ფენა კამ** ლეზუა აქვერი; იმხან **ფენა ალუზი** იჯონნება; **ფენა კამ** დასანახველია (შ. ფუტკ., 172).

ბ) **ენ** უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი ნაწილაკია, დაერთვის როგორც ზედსართავ სახელებს, ასევე ზმნისართებს:

ტაოური: აქვერისი **ენ დიდი** სოფელი აქ ეს არი; დიდი თა ის არი, **ენ დიდი** თა; **ენ კამ** შეშა კო არი; **ენ საღლაში** (ჯანმრთელი) შეშა ეს არი; **ენ მაღალ** თასა – მასის ეტყვიან (შ. ფუტკ., 174); თეფე **ენ მაღალი** ადგილია (მ. ფალ., 154).

იმერხ.: **ენ კამ** ბაღალმარაი, **ენ კამ** წოწოლა ვაშლი არი; იმერვევში **ენ კამ** სოფელი დიობანია (შ. ფუტკ., 199); იფრეველში **ენ ზუელი** გვარი არი ღაღანიზე (შ. ფუტკ., 279).

გ) **დაჰა/დაა** შედარებით იშვიათად დასტურდება:

ტაოური: ძველანდელი საქმე **დაჰა კამ**; კითხვა აქ **დაა ზორ** (მნელი) იყო; **დაა ალუზი** დუგუნ იჯებთან; ისე **დაჰა დილბერი**, ლამაზი დეინახვება.

იმერხ.: დადიენთი რა თქმა არი, თქვენ **დაჰა გურჯი** ხართ, გეცოდინებთან; აქ რომ იყოთ, **დაჰა კამ** იქნება; კატარი კამა, **დაჰა კამ**, ქერესთესთუნ (მშენებლობისთვის); ერბოში მოხრაკული **დაჰა კაია** (შ. ფუტკ., 199); იქიდან მოტანილი შექერი **დაჰა კამ** იყო (შ. ფუტკ., 200).

დ) **ზაბა** „ძალიან“ აქტიურად გამოიყენება ტაოურში:

**ზაბა დიდრუანი** თუ არი, ნა დაჰრა; **ზაბა მსხვილი** არ უნა იყვეს; **ზაბა ფინთ** იყო; იმის ხორცი **ზაბა გემრიელია**; აქობა **ზაბა ზორი** შეიქნა; **ზაბა დაბერებულ** თივა ფექ არ შექამენ; მოალთ **ზაბა მშიერი**; აქობა **ზაბა ალუზ** იყო; **ზაბა დილბერი** ხარ, რა კამ ხარ, - ასე ვაფერებ.

შდრ.: **ზაბა** უშუალოდ ზმნასთანაც გვხვდება:

სული მიჭირდებოდა **ზაბა**; მომსურდი **ზაბა**; ბგანოსაც **ზაბა** უყვარს ბიჭის თაი; **ზაბა** არ ვიცნობდი; **ზაბა** ვერ მიმხვთარვართ.

ე) ტაოურში გვხვდება **ზოვლი/ზოლი** „ძალიან“:

ჩემი ემოი ახლა **ზოლ მაშლია** (შ. ფუტკ., 178); ერთი გოგო დევნახე, **ზოვლა კამ** იყო (მ. ფალ., 148); ბაბომ, დედე **ზოვლი მუსლიმანი** დამჩალან ბათუმზე (მ. ფალ., 150).

ვ) იშვიათად გვხვდება **ჩოხ** „ძალიან“:

ტაოური: **ჩოხ ვითამინლი** საქმელია.

იმერხ.: იქ **ჩოხ ლამაზი** დუზებია (ვაკე ადგილებია); **ჩოხ ლამაზი** ყალე (ცხი) არი...

**II. ოდნაობითი** ხარისხის ნიშან-თვისების ნაკლები ოდენობით, მიახლოებით, მიმსგავსებით გამოხატვას გულისხმობს. ორგანული წარმოების ნიმუშები (**მო-ო** კონფიქსით გაფორმებული) ტაოურში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება:

სხალი არი გურგუალი, სუ **მოწოწლო**, ასე **მოწოწლო**, **მოგძელო**; ხალიტი ლეზუო **მოწითლო ჭრელია**, **მოწითლო ჭრელი**; მიწა **მომრეხო** ეტყვიან; კატარი **მომრეხოა**, ისა **მოთეთრო**; **მოშაო** აბლი თიყურძენაი; **მოშაო**, **მოშაო** ვიშნა; ქლიავი არის ყუთელი, შავი, **მოწითლო** ფერის (შ. ფუტკ., 180); **მოსიქლო** შერბეთ მასხამ (შ. ფუტკ., 180); ნამვი **მოშავოა** (მ. ფალ., 153).

იმერხეულში ორგანული წარმოების შემთხვევები არ შეგვხვედრია. იმერხეული აღწერით წარმოებას მიმართავს. მსგავსი ვითარება დასტურდება ლივანურში, მაჭახლურში (შ. ფუტკარაძე, 1995), ინგილოურში (გრ. იმნაიშვილი, 1966), ჭანურში (თ. ზურაბიშვილი, 1957).

იმერხეულში ოდნაობითის სემანტიკის გადმოსაცემად ზედსართავებთან უმთავრესად წარმოდგენილია ზმნისართი **ცოტა**:

**ცოტა წითელ** ემეს გუშუვეფს, წვენ; ყურზენი არ იჯება აქა, **ცოტა მაღალია**, სოფელი **ცოტა მაღალია**; **ცოტა სუქანი** ადგილი-ნა იყოს; **ცოტა დიდი** კაცი იყო; ჰურ **ცოტა თბილი** წყლით მოვხელავთ; ისე **ცოტა სქელი** დავაყენეთ; ჩვენი სოფელი **ცოტა სერი** არი; მე დიდი ვიყავ, **ცოტა** ემეი, **თეჯრუბელი** (გამოცდილი); ჩვენი **ცოტა რენქლი** (ფერადი) ლობიეებია; იქ **ცოტა წვრილ**, თქვენებურაი წითელი სიმინდებია; ჩვენ ქალები ასე **ცოტა მაშლი-მაშლი** (ხანში შესული) არ დავალთ; **ცოტა ცუცუხი** ინსანი იქნება; **ცოტა** შინდი **ჯავვა**; ახლა იქ შეერში ქი მიდიან, **ცოტა** იქაც **აჩული** (თავმოხდილი) არიან; დათვი **ფოშა** (უნამუსო) არი **ცოტა**; **ცოტა** ის **აღლი** (ცხიმინი) არი...

**ცოტას** მნიშვნელობით დასტურდება **ეთამი (ერთდრამი)**:

იმერხ.: წყარსიმელი **ეთამი ფესათია** (ბოროტია); **ეთამი პაწა** იყო, პაწა ბაღვი.

ტაოურში ქართ. **ცოტას** თურქ. **აბლი** ცვლის:



აბლი უჭკუო-ნა იყვეს; თქვენი ხვარათი აბლი კიდო წიმინდა არი; ზედან დავჯდებით ქი, აბლი მძიმე იყოსო; აბლი პეტერაჲ ყოფილა დეფანი; აბლი წვრილი თუ არი, არ-ნა დაჭრა; თუ აბლი თხელი გვინდა, წყალ დუასხამთ აბლი.

აბლი არცთუ იშვიათად ოდნაობითის ორგანულ ფორმებსაც ახლავს; ამ შემთხვევაში ოდნაობითის სემანტიკა ორმაგად აღინიშნება:

ბალი აბლი მოწითლოსაც არი; ცხენიძუმო (ყურძენი) აბლი მოწითალო, მოშოსაც არი; მოშო აბლი თიყურძენაი; ბიბერი აბლი მოდიდრუანო-ნა იყვეს; ენ კამ აბლი მოდიდო არი.

როგორც ჩანს, ტაოურსა და იმერხეულში ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის წარმოება უნიფიცირებულია: აღწერითი ფორმები გამოიყენება. ზედსართავ სახელებს ინტენსივობის გამოსახატავად დაერთვის როგორც ქართული, ისე თურქულ-არაბულ-სპარსული წარმომავლობის დამხმარე სიტყვები. ოდნაობითი ხარისხის ორგანული წარმოების ფორმები (მო-ო კონფიქსიანი) დაცულია ტაოურში, ხოლო იმერხეულში აღწერითი წარმოებაა გავრცელებული.

ზოგადად ხარისხის ფორმათა წარმოების საშუალებები ტაოურსა და იმერხეულში სხვა ქართული კილოების მსგავსია. განსხვავებას ქმნის უცხოურ დამხმარე სიტყვათა გამოყენების ფაქტები, რაც თურქულ ენობრივ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტითაა განპირობებული.

#### ლიტერატურა:

- თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.
  - ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., თბ., 1957.
  - გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
  - მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, ე. მაკარიძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.
  - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
  - შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.
- 2006-2015 წლებში ტაოსა და იმერხევეში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულეზაში).

## FORMATION OF DEGREES OF COMPARISON IN TAOIAN AND IMERKHEVIAN

Eka Dadiani, Akaki Tsereteli State Unieversity, Associate Professor

Maia Mikautadze, Akaki Tsereteli State Unieversity, Associate Professor

### RESUME

The paper analyzes some characteristics of forming degrees of comparison of adjectives in Taoian and Imerkhebian. Certain similarities and differences are highlighted between above-mentioned dialects and Georgian literary language or other dialects. The research is mainly based on the dialectal material recorded by us in Tao and Imerkhevi in 2006-2015.

The formation of superlative adjectives is unified in Taoian and Imerkhebian: descriptive forms are used. In order to express intensity, adjectives take the auxiliary words of Georgian (**sul** “always”, **dzalian** “very”, **bevri** “many”, **imfo** “more”, **meti** “much”...), as well as Turkish-Arabic-Persian (**fena** “very”, **en** “more”, **daha/daa** “much/more”, **zaba** “very”, **zovli/zoli** “very”, **çok** “very/ much”) origin.

The organic formation of comparative adjectives (**mo-o** with the con-fix) is saved in Taoian, but in Imerkhebian it is changed by the descriptive formation: **tsota**, **etami/etrami** “few“. In Taoian, Turkish - **abli** is found instead of few.

Generally, the means of forming degrees of comparison in Taoian and Imerkhebian is basically similar to their formation in other Georgian dialects. Difference is made in case of using foreign auxiliary words due to the close contact with Turkish linguistic world.

## ქართული სამეფოების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთთან (XVIII საუკუნის II ნახევარი)

რუსუდან კაშია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი, ისტორიის  
აკადემიური დოქტორი

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართულ სამეფოებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის რამდენადმე უკეთესი პირობები შეიქმნა.

საგარეო ვაჭრობამ თურქეთთან და ირანთან თანდათან მიიღო ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა სახე. თუმცა ვაჭრობა, საბაზრო კავშირები საქართველოსათვის პასიურ ხასიათს ატარებდა – გაჰქონდათ მეტწილად ნედლი პროდუქცია და შემოდოდა მზა საქონელი.

აღნიშნული პერიოდის ქართული ისტორიული დოკუმენტების გაცნობა ნათელყოფს, რომ საგარეო სავაჭრო მიმოსვლას ძირითადად XVIII საუკუნეში შექმნილი ახალი გაერთიანებების –სავაჭრო ამხანაგობების წევრები აწარმოებდნენ.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ქართული სავაჭრო ამხანაგობა კაპიტალის დაგროვების საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება. ამ ეტაპზე სავაჭრო ბრუნვა და საქმის წარმოება შემდეგნაირად ნაწილდება: ძირითადი თანხის, „თავის“ მფლობელი პირი საქმეში ფულს აბანდებს, იგი ადგილზე (თბილისი, გორი, ქუთაისი) იმყოფება, ხოლო უშუალოდ სავაჭრო ოპერაციას ატარებს წვრილი ვაჭარი, რომელსაც ამხანაგობაში გაცილებით ნაკლები (თითქმის ნახევარი) თანხა შეაქვს და თავისი შრომით ანაზღაურებს თანხის ნახევარს. ასეთ ვაჭრებს შ. მესხია „სავაჭრო აგენტებს“ უწოდებს (შ. მესხია, 1959, გვ. 139).

როგორც აღვნიშნეთ, ამხანაგობები, რომლებიც წამყვან ადგილს იკავებენ საგარეო ვაჭრობაში, აღნიშნულ პერიოდში, ძირითადად, ირანთან და თურქეთთან ვაჭრობენ. 1750 წელს ამოქმედდა ე. წ. „დარიალის გზა“, დაიწყო რუსეთთან მიმოსვლა ასტრახანში, მაკარიევოს ცნობილ ბაზრობაზე, მაგრამ XVIII საუკუნის II ნახევარში ქართულ დოკუმენტებში აღმოსავლური (ირანული, თურქული) საქონელი ჭარბობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან XVIII საუკუნის დასასრულამდე გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა (დ. კაციტაძე, 1973, გვ. 55).

ქართლ-კახეთის სამეფო აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკურად ირანთანაა გადაჯაჭვული. ამავე დროს თბილისელი და გორელი ვაჭრები ინტენსიურად ჩანან თურქეთის ბაზრებზე.

საქმიან ურთიერთშეთანხმებას ვხედავთ საბუთში, რომლის თანახმად იზმირელი ვაჭარი შეამხანაგებია ისაია თაყუაშვილს – გვარჯილის (თოფისწამლის) საწარმოს მფლობელს. დოკუმენტით ჩანს თურქი ვაჭრის მონაწილეობა ახტალის მადნების დამუშავებაში (ნ. ბერძენიშვილი, III, გვ. 89–90). სხვა საბუთით (1776 წ.) იმავე იზმირელი ვაჭრისაგან ისაია თაყუაშვილს „საერთო საქმისათვის“ უსესხებია 800 ყურუში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd – 13153).

უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XVIII ს. დასასრულს შედგენილი დავთარი, რომელშიც აღწერილია გორელი ვაჭრების – ჯულაბაშვილების რამდენიმე თაობის საქმიანობა. დავთრის მიხედვით, ჯულაბაშვილების სამოქმედო არე საკმაოდ ფართო ჩანს. ისინი ადებ-მიცემობას აწარმოებდნენ ირანში: ისპაჰანი, თავრიზი, გილანი, მაშათი (მეჰმედი), რეშთი; მთელს კავკასიაში: შემახა, დარუბანდი, ყიზლარი\* თურქეთში: სტამბოლი. რუსეთში: ასტრახანი. ჯულაბაშვილები სავაჭრო ოპერაციებს „ფსონებთან“ და „ამხანაგებთან“ ერთად ატარებენ. საყურადღებო მასალას შეიცავს ასევე ბაღდასარ და გოგია ჯულაბაშვილების საქმიანი-სავაჭრო წერილები ცნობილ თბილისელ საქმოსანთან მანუჩარ თუმანიშვილთან.

დავთრის მიხედვით ჩანს, რომ ჯულაბაშვილებს და მათ „ფსონებს“ შემახიასა და ხოიში შექმნილი აბრეშუმის და ჩითი გააქვთ ახალციხესა და სტამბოლში (დ. მეგრელაძე, 1963, გვ. 209).

ახალციხე თურქეთის იმპერიაში მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქის როლს ასრულებდა. „ახალციხურ ქრონიკებში“, განსაკუთრებით სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკაში აღწერილია სავაჭრო ქარავნების მოძრაობა, ვაჭრობა-ხელოსნობის საკითხები (შ. ლომსაძე, 1979, გვ. 206)

ვინაიდან თბილისელი ვაჭრები ძირითადად ახალციხისა და ყარსის გზით აწარმოებდნენ თურქეთთან ვაჭრობას, ბუნებრივია, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ იქაური სომეხი და ქართველი ვაჭრები, ხშირ შემთხვევაში ისინი საერთო კორპორაციებს – ამხანაგობებს ქმნიდნენ (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 105).

ისტორიული საბუთების გაცნობა-შესწავლამ საყურადღებო სურათი გვიჩვენა – თბილისელ ვაჭრებს თურქეთში ძირითადად ირანიდან და ირანის ქვეშევრდომობაში მყოფი ამიერკავკასიის ქალაქებიდან შემოტანილი საქონელი გააქვთ. ამ მხრივ, საინტერესოა 1794 წ. დაწერილი წერილი მანუჩარ თუმანიშვილისა მერაბ-აღასადმი – ეს ორი საქმოსნის მიმოწერაა, სადაც თავიანთი „სავაჭრო აგენტების“ საქმიანობას აცნობენ ერთმანეთს: „კაკალა რომ ამტრახანიდამ ამდგარა ბაქუს წასასვლელად. ამტრახანიდამ... ბუხარის ტყავი ჰქონია... იქ [ასტრახანს] ვერ გაუყიდნია, ისევ საჩქაროდ ამდგარა და წასულა სტამბოლს...“ – ვკითხულობთ საბუთში (დ. უჩანეიშვილი, 1967, 1113).

ანალოგიური შინაარსისაა დოკუმენტი, რომლითაც თბილისელმა „ამხანაგებმა“ გილანში შექმნილი დიდი რაოდენობით ნედლი აბრეშუმი თურქეთის ქალაქ იზმირში უნდა გაყიდონ (დ. კაციტაძე, 1973, გვ. 148).

მსგავსი ხასიათის მასალას გვაწვდის 1801 წლით დათარიღებული სავაჭრო გარიგება მელქოასა და ქარტაშიშვილ არუთინას შორის: „გარეთ აღებ - მიცემამი ერთხელ წაველ თავრიზს - წერს ვაჭარი მელქოა - რაც საქონელი მოვიტანე, არუთინამ თავის დუქნისათვის იყიდა. კიდევ წაველ ერევანს, ბანბები მოვიტანე“ - ვკითხულობთ საბუთში (ცენტრალური საისტორიო არქივი, 1450, 25-49).

ირანსა და თურქეთს შორის სასაქონლო დამაკავშირებელ რგოლში თბილისელი ვაჭრების როლს ადასტურებს საბაჟო სისტემა, სადაც ჩანს, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობა. ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ვაჭრობა ამ სისტემაზეა მორგებული. თვალი გადავავლოთ რამდენიმე საბაჟო დოკუმენტს: სომხით-საბარათიანოს და ყაიყულის ბაჟების ნუსხაში ჩანს, რომ ამ „გზაზე მიდიან სომეხი, ოსმალე, ერაყელი, ირანელი ვაჭრები“. გილანიდან იზმირამდე მიმავალ საბაჟო გზაზე მიუთითებს ისტორიული დოკუმენტი, რომლის თანახმად, გილანის ნედლი აბრეშუმი იზმირში თბილისელ „ამხანაგებს“ მიაქვთ (დ. კაციტაძე, 1973, გვ. 148).

ცხოველი მიმოსვლა ჩანს სავაჭრო-საქარავნო გზაზე, რომელიც განჯასა და არზრუმს აკავშირებს. ცხადია, ეს გზა ქართლ-კახეთის სამეფოზე გაივლიდა. 1736 წლით დათარიღებულ „ქალაქის ბაჟის, ციხის კარის შართლამამი“ ვკითხულობთ: „რაც მოქალაქემ განჯიდან აბრეშუმი მოიტანოს და არზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა და ცხენისა, თუ ჯორისა საპალნეხედ ორი მინალთუნი“ (ი. დოლიძე, 1965, =101).

ქართულ „სამხანაგო წიგნებში“ ჩანს თურქეთთან ინტენსიური, მყარი სავაჭრო კავშირ-ურთიერთობები. დასტურად შეიძლება არაერთი მაგალითის მოყვანა, მათ შორის თბილისელი ვაჭრის – ხადაკოანთ კარაპეტას ორი საბუთი. 1780 წლით დათარიღებული პირობის წიგნის თანახმად, კარაპეტამ უნდა აიღოს იოანე მდივანბეგის თანხა და სავაჭრო საქმეში გამოიყენოს; კარაპეტა წერს, რომ სხვა ქალაქში არ გაჩერდება, რადგან „ჩემი ბახთი [წილი. ხვედრი -სპ.] იზმირი და ბასრა (სირია) არის“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-3679).

1782 წლის საბუთის მიხედვით, კვლავ ბასრაში მიემგზავრება მისი ამხანაგის ავთანდილაშვილ ბეჟანას მიერ დაწყებული სავაჭრო საქმეების გასაგრძელებლად (დ. ფურცელაძე, 1882, გვ. 99). მოვიყვანთ ასევე 1795 წ. ისაია თაყუაშვილის წერილს თავის „სავაჭრო აგენტებთან“. საბუთის მიხედვით ჩანს, რომ მისი სავაჭრო კომპანიონები – არუთინა და ასლანა ძირითადად ქალაქ არზრუმში დადიან სავაჭროდ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd-732).

საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი „ქართველ კათოლიკეთ ვაჭრობა“. ავტორის ცნობით, XVIII საუკუნის ბოლოს ქართველ ვაჭრებს სტამბოლში თავისი სავაჭრო სახლი ჰქონდათ (ზ. ჭიჭინაძე, 1905, გვ. 114). ამ ცნობას, ვფიქრობთ, ამაგრებს და ავსებს „სამხანაგო სიგელების“ მონაცემები, სადაც იკითხება, რომ ქართველ (იგულისხმება ქართულ სამეფოების მოქალაქე სხვა ეროვნების ვაჭრებიც) ვაჭრებს სტამბოლში და ახალციხეში სავაჭრო დუქნები აქვთ (დ. უჩანეიშვილი, 1967, 1113; დ. მეგრელაძე, 1963; ქუთაისის ისტ. მუზეუმი, 11991, 2181).

დასავლეთ საქართველო აღნიშნულ პერიოდში კვლავ ოსმალეთთანაა დაკავშირებული. სოლომონ I-ის ენერგიულმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა, მართალია, მთლიანად ვერ მოსპო ტყვეთა სყიდვა, მაგრამ საგრძნობლად შეასუსტა. XVIII საუკუნის II ნახევარში თურქეთთან ვაჭრობამ თანდათან ფულად-სასაქონლო, საბაზრო ურთიერთობების სახე მიიღო.

XVIII საუკუნის მიწურულს ქუთაისში სავაჭრო-სამხანაგო კომერციულ საქმიანობაში თავნის მფლობელად გვევლინება აზნაური ნიკოლოზ ქორქაშვილი. მისი სავაჭრო პარტნიორები – ამხანაგები ძირითადად ახალციხესა და სტამბოლში ვაჭრობენ. მათი საქმიანი მიმოწერა საინტერესო ცნობებს იძლევა იმდროინდელი იმერეთის საგარეო სავაჭრო კონტაქტების შესახებ.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია „სამხანაგო წიგნი“ ნ. ქორქაშვილისა და გუარაშვილ პეტროზას შორის. „სარმია“ ანუ თავნი „ათას ხუთასი ყურუმი“ ქორქაშვილს ეკუთვნის, წვრილ ვაჭარს – „ხუთასი ყურუმი“ და საქონელიც (იმერული აბრეშუმი – თავთა) სავაჭროდ სტამბოლში მიაქვს (ქუთაისის ისტ. მუზეუმი – 11993).

ანალოგიური შინაარსისაა 1802 წელს დადებული „აფხანაკობა“ ჩიკვაშვილ ისხაკასა და ნიკოლოზს შორის. ამ უკანასკნელს ეკუთვნის სავაჭრო საქმეში დაბანდებული თანხის დიდი ნაწილი – „ცხრაას ორმოცი ყურუმი“. ვაჭრობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, მოგების ნახევართან ერთად, მასვე რჩება საქმეში შეტანილი თავნი. ისხაკა საქმეში დებს თანხის ნახევარს და სტამბოლში მიემგზავრება: „მოგება საზიაროდ და მთავნი შენი არის... რასაც მოიყვანს ღმერთი, სულყველა ორივესი არის“ – ვკითხულობთ საბუთში (ქუთაისის ისტ. მუზეუმი – 11621).

თანხის მფლობელ და უშუალო მოვაჭრე მის პარტნიორს შორის საქმის ასეთ განაწილებაზე მეტყველებს 1803 წლის საბუთი, „ამხანაგობაში“ შეტანილი თავნი – „ხუთასი ქესა“ (1 ქესა=30 თუმანს). ოსმალოს თეთრი ნ. ქორქაშვილს ეკუთვნის, ხოლო მასთან შეამხანაგებული ნალბანდიანი სტეფანა საქმეში აბანდებს „ერთ ქესა თეთრს“ და სტამბოლში სავაჭროდ ის მიდის (ქუთაისის ისტ. მუზეუმი – 11922).

ნ. ქორქაშვილს ახალციხეში მუდმივი სავაჭრო წარმომადგენელი ჰყავს, სახელად ანტონი. მისი მიმოწერა ქორქაშვილთან სავაჭრო ანგარიშებს შეიცავს. ერთ-ერთი საბუთით, ანტონს საქონელი ქუთაისიდან ჩააქვს თავის ამხანაგ ანდრეასთან, რომელსაც ახალციხეში ხულა (დექანი) აქვს და იქ ვაჭრობს (ქ. ი. მ. – 11991). მომდევნო წერილებში იგი ნიკოლოზს ატყობინებს, რომ ახალციხიდან სტამბოლს მიემგზავრება ფარჩის შესაძენად და სხვა ქუთაისელ ვაჭრებთან შესახვედრად, რომლებიც სტამბოლში ხულაზე ვაჭრობენ (ქ. ი. მ. – 111900, 2200, 2181).

სავაჭრო-ეკონომიკური საბუთების გაცნობის დროს უდაოდ ისმის კითხვა საქონლის რაობის შესახებ.

მოგზაურთა ცნობებსა და ქართულ ისტორიულ საბუთებში იკითხება თურქეთიდან შემოტანილი საქონლის ჩამონათვალი. ამავე დროს დოკუმენტებში ჩანს ქართული პროდუქცია, რომელსაც გასავალი აქვს თურქულ ბაზრებზე.

სათითაოდ არ შევუდგებით ყველა ცნობის ჩამოთვლას. შევეცადეთ, დაგვეჩვენებინა მონაცემები და წარმოგვედგინა იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში: განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოდიოდა ცხენის აღკაზმულობა, ხალიჩები, ფარჩის ქსოვილი, ტყავის ნაწარმი, რკინის ნაკეთობები, ევროპული საქონელი და ა. შ..

საყურადღებო მასალას ვპოულობთ რუს მოგზაურთა ცნობებში, რომლებიც მრავლად გამოჩნდნენ კავკასიაში და რომელთა მიზანს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრება წარმოადგენდა. პოლკოვნიკი მერლინი ჩამოთვლის იმ პროდუქციას, რაც ძირითადად ახალციხის გზით შემოდიოდა კავკასიაში. ესენია: მარილი, საპონი, ხალიჩები, საღებავები, ზეთი, თამბაქო, ცხენის აღკაზმულობა, ქსოვილებიდან განსაკუთრებით – ფარჩა და ა. შ. (საისტორიო არქივი, 16, I, საქ. 1604, გვ. 4-5).

თურქულ ბაზარზე დაინტერესება ჩანს არა მარტო კავკასიიდან შესულ ნედლეულზე, არამედ იმ პროდუქციაზე, რომელიც საქართველოში მოიპოვებოდა. XVIII საუკუნის ფრანგი სავაჭრო აგენტი – პეისონელი თავის ნაშრომში მიუთითებს: „ოსმალოს საქართველოს (იგულისხმება დასავლეთ საქართველო) მთავარი გასატანია აბრეშუმი და ცვილი“ (ს. კაკაბაძე, I, 1941, გვ. 116).

იმერეთში იწვედნენ აბრეშუმის განსაკუთრებულ სახეობას (იგი უფრო წვრილი და ნაზი იყო), რომელიც თავისი სახელითაა ცნობილი და მასზე მოთხოვნილება დიდი იყო როგორც აღმოსავლეთის ბაზრებზე, ასევე მოგვიანებით რუსეთში – ასტრახანსა და მაკარიევოს ბაზრებზე.

რუსი მოგზაური შაგუბატოვი ქართულ საქესპორტო საქონელს შორის ჩამოთვლის: აბრეშუმს, ბამბას, სელსა და სელის ძაფს, ტილოსა, ცვილს და საკვებ პროდუქტებს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – ROS-110, გვ. 7).

ახალციხის ბაზარზე დასავლეთ საქართველოდან იყიდებოდა ღვინო, არაყი, ხილი და სხვა საკვები პროდუქტი (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 482).

ამდენად, ქართული სამეფოების სავაჭრო კავშირი თურქეთთან XVIII საუკუნის II ნახევარში შესამჩნევად გააქტიურდა. საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ სარბიელზე წამყვანი ადგილი დაიკავეს ახალმა ეკონომიკურმა კორპორაციებმა – სავაჭრო ამხანაგობებმა.

### ლიტერატურა:

ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბ., 1953.

დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965.

კაკაბაძე ს., საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1941.

კაშია რ., სავაჭრო ამხანაგობები XVIII ს. საქართველოში, მაცნე, (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №2, 1990.

კაციტაძე დ., თურქეთ-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIII სს. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მაცნე (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია), №2, 1973.

ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

ლომსაძე შ., შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები) თბ., 1979.

მეგრელაძე დ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან (ჯულაბაშვილების დავთარი), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, ნ. 35, 1963.

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, 1983.

სამსონაძე მ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980.

უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკის ისტორიისათვის, თბ., 1967.

ჭიჭინაძე ზ., ქართველთ კათოლიკეთ ვაჭრობა, ტფ., 1905.

Пурцеладзе Д., Грузинские крестьянские грамоты, Тб., 1882.

## **TURKISH-GEORGIAN TRADE RELATIONSHIPS IN THE LATE HALF OF THE XVIII CENTURY**

**Rusudan Kashia, Akaki Tsereteli State University, Researcher, Academic Doctor of History  
RESUME**

„Books of Merchants Guilds” provide important information of the foreign trade relationships useful for the study of the XVIII century social and economic conditions in Georgia.

Georgian records show that there were significant differences in the possession of wealth between the association members. The well-to-do businessmen invest the principle, and the minor merchants carried trading operations. In the late half of the XVIII century the guilds seem to take leading positions in the foreign trade. Records of „the guilds” tell about the merchants of Tbilisi and Gori to have the active role in the trade relationships between Turkey and Iran. The member merchants import goods to Turkey from Iran and the Trans-Caucasian towns.

The guild of Kutaisi merchants has trade relations with Turkey. They have trading posts (khula) in Akhaltsikhe. The book of guilds gives lists of goods being imported from Turkey, as well as the lists of Georgian productions to meet the demands of the Turkish market.

The activities of the associations of the Georgian merchants show that the trade and monetary relationships of the Georgian kingdoms with Turkey became markedly active in the late half of the XVIII century.

## **პოლისემიური ლექსიკა ორჰან მემიშის „ქართულ-თურქულ“ და „თურქულ-ქართულ ლექსიკონში“**

**მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი**

ქართულ-თურქული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები საერთო გამოხატულებას პოულობს ენობრივ კონტაქტებში. ეს ურთიერთობები „არაერთ საუკუნეს ითვლის და ენობრივი სხვაობის მიუხედავად მეზობლად ხანგრძლივად ყოფნამ ლექსიკის სფეროში მაინც ბევრი საერთო გაგვიჩინა. ზოგი სიტყვა ისე გათავისებულა ჩვენს ენებში, რომ მისი წარმომავლობის დადგენას სპეციალური კვლევაც კი სჭირდება. მეოცე საუკუნის მიწურულს თავისთავად საინტერესო იქნება თვალის გადევნება იმაზეც, რა კვალი დააჩნია ბოლო ორი ასწლეულის შედარებითმა სიმორემ, რა აღმოჩნდა გამძლე და აქტიური, რა გადავიდა პასიურ ლექსიკონში და ა. შ.“ (ჯაგოდნიშვილი, 2012:4).

პირველი თურქულ-ქართული ლექსიკონი ვენერა ჯანგიძისა და სერგი ჯიქიას მიერ არის შედგენილი და გამოცემული 1972 წელს. ეს ლექსიკონი ხელახლა აღარ გამოცემულა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. ორჰან მემიშის „ქართულ-თურქული“ და „თურქულ-

ქართული ლექსიკონი“ სამჯერ გამოიცა: 1999, 2009 და 2012 წლებში. ეს ლექსიკონი ხელს უწყობს ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობის განვითარებასაც და გაღრმავებასაც. ლექსიკონის მომზადებისას ავტორმა ისარგებლა „სასკოლო ლექსიკონით“, „თურქული ენის დიალექტების შედარებითი ლექსიკონით“ და ვენერა ჯანგიძის მიერ შედგენილი „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონით“. „ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ ლექსიკონი საუკეთესოა. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამოვავსებთ სიცარიელეს და გარკვეულ წვლილს შევიტანთ ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების განვითარებაში“ - წერს ორჰან მემიში „ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში (მემიში, 2012:6).

ლექსიკონის შედგენა მძიმე, შრომატევადი და ხანგრძლივი საქმეა. განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენს თარგმნით ლექსიკონზე მუშაობა, სადაც უნდა წარმოჩნდეს ორი ენის თავისებურებები, კერძოდ: აქტიური ლექსიკა, მათი განმარტებები, სიტყვის გრამატიკული დახასიათება, სიტყვაწარმოება, სიტყვის მრავალმნიშვნელობა, ფრაზეოლოგიურობა და მათი გამოყენება კონტექსტისა თუ სიტუაციის მიხედვით. აქ გასათვალისწინებელია ბ. ფოჩხუას მოსაზრება: „მიუხედავად დიდი ლექსიკოგრაფიული ტრადიციისა, ორი, თითქმის ერთდროულად გამოსული ლექსიკონი (რომელთა რედაქციაშიც ერთი და იგივე პირები შედიან) სხვადასხვაგვარად აჯგუფებს შინაარსებს და სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს ამ შინაარსთა ურთიერთობას“ (ფოჩხუა, 1960: 101).

როგორც ცნობილია, „პოლისემიაში გულისხმობენ შესაძლებლობას -- ერთი, ისტორიულად და ფონეტიკურად იგივეობრივი, ოდენობის მემკვიდრით მიეთითოს რამდენსამე განსხვავებულ ობიექტზე“ (ფოჩხუა, 1960: 101). პოლისემია მნიშვნელობას უკავშირდება, სიტყვაში კი „იმდენი მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ, რამდენ ალსანიშნთანაც ავლენს იგი მიმართებას. მაგრამ ასეთი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს მართებული, თუ წინასწარ დაზუსტებული გვაქვს ალსანიშნის რაობა“ (იქვე).

ვ. აბევი აღნიშნავდა: „პოლისემია იმდენაირი სახის, ხარისხისა და გრადაციისაა, საზღვრები მათ შორის იმდენად სიფრთხანა და ძნელად შესამჩნევია, რომ თვითნებობასა და სუბიექტივიზმს გვერდს ვერ ავუქცევთ“ (აბევი, 1957: 34). თ. გამყრელიძე კიდევ უფრო აკონკრეტებს პოლისემიასთან დაკავშირებულ საკითხს. მისი აზრით, ლექსიკური მნიშვნელობის ცვლის, გარდაქმნის დროს ლექსემამ შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი ან ახალი შეიძინოს; მაშინ მისი ინტენსიონალი შეიცვლება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ერთი ვოკაბულის სხვადასხვა ლექსემა, რომელთა მნიშვნელობებს საერთო ნაწილი ექნება (თუმცა, ზოგჯერ მისი გამოყოფა გამძლეებულია) (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2003: 356).

სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობის წარმოჩენა თარგმნით ლექსიკონში განსაკუთრებით რთული და პრობლემურია. როგორ ახერხებს ორჰან მემიში პოლისემიური ლექსიკის წარმოდგენას ლექსიკონში ორი ენის - ქართულისა და თურქულის ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით?

თარგმნით ლექსიკონში ზმნური სალექსიკონო ერთეულის წარმოდგენას სჭირდება ქართული ენისათვის ნიშანდობლივი პრინციპების გათვალისწინება. ლექსიკონში ზმნის პირიანი ფორმების ნაცვლად წარმოდგენილია უპირო ფორმები (საწყისი, მიმდებარე). ვაჩვენოთ შესაბამის მაგალითზე (საილუსტრაციო მაგალითები მოტანილი გვაქვს ორჰან მემიშის „ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართული ლექსიკონიდან“. შესაბამისი მაგალითების დამოწმებისას ვუთითებთ მხოლოდ გვერდს):

აგება 1.kurmak, yermak, insa etmek; სახლის ev yapmak" 2. geçirmek, takmek; „ნემსზე ძაფის აგება-igne ye ip geçirmek“ (გვ. 1). ამ სალექსიკონო ერთეულის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა ემთხვევა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს. გასათვალისწინებელია გადატანითი მნიშვნელობა „წესის აგება“ (ქეგლ, I, 2008:179).

აგებულება 1. yepma, kurma; 2. konstrüksiyon, yapi; 3. düzen, rejim (გვ.1). შდრ. ქეგლ: „რისამე ნაწილების ურთიერთშეწყობა, სტრუქტურა, აღნაგობა (I, 2008: 180).

აკიდება 1.yük, yüklemek, "sirtina yük yüklemek"; 2. mec. yamamek;" ეს გაფუჭებული საათი ვინ აკიდა. bu bozuk saati saha kim yemadi? (გვ. 3). შდრ: „ტვირთის ზურგზე მოდება; ზურგზე აკიდება, კისრება, პასუხისმგებლობის აღება“ (ქეგლ, I, 2008: 314).

არევა 1. karistirmek, katmak (არევა (არევს), გადაქექვა (გადაქექავს, უწესრიგობას შეიტანს); 2.yairt edememek (ჩარევა)(გვ. 9). სიტყვის თარგმანი ემთხვევა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს: 1. აშლა, აწეწა, საქმეების არევა; 2. გადატ. აღელვება, შემფოთება, შეშლა (I, 2008, 628).

აწყვეტა 1.koparmak; 2. karmak, gotürmek (გვ. 14) შდრ. „აწყვეტა-აწყვეტს, აიწყვეტს ზმნათა მოქმედებისა“ (ქეგლ, I, 2008: 891).

გაგორება 1. Yuvarlamak, yuvarlanmak (დაგორება (კასრის); 2. mec. öldürmek (დამრგვალება მილისებურად) (გვ. 398). გაგორდება (გაგორდა, გაგორებული) 1. გააგორებენ, გორვით წავა; გორვას (გორაობას) დაიწყებს - გაკოტრილდება (ბორბალი, ბურთი); 2. ძირს დაეცემა, წაიქცევა, გადაგორდება; 3.

თავისუფლად წამოწვება, წამოგორდება, წამოკოტრიალდება (ქეგლ. II, 2010: 167). ვფიქრობთ, „გაგორება“ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა „mec. öldürmek (დამრგვალება მილისებურად)“ უნდა შეესაბამებოდეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასახელებულ მნიშვნელობას „თავისუფლად წამოწვება, წამოგორდება, წამოკოტრიალდება“.

გადაბიჯება 1.adım atmak; 2. atlayıp geçmek, üstünden geçmek (არაქვეითად გავლა, ჩათვლა) (გვ. 284). ქეგლ: 1. ნაბიჯის, ფეხის გადადგმა; 2. გადატ. გაცდენა, გადაცილება; 3. რაიმეზე გადაბოტება, გადასვლა-გადაბიჯება (ქეგლ. II, 2010: 210).

გაგნება (გზისა) 1.yön tayin etmek. Hedef saptamak; 2. Takip edilecek yolu kolayca bulmak (გვ.ქეგლ: გაკვლევა, პოვნა (გზისა, მიმართულებისა..), სწორი გზით წასვლა, ორიენტაციის გარკვევა (ქეგლ, II, 2010: 165).

დადგომა 1.durmak; 2. (bir yerde). Durmak 1) დგომა; 2) გაჩერება; 3) შეწყვეტა (გვ. 270).

თავმოჭრილი 1. bak. თავმოკვეთილი 2. mec. namusu kirletilmiş, rezil edilmiş (გვ. 72). შდრ. თავმოჭრილ-ი (თავმოჭრილისა) ვისაც ან რასაც თავი მოსჭრეს-თავმოკვეთილი//გადატ. შერცხვენილი, გაწილებული (ქეგლ, IV, 1955: 263 ).

დავიმოწმით საილუსტრაციო მაგალითები ორჰან მემიშის „თურქულ-ქართული ლექსიკონიდან“:

adamak 1.ფიცის მიცემა 2.შეპირება (გვ. 228).

ბობღვა 1.emeklemek (1. ხობვა, ცოცვა (ბევშვის; 2. რაიმე საქმის გაკეთება მცდელობა); 2. tirmanmak(ასვლა, აცოცება) (18, 274, 372). ქეგლ: ბობღვა - ოთხით სიარული, ფორთხვა//გადატ. ბაჯბაჯი (ქეგლ. I, 2008: 1037).

acımak 1. ტკივილი (თავის, ხელის) 2. შეცოდება, თანაგრძნობა 3. დანაწება (მა: ფულის) 4. დამძალება (მაგ. კარაქის) (გვ. 227).

akin 1) მოდენა, მოზღვავება; ნაკადი turist-ი ტურისტთა მოზღვავება , otomobil -მანქანების ნაკადი 2) თავდასხმა, თარეში (გვ. 230).

yalamak 1) ლოკვა, ტლეკა; 2) გადატ. ქლესაობა, მლიქვნელობა (მლიქვნელობს) (გვ. 387). ამ სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა უახლოვდება ქართულში დადასტურებული სიტყვას „ლაქუც-ი 1. ძაღლის თამაში ვინმესთან ან რამესთან კუდის ქიცინითა და ტანის რხევით. 2. გადატ. პირფერობა, მლიქვნელობა (ქეგლ, 1990: 596).

სახელების თარგმნისას გათვალისწინებულია ქართული და თურქული ენებისათვის დამახასიათებელი პროცესი - მნიშვნელობის გაფართოება ან დავიწროება, რომელიც სემანტიკურთან ერთად ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც ითვალისწინებს. ცნობილია, რომ გატანითი მნიშვნელობები ყოველთვის არ წარმოადგენს ენის ფაქტებს. ლექსიკონში სიტყვის ასეთი თუ ისეთი ხმარება დახასიათებულია, როგორც გადატანითი, ამით მითითებულია ამ სიტყვის ხმარების მხოლოდ შინაარსობრივ მეორეულობაზე, მაგრამ არაა გადაწყვეტილი საკითხი - საკუთრივ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე, თუ მხოლოდ ხმარებასთან -არარეგულარულ ან ინდივიდუალურ გამოყენებასთან ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე მისათითებლად (ფოჩხუა, 1960: 106).

ალქაჯი 1. cin, peri (ჯინი, ავი სული, დემონი); 2. mec, pek yermaz, kurmaz, seytan kiz(ეშმაკი, გაიძვერა) (გვ. 4). შდრ. ალქაჯი. 1. მავნე სული, ქაჯი (წარმოდგენილი ჰყავდათ თმაგაწეწილ არსებად); 2. გადატ. მეტად ცელქი, ეშმაკი გოგო; 3. ბოროტი, ავი (ქეგლ, I, 2008: 349).

ანაბანა 1. alfabe; 2.mec.çok kolay anlasiilin sey; 3. (mec) en basit, en sade (გვ. 7). ქეგლი: 1.იგივეა რაც ანბანი; 2. გადატ. ავანჩავანი, გასაგები; 3. ანბანის შესასწავლი წიგნი; 4. სრულიად უბრალო, მარტივი, ადვილად მისახვედრი რამ (ქეგლ, I, 2008: 533-534).

ბაიყუმი 1. zool, baykus; 2. mec. ürkek adam (გვ. 15). შდრ. ბაიყუმი: 1. დიდი ბუ,-ჭოტი, ბუკიოტი; 2. საუბ. უხეირო, უცხვირპირო; ვისაც სულ ცხვირ-პირი ჩამოსტირის// გაუგებარი საცოდავი გლახაკი (ქეგლ, I, 2008:944).

გული 1.anat. kalo; 2. Yürek; 3. iç, öz. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასახელებულია „გულ“ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა: 1. გულის კუნთი. 2. საერთოდ რაიმე საგნის (სხეულის, ორგანიზმის, სისტემის...) ყველაზე შიგნითა, შინაგანი ნაწილი. 4. ხის შიგნითა, შედარებით უფრო მაგარი ნაწილი, მეტწილად მუქად შეფერილი// მცენარის შიგნითა რბილი ნაწილი - გუგული. 5. ნაყოფის შიგნითა ნაწილი, ჩვეულებისამებრ - ქერქში ან ნაჭუჭში მოქცეული. 6. ნამცხვრის შიგთავსი (ყველი, ერბოში მოხალული ფქვილი...). პურის გული, პურის ნაწილი ქერქის ქვეშ. 7. რაიმეს ყველაზე ღრმა ან ცენტრალური ნაწილი. 8. გადატ. საერთოდ ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ადგილი, ცენტრი. გული ღვინო, წმინდა ღვინო, კარგი ღვინო (ქეგლ, I, 2008: 1609-1610).

და 1.ve ile მე და შენ ben ve sen; 2. Kiz kardeş, heşire, büyü kız kardeş: abla (გვ. 45). ამ სიტყვის მნიშვნელობა უახლოვდება ქართულ „და“ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობას. 1. ერთი დედ-მამის ქალიშვილი; 2. კავშირი (ქეგლ, 1990: 334).

კილო 1. . mat, kilo (kilogram); 2. müz. ton (ses tonu); 3. müs. melodi; 4. edeb. lehçe, ağız (გვ. 87). ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობაა დასახელებული ქართულში. ლინგვ. 1. საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში - კუთხური მეტყველება, დიალექტი. 2. ამა თუ იმ ენისათვის თუ კილოკავისათვის დამახასიათებელი თავისებური წარმოთქმა-აქცენტი. ინდივიდისათვის დამახასიათებელი გამოთქმა, ლაპარაკის მანერა. ესა თუ ის ემოციური ელფერი, იერი, ინტონაცია. კილოს უკიდებს, კილოს უწევს, კილოს დაუწევს. 3. კუთხ (ფშ.) იგივეა, რაც გუნება. 4. გრამატ. ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ წარმოუდგენიათ მოქმედება: ნამდვილად მომხდარად, სავალდებულოდ, საურველად, რაიმე პირობაზე დამოუკიდებლად. 5. ხმის მიმოქცევა (სიმღერაში), ჰანგი (სიმღერისა, სამუსიკო ნაწარმოებისა)// მოტივი (სიმღერისა). 6. კილოგრამი, წონის ერთეული (ქეგლ, IV, 1955: 263).

kaldarım -1 რიყის ქვა; ფიგურა (ჰადრაკის), შაში; ქვის - bina ქვის სახლი; -devri ქვის ხანა; - kesilmek გაქვავება, გაშეშება, გახევება (გვ. 365).

მჟავე 1. ekşi (მჟავე-yüz მოძმარული სახე); 2. turşu (მარინადში ჩადებული წიწაკა) (118). ekşimək 1) დამჟავება, დამძარება; 2. უკმაყოფილო სახის მიღება (გვ. 273). შდრ. მჟავე (მჟავისა) 1. სპეციფიკური მწვავე გემო, ჭმახი (როგორც აქვს, მაგ., ტყემალს, ძმარს, ლიმონს და სხვ.)// საუბ. გადატ. უსიამოვნების გამომწვევი, უშვერი, უხამსი(ქეგლ, V, 1958: 263).

acı I 1. 1) მწარე 2) გამკვივანი, მწივანა; 2. სიმწარე, მწარე გემო.II 1) ტკივილი; di geniş-si კბილის ტკივილი 2) ტანჯვა, სატანჯველი, დარდი, ვარამი, მწუხარება (გვ. 226). შდრ. მწარე (მწარისა) 1. სპეციფიკური არასასიამოვნო პირის დამწველი გემო (საპირისპ. ტკბილი). 2. გადატ. მეტისმეტად შემაწუხებელი მწარე ტკივილები. // რასაც მწუხარება, დარდი, უბედურება ახლავს. -სამწუხარო, დარდიანი, ნაღვლიანი. 3. გადატ. გესლიანი, ღვარძლიანი. 4. ცხარე გამმაგებული, მწარედ ზმნს. გადატ. მეტისმეტად შემაწუხებლად, მტკივნეულად//მწუხარედ, ნაღვლიანად, სასოწარკვეთილად (ქეგლ, V, 1958: 1218).

ağır 1. 1) მძიმე- bir yük მძიმე ტვირთი 2) ძნელი- ağır bir iş ძნელი სამუშაო მძიმედ; ნელა, აუჩქარებლად; - ნელ-ნელა, მძიმედ (გვ. 228). სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა შეესაბამება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასახელებულ მნიშვნელობას (ქეგლ, V, 1958: 1214).

ამრიგად, გაანალიზებული მასალა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ორჰან მემიშის „ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონში“ პოლისემიურ ლექსიკა წარმოდგენილია რეალურ კონტექსტთან მითითებით, ორივე ენის თავისებურების გათვალისწინებით ემთხვევა ძირითად და გადატანით მნიშვნელობას. აღნიშნული მასალა მნიშვნელოვანია, როგორც სასწავლო დანიშნულებისათვის, ისე საკვლევად ქართული და თურქული ენის ლექსიკოლოგიისათვის.

#### ლიტერატურა:

1. თ. გამყრელიძე, ზ. კვიციანი, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
2. ო. მემიში, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2012.
3. ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, თბ., 1960.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი, I, თბ., 2008.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი, II, თბ., 2010.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი, IV, თბ., 1955.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი, V, თბ., 1958.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1990.
9. თ. ჯაგოდნიშვილი, წინასიტყვაობა: ო. მემიში, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2012.
10. В Абаев, О, подаче омонимов в словаре, Вопросы языкознания, №3, — С. 1957.



**POLYSEMIC VOCABULARY IN ORHAN MEMISHI'S „GEORGIAN-TURKISH”  
AND „TURKISH-GEORGIAN DICTIONARY”**

**Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Professor  
RESUME**

„Georgian-Turkish” and „Turkish-Georgian” Dictionary compiled by Orhan Memishi reflects two nations' cultural relationship, which was expressed in the lingual contacts. Polysemic vocabulary represented here is interesting for the research as for Georgian as well for Turkish lexicology.

**თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები 1991-2014 წლებში  
განვითარების პერსპექტივები**

**ემზარ მაკარაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი**

XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს, მუსტაფა ქემალ ათათურქს, უთქვამს: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცესო.” ეს იდეა მაშინ ვერ განხორციელდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წლის 16 დეკემბერს სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

თურქეთი ზღვითაც და ხმელეთითაც საქართველოს უშუალო მეზობელია. თურქეთზე გადის გზები, რომლებიც საქართველოს აკავშირებს ევროპასთან. საქართველოთი კი თურქეთს უადვილდება ურთიერთობა კავკასიასთან, რუსეთთან და ცენტრალურ აზიასთან.

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. თანამედროვე ეტაპზე ორივე სახელმწიფოს მთავრობების პოლიტიკური კურსი ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროში ნაყოფიერი კავშირების მაქსიმალურ ზრდას. თურქეთის ყოფილმა პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა (1993–2000) აღნიშნა: „საქართველო არა მარტო მეზობელია, არამედ მეგობარიცაა.” ეს ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა და ნიშანსვეტია ქართველი და თურქი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში.

ორ ქვეყანას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები სათავეს იღებს 1992 წლის 21 მაისიდან, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტის დროს გაფორმდა რამდენიმე შეთანხმება.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საქმიანი ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო 1992 წლის 30 ივლისს, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება.“

ამ მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ხელმოწერას წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი სამუშაო. უპირველესად აღსანიშნავია სტამბოლში შავიზღვისპირეთის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თავყრილობაზე ე. შევარდნაძისა და ს. დემირელის შეხვედრები, აგრეთვე ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მსოფლიოს ამ ორ გამოჩენილ პოლიტიკოსს შორის გამართული საუბრები.

1992 წლის 30 ივლისს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ს. დემირელი, მას ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ჩეთინი, სახელმწიფო მინისტრი ჯ. ჩალღანი და თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატები.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერის ჩამოსვლა ნიშანსვეტი გახდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში. „გამარჯობა“ – პირველი სიტყვა, რომელიც ბატონმა დემირელმა ქართულად წარმოთქვა, როცა ფეხი დაადგა საქართველოს მიწას. „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი – მიმართა მან დამსწრეთ. მე ჩამოვედი, რათა განვიხილოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის გზები. საქართველო დემოკრატიის გზას ადგას, ეს ძნელი გზაა, მაგრამ არ უნდა მივეცეთ პესიმიზმს. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება გაქვთ. დარწმუნებული ვარ, თქვენ მას დაძლევეთ. ადგიქვამთ, რომ თურქეთი ყოველთვის თავისი მეზობლის გვერდით იქნება. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი

ზღვა, ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენი გზა, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გზაა.“

1992 წლის 28 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულმა მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე. ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 25 მარტს.

მყარი საფუძველი ჩაეყარა და ფართო გასაქანი მიეცა ვაჭრობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ენერგოსისტემის, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავება - გაფართოებას, დაიწყო სტუდენტების, მეცნიერების, დოქტორანტების, მოსწავლე-ახალგაზრდობის მივლინებები თურქეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად. სისტემატიური ხასიათი შეიძინა ხელოვნების ოსტატთა, აგრეთვე თვითმემოქმედებითი მხატვრული კოლექტივების გაცვლამ.

ხელშეკრულების მე-6 და მე-7 მუხლით, ორივე ქვეყანაში დამკვიდრებული ცხოვრების წესის უფრო სრულყოფილად გაცნობის მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ მათ მოქალაქეთა პირად კონტაქტებს, განავითარებენ უშუალო თანამშრომლობას, კულტურისა და ხელოვნების დარგში. ამ შეთანხმებების საფუძველზეც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო, რის შესახებაც თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პირველი საგანგებო და სრულყოფილებიანი ელჩი ნოდარ კომახიძე წერდა: „საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს. საქმე ეხება მჭიდრო, თანასწორუფლებიან, მზარდ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობით რეგიონის მნიშვნელოვანი ქვეყანაა და შეუძლია შეასრულოს ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“.

1996 წლის 4 აპრილს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სამხედრო პროგრამების განხორციელებაში და სხვა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის გრანტის პროგრამა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში და მისი მხარდაჭერა ევრო - ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვა.

საქართველოსთან ურთიერთობები პრეზიდენტი სულიმან დემირელის პერიოდში უფრო დაჩქარდა და გაღვივდა როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო ურთიერთობები.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. ამ სფეროში თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანისა და საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო - თბილისი - ერზურუმის გაზსადენის საკითხი. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყარსი - ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზიისა და ევროპის ბაზრებს.

„საქართველო თურქეთისათვის კავკასიისა და შუა აზიის კარია, თურქეთი კი საქართველოსათვის ევროპაში გასასვლელი“.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობაზე საინტერესოა პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის შეხედულება, ის დასძენს: „თურქეთი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება ძალიან ახლო და მჭიდრო თანამშრომლობა ყველა მიმართულებით.“

2014 წლის 20 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის თურქეთის რესპუბლიკაში რეჯეფ ტაიფ ერდოღანთან შეხვედრისას, თურქეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. თურქეთმა მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მთავრობის ინიციატივას ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე: „მხარს ვუჭერ საქართველოს ინიციატივას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით და ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს მიერ ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს“.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან წარმატებით ვითარდება საქართველო-თურქეთის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. 1992 წლიდან ფუნქციონირებს თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭო, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას. საქართველოში არაერთი თურქული ფირმა მოღვაწეობს (დაახლოებით ოთხ ასეულზე მეტი) და სხვა. უაღრესად დიდია სარფისა და ვალეს სასაზღვრო კარის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. ამ გზით თურქეთი დაკავშირებულია კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან.

თურქეთსა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო-სამეცნიერო კონტაქტების გაფართოების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1994 წელს ხელმოწერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება „საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საინტერესოდ ვითარდება ურთიერთობები განათლების სფეროში. მიმდინარეობს მეცნიერ - თანამშრომლებისა და სტუდენტთა გაცვლა. ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები, იმართება ერთობლივი კონფერენციები. საქართველოში გახსნილია თურქული სასწავლო დაწესებულებები და სხვა.

მნიშვნელოვანია კულტურული კავშირები. ყოველწლიურად თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ჩადიან ქართველ მომღერალთა ჯგუფები. კულტურულ პროგრამებს ახორციელებენ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლები. თავად თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. მათ შორის გამოირჩევა „იბერი“, 1987 წელს ქ. ბურსაში იბერია მელაშვილის (ოზკანი) ხელმძღვანელობით დაარსებული. საქართველოში ჩამოდიან ქართული კულტურის ქომაგი თურქი მოქალაქეები, მათთან ერთად ქართული წარმომშობის თურქებიც.

ბოლო წლებია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ინიციატივით საქართველოში ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები, მათ შორის თურქეთიდანაც და ტარდება კულტურული ღონისძიებები. საინტერესოა და ემოციურია მათი ზედწოდება „ჩვენებურები“, რომელიც კარგად დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში. თურქეთიდან სტუმრად ჩამოსული ქართველებიდან ყველაზე მეტად ქართულ საზოგადოებას თავი შეაყვარა ლაზური წარმომშობის თურქეთის მოქალაქემ ბაიარ შაჰინმა (გუნდარიძემ). მის „გელინოს“ (თურქ. Gelin - პატარძალი) დიდი სიყვარულითა და სითბოთი ისმენს ყველა ქართველი.

თურქეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 1,5 მილიონი ქართული წარმომშობის ადამიანი ცხოვრობს, ამათგან მხოლოდ 25 პროცენტი საუბრობს ქართულ ენაზე. თურქეთში მცხოვრები ქართველების ერთი ნაწილი თურქეთში მიგრაციის გზით არის გადმოსახლებული, ხოლო მეორე ნაწილი ოდითგანვე ცხოვრობდა იმ ტერიტორიაზე. ადგილობრივი ქართველები ძირითადად საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს მდებარე ართვინის, შავშეთის, ბორჩხის, არტანუჯის, არდაჰანის, ხოფის, არხავის და რიზეს რაიონებში ცხოვრობენ.

თურქეთში მცხოვრები ქართველები წარმატებით მოღვაწეობენ ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, პოლიტიკის სფეროში, შექმნილი აქვთ თავიანთი ასოციაციები და ისინი ცდილობენ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში შეიტანონ თავიანთი მოკრძალებული წვლილი. თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გახსნილია ქართული სათვისტომოები.

ქართველი წარმომშობის თურქეთის მოქალაქეებთან თანამშრომლობასა და კონტაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის საქმეში.

ს. დემირელმა ქართული დიასპორის არსებობას თურქეთში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების საიმედო ხიდი უწოდა. საქართველოს საპატიო მოქალაქის ორდენით დაჯილდოებულია თურქეთის არაერთი მოქალაქე.

კულტურულ - საგანმანათლებლო ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის ურთიერთობებში. საქართველოში უკვე დიდი ხანია წარმატებით მუშაობს თურქოლოგიური სკოლა. მას საფუძველი ჩაუყარეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა სერგი ჯიქიამ და ვალერიან გაბაშვილმა. მათი დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს ქართველმა თურქოლოგებმა: ოთარ გიგინეიშვილმა, მიხეილ სვანიძემ, ნოდარ შენგელიამ, ნოდარ ჯანაშიამ, ცისანა აბულაძემ, ლია ჩლაიძემ, გიორგი ანთელავამ, მარიკა ჯიქიამ, ირინა გოცირიძემ, ემზარ მაკარაძემ, ზაზა შაშიკაძემ, მირიან მახარაძემ, ელისო მაჩიტაძემ და სხვებმა.

მნიშვნელოვანია ქართულ-თურქული ურთიერთობების ამსახველი პერიოდული გამოცემების არსებობა, ასეთებია: „ახალი ხიდი“, „თურქეთის ცნობები“, „გულანი“, თურქეთში გამოდის ჟურნალი „ჩვენებური“ (Cveneburi), „ფიროსმანი“ (firosmani) და სხვა.

სტამბოლში არსებობს ქართული კათოლიკური ეკლესია, სადაც თავის დროზე მოღვაწეობდა უდიდესი ქართველი მეცნიერი მიხეილ თამარაშვილი. ამ ცენტრს ამჟამად სათავეში უდგას წარმომშობით ქართველი, წარმატებული ბიზნესმენი სიმონ ზაზაძე.

ქართულ-თურქული ურთიერთობების გაღრმავებისათვის ეწყობა ფორუმები, მიმდინარეობს ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა. ამის ნათელი მაგალითია, 2012 წლის 31 მაისს იუნუს ემრეს სახელობის თბილისის თურქული კულტურის ცენტრის გახსნა. იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის კულტურის ცენტრები დაარსებულია მსოფლიოს 30 ქვეყანაში და ეწევიან, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობას, ხელს უწყობენ სამეცნიერო კვლევებს. კულტურულ ცენტრებში მსურველს შეუძლია, შეისწავლოს თურქული ენა; იმართება

სხვადასხვა სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, ხელოვნების მოყვარულნი ხვდებიან ხელოვნებისა და კულტურის დარგში ცნობილ ადამიანებს.

აღნიშნულ პროგრამაში აქტიურად მონაწილეობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგი სტუდენტები. 1994 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თურქოლოგიის - თურქეთისმცოდნეობის და თურქული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები.

თურქული ენისა და ლიტერატურის, თურქეთის ისტორიის და თურქულ-ქართული კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობის შესწავლას საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიციები გააჩნია. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ამ საკითხის აქტუალობიდან, იქიდან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი უშუალო მეზობლის და დღევანდელი ერთ-ერთი უახლოესი სტრატეგიული პარტნიორის ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის შესწავლა.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა იყოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რეგიონში, რომელიც უშუალოდ მეზობლობს თურქეთის რესპუბლიკასთან.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სპეციალობის საგნები (თურქული ენა და ლიტერატურა, თურქეთის ისტორია, თურქეთის კულტურა, თურქეთის არქეოლოგია, თურქეთის ეთნოლოგია; თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები და სხვა), სავალდებულო დისციპლინებთან და არჩევით საგნებთან ერთად, თავის მთლიანობაში სრულად შეესაბამებინა მომავალი ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორანტების მომზადებისათვის საჭირო მოთხოვნების ერთიანობას.

თურქეთის გენერალური საკონსულოს და თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA) ხელშეწყობით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეშვიდე წელია ფუნქციონირებს თურქოლოგიის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური საშუალებებით, უახლოესი ლიტერატურით, ლექსიკონებით და სხვა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს თურქეთის წამყვან უნივერსიტეტებთან. ჩვენს უნივერსიტეტს მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს ართვინის, ყარსის, ერზურუმის, ტრაპიზონის, სამსუნის, სტამბულისა და რიზეს უნივერსიტეტებთან. გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა უნივერსიტეტებს შორის.

მინდა გამოვხატო მადლიერება თურქეთის ხელისუფლების მიმართ, რომ თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებს უფლება მისცა გახსნილიყო ქართველოლოგიის დეპარტამენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თურქ სტუდენტებს ისწავლონ მეგობარი და მეზობელი ერის ენა. ახლახან კი კიდევ ერთი სასიხარულო რამ მოხდა, უფლება მიეცათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არჩევით საგნად ჩაესვათ ქართული ენა. რითაც ასობით ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეს საშუალება მიეცემა საფუძვლიანად შეისწავლოს თურქულთან ერთად ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია და კულტურა.

საქართველოსა და თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებში ასობით თურქი და ქართველი მაგისტრანტი, დოქტორანტი და მაძიებელი სწავლობს. ამით, ორ ქვეყანას შორის იზრდება და ფართოვდება საგანმანათლებლო – სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობები, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენ ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

## **TURKISH-GEORGIAN RELATIONS IN 1991-2014 YY., DEVELOPMENT PROSPECTIVES**

**Emzar Makaradze, Batumi Shota Rustaveli State University, Professor**

### **RESUME**

Turkey is an immediate neighbor of Georgia both from the sea and the land. Not only we need Turkey, but this country also needs Georgia. On one hand, the roads, which connect Georgia with Europe, are located in Turkey. On the other hand, Georgia helps Turkey easier communicate with the Caucasus, Russia and the Central Asia.

Georgia and Turkey relationships have a long, sometimes dramatic history. On the modern period a mutual mistrust of these countries has been changed by mutual understanding. It is achieved through the political course of the both states, which provides for a maximum increase of fruitful relations in various fields. Turkey is not the same as before, it has been transformed, altered. Turkey has changed for Georgia too. The ex-president of Turkey Suleyman Demirel (1993-2000) declared: „, Georgia is not only our neighbor, but also our friend”. This is a truly historic event and an enlightenment in the history of the relationships between Georgian and Turkish people.

Turkey is the first country that recognized the independence of Georgia in December 16,1991 after declaring Georgia independent itself in April 9, 1991.

The diplomatic relationships between the two countries have dated since May 21, 1992, when the Minister of Foreign Affairs of Turkey Hikmet Chetin signed several agreements during his visit in Tbilisi.

A new stage in business relationships between Georgia and Turkey began in July 30, 1992, when the two countries signed „Good Neighborhood and Cooperation Agreement”.

## ქართული დიპლომატია XVI საუკუნის 10-იან წლებში

ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

აღმოსავლელი მეზობლების მიმართ ოსმალეთის სულ უფრო მზარდი აგრესიის შესაჩერებლად, XVI ს. 10-იან წლების დასაწყისში, დღის წესრიგში დგება საქართველოს და ყიზილბაშური ირანის სამხედრო კავშირის შეკვრა ეგვიპტესთან ოსმალეთის წინააღმდეგ, საერთო ფრონტით გამოსასვლელად. ამ მიზნით სათანადო ნაბიჯებიც გადაიდგა, რისი მაჩვენებელიცაა 1511 და 1512 წლებში ქართველი ელჩების ჩასვლა ეგვიპტის სატახტო ქალაქ კაიროში. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის ქართული სიწმინდეების დაცვისათვის ეგვიპტის სულთანთან და იერუსალიმის მუსლიმ ხელისუფლებასთან ურთიერთობა, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებელი იყო, რაც კარგ ნიადაგს ქმნიდა საქართველო-ეგვიპტეს შორის პოზიტიური დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელებისათვის, რასაც ვერ ვიტყვით ირან-ოსმალეთის ურთიერთობაზე.

არაბული წყაროს მიხედვით, 1512 წელს სეფიანთა კარზე ერთად იმყოფებოდნენ ქართველი მეფის და ირანის შაჰის ელჩები. არაბული წყაროს ქართულად მთარგმნელი და კომენტატორის დ. გოჩოლეიშვილის მიხედვით, „სათანადო კონტექსტიდან ჩანს, რომ „საქართველოს მეფის“ ელჩი მივლინებული იყო სეფიანთა ირანის შაჰთან, იქიდან კი, შაჰის ელჩთან ერთად მამლუქ სულტანს წარუდგა“<sup>1</sup>. მკვლევარის ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს და ამის გაკეთებას ქვემოთ შევეცდები, როდესაც გავეცნობით იტალიელ თანამედროვეთა ცნობებს, ნათელი გახდება, რომ საქართველო-ირანის ელჩების ეგვიპტეში ჩასვლა წინასწარ იყო დაგეგმილი და საქართველო-ირანის ხელისუფლებათა მიერ ერთმანეთთან შეთანხმებული.

ეგვიპტის სულთანმა, ალ აშრაფ კანსუკ ალ-ღურიმ (1511-1517), მუჰთასიბს აზ-ზაინ ბარაქათ იბნ მუსას დაავალა შეხვედროდა ირანისა და საქართველოს ელჩებს და მათთან დაეყო გარკვეული დრო<sup>2</sup>. ორი ქვეყნის ელჩების ერთდროულად კაიროში ჩასვლასთან დაკავშირებით გ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ისინი თავიდანვე ერთად კი არ მიდიოდნენ მამლუქთა სატახტოში, არამედ გზად „შეხვედნენ ერთმანეთს“<sup>3</sup>. ვიმეორებ, უფრო სავარაუდოა, მათი ერთდროულად და ერთობლივად ჩასვლა კაიროში თავიდანვე განზრახული და დაგეგმილი იყო ქართველ და ყიზილბაშ ხელისუფალთა მიერ. ამის თქმის საფუძველს იძლევა დასახელებული სამი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის დასასრული 1514 წელს, რაზეც შემდგომში ითქმევა. ვფიქრობ, სწორი იყო დ. გოჩოლეიშვილი, როდესაც ირანელი და ქართველი ელჩების კაიროში ერთდროულად ჩასვლაზე წერდა: „ამ ცნობით კონკრეტულად ფიქსირდება და დასტურდება გარკვეული კავშირი საქართველოს, სეფიანთა ირანის და მამლუქთა ეგვიპტეს შორის“<sup>4</sup>. გ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს<sup>5</sup>. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ვენეციელი

<sup>1</sup> გოჩოლეიშვილი დ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. I მეთხედვში // ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, ქუთაისი, 2003, გვ. 51.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის) // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბ., 2011, გვ. 94-96.

<sup>4</sup> გოჩოლეიშვილი დ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. I მეთხედვში // ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, ქუთაისი, 2003, გვ. 52.

<sup>5</sup> ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), გვ. 95.

დიპლომატების ჯოჯანი მარია ანჯოლელოს და კატერინო ძენოს ცნობებს 1514 წელს მომხდარ ერთსა და იმავე ფაქტზე, თუ რით დასრულდა საქართველო-ირან-ეგვიპტის ანტიოსმალური სამთა კავშირის შექმნის დიპლომატიური მოლაპარაკებები, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1511 და 1512 წლების ქართველი და ირანელი ელჩების ვიზიტები მაჩვენებელია ერთობლივი დიპლომატიური აქტივობის შესახებ ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად.

სულთანმა ალ აშრაფ კანსუკ ალ-ღურიმ ყიზილბაში და ქართველი ელჩები ცალ-ცალკე მიიღო, ჯერ ყიზილბაში, შემდეგ ქართველი.

„შემდეგ, მეორე დღეს, წარუდგა ქართველთა მეფის ელჩი სულტინსათვის განკუთვნილი დიდებული ძღვენით. მათ შორის (იყო) სიასამური, ფოცხვერი, ციყვები, შალის ქსოვილები და უამრავი სხვა ნივთები... სულტანმა მიიწვია საქართველოს მეფის ელჩი და უმასპინძლა მას ბაჰრაში, რომელიც მდებარეობდა მაიდანში, დაასაჩუქრა ის და ნება დართო გამგზავრებულიყო (თავის ქვეყანაში)“<sup>1</sup>. სავარაუდოა, რომ ქართველი ელჩი კაიროში იმყოფებოდა 1512 წლის აპრილის ბოლოდან მისამდე<sup>2</sup>, ელჩის სამშობლოში გამგზავრების კონკრეტული თარიღი არ ჩანს.

ჩალდირანის ველზე ოსმალებთან გაცდილი მარცხის შემდეგ (25.08. 1514), „თავრიზში დაბრუნებულმა შაჰმა გადაწყვიტა ელჩები გაეგზავნა კაიროში, ალიდოლატთან<sup>3</sup> და იბერებთან. ეს მოხდა ოქტომბერში. ყველა ისინი, რომლებიც უკვე [ეგვიპტის] სულთანთან გაგზავნეს, დეკემბერში მივიდნენ და მოახსენეს თავიანთი ელჩობის [მიზნის] შესახებ. [ეგვიპტის] სულთანმა უპასუხა მათ, რომ მისთვის სასიამოვნოა დაეხმაროს შაჰს და შეუთანხმდეს მას სულტინის წინააღმდეგ, შეეწიოს ჯარით და თავისი ბედი დაუკავშიროს იმისას, არასოდეს არ წავიდეს [შაჰის] წინააღმდეგ. ყოველივე ამასთან ერთად შაჰს სურდა, რომ თუ სულტანი გაუგზავნიდა ელჩს [ეგვიპტის სულტანს] არ უნდა მიეღო არც საჯაროდ და არც საიდუმლოდ და არ უნდა მოესმინა მისთვის. [წინააღმდეგ შემთხვევაში] გაწყდებოდა მათ შორის კავშირი. ამგვარად, შეიკრა ლიგა [ეგვიპტის] სულტანსა და შაჰს შორის. სხვა ელჩებმა, რომლებიც იმავე მითითებით წავიდნენ ალიდოლატთან, ჩამოიტანეს ისეთივე შეთანხმება. ასევე მიაღწიეს [შეთანხმებას] იბერებთან, რომლებმაც დამატებით იკისრეს იმდენი ჯარის მიცემა, რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა, ყოველთვის, როცა კი შაჰი მოისურვებს [სულტან] სელიმის წინააღმდეგ გალაშქრებას“<sup>4</sup>.

დასახელებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის დიპლომატიური ურთიერთობას იმავე პერიოდში და იმავე მიზნისათვის, განსხვავებული შინაარსითა და უკეთესად გასაგებად, გადმოცემული აქვს მეორე ვენეციელ დიპლომატს – კატერინო ძენოს: „ამგვარად [ისმაილმა] მისწერა წერილები და ელჩებიც გაუგზავნა [ეგვიპტის] სულტანს, ალადულის და სამცხის ათაბაგს. [ისმაილი] განუმარტავდა მათ იმ დიდი საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრებოდათ, თუ [ისმაილთან] ერთად არ აიღებდნენ ხელში იარაღს სელიმის წინააღმდეგ, რადგან თუ იგი დაასუსტებდა სპარსეთს, მაშინ მათი სახელმწიფოებიც მტრის ნადავლი გახდებოდა. რადგან ეს მბრძანებლები შეპყრობილნი იყვნენ სელიმის მიერ სეფიანებზე მოპოვებული გამარჯვების შიშით, ამიტომ სიამოვნებით მოუსმინეს ელჩებს. შეიკრა კავშირი, რომელშიც შევიდნენ ისმაილი, სამცხის ათაბაგი, [ეგვიპტის] სულტანი და ალადულის მბრძანებელი. ისინი შეთანხმდნენ, რომ როცა საჭირო იქნებოდა, დახმარებოდნენ ერთმანეთს სულტნის წინააღმდეგ, იმ გარკვეული პირობით, რომ ისინი არ მიიღებდნენ სულტნის რომელიმე ელჩს. მაგრამ ეს პირობა არ დაიცვა [ეგვიპტის] სულტანმა. [ხელშეკრულების დადებიდან] ცოტა ხნის შემდეგ, როცა სულთანმა ელჩი გაუგზავნა მას, მან მიიღო [ელჩი] და კოალიციის საწინააღმდეგო კაპიტულაციის მოთხოვნაზე მოუსმინა. ამის გამო შემდეგში თვითონაც დაიღუპა და მამლუქების სიძლიერეც დასცა“<sup>5</sup>.

ევროპის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა, ან უთანაგრძნობდა კოალიციას. საფრანგეთი თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებაზე. ოსმალეთი ევროპის ამ უმსხვილეს სახელმწიფოს თავის მოკავშირედ ვარაუდობდა. მართლაც, იმავე საუკუნის 20-იან წლებში მათ შორის მოკავშირეობა ოფიციალურად გაფორმდა. ასეთ ვითარებაში, ეგვიპტელ მამლუქთა მორჩილებაში მყოფ იერუსალიმში ანტიფრანგული განწყობილების გაღვივება და ამ განწყობილების გარკვეული მიზნით გამოყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ასეთი ვითარება შეიძლებოდა მოხერხებულად გამოეყენებინათ ქართველ სასულიერო პირებს თავიანთი კონკურენტი ფრანცისკანელების წინააღმდეგ

<sup>1</sup> გოჩოლიძევილი დ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. I მეოთხედში, გვ. 51.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>3</sup> შეიძლება იგულისხმება მარაშის გამგებელი ალაადულ-ზულყადრი

II. / „...“, 1976, . 164.

<sup>4</sup> XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდერ მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 81-82.

<sup>5</sup> იქვე, 42-43.

იტალიელი მოგზაურ-დიპლომატების თხზულებებიდან ვრცელი ციტატები იმისათვის მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა – ინტენსიური მოლაპარაკებების მიუხედავად, მხოლოდ ოსმალების მიერ ყიზილბაშების დამარცხების შემდეგ მოხერხდა უდღეური სამთა კავშირის შექმნა და მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მონაწილე, გარკვეულ ეტაპზე, იყო ბენა ჩოლოყაშვილი<sup>1</sup>.

\*\*\*

საქართველოს საგარეო ურთიერთობის და დიპლომატიის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კახეთის მეფე გიორგის (ავგიორგი, 1511-1513) დავალებით, XVI საუკუნის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწის, სახლთუხუცეს ბენა ჩოლოყაშვილის მოგზაურობა ეგვიპტესა და წმინდა მიწაზე. ზემოთ უკვე აღინიშნა საქართველო – ეგვიპტის ურთიერთსასარგებლო კავშირის შესახებ, რომელიც სათავეს იღებდა თამარ მეფის დროიდან და ინტენსიურად ვითარდებოდა მამლუქთა ეგვიპტის სასულთნოს დასასრულამდე. ამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთი უკანასკნელი ეპიზოდი იყო ბენა ჩოლოყაშვილის ელჩობა ეგვიპტეში. ისევე, როგორც წინა პერიოდებში, ამჯერადაც საქართველოს ეგვიპტესთან დიპლომატიური კონტაქტის მთავარი მიზანი იყო სულთნების მხარდაჭერის მოპოვება ქართული ეკლესია-მონასტრების და იქ მოღვაწე ბერმონაზვნების ინტერესების დასაცავად, როგორც მუსლიმი მოხელეების, ისე სხვა ქრისტიანული კონფესიების ხელყოფისაგან. ყველა ქართველი მეფე, მიუხედავად იმისა მართლმადიდებელი იქნებოდა თუ ფორმალურად მუსლიმანი, თავის მოვალეობად თვლიდა ყოფილიყო დამცველი იერუსალიმში არსებული ქართული სიწმინდეებისა და, ზოგადად, ქრისტიანული სიწმინდეებისა, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XVII-XVIII საუკუნეებში. ყოველივე ამის თქმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ ავგიორგის ზნეობის პიროვნებაც კი ცდილობდა დახმარება გაეწია ქართული სიწმინდეებისათვის იერუსალიმში. ეგვიპტის სულთნებიც, ქართველ მეფეებთან კარგი ურთიერთობის სანაცვლოდ, ორ უმთავრეს პირობას აყენებდნენ: ქართველ მეფეთა სამფლობელოებში დაცულნი ყოფილიყვნენ მუსლიმანები და ვაჭრები. ზოგჯერ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს იხილებოდა საკითხი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, საერთო მტრად კი იგულისხმებოდა ოსმალეთი.

XVI ს. დასაწყისში, მამლუქთა სახელმწიფოს კატასტროფის წინ, მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც იბერთა მეფემ, ირანის შაჰმა და ეგვიპტის სულთანმა მიზანშეწონილად ჩათვალეს გაეფორმებინათ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ოსმალეთის აგრესიის შესაკავებლად.

ბენა ჩოლოყაშვილის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე მწირი ცნობა გაგვაჩნია<sup>2</sup>. ქართული წყაროს ცნობით, ბენა იერუსალიმში ჩავიდა 1512 წელს: „ღო აცხოვნე მეფეთა მეფე გიორგი... და მაცხოვნე მე ცოდვილი ირუბახისძე ჩოლოყაშვილი ბენა. აჟა იერუსალიმს მოვიწიე ქვ“ს :ს.“<sup>3</sup>. საგულისხმოა, რომ ბენა იერუსალიმში ჯვარისმამად იყო გაგზავნილი<sup>4</sup>, და იღვწოდა ამ მონასტერში ქართული ხელნაწერი წიგნების გამრავლებისათვის<sup>5</sup>. ცნობილია მის მიერ შეკაზმულ-რესტავრირებული რამდენიმე წიგნი<sup>6</sup>. საფიქრებელია, ის, ზოგიერთი ჯვარისმამის მსგავსად, დიპლომატიურ საქმიანობაშიც იყო გაწაფული, რაც გამოსჭვივის სულთნის მიერ მისთვის მიცემული ფირმანიდან. ფირმანის შინაარსი ნათელს ხდის,

<sup>1</sup> პროფ. გოჩა ჯაფარიძემ საყვედური გამოსთქვა, რომ ჩემს გამოკვლევაში ბენას შესახებ ვრცლად არ გადმოვეცი საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის და ევროპელი ქრისტიანების ეგვიპტეში დევნის საკითხები. იხ. *მამისთვალისძევილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, 123-125*. გ. ჯაფარიძემ ეს მართლაც საინტერესო საკითხები და, საერთოდ, ბენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა დღეისათვის ცნობილი წყაროების საფუძველზე ამომწურავად შეისწავლა. იხ. *ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), გვ. 53-138*.

<sup>2</sup> *IV, ... , 1888, ... 167-168. ... , I, 3, ... , 1894. ... 40; მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა /დასაბუჯდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 86; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, I, ტფ., 1892, გვ. 361; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 112-113; შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები, XV-XVIII სს., მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 24.*

<sup>3</sup> *მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, გვ. 36-37; ქრონიკები, I, გვ. 361.*

<sup>4</sup> *... , 1888, c. 166*

<sup>5</sup> *მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 113.*

<sup>6</sup> *შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 241-242.*

რომ ბენას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა სულთნისაგან იმ დოკუმენტის მოსაპოვებლად, რომელშიც მოცემული იყო ბრძანება იერუსალიმის ნაცვლისადმი, რათა მას ეზრუნა და მფარველობა გაეწია ჯვრის მონასტრის ბერებისათვის. იმავე დროს სულთანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმასა და ქართველ მეფეს შორის „არის სიყვარული და მიმოწერა, რომ ქართველი მეფის ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმები სარგებლობენ უაღრესი პატივისცემით; ამის გამო ჩვენც პატივს მივაგებთ ქართველებს. ისე, რომ ხსენებული მონასტერი, მისი სამონასტრო ქონება, ზვრები და რაც მას ეკუთვნის, უაღრესად დაცულია და იმყოფება ჩემი მფარველობის ქვეშ“<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ბენამ მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება მოიპოვა ჯვრის მონასტრის, მისი მამულებისა და ძმობის დასაცავად. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ჯვარის მამა ბენა ჩოლოყაშვილი თავის ამ წარმატებით კი არ ამაყოფს და მასზე კი არ გვაწვდის ცნობებს, არამედ იმით, რომ მან წარმატება მოიპოვა სომხებთან და ფრანცისკანელებთან დაპირისპირებაში. მათ მიტაცებული ჰქონდათ ქართველების წმინდა ადგილები, რომელთა განთავისუფლებისა და ქართველთათვის დაბრუნების შესახებ ზემოთ ციტირებულ ფირმანში არაფერია. სავარაუდოა, რადგან სულთნის მიერ ბენასათვის ნაბოძებ სიგელში კონკრეტულთან ერთად ზოგადად იერუსალიმში ქართველთა ინტერესების დაცვაზე იყო აღნიშნული, ეს გახდა იმის საფუძველი, რომ წმინდა ქალაქის ყადს ხელი არ შეეშალა მისთვის იმათ წინააღმდეგ მოქმედებაში, ვინც ქართველთა წმინდა ადგილები მითვისეს. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ სომხებისა და ფრანცისკანელების საწინააღმდეგო ფირმანი ცალკე იქნა გაცემული.

ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში ბენა გვამცნობს: „ჯვარის მამად (საქართველოდამ) მოვლინებულსა ჩოლოყაშვილსა სახლ-ხუცესსა ბენა შს ღწ. მე და სომეხი დავისარჩლენით იაკობ-წმიდის საყდარსა ზედა, დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა და კდ ნებითა ღთისათა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყველა რაც იყო – კანდელი და სხვა – გარეთ გამოუყარე“<sup>2</sup>.

ბენა ჩოლოყაშვილის აღნიშნულ მოქმედების დრო აღნიშნულია რამდენიმე თარიღით – 1510, 1511 და 1512 წლები. 1510 წელს ქართველების მიერ ფრანცისკანელების გოლგოთიდან გაძევებას, ბენა ჩოლოყაშვილის მოხსენიების გარეშე, გადმოგვცემს ფრანცისკანელი ფრანცისკო სურიანო: „1510 წელს ქართველებმა ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ ჩვენი მორწმუნენი (ფრანცისკანელები – ე. მ.) კაიროს ციხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ჩვენ წაგვართვეს ჯვარცმის ეკლესია (კაპელა), დაამსხვრიეს საკურთხეველი და ლამპები და იერუსალიმში დარჩენილ იმ მცირე მორწმუნეთაც არ აკარებდნენ ახლოს. მაგრამ 4 წლის შემდეგ, 1514 წელს (ეკლესია) გამოისყიდა სიონის მთის დამცველმა ფრანცისკო სურიანომ, როგორც თვითონ ლაპარაკობს ამაზე“<sup>3</sup>. ის, რაც ფრანცისკო სურიანოს სულთნის სამფლობელოებში გადახდა ნათელი მაგალითია იმ უბედურებისა, რომელიც ფრანგებსა და დასავლეთის სხვა ქრისტიანებს ეგვიპტეში გატარებული რეპრესიების შედეგად თავს დაატყდათ და როგორ ისარგებლეს ამ ვითარებით ქართველმა დიპლომატებმა დაკარგული სიწმინდეების დასაბრუნებლად<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), გვ. 101-102

<sup>2</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, გვ. 361; . . . , 1894, c. 49.

<sup>3</sup> Suriano Franc., *Il trattato di Terra Sancta, Milano, 1900, 34, nota 1216.*

ზემოთ დასახელებული გამოცემის გარდა, ფრანცისკო სურიანოს თხზულება გამოქვეყნდა 1524 წელს: *Il trattato di Terra Santa e dell'Oriente.*

<sup>4</sup> ფრანცისკო სურიანო დაიბადა 1450 წელს ვენეციაში დიდებულ ვაჭართა ოჯახში. 12 წლისამ დაიწყო თავისი ბიძის სავაჭრო გემით მოგზაურობა ხნელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. როცა 25 წლის შესრულდა გახდა ფრანცისკანელთა ორდენის წევრი უმბრიაში. იცოდა არაბული ენა. ფრანცისკო 1481-1484 წლებში იმყოფებოდა ბეირუთსა და იერუსალიმში, სადაც სამი წელი გაატარა და ცხოვრობდა მინორიტების სიონის ტაძარში. ბეირუთში ყოფნის დროს ის დაეხმარა ქრისტიან მონებს სამშობლოში დაბრუნებაში. 1493 წელს ის კვლავ პალესტინაშია. ფრანცისკო თავის ტრაქტატში აღწერს ფრანცისკანელების განსაკუთრებით მძიმე ცხოვრების პერიოდს წმ. მიწაზე. მისი მთავარი ამოცანა იყო ბერების დაცვა ეგვიპტის მამლუქთა ხელისუფლებისგან. ის ამას ახერხებდა გარკვეული დროის განმავლობაში თავისი კარგი ურთიერთობით სულთან ალ-აშრაფ საიფ ად-დინ კაიტბესთან (1468-1496) და გარკვეულ მიზანსაც აღწევდა. 1505 წლიდან იმყოფებოდა ეგვიპტეში. ეს მშვიდობიანი პერიოდი დასრულდა 1510 წელს, როდესაც როდოსელი რაინდების მცირე ფლოტმა მნიშვნელოვანი მარცხი მიაყენა ეგვიპტისა და თურქების ფლოტს იაფოს ნავსადგურში. სულთანმა ალ-აშრაფ კანსუ ალ-გაურიმ (1501-1517) თავის სამფლობელოებში მყოფი ყველა ფრანცისკანელი და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ვაჭრები დააპატიმრა, მათი საქონლის, გემებისა და მონასტრების კონფისკაცია მოახდინა. დაპატიმრებულთა შორის იყო ფრანცისკო სურიანო, რომელმაც ორი წელი (1510-1512) კაიროს ციხეში გაატარა.



იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის უცხოენოვან ხელნაწერებში საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა თინათინ ცერამემ აღმოაჩინა „ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომელიც დაცულია წმ. საბას მონასტრის კუთვნილ ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის №360 ნუსხაში (ამჟამად წმ. საბას მონასტრის ხელნაწერები, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთან ერთად, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში არის თავმოყრილი). ბენას ანდერძი წარმოდგენილია ხელნაწერის საცავი ფურცლის ვ-ზე და თარიღდება 1511 წლით. ანდერძში ხაზგასმულია ბენას მიერ გოლგოთის „დახსნის“ ფაქტი“<sup>1</sup>.

ერთსა და იმავე (1511) წელს ბენა საქართველოში რომ იმყოფებოდა დგინდება მის მიერ დაწერილი მცხეთის სიგელით („დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა, ქვ“ს- რჟთ: კელითა ირუბაქისძისა სახლისუხუცესისა ბენასით“<sup>2</sup>). თუ გავიზიარებთ მისი ანდერძის თარიღს (1511 წ.), მაშინ გამოდის, რომ ბენამ ეგვიპტე-პალესტინაში იმავე წელს იმოგზაურა და ჯვარცმის ეკლესია მაშინ ჩამოართვა ფრანცისკანელებს. მაგრამ გვაქვს არაბულენოვანი წყაროები, რომლებიც ბენა ჩოლოყაშვილის ეგვიპტეში დიპლომატიური მისიით და პალესტინაში ჯვრის მონასტერსა და გოლგოთაზე მოგზაურობას გადმოგვცემენ<sup>3</sup>.

საყურადღებოა ისიც, რომ იტალიური წყაროს მიხედვით, 1514 წელს ფრანცისკანელებმა რაღაც საშუალებით გამოისყიდეს ჯვარცმის ეკლესია. ეს ცნობაც დასტურდება ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ჯვრის მონასტრის ერთი აღაპით, რომელშიც ნათქვამია, იმავე 1514 წელს, ზოსიმე კუმურდოელის მიერ გოლგოთის გამოსყიდვაზე: „მოვიდა ნუასძე ზოსიმე კუმურდოელი. მოიტანა საქონელი მისცა და პატრონისა მისისა ქეთანყოფილისა ქრისტინესი და გულქანისი. მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთა წაგუართულჳს და მან დაიხსნა: ოთხასი ფლური გამოიღო. დიდი საქმე ქნა. და ერთი კანდელი გოლგოთას და ერთი ჯუარს დაუკიდეთ სამუდამო“<sup>4</sup>.

გოლგოთისათვის ბრძოლის წარმატებით დასრულება სიმბოლურად გოლგოთას ტამარში ზოსიმესათვის კანდელის დაკიდებაში გამოიხატა. ასევე საყურადღებოა იმავე 1514 წელს იმავე ტამარში იმერეთის მეფე ალექსანდრეს ასულის თინათინის და მისი მეუღლე სფირიდონის სახელზე დაწერილი აღაპისათვის ერთი ბარძიმის დადგმა<sup>5</sup>. როცა სფირიდონს ვაჟი იორამი გარდაეცვალა, მან ჯვრის მონასტერს 100 ფლური გაუგზავნა „სამუდამო აღაპისათვის და ასი ფლური გოლგოთას კანდელისათვის“<sup>6</sup>.

### ბიბლიოგრაფია:

გოჩოლეიშვილი დ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. I მეოთხედში // ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, ქუთაისი, 2003

მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბუჳდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955

მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980

მამისთვალეიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009

---

საფრანგეთისა და როდოსის ხელისუფლებმა სულთანთან ელჩებად გაგზავნეს ორ-ორი ბერი და სთხოვეს გემების დაბრუნება და პატიმრების განთავისუფლება. საფრანგეთის დიპლომატების უშედეგო მცდელობის შემდეგ, ვენეციის ელჩმა შესძლო პატიმრების განთავისუფლება და გამარცხელი მონასტრების დაბრუნება.

განთავისუფლების შემდეგ ფრანცისკო სურიანო დაინიშნა პაპის ლეგატად მარონიტებთან. 1515 წელს იგი დაბრუნდა უმბრიაში და იქვე გარდაიცვალა 1529 წელს. *Treatise on the Holy Land* Francesco Suriano // *Translated from the Italian by Fr. Teapilus Bellorini: O. F. M. (Ordo Fratrum Minorum) and Fr. Eugenio Hoade O. F. M.; With a preface and notes by Fr. Belarmino Bagatti O. F. M., Jerusalem, printed by Fransiscan Press, 1949, p. 136.*

<sup>1</sup> ცერამე თ., ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ. *ACADEMIA*, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია. თ. 5, თბ., 2003, გვ. 48.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, გვ. 328.

<sup>3</sup> ვრცლად იხ. ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), გვ. 105-133.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 212.

<sup>5</sup> მეტრეველი ე., მასალები..., გვ. 84, 58..

<sup>6</sup> იქვე, გვ. 90, 114; იხ. აგრეთვე, გვ. 106, 300.

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისტვალიშვილმა, თბ., 1981

მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის) // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბ., 2011

შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები. XV-XVIII სს. // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ, 30, თბ., 1954

ცერაძე თ., ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ. ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია. თ. 5, თბ., 2003

„ . . . „ //

„ . . . IV, . . . „ , 1888

„ . . . „ , I, 3, . . . „ , 1894

„ . . . „ , II./ . . . „ , . . . „ . . . „

„ . . . „ , . . . „ , 1976

Suriano Franc.,: *Il tratato di Terra Santa e dell'Oriente*, 1524

Suriano Franc., *Il trattato di Terra Sancta*, Milano, 1900, 34, nota 1216.

Suriano Franc., *Treatise on the Holy Land* Francesco Suriano // Translated from the Italian by Fr. Teapilus Bellorini: O. F. M. (Ordo Fratrum Minorum) and Fr. Eugenio Hoade O. F. M.; With a preface and notes by Fr. Belarmino Bagatti O. F. M., Jerusalem, printed by Fransiscan Press, 1949

**GEORGIAN DIPLOMACY IN THE FIRST DECADE OF THE 16<sup>TH</sup> CENTURY**  
**Eldar Mamistvalishvili, Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

In order to stop Ottomans' increasing aggression towards western neighbours in the beginning of the First Decade of the 16th Century, it became urgent to establish union between Georgian and Kizilbash Iran military alliance and Egypt against Ottoman Empire. For this purpose, appropriate measures were taken which was confirmed by Georgian ambassadors visit to the capital of Egypt in 1511 and 1512 years. According to the Arabian source, ambassadors of Georgian king and Iran Shah jointly visited Safavid court it 1512.

Giovanni Maria Angioiello and Caterino Zeno, Venetian diplomats wrote interesting accounts about diplomatic relations of the Triple alliance for establishing Ottoman coalition in 1514. Although the alliance was established, it did not prevent a disaster in Egypt.

**რუჰი ბაღდადის სევა**

**მურად მთვარელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი**

რუჰი ბაღდადი (დაახლ. 1545-46 – 1605 წწ.) ოსმალური იმპერიის აყვავების ხანის ერთი გამორჩეული შემოქმედია, რომლის შემოქმედება საზრდოობს იმ ტკივილით, რითაც აღსავსე იყო პოეტის ცხოვრება.

პოეზია, ზოგადად, შემოქმედის შინაგანი დუდილის ერთგვარი ანარეკლია, ხოლო პოეტის სულიერი მოძრაობა ხშირად ეფუძნება ნაღველს, რომელიც განსაზღვრავს კიდევ ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების თემატიკას.

რა იყო მიზეზი რუჰი ბაღდადის სევდისა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ერთი მხრივ, საჭიროა პოეტის შემოქმედების, მეორე მხრივ კი - მისი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების ურთიერთშედარებითი ანალიზი.

თავის დროზე ქართველ მკვლევართაგან რუჰი ბაღდადის შემოქმედება მეცნიერულად შეისწავლა და მონოგრაფია წიგნად გამოსცა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ელიზბარ ჯაველიძემ. წიგნში ავტორი დიდი დამაჯერებლობით აანალიზებს პოეტის მსოფლმხედველობის უმთავრეს მომენტებს, თუმცა, ვთვლით, რომ ამ გამორჩეული შემოქმედის გაცნობა ქართველი მკითხველისათვის მომავლის საქმეა. დღემდე არ არსებობს მისი პოეზიის მხატვრული თარგმანი, თუმცა უნდა ისიც აღინიშნოს, რომ დასახელებული მკვლევარის წიგნში ჩვენ გვხვდება ზუსტი ბჭკარედები პოეტის შემოქმედებიდან.

რუჰი ბაღდადის სევდას გარკვეული გარემოებები ასაზრდოებს, მაგრამ ვიდრე ამ გარემოებებს შევეხებოდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ის შეხედულებანი, რაც ამ შემოქმედის პიროვნების მიმართ არსებობს.

როგორც პროფ. ე. ჯაველიძე შენიშნავს: „ლიტერატურის მკვლევარნი რუჰი ბაღდადის გვიხატავენ მოხეტიალე დერვიშად, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოგზაურობაში გაატარა“.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისზე დგანან ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან: შ. სამი, ალი ჯანიბი, ფ. ქოფრულუ, ი. ალაეთთინი, მ. ბენდერლი, ა. ლევენდი, ს. ბანარლი, რ. მოლოვი, მ. კოჯათურქი, მ. კაბაკლი, ი. ჰამერი და სხვები.

ე. ჯაველიძე მცდარად მიიჩნევს ამ თვალსაზრისს და თვლის, რომ პოეტი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ესწრაფოდა და ის, ძირითადად, ჯერ მშობლიურ ბაღდადში, შემდეგ კი დამასკოში ცხოვრობდა. როგორც მკვლევარი შენიშნავს: „პოეტი დამასკოში თავისი სურვილით არ უნდა იყოს წასული. იგი ან სამსახურებრივი მოვალეობის გამო გაუგზავნიან, ან ჰასან ფაშას (1598-1601 წწ) მიერ დასჯილი პოეტი იძულებული იყო თავისი ხვედრი დამასკოს გამგებელ ოსმან ფაშასთან ეძია“.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, ამ ცხოვრებისეულმა წარუმატებლობამ პოეტის სულიერ სამყაროში დიდი ტკივილი და უიმედობა გამოიწვია. ერთ დროს სინან ფაშას კარზე აღზევებული პოეტი 1598 წელს ბაღდადის ბეგლარბეგად დანიშნულ ჰასან ფაშას თანამდებობიდან გაუთავისუფლებია. ამით შეწუხებული პოეტი წერს:

როს ამაღლებას ვაპირებდი, ძირს დამცეს მაშინ  
და რაც მეზადა, წამართვეს და აჩუქეს სხვათა,  
ო, ღმერთმა ნუ ქნას ჩემი ყოფა გაგრძელდეს ასე,  
ალბათ, არ იცი შენ სიმართლე, ასე ქმენ რადგან.  
ვიცოდე მაინც მე ასეთი რა დავაშავე,  
მე მქონდეს წყევლა, დიდება კი უბოძე სხვათა,  
მთელი ცხოვრება შენს ქებაში ფუჰად გავხარჯე,  
შენ კი წყალობის ნაცვლად ასე რატომ დამსაჯე,  
უსამართლობა შენგან მერგო მე, არა სხვათა.

ხელისუფალთაგან უსამართლობა პოეტს არაერთგზის უგემნია, მიუხედავად იმისა, რომ ის ცდილობდა ეერთეულა მათთვის, მათზე საქებარი სტრიქონები ეწერა, ეს უპირველესად მას ფიზიკური არსებობისათვის სჭირდებოდა, ამასთანავე, ამით ის ცდილობდა საზოგადოებაში თავისი ადგილი დაემკვიდრებინა, მაგრამ, როგორც დგინდება, პოეტის გულში გაიღვიძა პროტესტის გრძნობამ, მიხვდა, რომ ღირსება ყველა თანამდებობასა და მდგომარეობაზე მაღლა დგას. ერთ ლექსში ის წერს:

ბრიყვთ და უმეცართ მე როდემდე ვუძღვნა ყასიდი,  
რომ დავირჩინო თავი ჩემი, მხოლოდ ამისთვის,  
ეს სიხარბეა, რადგან ამით და მხოლოდ ამით,  
ვმოულობ სარჩო-საბადებელს ჯერაც ამითი.

ცხოვრებამ რუჰი ბაღდადი ეკლიანი გზებით ატარა. როგორც ე. ჯაველიძე წერს: „სიბერის ჟამს მას პენსიის აღება სდომებია. მისთვის დირლიქად შირვანის ვილაიეთში ჩალის ყაზა მიუციათ, მაგრამ ეს ადგილი პოეტს არ მოწონებია და ამის შესახებ თავისი უკმაყოფილება რამდენიმე ყაითში გამოუთქვამს“.<sup>3</sup>

საგულისხმოა, რომ ხშირად პოეტის სევდა პროტესტის ფონზე იკითხება. რუჰი ბაღდადის სევდა რომელიმე კონკრეტული ამბიდან გამომდინარეობს და ლექსიც შესაბამისი განწყობილებებით იქმნება. ზემოხსენებული ფაქტის ერთგვარ სევდიან ამომახილად უნდა ჩაითვალოს რუჰი ბაღდადის ეს ლექსი:

არ გაგიკვირდეს, ეი, რუჰი, თუ გვიწყალობა,  
ეს ჩალი ფაშამ, ვინაც გვიზის სვიან მბრძანებლად,  
ალბათ, ჰგონია მწუხრის ხმაზე მსტვენავ ბულბულებს  
ზაგე შეგვიკრეს და გვაქციეს ღობემძვრალეზად.

<sup>1</sup> ე. ჯაველიძე, რუჰი ბაღდადი, თბ. 1968, გვ. 34

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41

<sup>3</sup> ე. ჯაველიძე დასახ. წიგნი, გვ. 44

სამართლიანად მიუთითებს პროფ. ე ჯაველიძე, რომ რუჰი ბაღდადისათვის ყოვლად მიუღებლად იქცა მედროვე ადამიანის ტიპი, ისევე როგორც მისი თავისუფალი ცხოვრება, ეთიკური და მორალური კანონების უგულვებელყოფა სახეებით მიუღებელი აღმოჩნდა მისი დროის საზოგადოებისათვის. ის თანდათან ემიჯნებოდა საზოგადოებას, არსებულ რეალობას. პოეტს მიაჩნია, რომ მის საველ გზაზე აუგის მსურველი ფეხს ვერ დააბიჯებს, „მთებზე ვერ აღვვიდგება წინ, ჩვენ ქარიშხალი ვართ“. დავა საზოგადოებასთან, მორწმუნე მუსულმანთა წესებთან, პოეტის სულიერი ამბლებით მთავრდება. ის, როგორც მარადიული სულის მამიებელი და, ამავე დროს, მარადიული სულის მქონე ადამიანი, ყოველგვარ რელიგიასა და მსოფლმხედველობაზე მაღლა დგება და მასში მისი ტკივილიანი განწყობილებების ფონზე ჩნდება პოეტის მწყობრი თვალსაზრისი, რაც მას საზოგადოებისაგან სრულიად გამორჩეულს ხდის. ის პოეტი რინდის ზოგად სახეს ქმნის, როცა წერს:

თუმც ატომნი ვართ, სულში გვიდგას მხოლოდ მზეები  
წმინდა სული ვართ, გაბრიელმა რომ სცხო მარიაჟს,  
ჩვენ მზის თასებით ლხინს ვეწევით ყოველ ცისმარე,  
ნაბახუსევზე ქრისტეს გვერდით ვიღებთ პურმარილს.  
უგვანო ღვინო ჩვენ არ გვინდა, თუ აღთქმა დავდეთ,  
ჩვენ ჩვენს აღთქმაში გადავწყვიტეთ ნასუქებს ვგავდეთ,  
გველიც რომ იყოს მტერი, მუსას თეთრი ხელი ვართ,  
წარღვნის დროს ნოეს კიდობნების გამომთლელნი ვართ.  
დაე, მედრესში წაიკითხოს მოლამ ეს ლოცვა,  
ჯამის ფსკერს გვიძღვნის ჩვენ, ჭეშმარიტ მცოდნეებს როცა.  
ო, ნუ გვიყურებ სუფი, ასე უბრალო თვალით,  
აუგის მთქმელთან მხოლოდ ვდუმვართ, პასუხს ვცემთ ამით,  
მამ გახსენ სულის კარი ნახე, რა სულები ვართ,  
ჩვენ ქრისტეს სუნთქვის შთაგონების გასაღები ვართ,  
ქრისტეს სუნთქვა ვართ, ვართ ცხოვრება თავად ჰაზირის,  
თუმც რუჰი მქვია, სხივთა ზღვაში სხვა მზე გვიღიმის,  
იმ ზღვაში ზათის მიმალული მარგალიტნი ვართ.

პოეტის სევდის მასაზრდოებელია ასევე მისი სოციალური მდგომარეობა. სიღარიბე თან სდევს პოეტს, რაც მის შემოქმედებაშიც ერთგვარ ასახვას პოულობს. პოეტი წუხს, რომ მიუხედავად მისი პოპულარობისა, მისი შემოქმედებისადმი საზოგადოების მზარდი ინტერესისა, ის მაინც ბოგანო და უქონელია.

მაშინ, როდესაც ჩემი ლექსის მარგალიტს კრეფენ,  
განა ღირსი ვარ, ფეხქვეშ მთელდეს ზედი თვალთმაქცი,  
სადრენიშინი კი ვარ დღემდე სიტყვის მეჯლისის  
არ გამაჩნია დამსხვრეული ერთი კათხაც კი.

პოეტის სევდის საგნად ქცეულა ასევე საზოგადოების უგულობა და ზნეობრივი დეგრადაცია. ღირსება თანდათან ინაცვლებს უკანა პლანზე, „სიყვარულისა და ერთგულების თასიც იცლება“, „სიკეთის კარი დახურულა“ ხალხში ოხვრა-ვაებას დაუსადგურებია, ხელისუფალნიც განმარცულან სიკეთის ქმნისგან და, რაც მთავარია, ასეთ პირობებში მაცდური და გაიმვერა ადამიანები დაწინაურებულან, ქვეყანა გაუმადლობას, სიხარბეს, უსამართლობას მოუცავს:

რა საოცარი ქვეყანა გვაქვს, მაღლობს მაცდური,  
მადლის მქმნელნი კი მცირდებიან თვალდახელშუა,  
როს დედამიწა პირქუშია, ცაც კი არ წყალობს,  
თითქოს ცისა და მიწის მადლი ქრება ერშიაც.  
ველარ ძლებიან კარუნები ქვეყნად დროების,  
მდიდართ ზნელ გულებს ეუფლება განცდა უძღები,  
მოსამართლობენ დღეს მექრთამე მოსამართლენი  
და ილახება შარიათის წმინდა კანონი.

პოეტის ეს განწყობილებანი ახლობელია არა მარტო მისი თანამედროვე შემოქმედთათვის, არამედ, ზოგადად, მსოფლიო მწერლობისა და აზროვნებისათვის..

პოეტის მხატვრული აზროვნება ზუსტად ასახავს მისი დროის საზოგადოებრივ მდგომარეობას, ამიტომაცაა, რომ მისი ყოველი სიტყვა, მისი ნააზრევის ყოველი ნამცვრევი საზრდობს თავისი ეპოქის ზოგადი ტკივილით. ვფიქრობ, რუჰი ბაღდადის ქვემოთმოტანილ ლექსს ბევრი აქვს საერთო უილიამ შექსპირის 66-ე სონეტთან:

ო, ამ წარმავალ ქვეყანაზე დრო გვაქვს ისეთი,

სიკეთის კვალი აღარ შერჩა კაცს, არც ანგელოზს,  
ბედნიერებით ზოგი ხარობს, ზოგიც იტანჯვის,  
ძალღებდა შერჩათ ერთგულების გრძნობა და მე როს,  
ვხედავ, აღზევდა უვიცი და ყოვლად უხამსი,  
ხოლო ღირსეულთ აღარ შერჩათ მზის ქვეშ ადგილი,  
ღმერთო, გვიშველის ვინმე ნეტავ, ამ დუნიაზე,  
თუ ამ ყოფაში ვიმარტვილოთ დროის მახვილით?!

თითქოს ყველა ეპოქისათვის ნიშნულია პოეტის სიტყვა. საოცარია, მაგრამ სულ სხვა ეპოქასა და სულ სხვა გეოგრაფიულ სივრცეში უაღრესად თანადროულად ჟღერს პოეტის სიტყვები: „ქვეყნის სურვილით ზოგი ცხოვრობს მთელი ცხოვრება, ზოგისთვის ქვეყნის ჭამა-სმაა სიამოვნება“.

პოეტის დასკვნა ასეთია: ადამიანი მარტოა საკუთარ დარდთან, მწუხარებასა და გასაჭირთან, მას ვერავინ უთანაგრძნობს, ამიტომ საჭიროა არა დაღონება, არამედ გზის ძიება ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად

შენს ტანჯვას არვინ უთანაგრძნობს  
არც მაღალი და არც მდაბალი,  
შენი წამება, შენი განცდა, გინდა თქვი და  
გინდა დამალე,  
ქვეყნის მპყრობთაგან  
სიკეთეს ნუ მოელოდები  
სიკეთის კვალი მათ დაკარგეს,  
შენ ამაოდ ნუ დაღონდები.

უსამართლობისა და გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად, როგორც ჩანს, ყველა დროში ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა უცხო ქვეყანაში გადახვეწა. სწორედ ეს გზა მიაჩნია რუპი ბალდადის ღირსების აღდგენის ერთადერთ საშუალებად. როგორც უკვე ვთქვით, რუპის თავისი მშობლიური ქალაქი მიუტოვებია და დამასკოში წასულა. ამის შესახებ პოეტი წერს:

დავტოვეთ ჩვენი სამშობლო და უცხო ქვეყნებში  
გადავიხვეწეთ, აღგვედგინა ეგებ ღირსება,  
დავხეტილებთ კიდით-კიდეს ასე ყარბზნი,  
ჩვენ გულს ავყევით გახელებულს, გული კი - ვნებას.

დამასკოში პოეტს მოუწყენია. ეს უცხო მხარე მისთვის ციხე გახდებოდა, რომ არა აზიზიდეჰალეთი ევენდი, რომელსაც მისთვის იქყოფნის სიმძიმე გაუიოლებია:

მე მტირალი ვარ, მე რუპი ვარ, ასე მყვირალი,  
ვარ მოწყენილი და უსაზღვროდ მე ვარ ეული  
და რომ ეგ შენი მოწყალება არ ყოფილიყო,  
დამასკოს მხარე მექცეოდა ციხედ წყეულად.

პოეტმა ფეხი ვერსად მოიკიდა, სიღარიბე მის მუდმივ თანამგზავრად იქცა, ამიტომაც მისთვის ყველაფერი თითქოს სულერთი უნდა იყოს. ერთ ლექსში ის წერს კიდევ: „ფეხს ვერ ვიკიდებთ რადგან ქვეყნად რა ვქნათ ასეთ დროს? კვლავაც აბათი შევიძმოსოთ, რუპი, ასე სჯობს“, მაგრამ სხვა შემთხვევაში ის აცხადებს, რომ ადამიანმა არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი, მიუხედავად მისი მდგომარეობისა, უნდა ცდილობდეს, რაიმე არგოს ხალხსა და ქვეყანას. ერთ ლექსში რუპი ბალდადი წერს:

მე და წუხილი ერთმანეთისთვის შეგვექმნა ალაჰმა,  
განდექ ქვეყნისგან, თუმც ეს აზრი მსურს გავამყარო  
შენში: გახსოვდეს, ვიდრე გქვია ადამიანი,  
შენ სამყაროსთვის ხარ და შენთვის არის სამყარო.

პოეტი სხვასაც მოუწოდებს, რომ წუხილის ტყვედ არ იქცეს, მომავლის რწმენით იცოცხლოს და დარდსა და უიმედობას გასაქანი არ მისცეს

მხიარულება როს დასტოვებს შენს გულს, ჰე, რუპი,  
არ თქვა: სავსე მაქვს გული ჩემი მე სევდით მწველით,  
დაე, წარსული სალამათით შენ გაისტუმრე,  
იყავი სავსე აწმყოთი და მომავლის რწმენით.

პოეტის ამ ოპტიმისტური განწყობილებისა და ადამიანის, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილის, ამასთანავე, ადამიანის მოვალეობისა და დანიშნულების შესახებ პოეტის მიერ გამოთქმულ შეხედულებებთან დაკავშირებით ე. ჯაველიძე წერს: „სინამდვილისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ უაღრესად პროგრესული და ჰუმანური იდეა დაბადა პოეტის მსოფლშემეცნებაში. „მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან შვილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“. რუპი ბალდადიმ ეს

პროგრესული აზრი უფრო ადრე გამოთქვა, ვიდრე ჩვენმა დიდმა პოეტმა. სუბიექტისა და ობიექტის ასეთი შეჯერება და მათი ასეთი ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების პროგრესულ ასპექტში დანახვა უაღრესად წინგადადგმული ნაბიჯი იყო საშუალო საუკუნეების თურქულ ლიტერატურაში<sup>1</sup>

ეს შედარება სრულიად ლოგიკურია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ ადამიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის აუცილებლობა მსოფლიო ლიტერატურის ნაცნობი თემაა მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ხოლო შოთა რუსთაველის მიერ შემუშავებულ თვალსაზრისს ადამიანის დანიშნულებაზე დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

დასკვნის სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ რუჰი ბაღდადიმ მე-16 საუკუნის თურქულ ლიტერატურაში შეიტანა ერთგვარი სუნთქვა, რომელიც, ერთი მხრივ, აღსავსე იყო წუთისოფლის ამაოებისა და უსამართლობის გამო გამოწვეული ნაღველით, მეორე მხრივ კი ამ ყველაფერზე ამალელებული შემოქმედის ფართე გონებრივი გამოწაფით, რაც მას თავის კუთვნილ ადგილს უმკვიდრებს არა მხოლოდ თურქულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

## THE MELANCHOLY OF RUHI BAGHDADI

Murad Mtvarelidze, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor  
RESUME

An existence of melancholy is evident in the poems of the famous Turkish poet Ruhi Baghdadi (16<sup>th</sup> century). This is conditioned by his social status as well as by the inequality and injustice, that were the main characteristics of Turkey of Baghdadi's times. The subject of the poet's melancholic sentiments were also his amorous feelings. Though, Ruhi doesn't escapes from the life, moreover – he keeps away from the asceticism, from being only in the service of God and thinks that the duty of each and all human beings is to remain forever in the service of their country.

### ოსმალური გადასახადები და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საციციანოს ნაჰიეში, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით

მანანა მიჩიტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, დიდი მეცნიერული ღირებულებისა და ყველაზე ფასეული წყაროა ამ პერიოდის საციციანოს ნაჰიეს შესასწავლად. იგი მდიდარ და მრავალმხრივ საყურადღებო მასალას შეიცავს ნაჰიეში ოსმალური საგადასახადო სისტემის შესახებ. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკვლევი თემა ასევე რეალურ საფუძველს იძლევა „ოსმალის“ ხანის საციციანოს ნაჰიეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. მუშაობისას ვხელმძღვანელობდით ს. ჯიქიას, ნ. შენგელიას, მ. სვანიძის, გ. გაბაშ-ვილის, ც. აბულაძის საინტერესო კვლევებით, თუმცა ზოგჯერ ოსმალურ საგადასახადო ტერმინოლოგიის შინაარსსა და შეფასებებში მათი განსხვავებული, მაგრამ საინტერესო დასკვნები, მოითხოვდა ფართოდ გავცნობოდით XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ქართულ და ოსმალურ დოკუმენტურ მასალებსაც, რომლებშიც ასახული იყო ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები, გადასახადები და საგადასახადო სისტემა.

ამდენად, ოსმალურ და ქართულ წყაროთა კრიტიკული და შედარებითი ანალიზი ამ საკითხების ჩვენეული ინტერპრეტაციის საფუძველს იძლეოდა. სამეცნიერო მიმოქცევაში ახლადშემოსული დავთარი მეტად მნიშვნელოვანი პირველწყაროა. მასში დაცული ცნობები სანდოობით გამოირჩევა, რადგან ოსმალური დავთრები შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ, რომლის მონაცემები სულთნის კარზე ზუსტად მოწმდებოდა. მათი მხრიდან დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში

<sup>1</sup> ე. ჯაველიძე, დასახ. წიგნი, გვ. 94

გატარება, მკვიდრი მოსახლეობის დაბეგრა ოსმალური გადასახადებითა და ვალდებულებებით, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას და ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღებას ნიშნავდა.<sup>1</sup> მართლაც, საციციანოს (სისის - როგორც ოსმალები მოიხსენიებდნენ) პირველივე 51 კომლიან სოფელ სახდინეთში მოიხსენიება სახასო (სულთნის), სავაკუფო და ცარიელი მიწები.<sup>2</sup>

აღწერის ჩასატარებლად და დავთრის შესადგენად სულთნის მთავრობის მიერ ინიშნებოდა სპეციალური კომისია. მათი ხარჯების დაფარვა „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარის“ (1694-1732 წწ.) მიხედვით ადგილობრივ მოსახლეობას უნდა გაეღო, ერთი ახჩა თითოეულ კომლზე, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის შედგენის ხარჯებსაც ადგილობრივი მოსახლეობიდან ამოიღებდნენ. გარდა ამისა, „ოსმალთა მოხელეთა დიდი ნაწილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ხელფასს არ ღებულობდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ასეთ კატეგორიას ნება ეძლეოდა აენაზღაურებინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გაღებული გადასახადებიდან. დამპყრობლების საგადასახადო სისტემის მმართველურ მიზანს წარმოადგენდა, დაპყრობილი მოსახლეობიდან დიდძალი სიმდიდრე ამოეღოთ, თავიანთი მზარდი იმპერიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამას ემსახურებოდა სულთნის მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული აპარატიც. ასეთი ფისკალური პოლიტიკა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა გადასახადის ამკრეფთა თვითნებობას და ძალმომრეობას.

დავთრის მიხედვით ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის შედეგად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კარგად ჩანს, აღწერილი სოფლების კომლობრივი გადასახადებიდან. დაანგარიშებულია ნაჰიეს სოფლების გადასახადთა საერთო ჯამი. დავთრის მიხედვით ჩანს ყველა ადგილობრივი რესურსი, რომლის გადასახადებით დაბეგრა შეიძლებოდა, მათ შორის გაუკაცრიელებული ე.წ. „ცარიელი რეაია“. ერთი და იგივე რაოდენობის კომლიანი სოფლები გადასახადების განსხვავებულ რაოდენობას იხდიან, გადასახადის რაოდენობის საფუძველი ერთი მხრივ ამა თუ იმ სოფლის განსხვავებული რესურსებია, თუმცა არ გამოვრიცხავთ დევთერდარის პირადი ინტერესებსაც.

დავთარში ხაზგასმით ნაჩვენებია საციციანოს მოსახლეობაზე დაწესებული მძიმე ოსმალური გადასახადები სოფლების მიხედვით, ჩამოთვლილია საციციანოს თითოეული სოფლის, დასახლებული პუნქტების, სათესველების მეურნეობის დარგები, გადასახადები მოყვანილი პროდუქტებიდან (მაგ. ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ხილი, ბოსტნეული, თაფლი და სხვ.) ჯამში მითითებულია ამ პროდუქტების ფულადი ღირებულება სოფლების მიხედვით ახჩებში. ცნობილია, რომ თურქულმა საკადასტრო დავთრებმა განიცადეს ცვლილება სულეიმან კანუნის გამეფების შემდეგ (1520-1566 წწ.) მისი ბრძანებით ნატურალური შემოსავლის აღნიშვნაში შეტანილი იქნა ყოველგვარი გადასახადის ფულადი ღირებულება ახჩებში. ყადის დამხმარე გადასცემდა ემინს ჰუჯათს (სასამართლოს გადაწყვეტილება) თითოეულის ნომინალური ღირებულების შესახებ, რომელსაც პორტა ამტკიცებდა და ემინს უგზავნიდა დავთარში შესატანად.

საციციანოს ნაჰიეს სოფლების გადასახადის ნუსხა „ისფენჯით“ იწყება. ისფენჯი - გადასახადი იყო ქრისტიანთათვის. ვ. გაბაშვილის განმარტებით,<sup>3</sup> ისფენჯს იხდიდნენ, როგორც დაქორწინებული, ისე დაუქორწინებელი მოსახლეობა ნებართვაში, მეურნეობის საწარმოებლად. ამ გადასახადის გარეშე მიწაზე მეურნეობის მოწყობას ვერავინ გაბედავდა. დავთრის მიხედვით თითოეული კომლი 120 ახჩას იხდიდა. ისფენჯის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ ეკარგებოდათ მეურნეობის წარმოების ინტერესი და ხშირი იყო საციციანოს ნაჰიეს ისედაც მცირე მოსახლეობის აყრა-გაქცევა და სოფლების გაუკაცრიელება. ამდენად, ხშირია საციციანოს ნაჰიეს სოფლების ჩამოთვლისას ფორმულირება, „ცარიელია რეაიასაგან“.

დავთარში ოსმალურ გადასახადთა შორის, გვხვდება „დემთიბანის და მიწაზე თაფუს“<sup>4</sup> გადასახადი. XVI-XVII საუკუნეებში ამ გადასახადების შესახებ მკვლევარების ვ. გაბაშვილის და ნ. შენგელიას მიერ გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებები. რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი საკვლევი თემისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ოსმალეთის იმპერიაში მიწის ფეოდალური

<sup>1</sup> ც. აბულაძე, ჩილდირის ვილაიეთის დიდი დავთარი, (1694-1732 წწ.) თბ., 1979, გვ. 29.

<sup>2</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 132.

<sup>3</sup> ვ. გაბაშვილი XVIII ს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თსუ შრომები ტ. 91, თბ., 1960, გვ. 313-314.

<sup>4</sup> tapu-მოწმობა (ქონების), ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგენელი, ორჰან მემიში, თბ., 2009წ. გვ. 365.

საკუთრების ზოგიერთი ფორმა შინაარსობლივად განსხვავდებოდა, XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის „ოსმალის“ პერიოდის ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმებისგან. მაგ. ცალკე „თაფუს“ ნ. შენგელია ყოველწლიურ გადასახადად არ მოიაზრებდა და აღნიშნავდა: „გაიღებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი ერთი მფლობელიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო მეორის ხელში გადადიოდა“. გამოთქვამდა ვარაუდს, რომ დემთიბანი\*, ველზე დაწესებული გადასახადი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ თაფუსთან ერთად დამოწმებული დემთიბანი შეიძლება ყოფილიყო ყოველწლიური გადასახადი.<sup>1</sup> მართლაც, დემთიბანი პირდაპირ თარგმანში ველზე და მინდვრებზე, ანუ ნათესებზე დაწესებული გადასახადია. ვ. გაბაშვილის განმარტებით „თაფუ“, მიწათსარგებლობის წერილობითი პირობა და სარგებლობის გადასახდელი იყო.“<sup>2</sup> ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით და დავთრის კრიტიკული ანალიზით, დემთიბანის და თაფუს გადასახადი ყოველწლიური, მიწათსარგებლობისა და მიწის მფლობელობისათვის დაწესებული კომლობრივი გადასახადი იყო და არა მხოლოდ მიწის მფლობელის შეცვლისას ერთდროული გადასახადი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოსმალური კანონმდებლობით, დაპყრობილი მიწები სახელმწიფო საკუთრება იყო, მიწისმფლობელი კი მხოლოდ იმის მესაკუთრე, რაც ამ მიწაზე იყო მოყვანილი და აგებული, მაშინ, აღნიშნული გადასახადი მიწის მფლობელობის უფლების მიღებასთან დაწესებული ყოველწლიური გადასახადი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე მიწას დამატებითი გამოსაღების გარეშე მიიღებდა. მემკვიდრის არ ყოლის შემთხვევაში კი, მათ შორის ძმას ან ქალიშვილს ე.ი. მიწის ახალ მფლობელს მხოლოდ ამ უფლების მიღების შემდეგ გადაეცემოდა. დავთრიდან აშკარად ჩანს დემთიბანის და თაფუს გადასახადის მკვეთრად განსხვავებული რაოდენობა. განსხვავების საფუძველი იყო მიწის ფართობი, მიწის ვარგისიანობა-მოსავლიანობის ხარისხი, ადგილმდებარეობა და სხვ.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა, კომლზე დემთიბანის და თაფუს გადასახადის ოდენობა, ეს კიდევ ერთი მმარცვლური გადასახადი აღმოჩნდა, რომელმაც გამოკვეთა საციციანოს ნაჰიეს ეკონომიკური სიდუხჭირე, მოსახლეობის გადამხდელუუნარობა, მიწების მოუსავლიანობის სიჭარბე, რაც შემცირებულ მოსახლეობას მიწის დამუშავების და მოსავლიანობის ინტერესს უკარგავდა. მიწების მოსავლიანობიდან გამომდინარე განსხვავდებოდა გადასახადის ოდენობა:

1. კარგ შემოსავლიან მიწებზე 30-40 ახჩას იხდიდნენ, შემდეგი სოფლების თითოეული კომლი: ოქითი-40 ახჩა, ჯოხისი -32,3 ახჩა და სანატრისი - 31,8 ახჩა;

2. საშუალოდან, 10-დან-25 ახჩას იხდიდა ოცი სოფლის მოსახლეობა: ბიჯნისი - 25, ქუდირი - 20,5, გორაზინა - 21, ახალქალაქი - 22,2, თუსი, ახალშენი და კაბრისუბანი ერთად - 20 ახჩას, ვანიტა - 15,2, ოდნისი - 15, ესქიჯა - 14,9, ბურბუთი და საჯიეს უბანი ცალ-ცალკე -13,3 ახჩას, ბოსლეთი - 12,9, ორბიუთი - 12,6, მაქვითი - 12,1, ანსაკიმი - 11,3, ღულუ - 10,8 ახჩას. რაც შეეხება სოფლებს: ქაღდო, ამირხო, ზემოვეთი, კალიბი იხდიდნენ 10-10 ახჩას.

3. დანარჩენი მოუსავლიანი სოფლები იხდიდნენ 0,5-1,2 ახჩადან, 10 ახჩამდე.

დავთრის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა, მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი) მოსავლიანობა საციციანოს ნაჰიეში, რომელმაც შეადგინა ქილებით -28 663 ქილა (716575კგ). ახჩებით - 500 235 ახჩა. მიუხედავად საციციანოს რელიეფური მდებარეობისა საკმაოდ მაღალპროდუქტიული ჩანს აღნიშნული ტრადიციული დარგი. დავთრის მიხედვით ყველაზე მეტ მარცვლეულს აწარმოებდა სოფ. სანატრისი, ახლოსაა სათესველ გომთან, სანატრისში-110 კომლია, დავთრის მიხედვით სოფელს უნდა გადაეხადა 830 ქილა მარცვლეული. თუ ჩავთვლით, რომ 1 სტამბოლური ქილა 25კგ-ია.<sup>3</sup> (830x25= 20750კგ. ) ე. ი. 20750 კგ-ს იხდიდა სოფელი. 1 კომლი კი იხდიდა დაახლოებით 190 კგ. მარცვლეულს. შესაბამისად 1კგ. ხორბლის ფასმა დაახლოებით შეადგინა -1,25 ახჩა.

დავთრის მიხედვით საციციანოს ნაჰიეს 46 სოფელშია წისქვილი. წისქვილზე გადასახადის რაოდენობა მისი სიმძლავრით განისაზღვრებოდა. მთელი წლის განმავლობაში დაწესებული გადასახადი შეადგენდა 120 ახჩას, ამის შესაბამისად წისქვილის ყოველ დამატებით თვალზე ემატებოდა 120 ახჩა. გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა დაწესებულ გადასახადზე ნაკლებს ახდევინებდნენ, მაგ. 13 კომლიანი სოფელი ხიდისთავი ერთთვლიან წისქვილზე სრული წლით იხდიდა 60 ახჩას, მაშინ

<sup>1</sup> ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II, თბ., 1960, გვ. 286-288.

\* dest- მინდორი, ველი. Ban- საქმიანობის მაწარმოებელი აფიქსი.

<sup>2</sup> ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს, თბ., 1958, გვ. 217

<sup>3</sup> ნ. შენგელია, XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, წიგნი I, თბ., 1987, გვ. 285.



როცა მეზობელ სოფ. ქვახვრელშიც წისქვილი არ ფუნქციონირებდა, ასევეა სოფ. სასხორში.<sup>1</sup> ე.ი. გადასახადზე დამატებით აისახებოდა წისქვილის გამართული მუშაობის ხანგრძლივობა, მდინარის სიდიდე, აღწერისას წისქვილის ტექნიკური მდგომარეობა, მფლობელის და დავთარდარის ინტერესები. წისქვილის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებლობა რეალურ მფლობელს ეკისრებოდა, თუ თიმარზე იქნებოდა მიწერილი - მის მფლობელს. დავთრის მიხედვით სახასო წისქვილი მხოლოდ სოფ. ახანში ფუნქციონირებდა, სოფელ ზნადიქში კი „გავერანებულია“. საციციანოს ნაპიეში წისქვილზე შეწერილი გადასახადის საერთო რაოდენობა 19660 ახჩაა.

დავთრიდან ჩანს, რომ უშრის გადასახადს იხდიდნენ აგრარული მეურნეობის ყველა დარგზე, ვენახზე, ბოსტნეულზე, ხილზე, ყველა სახის მარცვლეულზე, თაფლზე და სხვ. რომელიც მოსავლის მეათედს ითვალისწინებდა. გაწერილი იყო იმ დარგებზეც, რომლებსაც ოსმალები არ მისდევენ. ვენახები ზუსტად იყო აღრიცხული სოფლების მიხედვით და მისი დღიური მფლობელებით და მასზე საკმაოდ დიდ გადასახადს იხდიდნენ - 174 780 ახჩას. ჩანს მათზე უფლება ოსმალებთან „დამსახურების“ და გარიგების წყალობით მიიღებოდა, მათ შორის გავლენიანი ციციშვილები ბაგრატი, ქაიხოსრო და ფარსადანი ამ პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათ შორის ვენახის დღიურ მფლობელებად გვხვდება სხვა ნაპიებიდან გადმოსული და გამაჰმადიანებული ქართველები.<sup>2</sup> დავთრის მიხედვით 10 დონუმ ვენახზე გადასახადი - 40 ახჩა იყო. (1 დონუმი - 40 ნაბიჯია) 20 დონუმზე შესაბამისად - 80 ახჩა და ა.შ. მაშინ როცა XVI საუკუნის კანუნ-ნამეების მიხედვით, ორ დონუმ მიწაზე ერთი ახჩა გაიღებოდა.<sup>3</sup>

სკებზე გადასახადს საციციანოს ნაპიე იხდიდა 8 870 ახჩას. ჩვენი გამოანგარიშებით თითო სკაზე იღებდნენ 2-დან 2,5 ახჩას, რამოდენიმე სოფელში - 3,5 ახჩას, ფუტკრის პროდუქტიულობიდან გამომდინარე. სკების რაოდენობა საციციანოს ნაპიეში დაახლოებით 4 435-ცალ სკას შეადგენდა. დავთრის მიხედვით გაურკვეველი რჩება თაფლის და მეფუტკრეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი პროდუქტის ფუტკრის ცვილის ფასი, რომელიც ძველთაგანვე ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ყოველ სოფელზე დაახლოებით 40 სკა მოდიოდა. მეფუტკრეობის განსაკუთრებული პირობების მქონე საციციანოს მთიანი გაპარტახებულ-გაუკაცრიელებული სოფლებისათვის, მძიმე ოსმალური გადასახადის გამო შემოსავლიანი დარგი არ უნდა ყოფილიყო.

ამას ვერ ვიტყვით მეცხვარეობაზე. იგი მეცხოველეობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული, ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. საციციანოს ნაპიედან ჩანს, რომ ცხვრის გადასახადი ყოველ სოფელზეა შეწერილი და მეცხვარეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება, მომთხოვნელობა ჰქონდა ოსმალთა მხრიდან და დაბალი გადასახადით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცხვრის გამოსაღები გამოიხსნა იყო სულთნის ლაშქრის შესანახად. დავთრის მიხედვით საციციანოს ნაპიეში ცხვრის გადასახადი შეადგენდა 38 015 ახჩას. მკვლევარ ნ. შენგელიას მოსაზრებაზე დაყრდნობით აღნიშნული ცხვრის გამოსაღების ტრადიციული წესის მიხედვით „ორ ცხვარზე - 1 ახჩა“<sup>4</sup> გაიღებოდა. აქედან გამომდინარე შევძელით გამოანგარიშება, რომელმაც შეადგინა 19 000 სული ცხვარი საციციანოს ნაპიეში, თუ ბატკნების რაოდენობასაც გავითვალისწინებთ, აშკარაა მეცხოველეობის ამ დარგის რენტაბელობა, რასაც ვერ ვიტყვით მესაქონლეობაზე.

საციციანოში მესაქონლეობის განვითარებაზე ძნელია რაიმეს მტკიცება ფაქტობრივი მასალების ნაკლებობის გამო. ოსმალურ პირველწყაროში, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარში, არსად არის ნახსენები გადასახადი მსხვილფეხა საქონელზე: ძროხაზე, ხარზე, კამეჩზე, თუ არ ჩავთვლით ძირითად გადასახადად ერბოს, რომლის ფასს ნაპიეში შეადგენდა 18 239 ახჩას. თითოეულ კომლზე 5, 3 ახჩა მოდიოდა, აქედან გამომდინარე მესაქონლეობა მეცხვარეობას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა და ვფიქრობთ, არარენტაბელური დარგი უნდა ყოფილიყო. თუმცა მიწის დამუშავების მთელი სიმძიმე მას ემყარებოდა და ოსმალური მიწათმფლობელობის დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა, რადგან გადასახადების გარდა ნაპიეს მოსახლეობა დაბეგრული იყო ათასგვარი ვალდებულებებით<sup>5</sup>. ისინი ავალდებულებდნენ შეესრულებინათ სხვადასხვა სამუშაოები, გაეწმინდათ და მოეწესრიგებინათ სარწყავი სისტემა, აეშენებინათ ოსმალთა მოხელეთა საცხოვრებლები, შეეკეთებინათ გზები და ხიდები, მოემარაგებინათ შეშით, გადაეზიდათ ტვირთი (მათ შორის სამხედრო), ევალეობდათ საგანგებო

<sup>1</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 168,135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 142, 151, 154,172, 190, 203.

<sup>3</sup> ნ. შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI საუკუნის ოსმალეთში, თსუ შრომები ტ. VI, ნაკვ.2, თბ., 1962. გვ.124-127.

<sup>4</sup> ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II, თბ., 1960, გვ. 296-297.

<sup>5</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 229, დოკ. №320; გვ. 259, დოკ. №370.

გადასახადების გაღება საომარი ოპერაციების დაწყებამდე საბრძოლო გზების გაყვანის, მათი უსაფრთხოების და მოლაშქრეთა სხვა შესანახი ხარჯისათვის. ამის საილუსტრაციო დოკუმენტია, ჩვენამდე მოღწეული ყაფლანიშვილების მამულის 1724-1735 წწ. მირისა და სარდლის გზის ხარჯის ნუსხა. საათაბაგოსაკენ გამავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზების გამო ვფიქრობთ, საციციანოს ნაპიესთვისაც ასეთი ხარჯები, სავალდებულო უთუოდ იქნებოდა.<sup>1</sup> კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისაღეში სურსათის გადასახადის შესახებ ვკითხულობთ: „ეს გადასახადი გაიწერება რეაიაზე ომის დროს. სურსათი გაიღება ქერის, ხორბლის, ფქვილის, შემის სახით იმ ზომით, რა ზომითაც არის განსაზღვრული. რაიას მიაქვს დანიშნულ ადგილზე ... თუ ომი არ არის, რაიასგან სურსათის გადახდევინება არ შეიძლება.“<sup>2</sup>

აღნიშნული დოკუმენტები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ იხდიდნენ არა მარტო სურსათის გადასახადს, ოსმალთა ხშირი ლაშქრობებისას, იმ ადგილობრივი მოსახლეობისაგან, სადაც ლაშქარი გაჩერდებოდა, არამედ ამას ემატებოდა ფეშქაში და სამასპინძლო - გადასახადის ამკრეფთათვის, საფინანსო მოხელეების დაბინავება - გამასპინძლებისთვის, რომელთა ნაწილის გადახდის სიმძიმე მსხვილფეხა საქონელზე მოდიოდა.

საციციანოს ნაპიესში ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული მეღორეობა, დავთრიდან ჩანს, რომ 37 სოფელში გადასახადების ჩამონათვლის სიაში არ არის გადასახადი ღორზე. სამაგიეროდ სხვა სოფლებში ღორზე გაცილებით მეტს იხდიდნენ -11856 ახჩას. დარგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეცხოველეობის სხვა დარგებს. მეღორეობის განვითარებას წინააღმდეგობა უთუოდ ექნებოდა ოსმალთა რელიგიური დოგმების გამო.

ოსმალეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა სათიბების და საძოვრების მოვლა-პატრონობას, რომელთა შემოღობვა და დათესვა აკრძალული იყო. მათი დაცვის მიზნით ბადიჰავას ჯგუფის, საკმაოდ დიდი გადასახადებით იბეგრებოდნენ დამნაშავენი. საციციანოს ნაპიეს თივაზე - 2985 ახჩას იხდიდა.

საციციანოს ნაპიესში მოსახლეობის პირადი ცხოვრების განკარგვის უფლებაც ოსმალთა ხელთ იყო. არუსანე კომლობრივი საქორწინო გადასახადი იყო. ზოგიერთი სოფლის გადასახადის ჩამონათვალში მის მაგიერ პირდაპირ საქორწინო გადასახადი გვხვდება და განსაზღვრულია ყველგან 120 და 180 ახჩით. სულ ნაპიეს იხდის 9955 ახჩას. როგორც დავთრიდან ჩანს, რამოდენიმე მცირეკომლიანი სოფელია გათავისუფლებული ამ გადასახადისგან, ესენია: ვანდათუბანი, ბილი, მილსი, ზათათრისი, ძამა, აგარა, ხანდისი, ქარბუდეთი. აღნიშნული სოფლები მცირეკომლიანია, როგორც ჩანს ძირითადად ხანდაზმული ადამიანების ამარა დარჩენილი, გაუკაცრიელების პირას მისული სოფლებისთვის საქორწინო გადასახადისგან გათავისუფლების შეღავათი ამჯობინეს. დავთრის მიხედვით ბადიჰავა გაერთიანებულია სხვადასხვა გადასახადების ჯგუფში.<sup>3</sup>

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით ამ გადასახადთა ჯგუფიდან ბადიჰავა<sup>4</sup> პერიოდული და შემთხვევითი არ არის, პირიქით იგი ყოველწლიური გადასახადია საციციანოს ნაპიესში. მართალია, ცალკე ბადიჰავაზე რამდენი ახჩა მოდიოდა დაანგარიშებული არ არის. სამაგიეროდ 58 კომლიან სოფ. ავნუში მითითებულია, რომ სოფელი იხდიდა, მხოლოდ „ნახევარ ბადიჰავას -120 ახჩას“.

ამრიგად, მარტო ბადიჰავაზე ამ გადასახადთა ჯგუფიდან მოდიოდა ყოველწლიური გადასახადი - 240 ახჩა.

ბადიჰავასთან ერთად გაერთიანებული იყო სხვადასხვა კატეგორიის გადასახადები ესენია: ჯურუმ<sup>5</sup> ჯიბაიეთის, იავასა და კაჩუნის,<sup>6</sup> (დაკარგული საქონლის, აყრილ - გაქცეული რაიას პოვნისას

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეარჩია, და გამოსაცემად მოამზადა ნ.ბერძენიშვილმა, თბ., 1955 წ. დოკ. №26. გვ. 37-39.

<sup>2</sup> А.Тверитинова, Второй трактат Кочибей „Учебные записки института Востоковедения“ VI, М. 1953, стр. 245;

\* ბადიჰავას ჯგუფის გადასახადებზე დახმარებისათვის მაღლობას ვუხდი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის პროფ. ჰარუნ ჩიმიქს.

<sup>3</sup> „ბად“ სპარსულად ნიშნავს ქარს. არაბ. ჰაერი, ჰავა. თურქ. ჰაერი, ამინდი, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგენელი, ორჰან მემიში, თბ. 2009, გვ.5.

<sup>4</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 168, 133-222.

შდრ. ნ. შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს. ოსმალეთში, თსუ შრომები ტ. VI, ნაკვ. 2, თბ., 1962. გვ. 142.

<sup>5</sup> cürüm-დანაშაული. ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგენელი, ორჰან მემიში, თბ., 2009, გვ. 269. ჯურუმ ჯიბაიეთი-გადასახადი დანაშაულზე.

<sup>6</sup> იქვე, 1) გაქცევა, 2) დაკარგვა, გვ. 332

დაკისრებული გადასახადი). ბეითალმალის ამესა და ხასეს,<sup>1</sup> დიმე დიეთის,<sup>2</sup> თაიარეთ საირე,<sup>3</sup> მალი გაიფ ვე მალი მეფკუდი.<sup>4</sup> უპატრონო, ან აყრილ-გაქცეულთა მიწა გადადიოდა სახელმწიფო (სულთნის სახასო) მფლობელობაში. აღნიშნული თარიღიდან სამ თვეში თუ გამოჩნდებოდა მისი მემკვიდრე და ამას დასაბუთებდა არგუმენტებით მაშინ დაუბრუნდებოდა მემკვიდრეს. თურქოლოგი მკვლევარი ს. ჯიქია აღნიშნავდა: „ამ კატეგორიისათვის ტიპიურია გადახდის არაპერიოდულობა, შემთხვევითია, მაგ. საქორწინო გადასახადი, ჯარიმა რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის და ბოროტმოქმედებისათვის, გადასახადი ნაპოვნ ცხოველებზე, გაქცეულ ყმებზე, დაკარგულ ნივთებზე და სხვ.“<sup>5</sup> ვეთანხმებით აკად. ს. ჯიქიას მოსაზრებებს, მაგრამ დამატებით აღვნიშნავ, რომ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის მიხედვით საქორწინო გადასახადი ბადიჰავას ჯგუფისგან სრულიად ცალკეა. აქ ჩანს მხოლოდ სხვადასხვა შემთხვევით ჩადენილ დანაშაულებებზე დაწესებული ერთჯერადი გადასახადები (ჯარიმები). ჯარიმები ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით მკვეთრად შეცვლილია. ისჯებიან დანაშაულის საიდუმლოს შენახავნი და მფარველნი, თივის, საქონლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სხვ. ქურდობისთვის, სხვადასხვა ზარალის მიყენებისთვის, აყრა-გაქცევის მცდელობისთვის და სხვა. დავთარში ნახსენებია აგრეთვე ბეითალმალის ამესა და ხასეს გადასახადი, სადაც გვხვდება ძირითადად ორივე მნიშვნელობით, ე.ი ბეითალმალის ამესა გადასახადი რჩებოდა მიწის მფლობელს, ბეითალმალის ხასეს გადასახადი კი საციციანოდან (სულთნის სახასო) მიწებიდან სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.

დავთარი მიაჩნდება მომრავლებულ ნასოფლარებს, დაცარიელებულ ეკლესიებს, რომლებიც სათესველების, ცარიელი „რეაიას“ მისანიშნებელ პუნქტად გადაქცეულა. კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ საციციანოს ნაპიეში მისანიშნებლად არსად სახელდება ციხე-სიმაგრეთა სახელები. რაც პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოსმალების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხე-სიმაგრეებს ხშირად სულთნის სპეციალური ბრძანებით ანგრევდნენ.

ამდენად, სწორედ საციციანოს ნაპიეს სტრატეგიული მდებარეობის და ანტიოსმალური აჯანყებების თავიდან აცილების მიზნით, იგივე გავრცელდა ატენის, წედისის, მძოვრეთის, სამწვერისის, აბუჰალოს და სხვ. ციხე-სიმაგრეებზე. ანტიოსმალურ განმათავისუფლებელ ბრძოლებში დაუმორჩილებლობით ცნობილი საციციანოს ბრძოლებიდან გამომდინარე, სულთნის მთავრობა ერთის მხრივ, შიშობდა ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდებათ ადგილობრივ მმართველებს არ მისცემოდათ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. მეორეს მხრივ, არ გამხდარიყო საჭირო ოსმალეთის სამხედრო ძალების დიდი ნაწილის უმოქმედოდ დაბანდება. მაშინ, როგორც წესი, სიფაჰებს (მხედრები) ოსმალური კანონმდებლობით უნდა მისცემოდათ თიშარები ახლად დაპყრობილ სოფლებში, რაც კიდევ უფრო მტრულად განაწყობდა ადგილობრივ მოსახლეობას მათ წინააღმდეგ, ან უნდა დაექირავებინა ადგილობრივი მოსახლეობა, დამხმარე ძალად, რომლებიც განსაკუთრებულ პრივილეგიებს მოითხოვდა, მათი მომძღვრება კი სულთნის კარის გეგმებში არ შედიოდა და თანაც მათი „ერთგულების“ ოსმალებს არ სჯეროდათ. ამიტომ იძულებულები იყვნენ რეგულარული არმიის მცირე ნაწილი სარეზერვოდ ჰყოლოდათ, ციხე-სიმაგრეთა დანგრევა კი ბევრად უფრო უსაფრთხო იქნებოდა.

დავთრის მიხედვით ქართული ეკლესიის შესახებ პირდაპირი ცნობები არ ჩანს და ვფიქრობთ არც ფუნქციონირებდა, ნაპიეში არც მუსლიმურ სალოცავებზეა ცნობები. თუმცა ცნობილი ფაქტია, რომ ოსმალები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სისასტიკით ქართული ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ.

<sup>1</sup> „ოსმალეთის სინამდვილეში ბედთ -ულ -მალი ორნაირი იყო : ბედთ -ულ -მალი ჰასსა და ბედთ -ულ -მალი `ამმე- ე. ი.ბედთ -ულ -მალი სამეფო, სახელმწიფო და ბედთ -ულ -მალი სახალხო, საზოგადო.“ ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტები ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 178;

<sup>2</sup> მნა, კონა, ქართულ-თურქული ლექსიკონი შემდგენელი, ორჰან მეშიში, თბ., 2009, გვ. 281

<sup>3</sup> (დანაშაულის) საიდუმლოს შენახვა, ქართულ-თურქული ლექსიკონი შემდგენელი, ორჰან მეშიში, თბ., 2009, გვ. 382.

<sup>4</sup> მალი გაიფ-ნიშნავს დაკარგულ საქონელს, ჩამოწერილ თანხას. იგი საფინანსო უწყების მიერ ხშირად იხმარებოდა დოკუმენტების შედგენისას და გარკვეული თანხის უქონლობის, დანაკლისის გამომხატველი ტერმინი იყო.

მალი გაიფ ვე მალი მეფკუდი-უპატრონო მიწის, უნებართოდ დასაკუთებისათვის დაწესებული ჯარიმაა. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, წიგნი I, თბ., 1987, ტერმინოლოგიური შენიშვნები, გვ.274.

<sup>5</sup> ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტები ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 184;

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სოფ. ატენის<sup>1</sup> გადასახადთა ჩამონათვალში, მურახხასიე გაბრანი,\* რომელიც შეადგენდა თითოეული კომლიდან 30-30 ახჩას. აქედან ჩანს, რომ მთელ საციციანოს ნაჰიეში მხოლოდ ატენის საეპისკოპოსოში ფუნქციონირებდა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მცირე მამულებს ინარჩუნებდა.

სახეზე გვაქვს მძიმე გადასახადი სასულიერო პირზე და სოფლის მრევლზე. ყმა-მამულის, საეკლესიო სიმდიდრის ჩამორთმევით, ცდილობდნენ ეკონომიკურად ისე დაესუსტებინათ ქრისტიანული ეკლესია, რომ ანტიმაჰმადიანური მოძრაობის პროპაგანდა ვეღარ შეძლებოდა. „ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა კი გულისხმობდა არა მარტო ქრისტიანობის განმტკიცებას, არამედ უპირველეს ყოვლისა, ქართული მიწისმფლობელობის დაცვას, რამდენადაც გამაჰმადიანებას უშუალოდ თან სდევდა არსებითი ხასიათის ცვლილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და მიწათსარგებლობის წესებში.“<sup>2</sup>

ამრიგად, ოსმალთა ხელისუფლება გამიზნულად ყველაფერს აკეთებდა, რათა ეკონომიკურად დაესუსტებინა ქრისტიანული ეკლესია, მისი მფარველობის და სიძლიერის რწმენა ისე შეერყიათ, რომ ადვილად განდგომოდნენ ქრისტიანობას, რათა დამორჩილებულ მოსახლეობაში ადვილად შეეშადებინათ ნიადაგი ისლამის გასავრცელებლად და „ოსმალთა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) დამკვიდრებისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით სასულიერო პირებს უჭირდათ ყადის სასამართლოში სამართლიანი ჰუჯათი მიეღოთ. 1734 წელს სოფელ ატენის მცხოვრები, ვინმე მარიამ მოლოზანი და მისი შვილი ვახტანგი სამი წლის წინ...ორმოცდახუთ ყურუშად დაგირავებული საკუთარი ბაღ-ვენახის დაბრუნებას ითხოვდა „ზიმმის პაპუნა დოქიძესგან... აღნიშნული წლების განმავლობაში მოწეულ მოსავალს თვითონ იღებს და ... მომჩივნებს კი საბოლოოდ უარი ეთქვათ საჩივარზე.“<sup>3</sup>

ოსმალთა მოხელეთა ხელში აღმოჩნდა საციციანოს ნაჰიეს მნიშვნელოვანი ადგილ-მამულები, რასაც ნათლად წარმოგვიდგენს აჰმედს ხან მეჰმედის ძის თურქული ფირმანი: „...ამას წინათ გორის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში ატენ და წედისად წოდებული სოფლების სარჩო-საკვების წესით მფლობელი მუსტაფა ფაშა გარდაიცვალა და ეს მამული გათავისუფლდა. ამიტომ ახალი აღწერის შესაბამისად [1727 წ. 11.V]... დიდებული მუშრების ... ჩილდირის ვილაიეთის მფლობელის, თბილისის ციხისთავისა და ჩემი ვეზირის ისჰაკ ფაშას მიერ ...იჯმალის (მოკლე) დავთრის სათანადო შესწორებით, ეს ოცდაერთი ათასი ახჩა შემოსავლის მქონე ზეამეთი<sup>4</sup> ებოძა წყალობის მაძიებელს მის შვილს...ალის... ამიტომ აღნიშნული ოცდაერთი ათასი ახჩიანი ზეამეთი...ახალჩატარებული აღწერის შესაბამისად ვუბოძე ზემოხსენებულ ალი მუსტაფას ძეს .... იმ პირობით, რომ თავის სანჯაყში იცხოვროს და თავისი ალაიბეგის<sup>5</sup> დროშის ქვეშ ლაშქრობაში გამოვიდეს, და, ზემოხსენებული ვეზირის თეზქერეს საფუძველზე მივეცი, რაც აქვე იხსენიება: სოფ. ატენი უზნებითურთ ... შემოსავალი 15 000 ახჩა. სოფ. წედისი სოფელ ბნავისითურთ და სათესველით ... შემოსავალი 6 000 ახჩა. ჯუმალი -21 000 ახჩა ....მის მფლობელობაში იყოს, ისე, რომ... საფადიშაჰო სამსახურებრივი მოვალეობანი და სამადლობელი სამსახური სამეფო და ძლევაშოსილი

<sup>1</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქია და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ.173.

\* მურახხასიე გაბრანი - ოსმალეთის იმპერიაში ეპისკოპოსებისათვის დაწესებული ოსმალური გადასახადი. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები ნ. შენგელია, წიგნი I, თბ., 1987, ტერმინოლოგიური შენიშვნები, გვ. 276.

<sup>2</sup> ვ. გაბაშვილი XVIII ს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, თსუ შრომები ტ. 91, თბ., 1960, გვ. 346.

<sup>3</sup> ს.ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 187.

<sup>4</sup> ზეამეთი - სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი. საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 20 000-დან 100 000 ახჩამდე. აკრეფილი გადასახადი ზიამეთის მფლობელის იყო. თიმარი-სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მცირე მოცულობის მიწის ნაკვეთია, რომლის წლიური შემოსავალი 2-3 ათასი ახჩიდან 19 999 ახჩას შეადგენდა. უფრო დიდი სახელმწიფო მიწების კატეგორია ხასი სამხედრო, ან ადმინისტრაციული სამსახურის პირობით ეძლეოდათ სულთნის საგვარეულო წევრებს, ვეზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაყბეგებს, რომლის წლიური შემოსავალი 100 000 და მეტი ახჩა იყო.

<sup>5</sup> ალაი-ბეგი - სანჯაყბეგისადმი დაქვემდებარებული სიფაჰიების ლაშქრის მეთაურთა უმაღლესი ჩინი. მისი მოვალეობა იყო შეეყარა და სანჯაყის ბეგთან მიეყვანა მთელი სანჯაყის თიმარის მფლობელი სიფაჰიების ლაშქარი, რომელსაც უშუალოდ მეთაურობდა. ზოგჯერ სანჯაყში რამდენიმე ალაი (ჯარის ნაწილი) იყო, ფეოდალური ლაშქრის ერთეული. მისი ხელქვეითი იყო რამდენიმე სუბაში, რომლებიც 250-300 სიფაჰის მეთაურობდნენ ომში და მშვიდობიან დროს ყაზაში (სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული) წესრიგს იცავდნენ და გადასახადის ასაკრეფად იგზავნებოდნენ. ალაი-ბეგს დიდი ზიამეთი ეძლეოდა სამსახურისათვის. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურდიემ, ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 130;

ჯარისადმი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ და მტკიცედ შესრულოს. ზეამეთზე მობინადრე მოსახლეობამ ზემოაღნიშნული სუბაშად იცნონ სასუბაშოსადმი განკუთვნილი საქმეების გამო ზემოხსენებულს მიმართონ. ამ საქმეში არავინ ჩაერიოს და არავინ ხელშემშლელი და წინააღმდეგობის გამწევი არ იყოს.“<sup>1</sup>

დავთრის მიხედვით უშუალოდ არ არის მითითებული ზიამეთების, თიმარებისა და სხვა მიწისმფლობელობის კატეგორიები, თუმცა მასზე აშკარად მიუთითებს ოსმალური გადასახადები. აღნიშნული დოკუმენტი თვალსაჩინო მაგალითია „ოსმალის“ დამკვიდრების რეალური ცდებისა, ქართული მიწები ერთი სულთნის ფირმანით, როგორ უვარდებოდათ ხელთ მის მემკვიდრეებს ზიამეთების სახით, სამაგიეროდ შემოსავალი - 21000 ახჩა მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს. შემოსავლის ყოველ 5 000 ახჩაზე ვალდებული იყო ერთი შეიარაღებული მხედარი - ჯებელი\* გამოეყვანა. სიფაჰიების ლაშქრის მეთაურის, ალაიბეგის დროშის ქვეშ ლაშქრობისას გამოსულიყო თავის მხედრებიანად. ზეამეთის მფლობელობასთან ერთად, მასვე ევალეზოდა ზეამეთის მოსახლეობაზე გადაწყვეტილების აღსრულება, საპოლიციო სამსახურის, „სუბაშის“ საქმეების აღსრულება. ე.ი. ადგილობრივ მოსახლეობაზე ზედამხედველობა და ყადის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაც მიწის მფლობელის ხელში იყო.

საციციანოს ნაჰიეს მამულებზე ოსმალური გადასახადების დაწესების შემდეგ, ქართლის ფეოდალების მსგავსად მოითხოვეს ციციშვილთა საგვარეულოს თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ახლიდან მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან, რა თქმა უნდა ქრისტიანობის შენარჩუნებით. გადატანილი ანტიოსმალური განმათავისუფლებელი ბრძოლების ექო და შეუპოვარი წინააღმდეგობა აიძულებდათ პირველ ხანებში ფრთხილი, შენიღბული პოლიტიკით ჯერ თავის მხარეზე გადაებირებინათ ქართველ დიდგვაროვანთა ნაწილი, მათი გული მოეგოთ ქრისტიანობის შენარჩუნებითაც, მიეცათ გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები, ამით გაეთიშათ ქართველთა ერთიანობა. რაც ოსმალთა მხრიდან მხოლოდ დროის მოგების ფაქტორით აიხსნებოდა. ამით ასევე ცდილობდნენ ქართველ თავადაზნაურობას ეცნო ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები და ეცნო მათი ქვეშევრდომობა, ამასთან აეღოთ ვალდებულება ოსმალური გადასახადების გადახდაზე.

1728 წლის საბუთით, თბილისის დავთარდარი აბდურაჰმანი თავად ქაიხოსრო ციციშვილს უდასტურებს სოფ. მონასტერში მდებარე ვენახი გადაეცეს მას უშურისა და გადასახადების გაღების პირობით. მასვე მოეთხოვებოდა ამავე ქართულ მიწებზე მცხოვრებ გლეხებზე პასუხისმგებლობა გადასახადების გადახდაზე და სამართლებრივ საკითხებზე. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი დაკარგავდა ამ უფლებას და სხვას გადაეცემოდა.<sup>2</sup> ოსმალთა ამ პოლიტიკას მართლაც მოჰყვა დაწინაურებულ ციციშვილთა მიერ სახლისკაცთა ყმა-მამულების დასაკუთრება. ხშირად ბევრი მათგანი საერთოდ ჰკარგავდა საგვარეულო ქონებას. ოსმალური ხარკის გადახდაზე, აყრილ - გაქცეული გლეხების ადგილებზე დაბრუნების პასუხისმგებლება, სწორედ მეზატონეებს ეკისრებოდათ ბადიჰვასთან გაერთიანებული გადასახადით. ამის დამადასტურებელი ცნობები გვხვდება დოკუმენტებსა და იჰსაყ-ფაშას ოქმებში.<sup>3</sup> აყრილ-გაქცეულები თავს აფარებდნენ, როგორც ძლიერი ფეოდალების მამულებს, ასევე შემორჩენილ სამონასტრო მიწებს.<sup>4</sup> მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას საციციანოს ნაჰიეს მოსახლეობა ზოგჯერ ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებსაც მიმართავდნენ. გასაგები მიზეზების გამო ფაქტობრივი დოკუმენტები მწირია, მაგრამ შევძელით ამ მხრივ საინტერესო 1725 წლის ნასყიდობის წიგნის მოკვლევა, სადაც მეკურტნე იოსება კუდაშვილი, ბაგრატ ციციშვილს მიმართავს: „ორ კაცს თათარი შემოგვაკვდა და იმის სისხლში მოვიდნენ და მამა და ჩვენ მივყავდით ფაშასთან და სისხლსა გვთხოვდენ. ახლა ჩემდა წილათ თეთრიც თქვენ გაიღვეით და კიდევ დამიხსენით... სხვა ღონე რომ არა მქონდა და არც თეთრის გადაჯდა შემემლო, ავიღე და ჩემი თავი ჩემის ცოლითა და შვილით ნასყიდობით მოგართვი...“<sup>5</sup> უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დაღწევის იშვიათი გზა გამაჰმადიანება იყო. შანშე ერისთავი, რომელიც ატენში ვენახებს ფლობდა და ამის თაობაზე ჯავახიშვილებთან სამამულო დავაც ჰქონია, მანუჩარ

<sup>1</sup> ს. ჯიქია, მაწევანი და ატენი თურქულ საბუთებში, II, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1972, გვ. 215.

\* ჯებელი, ბრძოლის დროს თიმარის, ზიამეთის სიფაჰიებისათვის იარაღის მიმწოდებელი ცხენოსანი ლაშქარი. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები ნ. შენგელია, წ. I, თბ., 1987, ტერმინოლოგიური შენიშვნები, გვ. 288.

<sup>2</sup> ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 226.

<sup>3</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1940, დოკ. №290, №291, გვ. 207; დოკ. №292, გვ. 208.

<sup>4</sup> იქვე, დოკ. №300, გვ. 211; დოკ. №301, გვ. 212; დოკ. №294, გვ. 208; დოკ. №319, გვ. 223.

<sup>5</sup> იქვე, დოკ. №302, გვ. 213.

გლურჯიძისადმი მიწერილ წერილში აღიარებდა: „ერთი ჩემ[ი]ს აზნ[ა]ურიშვილის ბუმი გათათრდა აგერ უწინვე, ვინ იცის, კაცი დაეჭრა, თუ მოეკლა. სტანბოლს იყო. ახლა იქიდან გორის ფაშასთან მოსულიყო. აქ ჩემთან მოვიდა ორი კვირა დაყო ორი ტყვე მამპარა და მაშინვე წამოვიდა [ატენს]“. შანშეს ტყვეების დაბრუნება თავადაც სურდა, მაგრამ პასუხისმგებლობას მკაცრად სთხოვდნენ მეზატონეს. ილაჯგაწყვეტილი სინანულით აცხადებს: „თათარმ[ა] მოკლას ვინმე, სისხლი მე უნდა გ[ა]ვიღო, ქ[ა]რთველამა მოკლას და სისხლი მე უნდა გავიღო, მაგ სასამართლოს არ შეიწყობს... ოცდაათი თუმანი მიმიცია, თავის წიგნს მივსცემ და ჩემს თეთრს გამოვართმევ.“<sup>1</sup>

აღნიშნული დოკუმენტი ამყარებს დავთარის ცნობებს საციციანოს ნაპიეზე. შანშე ერისთავი შეგუებულია იმ აზრს, რომ ვენახის მფლობელობის უფლებას აღარ მისცემდნენ, რადგან ცნობილი იყო, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეზატონეები კარგავდნენ ყმა-მამულის მფლობელობის უფლებას. ასევე ნათელი ხდება, რომ ოსმალებისგან ვენახის მფლობელობის უფლების მისაღებად საკმაოდ დიდი საფასურის გადახდა უწევდათ.

დავთარში გამუსლიმანების 14 ფაქტი გვხვდება. დავთარდარი განსაკუთრებულ აქცენტს ძირითადად აკეთებს ახლად გამუსლიმანებულებზე: „სოფ. ქუდირში მეჰმედ ძე აბდულლაჰისა და მისი შვილი ახლად გამუსლიმებულია.“ 26 კომლიან სოფ. დულუში მიუთითებენ ახლად გამუსლიმებულ - ალი ძე აბდალლაჰის შესახებ.<sup>2</sup>

საინტერესოა, რომ ოსმალთა არ სცნობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ ფენებს. ამის განურჩევლად მძიმედ იბეგრებოდა ქართველი თავადაზნაურობა. დავთარში ისინი შეყვანილი ჰყავთ რიგით გადამხდელთა შორის სახელებითა და მამის სახელებით, რომელთა იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია. ფაქტიურად სახეზეა არსებული სოციალური ფენების ლიკვიდაციის მცდელობა. დროთა განმავლობაში მათი დიდი ნაწილი დატაცდებოდა, მიწები დაუმუშავებელი რჩებოდათ, გაურბოდნენ ყმა-გლეხები, ამას ემატებოდა დაღესტნელთა გახშირებული თავდასხმები.<sup>3</sup> მოსახლეობის სოციალური ფენები უკმაყოფილონი იყვნენ „ოსმალთა“, როგორც ჩანს არ გამოჰპარვია პორტას ქართველთა ასეთი განწყობა. სულთანის ფირმანითაც მოითხოვდა მათგან მორჩილებას და ქვეშევრდომობის ვალდებულების დაცვას: „...ყველა თავადი აზნაური ჩემს მაღალ სამსახურში ზემოხსენებული ვეზირების განკარგულებებსა და ბრძანებებს დაემორჩილეთ და შეასრულეთ და როგორც ლეკთა ბრბოებისაგან თავდაცვასა და (მათთან) ბრძოლებში, ისე სხვა საქმეებშიც სულითა და გულით მთელი თქვენი ძალ-ღონე ბრძოლისუნარიანობა და შესაძლებლობა არ დაზოგოთ ...იმოქმედეთ ფირმანის შესაბამისად ... შესრულება და მორჩილება სავალდებულოა...“<sup>4</sup>

ოსმალურ გადასახადებზე პასუხისმგებლობა ხშირად ნასყიდი ყმა-გლეხების გაყიდვით მთავრდებოდა: „პაპუნა როჭიკაშვილი „ოსმალთაზე“ ყმების ნასყიდობის წიგნში აღნიშნავდა ... მე ძალი დამადგა საჯემწიფოს ხარჯის გასაღებად. გლეხის კაცის ჭირი მე გამომართვეს ოსმალებმა. ვალიც მემარ[თა], ავდექ და მოველ და შემოგეხვეწე და გამოგართვი ფასი სრული...მოგყიდე ჩემი ნასყიდი... ყმები.“<sup>5</sup>

ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, მიწები დაევირავებინათ და ამ გზით როგორმე შეენარჩუნებინათ სამკვიდრო მამულები, რადგან მძიმე ოსმალური გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში მამულებსაც დაკარგავდნენ და შესაძლოა ტყვეებადაც გაეყიდათ. მამულების გირავნობის საკითხი კი ხშირად სასამართლო დავამდე მიდიოდა. ვილაიეთის ცენტრის - თბილისის გარდა ყადი იჯდა გორსა და თრიალეთში. ყადი მართლმსაჯულებას შარიათის მიხედვით აწარმოებდა, ხოლო მისი განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ სუბაშებს. ამ მხრივ საინტერესოა 1733 წლის 23 იანვრის ჰუჯატი. რომელიც პირველ რიგში მიანიშნებს, ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესების შემოღებაზე: „...სოფელ მოვრეთის მცხოვრებმა, ამ საბუთის წარმომდგენმა ზიმშიმ ფარსადან ზაზას ძე ციციშვილმა (სისიოლიმ)... შარიათის (მუსლიმანურ) სასამართლოში აღძრა საჩივარი ქალაქ თბილისში სტუმრად ჩამოსულმა ახალციხის მცხოვრებზე ვინმე ჰასან აბდულ-ლაჰის ძეზე და მასთან პირისპირ განაცხადა შემდეგი... ერთი წლით ადრე კანონიერი გზით აღნიშნული პირისაგან ასი ყურუში ვალი

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1940, გვ. 210, დოკ. №297.

<sup>2</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილურად გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 195, 197.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 61-63.

<sup>4</sup> ს. ჯიქია, XVIII ს ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ.99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 154-155.

<sup>5</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1940, დოკ. №578. გვ. 412.

ავიღე. როდესაც მე სოფელ კეხიჯვარში ჩემდამი კუთვნილ ყანაზე დათესილი ხორბლისა და ქერის მოსავალი იმ დროს მოქმედი ნიხრის მიხედვით ორმოცი სომარი ხორბალი და ოცდაათი სომარი<sup>1</sup> ქერი ჩემი ვალის ასი ყურუმის\* ანგარიშში გადავიხადე, ზემო აღნიშნული პირი... ჩემი თამასუქის [დაბრუნებას] თავს არიდებს და უნდა რომ წამართვას ხსენებულ სოფელში მდებარე ჩემი მამულის კიდევ ერთი წლის მოსავალი... მოპასუხემ... განაცხადა: ხსენებული (ციციშვილის) სოფელ კეხიჯვარში მდებარე მამულიდან ორმოცი სომარი ხორბალი და ოცდაათი სომარი ქერი. მასზე გაცემული სესხის თანხაში იქნა ნაანგარიშევიო. ვინაიდან ....დავთქვით ჩემს განკარგულებაში ყოფილიყო [ეს მამული]ორი წლის განმავლობაში ამიტომ, მინდა ...დავეუფლო კიდევ ერთ წელიწადს ... საამისოდ ...მან საბუთი ვერ წარმოადგინა... წინადადება მისცეს [ციციშვილს] დაეფიცა, რომ აღნიშნული პირობა ერთი წლით იყო და არა ორი წლით. დასმული კითხვის შესაბამისად დაიფიცა: ვფიცავ ღმერთს, რომელმაც ჩვენ მოგვივლინა სახარება იესოსი იყოსმცა მასზე მშვიდობა. ამის შემდეგ ...თამასუქი ზემოხსენებულ ზიმის\* [ციციშვილს] გადასცეს...“<sup>2</sup>

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს რომ სასამართლო საქმეები თურქულ ენაზე წარმოებდა, რაც თავის მხრივ ოსმალური სამართლის ნორმების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად და ხელს უწყობდა გამუსლიმანების საფრთხეს, თუმცა ფარსადან ციციშვილი ქრისტიანი დარჩენილა. რაც შეეხება, ახალციხიდან მაჰმადიანი ქართველების გადმოსვლას საციციანოს ნაჰიეში დავთრის მიხედვით იშვიათი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ფიქრობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამაგალითო და მისაბამი გაეხადათ მაჰმადიან ქართველთა პრივილეგიები და შეღავათები, მეორეს მხრივ ხელს შეუწყობდა მათ ურთიერთობა-დანათესავებას, რაც მათი აზრით ერთგვარ სტიმულს მისცემდა გამუსლიმანებით თავი დაეღწიათ, მძიმე გადასახადებისაგან, ხოლო ახალგადმოსულებს ინფორმატორებად გამო- იყენებდნენ ვითარების გასაკონტროლებლად. მიუხედავად ამისა ოსმალებმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს გამუსლიმანება და ქართული ტრადიციული მიწათმფლობელობის სისტემის გაუქმება. პოლიტიკური ვითარების ცვლილებებისთანავე ქართული სახელმწიფოს აღდგენას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ამდენად, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ძირითადი პირველადი წყაროა, რომლის შესწავლით და ისტორიულ დოკუმენტებთან შედარებითი ანალიზით ირკვევა, როგორ შემოქმონდათ ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები და როგორ ამკვიდრებდნენ ოსმალურ საგადასახადო სისტემას. რაც მძიმედ აისახებოდა საციციანოს ნაჰიეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

## **OTTOMAN TURKEY TAXATION AND SOCIAL- ECONOMIC SITUATION IN SATSITSIANO NAHIESH ACCORDING TO TBILISI VILAYETI BIG REGISTER OF THE YEAR 1728**

**Manana Michitashvili, Gori State Teaching University, Associate Professor**

### **RESUME**

On the basis of the comparative analysis of “1728 Tbilisi Vilayati Big Register” and other documents the paper presents the introduction of the Ottoman Turkish rules regulating the relations between landowner and land user being different from Georgian feudal relations as well as the introduction of the Ottoman Turkish taxation system in Satsitsiano Nahiesh.

The Ottoman Turkish taxes are described in accordance with the register. The total of all Ottoman Turkish taxes is calculated including the household tax amount which clearly shows the predatory politics and hard social economic situation of Satsitsiano Nahiesh.

<sup>1</sup> სომარი - 16 კოდს, ან 288 კგ-ს შეადგენდა. გ. ჯაფარიძე ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973. გვ. 117.

\* ყურუმი - ვერცხლის ფული, რომელმაც ოსმალეთში 1687წლიდან შეცვალა გაუფასურებული ახჩა. 1ყურუმი 80 ახჩას უდრიდა. მანამდე ყურუმი(გროში) ეწოდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ვერცხლის ფულს, რომელიც ოსმალეთშიც ტრიალებდა. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 167.

\* ზიმმი - ზეამეთის მფლობელი. ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანი ქვეშევრდომი, რომელიც იხდიდა გადასახადს.

<sup>2</sup> ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 165.



## სოფელ ერედვის მოსახლეობა 1728 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სოფელი ერედვი ერთ-ერთი ძველი დასახლებაა ზემო ქართლში, იგი მდინარე პატარა ლიახვის ქვემო წელზეა გაშენებული. საქართველოს გაერთიანების ხანაში ხეობაში რამდენიმე ძველი აგებული, რომელთა შორის აღსანიშნავია სოფელ ერედვი მდებარე წმინდა გიორგის სახელზე აგებული ტაძარი, რომელიც 906 წელს ხუროთმოძღვარმა თევდორე თაფლაისძემ ააგო. ტაძარი სამეკლესიანი ბაზილიკაა, რომელიც დამშვენებულია ასომთავრული გრაფიკით შესრულებული ვრცელი ტექსტით, რომელიც მოთავსებულია სამხრეთის ფასადის მარცხენა მრგვალ სვეტზე. ძეგლს აქვს სხვა წარწერებიც.

დაწყებული ხსენებული დროიდან სოფელმა საუკუნეების განმავლობაში მრავალ გამოცდას გაუძლო, იცვლებოდა მოსახლეობა, ომისა თუ მშვიდობიანობის დროს, რომელთა ნაწილი დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში.

ამ წყაროებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზემოხსენებულ ერედვის წმინდა გიორგის ასომთავრული წარწერაა, რომელიც გვამცნობს გვარსახელებს, სოფლებს, მეფეებს, ასევე იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას.

ერედვის თემი დიდი დასახლებაა, რომელიც უზნებისაგან შედგება, მაგრამ თურქულ ტექსტში მოცემულია მხოლოდ წმ. გიორგის ეკლესიის დასახლება, რომელიც დღესაც ამ ადგილზე ლოკალიზდება და ემთხვევა ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე აღნიშნულ საკულტო ნაგებობას, რომელსაც აქვს წარწერა „ერედვი“ (ვ. ბაგრატიონის რუკა, 1745). სათანადო ნიშანი კი არის ჯვარი, რომელიც სხვა პუნქტებზეც არის დასმული.

რაც შეეხება თურქულ წყაროებს, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის ვრცელი დავთარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავცნოთ მეთვრამეტე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების თურქულ სამყაროს, მის მთელ რიგ პრობლემებს, პოლიტიკურ ვითარებას, საგადასახადო სისტემას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სხვა.

ხსენებული დავთარი გამოვიდა 2009 წელს სათაურით „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქია და პროფ. ნოდარ შენგელიამ.

დავთარში სოლიდურად არის წარმოდგენილი ფეოდალური ერთეული საამილახორო, რომლის ცენტრი მდინარე ლეხურის ხეობის სოფელ ჭალაში მდებარეობდა. სულ ქართლის რეგიონში აღწერილია ასორმოდდაათზე მეტი სოფელი, რომელიც საამილახოროზეა მიკუთვნებული, უფრო სწორად ასეთი ფორმით „ექვემდებარება ამილახვარს“. ჩანს, რომ ამ წოდებით იმდროის ცნობილი მაგნატი და სარდალი გივი ამილახვარი უნდა იყოს ნაგულისხმევი, რომელმაც ქართლის ციხე-სიმაგრეები გაამაგრა და ირანელებს ებრძოდა ოსმალთა დახმარებით. მთელი რიგი სოფლების მფლობელებია ციციშვილები, ავალიშვილები, ასევე ფეოდალები პეტრე, შანშე და სხვები.

სოფელ ერედვი სულ არის 70 კომლი, 50 სახლი, მიწის დღიური მფლობელობა 50, სამეუფეო ველის მფლობელობა 20, სამეუფეო ველის დღიური მფლობელობა, ასევე 20.

ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები: ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ვენახზე, ერბოზე, სკაზე. ასევე გადასახადებია: ცხვარზე, ღორზე. ხსენებული გადასახადები, როგორც ერედვიზე, ისე ყველა სოფელზეა გაწერილი და მათ ხსენებასთან ერთად გადასახადებიც გამეორებულია.

განსხვავებით ქართლისაგან, ოსმალური წესით მხოლოდ საკუთარი სახელებით არის აღწერილი კომლები, დასახლებულია კომლთა უფროსები, ასევე ვინ ვისი შვილია, ან ძმა ან ბიძაა.

აღწერის ტექსტში მოცემული ძუნწი ცნობების მიუხედავად, საკუთარ სახელებში, რომლებიც სხვადასხვა ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი კარგად ჩანს ქართული ენის მეთვრამეტე საუკუნის ოციანი წლების მახასიათებლები, ძველი და ახალი ქართლის ბუნება, რომლებიც ფონეტიკურ, ლექსიკურ და სიტყვათწარმოების მოდელებში მჟღავნდება.

სოფელში იმ დროისათვის რამდენიმე სახელი გამოირჩევა მეტი გავრცელებულობით. ასეთებია მაგალითად ხმოვანფუძიანი გიორგი, გვხვდება:

გიორგი ძე ქაიხოსროსი  
გიორგი ძე ბაბუნასი  
გიორგი ძე გელიკასი



გიორგი ძე ოთარისა  
თანხმოვანფუძიანებიდან:  
ბერი ძე ვახტანგისი  
ბერი ძე ბაბუნასი  
ბერი ძე თამაზისი  
ბერი ძე მახარასი

ფუძის სახით გვხვდება ძველი ქართულისებურად: შერამზან, თედორე, იასე, ზაქარ, გაბრიელ, ელიოზ, იორამ, სინავერ, დევურ.

აღწერაში გვხვდება ფონეტიკურად სახეცვლილი საკუთარი სახელები: ბაბუნ - ბაბუნა, ოთარა - ოთარი, ბერი - ბირა, ნათა - ბათა, ხოსია - ხოსიტა, ვახტანგ - ვახტან, ბათა - ბამა.

აღწერაში საკუთარი სახელები ხმოვანფუძიანები და თანხმოვანფუძიანები ორმარცვლიანია: ბერი, ბირა, ფირან, ბაბუნ, შიო, ნათა, დეკურ, ვახან.

ხმოვანზე გათავებული ფუძეები ძირითადად სამმარცვლიანია: ხოსიტა, მახარა, ზათუნა, ღუსიკა, ბასილა, ნასყიდა, გენება, გორგიკა, თამაზა, ვეშალა.

ასეთი ფორმის სახელები -ა დერივაციული სუფიქსით საკმაოდ არის წარმოდგენილი თათუნა, ჩუბინა, ოთარა, მახარა, ბაბუნა.

სახელები უკვე ოთხმარცვლიანი ხდება როცა -ი დერივაციული სუფიქსით საკუთარ სახელებს მამის სახელი როცა ემატება:

თამაზა ძე კანისასი  
გაბრიელ ძე თევდორესი  
თედორე ძე დათუნასი  
ხოსიტა ძე გოგინასი  
გიორგი ძე ივანესი  
გიორგი ძე გელიკასი

სუფიქსების დართვით ერედვის საკუთარი სახელები უფრო ემოციურ ელფერს იძენს. ასეთი მაწარმოებელია -ია სუფიქსი:

შოშია ძე გიორგისა  
დასია ძე შარდენისა  
ზათია ძე გიორგისა  
ხოსია ძე ნაჯუსირისა

ფუძის სახით წარმოდგენილ სახელებში, რომლებსაც მამის სახელი ერთვის ნათესაობით ბრუნვაში დგას და გავრცობილია:

ელიოზ ძე დავითისა  
ზათუნა ძე ელიზბარისა  
იორამ ძე თუმანისა  
საბა ძე გიორგისა  
ზათუნა ძე ფერიხანისა

ამავე დროს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ი ფუძისეულია მამის სახელებში:

ნასყიდა ძე გიორგისა  
შალვა ძე ოთარისა  
ზათუნა ძე ელიზბარისა  
იორამ ძე თუმანისა

ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები იკვეცება -ია მაწარმოებელი სუფიქსის დართვისას: ბობა - ბობია, დასა - დასია, ზათა - ზათია, ხოსა - ხოსია.

აღწერაში წარმოდგენილია მიცემით ბრუნვაში დასმული მამის სახელები, რომელიც განსაზღვრავს თუ ვისი შვილია ესა თუ ის პიროვნება. ამავე დროს ასეთი ნაწარმოებისას მამის სახელი გავრცობილია ი ხმოვნით:

გენება ძე ბაბუნასი  
თამაზა ძე ვანისასი  
გაბრიელ ძე თედორესი  
მახარა ძე კასიასი  
ივანე ძე ბირასი

ოსმალური აღწერები დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ რთულ პერიოდს მოიცავს. ამ მასალების ქართულ ენაზე გამოქვეყნებას უნდა მივესალმოთ, რომ

საშუალება გვეძლევა ქართულ ენაზე გავეცნოთ ჩვენი სოფლების ისტორიას. ეს კი სამომავლოდ ახალ პერსპექტივებს გვისახავს.

#### ლიტერატურა:

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.
2. ჭუმბურიძე ზ., როგორ გაჩნდა სიტყვა, ნაკადული, თბ., 1963.
3. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1982.
4. ოთინაშვილი ნ., ლიახვის ხეობის ონომასტიკა, ცსუ, 2002.

## POPULATION OF THE VILLAGE OF EREDVI ACCORDING TO OSMAL RECORDS IN 1728

Nikoloz Otinashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

### RESUME

The village of Eredvi is one of the oldest settlements in Zemo Kartli situated on the river of Patara Liakhvi. There is an old church built in 906 which gives us some information about political-cultural situation existing in those days' Georgia.

Eredvi is a big settlement but we can find only St. George church in Turkish text which we can see there even today.

The Big Document of Tbilisi Valiet, made in 1728 by Osmans is one of the most important materials which gives us real opportunity to get to know the Turkish World of that time, their tax system, the social-economic situation of the population, the political situation and other data.

According to the records there were 70 families, 50 houses, 50 owners of land etc.

According to the Osman rule, there are described only private houses, the number of families. Living there, the names of the heads of the families, mainly males.

Proper names are represented by different cases. We can clearly see the language peculiarities of that epoch, given with old and new Georgian realized by Phonetic, Lexical and wordbuilding models.

The proper names Beri, Giorgi, Makhara are repeated several times in the text.

The stems finished by vowels are mainly of three syllables, Makhara, Tamara, Vebala.

The proper names become of four-syllable when adding the suffix expressing the names of fathers. e.g. Tamaza the son of kanisasi. Khosita the son of Kokinasi, Giorgi, the son of Ivanesi.

In the report we will write about other language events as well.

## საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში

უჩა ოქროპირიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო  
ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ბოლო პერიოდში შეინიშნება თურქი ისტორიკოსების და, საერთოდ, თურქული საზოგადოების გარკვეული ნაწილის დიდი დაინტერესება ქართული პრობლემატიკით, რაც მისასაღმებელია და ახალ პერსპექტივას უქმნის ორი მეზობელი ხალხის მიერ ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი ჯანსაღი ინტერესის დაკმაყოფილებას, მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს ერთმანეთის თითქმის ხელახლა გაცნობისა და ურთიერთდაახლოების პროცესი უნდა ემყარებოდეს განვლილი ისტორიული მოვლენების ღრმად გააზრებულ და შინაარსობრივად მართებულ ხედვებს, რათა ეს ურთიერთობები თავიდანვე აიგოს ისეთ საძირკველზე, სადაც სიყალბე და რაღაცის გამო მწვავე ისტორიული მოვლენების სასურველად წარმოჩენის მცდელობები გამორიცხული იქნება.

თუ გვსურს ღირსეული სამომავლო ურთიერთობანი, იგი უნდა აიგოს ორივე მხარის მიერ ღირსების გრძნობით გააზრებულ წარსულის ცოდნასა და ჩვენივე ღირსებების თუ ცდომილებების ამლიარებელ ისტორიულ ნაშრომებზე, სადაც გამორიცხული იქნება ვიღაცის უპირატესობის უპირობო მიღებაზე აგებული იმპერიული თვალთახედვა. ჩვენ თუ მართლა გვსურს ერთმანეთთან ჭეშმარიტი მეგობრობა, ასეთი მეგობრობის საძირკველი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი ისტორიის აღიარებაა, სადაც დამპყრობელს დამპყრობელი ერქმევა, მჩაგვრელს – მჩაგვრელი, მოყვარეს – მოყვარე, მტერს – მტერი და ა.შ.

ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ “თავსა ახლად ვერვინ იშობს”, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის მომავლისათვის, ვალდებულნი ვართ დავივიწყოთ არცთუ სასიამოვნო წარსული, მაგრამ არა ტყუილებისა და ერთმანეთის კიდევ ერთხელ გაცუცურაკების ხარჯზე, არამედ ნამდვილად ადამიანური შეცდომებისა და სისუსტეების აღიარებით, რომელიც გაბრწყინებული იქნება ჭეშმარიტი მონანიების მადლით.

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულების ტენდენცია საერთოდ არ შეინიშნება თურქული საისტორიო სკოლის წარმომადგენელთა მიერ ამ ბოლო ხანს გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომლებიც საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიის ახალსა და უახლეს პერიოდს ეხება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი მოვლენები ძალიან ტენდენციურად არის გაშუქებული თურქი მკვლევარების, – ესინ დაის [ესინ დაი, ელვიე - I სელასე, (სამი სანჯაყი-ყარსი, ბათუმი, არტაანი), ახალციხე-ყარსი, სიმპოზიუმის შრომები, 2001, გვ. 89-99], ნურჰან აიდინს [ნურჰან აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა, დასახ. შრ., გვ. 134-149], ენვერ ქონუქჩუს, [ენვერ ქონუქჩუ, აღმოსავლეთ ანატოლიის უახლესი ისტორია, იქვე, გვ. 53-59], ქამილ ალაჯანის [ქამილ ალაჯანი, ერთი ავტონომიის ანატომია, გაზ. “ახალი ერა”, 2002, 1,(177), 8, I] და სხვათა ნაშრომებში, რაც მათში განხილულ საკითხთა ჭეშმარიტ ისტორიულ არსს ვერაფერს სძენს. მაგრამ, რადგანაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, აჭარის) გარშემო შექმნილი გარემოებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ისტორიული ტერიტორიების სუვერენული მფლობელობის უფლების პრობლემასთან, ამიტომაც აუცილებლად მივიჩნით, აზრი გამოგვეთქვა ზოგიერთ ამ საკითხზე.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თურქი პროფესორი ესინ დაი, რომელიც თავის ნაშრომს, “ელვიე-ისელასე, სამი სანჯაყი“ (ყარსი, ბათუმი, არტაანი) ასე იწყებს: “ელ-ვიე-ისელასე ყარსის, არტაანის და ბათუმის სანჯაყების შესახებ გამოყენებული ძველი ტერმინია”... შემდეგ კი იქვე განაგრძობს, – „1878 წლის სან სტეფანოს ზავის მე-19 მუხლის მიხედვით ნახსენები, მილიარდ ოთხასი მილიონ რუბლად შეფასებული ელვიე-ი სელასე, ანუ ბათუმის, ყარსისა და არტაანის, მათთან ერთად ბაიაზეთის სანჯაყი კონტრიბუციის სახით რუსეთის ხელში გადადიოდა. (ესინ დაი, 90)

პირველ რიგში, რადგან პატივცემული ავტორი ამ ტერმინის (ელვიე-ი სელასე) სიძველეზე ლაპარაკობს, ეტყობა ამით მას სურს აღნიშნული ტერიტორიების თითქოსდა ოსმალურ წარმომოხაზე მითითება. ასეთ შემთხვევაში, უპირაინი ხომ არ იქნებოდა, ღრმად პატივცემული ავტორი დაინტერესებულიყო მაინც, რომ ხომ არ არსებობდა ამ ე. წ. სანჯაყების შესახებ გამოყენებული უფრო ძველი სახელები, რომლებიც ზუსტად მიუთითებდნენ მის ისტორიულ ფესვებზე, –რის გაკეთებაც მისი პროფილის მეცნიერისათვის სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, და მეორეც, – როცა აღნიშნული თემების ოსმალეთის მიერ რუსეთზე კონტრიბუციის სახით გადაცემაზე საუბრობენ, თურქ ავტორებს არ უნდა დაავიწყდეთ ისიც, რომ ამ ისტორიულად ქართული მიწების (ვგულისხმობ მხოლოდ სამუსლიმანო საქართველოს აჭართურთ) დაპყრობისას თვით ოსმალეთი რა პრინციპით ხელმძღვანელობდა?! კონტრიბუციის სახით მიითვისა საქართველოს ისტორიული სანახები, თუ დამპყრობლის უფლებით?! ხოლო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ, გრძნობდა თუ არა რაიმე პასუხისმგებლობას მისი საუკუნოვანი მონობის გამო, როდესაც ისევ სცადა და კვლავ მისატაცებლად წაეპოტინა საქართველოს მიწა-წყალს? (რაც მოახერხა კიდევ იმავე რუსეთთან შესაშურ ტანდემში, რომელსაც თითქოს კონტრიბუციის სახით მიღებულ მიწებს აყვედრის. – უ. ო.)

ესენ დაის ეს სრულებითაც არ აწუხებს. პირიქით, ცდილობს ამ ტერიტორიათა მიმართ ოსმალთა მტაცებლური მადა გაამართლოს და აღნიშნულ რეგიონში „ეროვნული ორგანიზაციების“ გააქტიურებაზე საუბრობს: „ოსმალეთმა ომის შედეგად დაკარგული ნახსენები ტერიტორიები არ დაივიწყა და არც აქაური ხალხი დაემორჩილა რუსეთთან შეერთებას. ჩვენი ინტერესების სფეროში შედის ის ორმოცწლიანი ტყვეობის პერიოდი (1878-1918 წლებს შორის პერიოდს გულისხმობს – უ.

ო.), რომელშიც იმყოფებოდა ელვიე-ი სელასეს ხალხი და რომელშიც მუდმივად ცოცხლობდა სამშობლოსთან შეერთების იდეა და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთიდან მოწყვეტას” – აღნიშნავს პატივ-ცემული მეცნიერი და, შემდეგ, ჩვეული რიხით განაგრძობს, – „ამ პერიოდში ელვიე-ი სელასეში, სხვადასხვა ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზნით, იქმნებოდა საზოგადოებები, მაგ: პანისლამიზმის, პანთურქიზმის, ეროვნული დაცვის კომიტეტი, დიფაის პარტია, ჯანზიზარი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

აღნიშნული საზოგადოებები ელვიე-ი სელასეს ხალხში რწმენის, კულტურის, ეროვნული სულის შენარჩუნების მიზნით იქმნებოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხალხის რწმენის და ეროვნული უფლებების დაცვის, სწავლა-განათლებაში თურქების განვითარებისათვის შეიქმნა. (ესინ დაი, 91-92).

ესინ დაის ამ მსჯელობას თუ ვერწმუნებით, ოსმალეთის იმპერიაში დაბრუნებაზე დღესაც უნდა ოცნებობდნენ ადრე მის შემადგენლობაში მყოფი ხალხები, რომელთაც დიდი ბრძოლის შემდეგ ძლივს დააღწიეს თავი ოსმალთა ბატონობას და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, ან ისევ ნამდვილი სამშობლოს ფარგლებში დაბრუნდნენ... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ავტორი ლაპარაკობს ელვიე-ი სელასეში ეროვნული ორგანიზაციების შექმნაზე, მათი ისეთი სახელწოდებანი, როგორცაა პანისლამიზმი და პანთურქიზმი სრულიად გამორიცხავს ამ ორგანიზაციათა ეროვნულ ხასიათს, რადგან პანისლამიზმი და პანთურქიზმი ისევე იყო ოსმალურ-თურქული “ეროვნული” ინტერესების სამსახურში, როგორც მარქსიზმი, ბოლშევიზმი თუ კომუნისტური საბჭოურ-რუსულ სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში. ეს იყო მათი აგრესიული, იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგიური ბაზისი და მასაზრდოებელი, მისი განხორციელების იარაღი. რაც შეეხება ე. წ. ელვიე-ი სელასეს, მისი მოსახლეობის უმრავლესობა უმთავრესად არათურქული წარმოშობის იყო და მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია იმის მტკიცება, რომ აღნიშნული საზოგადოებები ელვიე-ი სელასეს ხალხში რწმენის, კულტურის, და, მით უმეტეს, – „ეროვნული სულის შენარჩუნების მიზნით იქმნებოდა“. საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ თურქების ეროვნული უფლებების დაცვაზე (რისი წინააღმდეგიც არავინაა – უ. ო.), არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ხალხის უფლებებიც, რომლებიც ამ მხარეთა ისტორიულ, ავტოქტონ მოსახლეობას წარმოადგენს. ეს ორგანიზაციები თურქებისთვის შეიძლება აღქმული იქნას როგორც ეროვნული, რადგან ოსმალურ-თურქული ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდნენ! თურქული სახელმწიფოს საძირკვლის განმტკიცება, მოსახლეობის თურქიზაცია და სხვა. (ალბათ არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ეს საზოგადოებები ამ ხალხში ეროვნული აღორძინებისთვის იბრძოდნენ?! – უ. ო.). მაგრამ ხალხისათვის, რომლებსაც ოსმალეთთან მხოლოდ საერთო სახელმწიფოს ტერიტორია და შეიძლება ისლამური რწმენაც აერთიანებდა, მათი ეროვნულ ორგანიზაციადად შესაძლება, ცინიზმია. ჩვენ გვესმის, რომ ათათურქი და მისი მიმდევრები, თურქული სახელმწიფოს შენარჩუნება-აღორძინებისთვის იბრძოდნენ და, სხვათაშორის, კარგადაც იბრძოდნენ. ხოლო რამდენად იყო მათი ეს ბრძოლა ეროვნული ნიშნის მატარებელი ოსმალეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ხალხებისათვის, ეს სულ სხვა და ძალზე საეჭვო საკითხია. ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ამ მართლაც შეუპოვარ ბრძოლაში თურქი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ გამოჩენილ შეუდრეკლობასა და სიმამაცეს, რითაც მათ შესძლეს თურქეთის სუვერენული სახელმწიფოს გარკვეულ საზღვრებში არ მარტო შენარჩუნება, არამედ მისი გაფართოებაც, მაგრამ ამ მოვლენების ისეთი ფორმით წარმოჩენას, რომელიც ლახავს ადრე ოსმალეთის იმპერიაში ძალად გაერთიანებული სხვა ძირძველი ისტორიული ხალხების უფლებებსა და ღირსებას, ვერ დავეთანხმებით. და თუ ოსმალეთმა იმდენი მოახერხეს, რომ ამ ხალხს თავიანთი ეროვნული ვინაობა გადაავიწყეს და ზოგიერთები პანისლამური თუ პანთურქისტული იდეალების განმახორციელებელი ორგანიზაციების საზარბაზნე ხორცად აქციეს, ეს ამ ხალხის ისტორიული უბედურებაა და არა მათი ღირსება.

„კავკასიაში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების შედეგად დიდ ომში (პირველ მსოფლიო ომს გულისხმობს – უ. ო.) ოსმალეთის მთავრობის მიზანი გახდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება“, (იქვე, 92) წერს იგივე თურქი ავტორი და შემდეგ მიუთითებს, რომ “პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსებთან 1917 წლის 17 დეკემბერს ხელმოწერილი ერზინჯანის ზავისა და 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავის ძალით ელვიე-ი სელასე კვლავ დაუბრუნდა ოსმალეთის იმპერიას... 1918 წლის 12 ივნისს ჩატარდა პლებისციტი, ხმათა უმრავლესობით, ანუ 85 პროცენტით ელვიე-ი სელასე ოფიციალურად თურქეთს შეუერთდა, მაგრამ ეს სიხარული ელვიე-ი სელასეში დიდხანს არ გაგრძელდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს ხელმოწერილი და ანტანტის ქვეყნების მიერ ძალით შეთავაზებულ მუდროსის ზავის ძალით იგი ისევ დაიკარგა (იქვე, 94), – დამწუხრებული აცხადებს ესინ დაი; მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თურქებმა აღნიშნული პლებისციტი ხიშტების ქვეშ და ისეთი დარღვევებით ჩაატარეს, რომ მისი შედეგები არ

სცნო არც მისმა მოკავშირე გერმანიამ და არც კონსტანტინეპოლის საზავო კონფერენციამ. ბრესტის ზავზე აპელირებისას თურქ ავტორებს არ უნდა დაავიწყდეთ ისიც, რომ ოსმალებმა არ დაიცვეს მისი ის პუნქტი, რომლის ძალითაც ბათუმის, ყარსის და არტანის ოლქებში პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო ყველა მეზობელი ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თურქებმა კი იარაღის ქვეშ მოაწყვეს, როგორც ქართული გაზეთები სამართლიანად აღნიშნავდნენ, ბათუმის ოლქის მოსახლეობის დაკითხვა. (გაზ. „საქართველო“, 141, 1918, 25. 07. 52, გვ. 55-58)

რა იურიდიული ძალა შეიძლება ჰქონოდა მოსახლეობის ასეთ დაკითხვას, ამაზე თავიდანვე მართებული პოზიცია ჩამოყალიბდა არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. სწორედ ამაზეა ლაპარაკი გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 11 აგვისტოს ნომერში, სადაც ვკითხულობთ: „გერმანიის დელეგაციის უფროსი, გენერალი ფონ კრესი აუწყებს საგარეო სამინისტროს, რომ ამ უკანასკნელის მიერ აღძრული პროტესტი ბათუმში მომხდარი რეფერენდუმის შესახებ მან შეატყობინა ბერლინის მთავრობას. ეხლა განერალი ფონ კრესი ატყობინებს ჩვენს (საქართველოს – უ. ო.) საგარეო სამინისტროს გერმანიის საგარეო სამინისტროსგან მიღებულ ცნობას, რომ გერმანიის ელჩს სტამბოლში მოუვიდა ინსტრუქცია, შეატყობინოს საიმპერატორო მთავრობას შემდეგი: ის ფაქტი, რომ ოტომანის მთავრობამ თვით მოაწყო ბათუმში ამა წლის 14 ივლისს პლებისციტი სხვათა მონაწილეობის მიუღებლად, ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის დადგენილებას, რომლის ძალით წეს წყო ბილეთის დამყარება სამ (ბათუმის, ყარსისა და არდაგანის) ოლქში უნდა მომხდარიყო თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ამის გამო, თუ ვინიცობაა, რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანი განაცხადებდა პროტესტს ოტომანის მთავრობის წინაშე ამნაირი მოქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ასეთი გამოსვლა კანონიერ საფუძველს მოკლებულად ეცნო“. (გაზ. „საქართველო“, 153, 1918, 11. 08)

ასე, რომ თურქულ ოკუპაციასა და ძალმომრეობის პირობებში აღნიშნული პლებისციტის კანონიერებასა და მისი მეშვეობით ამ ე. წ. ელვიე-ი სელასეს ოფიციალურად თურქეთთან შეერთებაზე ავტორის მიერ სიტყვის ჩამოგდება მას ისეთ მდგომარეობაში აყენებს, როცა მისთვის სასურველს სინამდვილედ წარმოდგენენ ხოლმე. ხოლო, რაც შეეხება სიხარულს, – გააჩნია ვისთვის.

მოკლედ, ასეთია იმ პერიოდში სამუსლიმანო საქართველოს, კერძოდ კი, აჭარის გარშემო შექმნილი ისტორიული სინამდვილე, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხე აჭარა დედა-სამშობლოს წიაღს დაუბრუნდა და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმის გახსენებას, რომ ბათუმი (აჭარა), ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებთან ერთად, რუსეთმა კონტრიბუციის სახით მიიღო. ეს იყო ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნების, ამასთან, ისტორიული სამართლიანობის, შეეერთებინა თანამომხე გამუსლიმანებული ქართველებით დასახლებული საქართველოს ძნელბედობისას დაკარგული ისტორიული ტერიტორიები, აღსრულება. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა რუსეთის სამხედრო ძალამ და დიპლომატიამ, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთიც, ისევე, როგორც თავის დროზე ოსმალეთი, თავისი სამფლობელოების გაფართოებასა და შავი ზღვის აუზსა და ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების გაძლიერება-გამტკიცებას ისახავდა მიზნად და არა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას, მისი მთლიანობის აღდგენას. ეს იყო მისი ბუნებრივი განვრცობის ჩვეულებრივი პროცესი, რომელსაც რაიმე კეთილშობილური მისწრაფება არ წარმართავდა და წარმოდგენდა კავკასიაში რუსეთის ძლიერების მეთოდური დემონსტრირების შედეგს. აღნიშნული პროცესი, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ირიბად დაემთხვა ქართველი ერის გაერთიანებისაკენ მისწრაფებას. აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებაც ამ პროცესის (რუსეთის იმპერიის სივრცული გაფართოება) ლოგიკური შედეგი იყო. ხოლო მისი ისტორიული ბედუკუღმართობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ორ უცხო დამპყრობელს შორის ხშირად აღიქმებოდა როგორც მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის საგანი და საკონტრიბუციო ობიექტი. დადგა დრო ჩამოვყალიბოთ ახალი ურთიერთობები და, უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი ეს გავითვალისწინოთ მომავლის დიპლომატიაში.

მეტად სასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო დროს თურქეთში საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის ეგიდით გამოიცა მურად ქასაბისა [ოსმალეთის ქართველები, სტამბული, 2010, (2012 წელს ქართულად ითარგმნა – უ. ო.)] და მუმინ ილდიზთაშის [საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბული, 2012] მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მეტად საინტერესო ნაშრომები. მისასალმებელია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამომხეების საკუთარი ისტორიითა და ქართული პრობლემატიკით დაინტერესება, მათ მიერ ამ მიმართულებით გაწეული დიდი მუშაობა, რომელიც აღნიშნულ

მონოგრაფიებში აისახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ისინი ახერხებენ, თავი დააღწიონ ზემოთ ჩვენ მიერ გაკრიტიკებულ გაუგებრობათ.

მურად ქასაბი თავისი წიგნის ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „ოსმალეთის იმპერია არ ატარებდა სხვა ერებისა და რელიგიების ასიმილაციის პოლიტიკას, არ ძალადობდა მისი მმართველობის ქვეშ მყოფ არამუსლიმ ხალხებზე... შეძლო მათი არსებობის გადარჩენა“... და შემდეგ იქვე განაგრძობს, – „ოსმალეთის ქართველებისათვის ისლამური აღმსარებლობა სისხლხორცეული რწმენაა. არ არის არანაირი ისტორიული საბუთი მათი ძალით გამუსლიმანების შესახებ... საქართველოში ქრისტიანობის გაუქმების პოლიტიკა არ გატარებულა“ [მურად ქასაბი, 2012, 9]. აქ უნდა ითქვას, რომ იმის აღიარებაც კი, თითქოს ოსმალეთმა „შეძლო მათი არსებობის გადარჩენა“, უკვე იმის ირიბი აღიარებაცაა, რომ ეს ხალხი მართლაც ყოფილა ვიდაცის ძალმომრეობისაგან გადასარჩენი და რომელი ძალა შეიძლებოდა ყოფილიყო იგი, თუ არა ქართველი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი „არაბობის“, „დიდი თურქობის“, „ყიზილბაშობის“, „ოსმალობის“ და სხვათა ავბედითი პერიოდების ისტორიული აქტიორები. ან იმაზე მეტი რა ისტორიული საბუთი უნდა დარჩენილიყო, ვიდრე თუნდაც ერთი იოანე საბანისძის აბოს წამება და ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალური ჟანრი აგიოგრაფიაა. ქართული საერო და საეკლესიო ისტორია სავსეა საქართველოში მუსლიმთა შემოსევების დროს ათასეულობით ქრისტიანის ზვარაკად შეწირვის ამბავთა აღწერით (დავით და კონსტანტინტინეს წამება, ჯალალ ედ-დინის მიერ ათასობით თბილისელის ამოწყლელა თუ თემურ-ლენგის საქართველოში 8 გზის ლაშქრობისას ჩადენილი მხეცობანი და სხვა). ან კიდევ, იქნებ შემთხვევით აღიქვა კოლექტიურმა ქართულმა ისტორიულმა ცნობიერებამ მურვან ყრუ და ბულა-თურქი საქართველოსა და ყოველივე ქართულის დაუძინებელ მტრებად და მათაც საქართველოსთვის, ავტორის ლოგიკას თუ მივყვებით, სიკეთის მეტი არაფერი უნდოდათ?!

1918 წლის ივნისში სამუსლიმანო საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ იქვე, სადაც ამის შესახებ წერს, ბატონი მურადიც სიხარულით აღნიშნავს, რომ „...1992 წლის საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრობისა, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ სცნო ყარსის ხელშეკრულებით დადგენილი თურქეთის აღმოსავლეთი საზღვარი“ [იქვე, 24], – მაგრამ რა არის აქ სასიხარულო?! ნუთუ თურქეთში არავის აფიქრებს ის ფაქტი, რომ არც 1921 წელს ყარსისა და 1992 წლის საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებებზე ხელმოწერა არ გაუკეთებია საქართველოს ლეგიტიმურ, კანონიერ ხელისუფლებას და როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მან ხელშეკრულება გააფორმა ქართველ ხალხზე მოძალადე უზურპატორებთან. თუ თურქეთის მთავრობისა და ხელისუფლების მესვეურთათვის სულ ერთია, ოღონდაც მათთვის სასარგებლო რამე მიიღონ და რა გზით, ეს საერთოდ არ ანაღვლებთ? ანდა ორივე შემთხვევაში ეს საქართველოს კეთილსმყოფელი ოსმალეთი თუ თურქეთი, რატომ აღმოჩნდა ქართველი ხალხის ნების უარყოფელთა მხარეს?! ყველამ კარგად ვიცოდეთ, რომ იმპერიები შეიძლება ისევე გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, როგორც ეს ადრევე მომხდარა, ეს კითხვები და ჭეშმარიტება კი დარჩება სამარადისოდ, თუ ქართველი ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთან, რომელიც ამისათვის აუცილებელი ქართველი ხალხის ნდობის მანდატით იქნება აღჭურვილი, არ გადაწყდება მათი მოგვარება.

მაგრამ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, წიგნი გვაცნობს ოსმალეთის იმპერიასა და თურქეთის სახელმწიფოში მოღვაწე ქართული წარმომოხობის ცნობილ სამხედრო და პოლიტიკურ, სასულიერო თუ საერო პირთა მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას, რის გამოც უდიდესია მისი მნიშვნელობა ქართული საისტორიო მეცნიერებისთვისაც, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, უფრო მტკივნეულად თუ არ გამოგვივა ნათქვამი, გადამეტებულია ისეთი თავდადებული ქართული ორიენტაციის პიროვნებებისა და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის აქტიური მოღვაწეების ოსმალეთის სახელმწიფოს მესვეურებად მოხსენიება, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი სააკაძე, ბატონიშვილი დავითი (იადიგარ დავუდის ავტორი), თეიმურაზ პირველი თუ სხვანი, და, რა თქმა უნდა, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე სამუსლიმანო საქართველოდან, კერძოდ კი აჭარიდან, მემედ-ბეგ აბაშიძე და მისი ძმა, პირველი ქართველი გენერალი მაშინდელი სამუსლიმანო საქართველოდან, ასლან აბაშიძე. სწორედ მათ შეიტანეს უდიდესი წვლილი, რომ აჭარა ქართული სახელმწიფოს საზღვრებში დაბრუნებულიყო.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მურად ქასაბის მონოგრაფია, „ოსმალეთის ქართველები“, თურქული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენამენია და ქართული ისტორიული მეცნიერებისთვისაც მეტად საინტერესო დიდძალ მასალას შეიცავს, ამიტომაც მისი

გადმოქართულებული ვარიანტის 2012 წლისთვის გამოცემა, სასიამოვნო ფაქტია. აქვე შეიძლება ითქვას, რომ მასში წარმოდგენილ პიროვნებათა ისტორიები, შესაძლოა, იქცეს ქართველ ისტორიკოსთა განსაკუთრებული კვლევის საგნად და სავარაუდოა, რომ ზოგიერთ მათგანზე ცალკე წიგნებიც კი დაიწეროს.

რაც შეეხება მუშინ ილდიზთაშის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან მონოგრაფიას, ამჯერად მასში გადმოცემულ იმ ნიუანსებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ თემატიკას ეხმიანება და თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ მისი ნაშრომიც არ აღმოჩნდა ამ მხრივ უნაკლო და დაზღვეული.

ნაშრომის წარდგენისას ბატონი ალი რიზა ალთუნი აღნიშნავს, რომ „გამოცემის მთავარი მიზანია... რათა მომავალი უფრო ჯანსაღ საფუძველზე აშენდეს“, – რაც სავსებით გასაგები და მისასალმებელია; მაგრამ ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „საქართველოში ყოფნისას ოსმალებისა და თურქების შესახებ გაგონილმა გამონათქვამებმა ჩემში მწვავე განცდები გამოიწვია“, – უფრო მეტიც, – „საუკუნეების მანძილზე რეგიონისათვის კანონებისა და სამართლიანობის მომტანი ხალხის მიმართ წინასწარგანზრახული ცილისწამებით ჩირქის მოცხების მაცურებლის როლში მეტი ვეღარ დავრჩებოდი.“

ჩვენ კარგად გვესმის პატივცემული ოპონენტის და ვთვლით, რომ მისასალმებელია მისი მხრიდან ამგვარი პატრიოტიზმი, და იმედს ვიტოვებთ, თავადაც სწორად გაიგებს ჩვენს პოზიციას, თუ მის მიერ გამოძღვნილი ამ უმართებულო რეაქციის გამო, ვერც ჩვენ შევძელით თავის შეკავება და მას ქართული პირდაპირობით ვეტყვი: თუმცა ყველა დამპყრობელი ამ პრეტენზიით გამოდის, მაგრამ არცერთს მოუტანია დაპყრობილი ხალხისათვის კანონიერება და, მით უმეტეს სამართლიანობა. მარტო ის ფაქტიც კი, რომ ისინი ასე ურცხვად აყენებენ თავიანთ თავს ათასეული წლების ისტორიული მეხსიერების მქონე ხალხებზე მაღლა, შეურაცხმყოფელია. და საერთოდ, კანონიერებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით, რა უნდა ესწავლებინათ ოსმალებს იმ ხალხისთვის, რომლებმაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში გააუქმეს სიკვდილით დასჯა და დამსახირობელი სასჯელები თავიანთ სახელმწიფოში... ხოლო ოსმალების სულთნების კარზე თუ ვინმე დიდ თანამდებობებს აღწევდა, ეს მათი ნიჭიერების დადასტურებაა და არა ოსმალური კეთილმოქმედების, რადგან ისიც ცნობილია, რამდენი დიდად ნაღვაწი ასეთი პიროვნებების სიცოცხლე შეიწირა ფადიშაჰების ტირანიამ (მურად ქასაბის წიგნში მოცემული 18 სადრაზამიდან 6 სიკვდილით დასაჯეს – უ. ო.). მართლაც, თქვენს თვალწინ უნდა ჩაიაროს სისხლით შეღებილი მტკვრისა და ჭოროხის ტალღებმა, რომ მისი რეალობა ირწმუნოთ?! ნუთუ ამისათვის საკმარისი არ არის გადავხედოთ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს, საქართველოს, ისტორიას, რომლის ფურცლებიც აღსავსეა „არაბობის“, „დიდი თურქობის“, „ოსმალობის“, „ყიზილბაშობის“, „ლეკიანობისა“ თუ „რუსობის“ სწორედ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის უტყუარი დოკუმენტებით, მათი არსებობისა და ცხოვრების შინაარსით აღსავსე ამბებით. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ისტორიაში ეს უკვე კატეგორიულად ჩამოყალიბებული ისტორიული მსაზღვრელები, შინაარსისგან დაცლილი, არაფრისმთქმელი სიტყვებია და სხვა არაფერი?! თუ ეს ასეა, ძალიან სცდებით!... და არც იმის სწავლება გვჭირდება ვინმესგან, ვისი და რისი დავიწყების უფლება გვაქვს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმთავრესია, თუ რა დამსახურება მიუძღვის ამა თუ იმ პიროვნებას საქართველოს წინაშე.

თქვენ კარგად გესმით თქვენი დღევანდელი სამშობლოს სატკივარი და მისი გადმოსახედიდან მსჯელობთ, მაგრამ თქვენი ზემოთ დასახული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია გაიგოთ თქვენი ძველი თანამომძეების გულისტკივილი და ისტორიაც უფრო ღრმად, ვიდრე ამას დღეს ახერხებთ. ამისთვის კი საჭიროა მათი პოზიციიდანაც და უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოთ ამ ისტორიაში, გაიგოთ რითი და სად კვენისის მათი გულისტკივის მარღვი და ფესვი, ხოლო როცა მას თვალცრემლიანს დაინახავ, შენც უტყუარად უნდა მიხვდე, სად იღებს ცრემლის წყარო სათავეს, – და მაშინ იმასაც გაიგებ, თუ რატომ აქვს ჩვენს საერთო მოდგმას და ჯილაგს ასეთი უდიდესი ოპტიმიზმი და მომავლის დაუშრეტელი რწმენა, რომელთან ბრძოლასაც არა ერთი იმპერია შეეწირა. ხოლო რაც შეეხება ისეთ მოსაზრებებს, რომ „ოსმალების სახელმწიფო ერთის მხრივ ყოველგვარი იძულების გარეშე უზრუნველყოფდა ქართველების მიერ ისლამის მიღებას, მეორე მხრივ კი ქრისტიანი ქართველების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებსაც ყურადღებით და გაგებით ეკიდებოდა“ – ესენი ერთიმეორეს გამორიცხავს, რადგან ქრისტიანი, მართლმადიდებელი ქართველისათვის მისი „უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა“, პირველ რიგში ქართველობის, ე. ი. ქრისტიანობის შენარჩუნებას ნიშნავდა. იმ პერიოდში ხომ ეს ორი ცნება ერთმანეთის შემცველი იყო, და როცა „ზოგიერთ ადგილობრივ ლიდერს“ უყენებთ ბრალდებას, რომ ის „ცდილობდა ეპოვა გზები მათი გამუსლიმანების წინააღმდეგ“... [მუშინ ილდიზთაში, 23] უნდა იცოდეთ, რომ ეს მათთვის

ქართველობისათვის ბრძოლას ნიშნავდა და ოფიციალური სტამბოლის აქტიურობა ამის წინააღმდეგ, იყო ქართველთა კანონიერი უფლების დათრგუნვისაკენ მიმართული ძალადობა და მიმტაცებლობა. (სწორედ ასეთი „კანონიერებისა და უფლებების“ დასაცავად იბრძვის რუსეთი დღესაც საქართველოში მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე).

ასევე, თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიული სკოლისათვის ნიშანდობლივ აზრობრივ ნიუანსებს შეიცავს, – რომ „ოსმალის სახელმწიფოში მონად ჩაყვანილ ბევრ ქართველს საბოლოოდ ვეზირის, სარდლის და დიდვეზირის თანამდებობისთვისაც მიუღწევია... ოსმალეთის სახელმწიფო... არ ეწინააღმდეგებოდა მასზე დამოკიდებული ტომებისა და ბეგების მიერ დამოუკიდებელი ქართველი და სხვა თემებისაგან ტყვეების წაყვანას“... – ბატონებო, სხვას რას ნიშნავს ძალადობა?! გამოდის, რომ თუ დამოუკიდებელი ხარ და ოსმალს უღელი არ გადგას, არაფრით ყოფილხარ დაცული მანამ, სანამ ოსმალზე ტყვედ არ გაგყიდდნენ და ამით არ „გაგაბედნიერებდნენ“... მსგავსი ლოგიკა ჩვეულებრივია იმპერიული, მპყრობელი სახელმწიფოს აზროვნებისათვის, მაგრამ მათ მსხვერპლთ ვკითხვით!... ამასთან ტყვეს უკვე აღარავინ ეკითხებოდა, სურდა თუ არა გამუსლიმანება.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვით შევეხვით ტერმინს „ქართველი ოსმალები“. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ქართველობა არა მარტო წარმომავლობითი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ქართული კულტურის, სოციალ-ზნეობრივი გარემოს და ცხოვრების წესის შემოქმედებითი ნაერთია, – ეს ეროვნებაა და არა იდეოლოგიურად გაბატონებული მმართველი კასტა, რომელიც ყველასა და ყველაფრის თავის მორჩილებაში მოყვანის სურვილით შეპყრობილი და სამართლიანობის სახელით შენიღბული, საკუთარი ბატონობის უზრუნველყოფას ცდილობს, როგორც ამას თავის დროზე ბოლშევიკ-კომუნისტები, ან თუნდაც პანისლამისტები თუ ოსმალები აკეთებდნენ. ამიტომაც, ჩვენი ღრმა რწმენით, შეიძლება იყოს გაოსმალებული ქართველი, ისევე როგორც გაბოლშევიკებული ქართველი, მაგრამ „ქართველი საბჭოელი“ (ე. ი. კომუნისტი), ან „ქართველი ოსმალი“, ეს ის სუროგატია, რომელიც ყოველგვარ ქართულს განადგურებით ემუქრებოდა და ემუქრება დღესაც და მისი დაკავშირება რაიმეს ქართულ აღქმასა და მისი წარმოშობის თვალსაზრისით, საერთოდ ქართულ გარემოსთან, დიდი შეცდომა და გაუგებრობაა.

ჩვენ კიდევ ერთხელ მივესალმებით თანამედროვე თურქი ავტორების საქართველოს ისტორიისა და საერთოდ, ქართული პრობლემატიკით ჯანსაღ დაინტერესებას. ამასთან ერთად, ჩვენ მიერ განხილული ნაშრომების ავტორებს უდიდესი პატივისცემის გამოცხადებით ვთხოვთ, დიდსულოვნად მოგვიტევიან, თუ ჩვენი კეთილმოსურნე კრიტიკით მათში არასასიამოვნო განცდები აღვძვართ, მაგრამ ამ შემთხვევაში გვამომრავებდა მეტად კეთილშობილური მიზანი, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა უახლესი ფურცლები სამომავლოდ უნდა გადაიშალოს ურთიერთპატივისცემისა და უდიდესი ურთიერთნდობის ნიშნით, რასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, დიდად შეუწყობს ხელს საკუთარ მოსაზრებათა თავისუფალი ურთიერთგაზიარება, სიმართლისა და ისტორიული სამართლიანობის პრიორიტეტთა წინ წამოწევა.

#### ლიტერატურა:

1. ესინ დაი, ელვიე ი სელასე (სამი სანჯაყი, ყარსი, ბათუმი, არტანი), ახალციხე-ყარსი, სიმპოზიუმის შრომები, 2001, გვ. 89-99;
2. ნურჰან აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა, დასახ. შრომები, გვ. 134-149;
3. ენვერ ქონუქჩუ, აღმოსავლეთ ანატოლიის უახლესი ისტორია, დასახ. შრომები, გვ. 59;
4. ქამილ ალაჯანი, ერთი ავტონომიის ანატომია, გაზ. „ახალი ერა“, 1(177), 2002, 8, I;
5. გაზ. „საქართველო“, 141, 1918, 25. 07. 52, გვ. 55-58;
6. გაზ. „საქართველო“, 153, 1918, 11. 08;
7. მურად ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, სტამბული, 2010, (2012 წელს გამოიცა მისი ქართული თარგმანი);
8. მუმინ ილდიზთაში, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბული, 2012;
9. უჩა ოქროპირიძე, ჩამოვაცალიბოთ ახალი ურთიერთობები, ჟურნ. „ჭოროხი“, 6, 2006, გვ. 91-94.



## SOME ASPECTS OF GEORGIAN-TURKISH RELATIONS IN MODERN TURKISH HISTORIOGRAPHY

Ucha Okropiridze, Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute, Leading Scientific Worker

### RESUME

The paper discusses several aspects of Turkish historians opinions about Georgian – Turkish relations. It contains criticism of some approaches in fundamental works of Esindai, Enver Konukchu, Agajan, as well as criticism of Mumin Ildistash's and Murad Kasab's opinions. Appropriate conclusions are made in the respect of better prospects of Georgian-Turkish relations.

### „ჰამიდის ქართული“ (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები)

რუსუდან სალინაძე, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი (თურქეთი), პროფესორი  
მაია კიკვაძე, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი (თურქეთი), ასოცირებული პროფესორი

ტოპონიმი **ჰამიდიე** თურქეთში დასტურდება რამდენიმე ადგილას: ქ. ბურსაში, გემლიქისა და ინეგოლის რაიონებში (ორი ჰამიდიე); ქ. კასტამონუში, ჩათალზეთინის რაიონში; ქ. ქოჯაელში, გოლჯუქის რაიონში; ქ. სინოპში, ერფელექის რაიონში და რიზეში, ერთი – ფაზარის რაიონში, მეორე – ქალაქის შესასვლელში, რომელსაც „Gündoğdu“-ს უწოდებენ. Gündoğdu-ში მხოლოდ თურქები ცხოვრობენ, ფაზარის ჰამიდიეში კი მუჰაჯირობის დროს ქობულეთიდან წასული ქართველები დასახლებულან.

ფაზარის ჰამიდიე ბოლო დრომდე ერთადერთი ქართული სოფელი იყო რიზეში, სადაც ორმოცი კომლი სახლობდა. ამჟამად მათგან თხუთმეტიოდეა შემორჩენილი. დღეს სოფელი შერეულია: ქობულეთიდან გადასახლებულებთან ერთად იქ ცხოვრობენ ლაზები და თურქები. დროთა განმავლობაში ფაზარის ჰამიდიელი ქართველები საცხოვრებლად თურქეთის დიდ ქალაქებში, უმეტესად, სტამბოლში, ანკარასა და ბურსაში, გადასულან. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულიც შესუსტებულა და მასში საგრძნობლად ასახულა თურქული ენის გავლენის კვალი.

ჰამიდიეში ენობრივი სიტუაცია თითქმის ისეთივეა, როგორც, საერთოდ, ქართველებით დასახლებულ თურქეთის სხვა რეგიონებში. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, არის ენობრივი გარემო, სოციალური პირობები და ქართველებისგან თითქმის დაცლილი სოფელი. „ენა მუზიკასავით არის. ყური კანა იყოს... შვიდ წლამდე ბაღნებმა ქართულად იცოდნენ. შვიდი წლის სკოლაში წევდოდა და თურქული იქნებოდა“, – ასე ხსნის ბატონი ახმედ ერდოღანი-მემარნე (65 წ.) ქართული ენის უცოდინრობას ბავშვებში, „შვილების თაობაში“. ჩვენი აზრით, ეს ნათქვამიც გამოდგება „ჰამიდის ქართულში“ სამეტყველო კოდთა შერევის ასაკის განსაზღვრისათვის.

ხემოთ აღნიშნულ მიზეზთაგან ყველაზე არსებითი, რაც განაპირობებს სამეტყველო კოდთა შერევას „ჰამიდის ქართულში“, არის ის, რომ სოფელი მთლიანადაა მოქცეული თურქულენოვან სივრცეში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ფაზარის ჰამიდიელ მუჰაჯირთა მეტყველება გამორჩეულია და მისი შესწავლა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც ზოგადლინგვისტური, ასევე კულტუროლოგიური ასპექტებით. ეს საქმე მეტად საშურიც არის: იქ ყოველ წელს, ყოველ დღეს, საათსა და წუთსაც კი მიაქვს ყველაზე ძვირფასი ღირებულებები და იკარგება ქართული.

დღეს ჰამიდიეში „მოქართულეთაგან“ ძირითადად მოხუცები არიან შემორჩენილი, უმეტესად 80 წელს გადაცილებულნი, ისიც ქალები, რომლებმაც შეინარჩუნეს მშობლიური ენა. ამით ამაყოფენ კიდევ: „დედის დედი აქ მევდა, ჩვენც აქ დევბადეთ. თურქულ სკოლაში ვისწავლე, მარა **ქართული არ დავკარქე**, ქითაფები გვქონდა“, – ჰყვება 83 წლის ქალბატონი ჰამიეთ ფასიოღლუ-მჟავანაძე და სევდანარევი სიტყვებით დასძენს, – „ჰამიდიეში ქალები არიან ცოცხლები, მამაკაცები მოკტენ... ბაღნებმა ვერ ლაპარიკობენ, ესმიან“. ასეა ჰამიეთის ვაჟი სუად ფასიოღლუ-ხარაზიც (52 წ.). მას ესმის ქართული საუბარი, ცდილობს მშობლიურ ენაზე გამოხატოს სათქმელი, მაგრამ მის მეტყველებაში უფრო

თურქულენოვანი გავლენა ჭარბობს. ბატონი სუადი სტამბოლში ცხოვრობს. მისი ოჯახი ზაფხულობით სტუმრობს ჰამიდის. სუადს გამორჩეულად უყვარს იქაურობა, დღემდე ინახავს ძველ საოჯახო ალბომს, მშობლებისა და ნათესავების სურათებს, ბათუმიდან გამოგზავნილ „დედაენას“, რომელშიც ბეჭდურ ქართულ ანბანს მამის ხელით აქვს მიწერილი შესატყვისი თურქული ასონიშნები.

ქალბატონი ჰამიეთი საკმაოდ კარგად საუბრობს ქართულად: „ჰამიდეში ქართველები მოსულები არიან. გააკეთილშობილეს აქაურობა, არხები გეიყვანეს, ტყეები გაკაფეს, სახლები გაასწორეს (= ალადადინეს) და აქ დაჟდენ“; „ჩემი ბაბოს სახლი ზევით იყო. ეს სახლი მე და ჩემმა ქმარმა ავაშენეთ, მე მოვთე, ყველაფერი ისტამბულიდან მოვზიდე“... – ასეთი ქართული შემოუნახავს ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალს, თუმცა მის მეტყველებაში სპონტანურადაა შერეული თურქული ლექსიკაც. ზოგჯერ, როცა ქალბატონი ჰამიეთი ქართულად ვერ იხსენებს სათქმელს, თურქულს მოიშველიებს ხოლმე, საქართველოზე ასე ამბობს: „თემიზია, საღლაშია, ყველას უყვარს საქართველო“; „სიმინდის ფქვილით ჭადს ვაკეთებდით, შქერს დავაფენდით, არ დასწვავს, სუფრას გავშლიდით. ვინცა ქალაქიდან მევდოდა, თემქურ იტყოდენ“.

ჰამიდელ ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა სამი ფენა: 1) უფროსი თაობა („ბაბუებისა და ბებიების თაობა“), რომელმაც მეტ-ნაკლებად იცის ქართული ენა, 2) საშუალო თაობა („შვილების თაობა“), რომელსაც ესმის ქართული, იცის სიტყვები, მაგრამ ქართულ ენაზე კომუნიკაციას ვერ ახერხებს, 3) უმცროსი თაობა („შვილიშვილების თაობა“), რომელმაც (ძირითადად) საერთოდ არ იცის ქართული ენა. აღსანიშნავია, რომ თურქეთ-საქართველოს შორის ბოლო ათწლეულებში გაუმჯობესებული კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები დადებითად აისახა, ზოგადად, მუჰაჯირ ქართველთა არა მარტო ყოფა-ცხოვრებაზე, არამედ მეტყველებაზეც: ბევრი მათგანი მიუბრუნდა საკუთარ „ფესვებს“, ნათესავებს, ისტორიულ სამშობლოში საქმიან ურთიერთობებს... საქართველოში მიმოსვლას თან მოჰყვა ენობრივი კომპეტენციის გაძლიერება. ეს კარგად აისახა საკომუნიკაციო ქართულის, თუნდაც ელემენტარულის, დაუფლების სურვილის გამოვლინებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ხდება ძირითადად ე.წ. „შვილების თაობაში“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰამიდელ ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვების საშუალებას მხოლოდ უფროსი და საშუალო თაობა იძლევა. ტერმინ „ჰამიდის ქართულში“ ჩვენ სწორედ ჰამიდეში მცხოვრები ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა, კერძოდ, უფროსი და საშუალო თაობის, მეტყველებას ვგულისხმობთ, თუმცა ერთი საზომით ვერ მივუდგებით ამ ორი თაობის წარმომადგენელთა ქართულს. მხედველობაში გვაქვს სამეტყველო კოდთა შერევის ხარისხი. საშუალო თაობისაგან განსხვავებით, უფროსი თაობის მეტყველებაში უფრო მეტად არის დაცული ენობრივ ერთეულთა ქართული ყალიბები და კონსტრუქციები. ზოგიერთ მათგანს დავიწყებული აქვს ესა თუ ის ქართული ლექსიკური ერთეული, მაგრამ შემოუნახავს მორფოლოგიური ინვენტარი, რითაც აფორმებს სპონტანურად შემოტანილ თურქულ ლექსემებს („უჩაისოთ რავა გაგაგზავნით!“ „ძროხები წეიყვანეს ტრენ-ებ-ით“; თურქ. **tren** = მატარებელი – ჰ. ფასიოლლუ...), „შვილების“ თაობაში კი, პირიქით, ენობრივი კოდის შენარჩუნება ხდება ძირითადად ლექსიკის დონეზე. სიტყვათა ყალიბები (სტრუქტურა) და სინტაქსური კონსტრუქციები თითქმის თურქულია, ქართული სიტყვები არის ჩართული თურქულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, თუმცა ურთიერთობის გარკვეულ ეტაპზე უფრო მეტად იხსნება მშობლიური ენის კოდი, ამუშავდება ენობრივი მექანიზმი და ცოცხლდება პასიურ მარაგში გადასული ლექსიკა, ენობრივი მოვლენები.

ჰამიდელი ქართველი მუჰაჯირები აჭარულ დიალექტზე, მეტწილად ქობულეთურ კილოკავზე, მეტყველებენ. მათი ძველი და ახალი ყოფა ყველაზე მეტად ასახულია ლექსიკაში, ფრაზეოლოგიზმებში. ჰამიდელებს შემონახული აქვთ სამეურნეო ნაგებობათა და იარაღების აღმნიშვნელი ტერმინები (სახლის ფუმე, ღობე, სამროხე, საქათმე... თოხი, ცული, წალდი...), ქართული (ქობულეთური) კერძების სახელები (შრალი ფხალი, საცივი, ზეთიანი ქათამი, დედლური, ქუხიანი ლობიო, ამოლესილი ლობიო...), აგრეთვე მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სახელები.

„ჰამიდის ქართულში“ გამოიყოფა კოდთა შერევის სხვადასხვა შემთხვევა:

1. ჰამიდელები (უმეტესად უფროსი თაობა) იყენებენ ქართულ ყალიბში ჩასმულ თურქულ ტერმინებს. ასეთებია:

#### პროფესიისა და ხელობის სახელები:

**თუჯარ-ი** (**tüccar** = ვაჭარი): ჩემი მამა თუჯარი იყო. სტამბოლში წევდა .

**ქერესტე თუჯარ-ი** (**kereste tüccarı** = ხის ვაჭარი): მამაი კაი კაცი იყო, ქალაქის კაცი იყო. **ქერესტე თუჯარი** იყო (ჰ. ფასიოლლუ).

**ჰემშირე, ებე** (**hemşire** = ექთანი, **ebe** = ბებიქალი, მეანი): **ჰემშირე** და **ebe** არის. ხანდახან **ჰემშირე** არ იქნება, **ებე** არის (ა. ერდოღანი-მემარნე).

**ხოჯ-ებ-ი** (= მასწავლებლები; თურქ. **hoca** = მასწავლებელი): შელოცვები **ხოჯებმა** იციან. სტამბულში ბევრი არიან. ქმარიზა, იმიზა, ამიზა აწერიებენ. შდრ. ქართ. მოძღვარი.

**ასკერ-ი, ასკერ-ობა** (= ჯარისკაცი, ჯარისკაცობა; თურქ. **asker** = ჯარისკაცი): ...18 წლის გვევთხვე. ქმარი ასკერი იყო; მეძრე ასკერობა აღარ ვქენით (ჰ. ფასიოლლუ).

### კერძების სახელები:

**რეჩელი (reçel** = მურაბა): ყურძენით რეჩელს ვიჭობთ.

**სალჩა (salça** = ტომატის პასტა): პაჩა სალჩას გულურევ, ასე დადებ ქაფაღლი საინზე

**შექერი (şeker** = შაქარი): შექერი არ ურთეთ ჩას? (ჰ. ფასიოლლუ).

**შექერლამა** (= შაქარლამა; თურქ. **şekerleme** = დაშაქარული ხილი, კანფეტი, ტკბილეული): ბაირამზე ბერებს შექერლამას დუღრიგებდით (ჯემალ მეთინი).

**ბეთმეზ-ებ-ს || ბექმეზი (Bekmez** = ხილის დადუღებული წვენი): ბეთმეზებს მოადუღებდენ. შდრ. შ. ფუტკ. **ბექმეზი (Bekmez** = ხილის: მსხალი, ვაშლი, ყურძენი, თუთა) ან ჭარხლის წვენს ადუღებენ შესქელებამდე. მიიღება ტკბილი სითხე – ბექმეზი (ფუტკარაძე შ., 1993: 397); შდრ. კლარჯ. ბექმეზი / ბეთმეზი – ხილის დადუღებული წვენი, (233); შდრ. შავშ. **ბეთმეზი-ბექმეზი**: „ერთმა ქალმა მადულა ბეთმეზი და წყალი“ (572).

**ქარაბიბერ- (karabiber** = შავი პიმპილი): ქარაბიბერ მოვაყრიდით, შუაზე კვერცხს ჩადებ (ჰ. ფასიოლლუ).

### თვეების სახელები:

**ჰაზირან-ში (haziran** = ივნისი): ჩვენ მაისში, ჰაზირანში აქ მოვალთ. ბაღნები აქეთ არ მოდიან. მე ეფეიჯე მევედი, წვევდი.

**აუსტო-ში (agustos** = აგვისტო): ჰამიდიეში აუსტოში მევედი (ჰ. ფასიოლლუ).

### ენები:

**გურჯიჯე** (= ქართული, ქართულად; თურქ. **Gürcüce** = ქართული): მეჰმედი გურჯიჯე ღეჭავს.

**თურქჩე || თურქჩა** (= თურქული, თურქულად; თურქ. **Türkçe** = თურქული): ოსმან ეფენდი იყო ჩვენი ბიძა. თურქჩეს ჩიოდა. ბაბამ გვითხრა, თურქჩა ილაპარაკეთო... (ჰ. ფასიოლლუ).

„ჰამიდიეს ქართულში“ გამოიყოფა სხვა თურქული ტერმინებიც:

**ადეთი (adet** = ჩვევა, ჩვეულება, ადათი): მშივრებს რაღა გაგიშობთ, ჭამეთ!.. აი ადეთია.

**კაბული (kabuk** = ქერქი, კანი): კარალიოკს კაბული გადააძრე და ისე ჭამე.

**ბაირამ-მა (bayram** = დღესასწაული): ბაირამმა დელია – საჭმელმაც დელია.

**ბოჯაქ-მა (böcek** = მწერი): წელს ზაფრანა არ იქნა, ბოჯაქმა შეჭამა.

**ინსან-ი, ინსან-ს (insan** = კაცი, ადამიანი): ატყუებენ, აბეჩებენ ინსანს; მატყუარა ადამიანზე იტყვიან გულუნდობელი ინსანი (ჰ. ფასიოლლუ).

**ჯამე, ჯამე-ში (jame** = ჯამე): ჰამიდიეს ცენტრში სასაფლაო, სკოლა და ჯამე არის (ა. მემარნე); პარასკევს ჯამეში მივდივარ (ს. ფასიოლლუ).

### წარმოქმნილი სახელები:

**ხისიმ-ობა** (= ნათესაობა, თურქ. **hısım** = ნათესავი).

**ოქულ არქადაშ-ობა** (= სკოლის ამხანაგობა, თურქ. **Okul** = სკოლა, **arkadaş** = ამხანაგი; **Okul arkadaş** = სკოლის ამხანაგი): თქვენ საიდან მოით? რა იცოდით? ვისიდან ხართ? ხარაზი ხართ? მყავანაძე ხართ? თქვენ ერთმანეთში რა გაქვთ? ხისიმობა გაქვთ, ნათლიობა თუ ოქულ არქადაშობა? (ჰ. ფასიოლლუ). ამ კონტექსტში თურქული სახელების ხისიმობა, ოქულ არქადაშობა ქართულ ყალიბში მოქცევა, ანუ -ობ სუფიქსით გაფორმება, სიტყვა ნათლიობა-ს ანალოგიით ხდება.

„ჰამიდიეს ქართულში“ სამეტყველო კოდთა შერევა ნაკლებად ჩანს ფონეტიკის დონეზე. დასტურდება თითო-ოროლა შემთხვევა. მაგალითად:

**თ – ტ, ღ – კ: თაბაღები || ტაბაკები (tabak** = თეფში): ჩინის თაბაღები; სტუმრებიზა კაი კაი ტაბაკები გვექონდა.

**ყ – ქ: ყათზე / ქათზე (kat** = სართული): ქვეშა ყათზე მოსამსახურეები არიან. || დაბლა ქათზე ჭანები არიან. მაი ჭანები მე გავზარდე (ჰ. ფასიოლლუ).

ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა მთელი სისრულით მჟღავნდება მორფო-სინტაქსურ დონეზე სახელთა ბრუნებაში, მრავლობითის წარმოებაში, სინტაგმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებში, აგრეთვე კალკებში. მაგალითები:

### თანდებულებიანი სახელები:

**ფირინ-ში** (= ღუმელში; თურქ. **fırın** = ღუმელი): აჯაფსანდალი **ფირინში** შევწვი (ჰ. ფასიოლლუ).

**ბაირამ-ზე** (= დღესასწაულზე; თურქ. **Bayram**): ადრე **ბაირამზე** ერთმანეთში მიდი-მოდიოდნენ, ახლა ახალგაზრდებმა აღარ იციან (მ. ფაშიოლლი-კონცელიძე).

**ღუვარ-ზე** (= კედელზე, ფერდობზე; თურქ. **duvar** = კედელი): სამი ადგილიდან წყალი წევდოდა **ღუვარზე** (ა. ერდოღანი-მემარნე); **ღუვარის ქვეშ** (= ფერდობის ქვეშ): წყარო **ღუვარის ქვეშ** მოდინვოდა (ჰ. ფასიოლლუ).

### ებ-იანი მრავლობითის ფორმები:

**იარიჯ-ებ-ი** (= მოიჯარეები; თურქ. **yarıcı** = მონახვერე, მოიჯარე, საზიაროდ მომუშავე): მე წავალ, აქ დარჩებიან **იარიჯები** (ჰ. ფასიოლლუ).

**იერ-ებ-ი**, **იერის თავიდან** (= ადგილები, ამ ადგილიდან/ აქედან; თურქ. **yeri** = ადგილი): ერი გადახედე **იერის თავიდან**, ბალკონიდან, რაფერი გადასახედია. აქ რუსები მევდენ. გადაწვეს **იერები**. ქართველები ორდში (ორდუში) გეიქცენ, მემრე ჰამიდიეში დაბრუნდენ (ჰ. ფასიოლლუ); ქართველები აქზე მოვდენ სულთან აჰმედ ჰამიდის დროს. ქართველები რომელი სულთანის დროსაც მოვდა, დაუდებელი **იერები** იმის სახელი იქნება: აზიზიე, მეჰმედიე, ორჰანიე ოსმანიე... (ა. ერდოღანი-მემარნე).

**ჩათალები** (**çatal** = ჩანგალი): დეირიგეთ პატარა **ჩათალები**.

**თაქუნები** (**takunya** = ხის ქოში): ფეხზე **თაქუნები** გვეცვა, ძელით გაკეთებული. უფროსებთან ისე ვინ დადიოდა (ჰ. ფასიოლლუ). შდრ. შ. ფუტკარაძე: **თაქუნია** უყიდა გოგვებისთვის (ჰაირიე)(ფუტკარაძე შ., 1993: 465).

### ზედსართავი სახელები:

**ბეჯერიქლი** (**becerikli** = ნიჭიერი): მე **ბეჯერიქლი** ბავშვი ვიყავი.

**თემბელ-ებ-ი** (= ზარმაცები; თურქ. **tembel** = ზარმაცი): დიდი **თემბელები** არიან.

**ფახირ-ებ-ი** (= ღარიბები; თურქ. **fakir** = ღარიბი): მიერნები **ფახირები** იყო (ჰ. ფასიოლლუ).

### ზმნიზედები:

ჰამიდიელთა მეტყველებაში გვხვდება ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები ზმნიზედები. მაგალითად: **რაჰათად** (= კომფორტულად) მიღებულია თურქული სიტყვისაგან **rahat**, რაც ნიშნავს კომფორტულს: ქართველები და ჭანები გასწორდენ. ახლა ჩემზე **რაჰათად** არიან (ჰ. ფასიოლლუ); ასევე: **აჯელი/ე** (= საჩქარო, ჩქარა) < თურქ. **acele** = სიჩქარე, საჩქარო, სასწრაფო): რა ვქნა, მე მიყვარს აქოურობა. ჩემი ყოლიფერი **აჯელია**; ახლა ნახე, რაფერ **აჯელე** მიდიან (ჰ. ფასიოლლუ).

გვხვდება არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზმნიზედებიც. მაგალითად, **სირა-სირად** (= ქართ. რიგ-რიგად, მწკრივად; თურქ. **sıra** = რიგი): ძველად ქართული გვარები **სირა-სირად** ასე იყო: ჩვენ ვართ მემარნე, მერე არის მეჟანაძე, მერე არის ფასიოლლი, მერე მემარნე, მერე გელაძე, მერე ლალიშვილი... (ა. ერდოღანი-მემარნე).

### სახელზმნა:

**აჩიჩეკებული** (= აყვავილებული, თურქ. **çiçek** = ყვავილი): ნახე, რაფერი **აჩიჩეკებულია** ყოლიფერი.

**გაყირმიზება** || **დაყირმიზება** (= გა/დაწითლება; თურქ. **kırmızı** = წითელი): **გაყირმიზებული** (= გაწითლებული, შემწვარი; დამწვარი): აჯაფსანდალი **ფირინში** შევწვი, მაქშუქა და ტყვილა **გაყირმიზებული**; თურქული სიტყვისაგან **kırmızı** მიღებულია ზმნური ფორმებიც: **პური არ დაგაყირმიზოთ**; **პური დაგაყირმიზეთ** (ჰ. ფასიოლლუ).

„ჰამიდიეს ქართულში“ თურქულის გავლენა ყველაზე ნაკლებად იგრძნობა ზმნაში: იშვიათია თურქული ზმნური ძირები. თუ არის, ისიც ან დამხმარეა, მაგალითად, **ოლდუ** (**oldu** = იყო): **ღამე ოლდუ**, **კოლოები არიან** (სუად ფასიოლლუ), ან – ქართულ ყალიბში მოქცეული თურქული სახელისაგან ნაწარმოები (შდრ. **დაგაყირმიზეთ**...).

### სინტაგმები:

**ილკ ოქულ-ში** (= დაწყებით სკოლაში; თურქ. **ilkokul** = დაწყებითი სკოლა): **ედირნეში** დერს ვაძლევი, **ილკ ოქულში**.

**ორთა ოქული-დან** (= საშუალო სკოლიდან; თურქ. **orta okul** = საშუალო სკოლა): მე **ორთა ოქულიდან** გვეთხვე (ჰ. ფასიოლლუ).

**ორთა მაჰალე** (**orta mahale** = შუა უბანი): **იქეთელა** – **ორთა მაჰალე** (ა. ერდოღანი-მემარნე).

საღლიქ ევი (Sağlık evi = ჯანმრთელობის სახლი): ჰამიდიეს ცენტრში საღლიქ ევიც არის (ა. ერდოლანი-მემარნე).

ო ტარაფტა (= იმ მხარეს; თურქ. taraf = მხარე): **ო ტარაფტა** ხოროიშვილი, ყენია, ხარაზი, გოგმაჩაძე, ცენტერაძე, ელიაძე, გვარიშვილი, ქათამაძე, გუგუნავა, ჟიჟავაძე / ჯიჯავაძე, ვერულიძე. ასე იყო სირა-სირა (ა. ერდოლანი-მემარნე).

### კალკები:

გრამატიკული კალკის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ზმნა **ასწი** წინადადებაში: დინარა, ერთი **ასწი** (= აიღე, ჭამე; თურქ. al) ტკბილი (ჰ. ფასიოლლუ);

**ქუწუმელ-ის მაჰალესი** (= ქუწუმელის უბანი; თურქ. mahalle = უბანი, Kutsumel mahale-si): კოსტანავატი ჰამიდიეს მაჰალე იყო. სოფლის ამ თავის მეორე კუდამდე იყო **ქუწუმელის მაჰალესი** (ა. მემარნე).

კალკირებულია გამოთქმა წინადადებაში: **ჭამეთ, რა ლამაზია, იცი? უჭადოდ ჭამეთ** (ანუ, უპუროდ), **ჩეიდევიტ პირში** (ჰ. ფასიოლლუ). ქართულში **ლამაზი** საჭმლის შესახებ არ ითქმის. აქ უნდა ვიგულისხმოთ – **რა კარგია! რა გემრიელია!** ამდენად, მოცემულ წინადადებაში **რა ლამაზია...** არის თურქული გამოთქმის **Ne güzel!** (= რა ლამაზია! || რა კარგია!) კალკი. თურქულში **Ne güzel** ითქმება ადამიანზეც, ცხოველზეც, ზოგადად, ცოცხალ და არაცოცხალ საგნებზე, მათ შორის, საჭმელებზეც.

**ქუსურა ბაქმაზე არ შემხედოთ!** (ჰ. ფასიოლლუ) ნიშნავს: არ დამძრახოთ, ნაკლი, ხინჯი არ დამინახოთ, მაპატიეთ (თურქ. kusura bakmamak = პატიება), ანუ ხინჯი არ დამინახოთ. თუ რამე შემეშალა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. შდრ. **ყუსურზე არ დიმიხედო** (ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., 2014: 179).

2. ჰამიდიელები ხშირად პარალელურად იყენებენ ქართულ-თურქულ ტერმინებს. ასეთია, მაგალითად:

**აკვანი || ბეშიკი (Beşik):** ადრე ბაღანა **ბეშიკში**, აკვანში, იყო... (ა. ერდოლანი-მემარნე).

**ზოსტანი || ბახჩიები (Bahce):** **ბახჩიები** აფსილია ბალახით; თუ ქენი, **ზოსტანი** იქნება (ჰ. ფასიოლლუ); ემითეს რა უნდა **ბაღჩაში**, რანდა მოწიკვოს (მ. ფაშიოლლუ-კონცელიძე).

**მანქანა || არაბა (Araba):** ადრე აქედან ქალაქში ფეხით მიდიოდნენ. სა იყო **მანქანა**; კარი რომ გეილო (საზღვარი რომ გაიხსნა), აქ **არაბები** გაფსილი იყო.

**ახალგაზრდა || გენჩი (Genc):** **ახალგაზრდა** ვიყავი, **მოკაზმული**, კაი ვიყავი; მეც **გენჩ** ვიყავ, დავრბოდი, ვეხმარებოდი.

**ბროწოლი || ნარი (Nar = ბროწეული):** **ნარზე** ჩიჩელები (ყვავილები) აყვავდნენ, მემრე დაცვიდნენ. **ბროწოლია** სახელი ჩვენებური (ჰ. ფასიოლლუ).

**ნალია || სერენდერი (Serender)...**

**ნიჩაბი || ქურეკი (kürek)** (მ. ფაშიოლლი-კონცელიძე)...

3. სინტაქსური კონსტრუქციები ძირითადად თურქულია თითო-ოროლა ქართული სიტყვის შერევით (უმეტესად საშუალო თაობისთვის დამახასიათებელი). მაგალითად: **Benim gogo erkek gibi** (= ჩემი გოგო ბიჭივით არის); **Televizyonda bende kartuli aris** (= ტელევიზორში ქართული არხები მაქვს) (ს. ფასიოლლუ)...

ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის ხარისხი „ჰამიდიეს ქართულში“ გაცილებით მაღალია საშუალო თაობაში. რაც შეეხება უფროს თაობას, აქ მოქმედებს ლოკალური პრინციპი: შერევისა და თურქულენოვანი გავლენისაგან უფრო მეტად დაცულია ადგილობრივთა მეტყველება, ვიდრე თურქეთის სხვადასხვა ქალაქში მიგრირებულთა ქართული...

თანამედროვე ქართულ-თურქული ურთიერთობები, ვგულისხმობთ თურქეთის საგანმანათლებლო სივრცეში ბოლო წლებში განხორციელებულ პროგრამას, კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლებში „ქართული ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობის გახსნას, სკოლებში ქართული ენის არჩევით საგნად შემოღებასა და ქართული ენის შემსწავლელი კურსების ამოქმედებას, თურქეთელ ქართველებს აძლევს შესაძლებლობას, არ მოსწყდნენ საკუთარ ფესვებსა და მშობლიურ ენას.

### ლიტერატურა:

**თურქულ-ქართული ლექსიკონი** (რედ. ლ. ჩლაიძე), სტამბოლი, 2001.

**სადინაძე რ., კიკვაძე მ.,** მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ფაზარის ჰამიდიეში (ყოფა და ენობრივი სიტუაცია), XXXV რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია, მასალები, ბათუმი, 2015.

**ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ.,** კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება (მასალები): კრებ. IX, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმან. მეცნ. ფაკ., ქართველოლოგიის ცენტრი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014.

ფაღავა მ., ცინცაძე მ., შავშეთი (შავშური დიალექტის მასალები), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმან. მეცნ. ფაკ., ქართველოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „კოროსი“, თბ., 2011.  
ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“, ბათუმი, 1993.

## “HAMIDIYE’S GEORGIAN” (ISSUES RELATED TO MIXING THE SPEECH CODES)

Rusudan Saginadze, Recep Tayyip Erdogan University (Turkey), Professor

Maia Kikvadze, Recep Tayyip Erdogan University (Turkey), Associate Professor

### RESUME

Pazar Hamidiye has been the only Georgian village in Rize until recent times, which consisted of forty families. At present only fifteen remains and the population is mixed in the village: together with inhabitants from Kobuleti, one can find Laz and Turkish people living there.

Language situation in Hamidiye is almost the same as in other regions of Turkey populated by Georgian people, with mixed Georgian – Turkish speech codes. The reason for this is the linguistic environment, social conditions and village, almost emptied from Georgian inhabitants. The study of “Hamidiye’s Georgian” in terms of speech code mixing is very interesting and important by means of general linguistics as well as culturological aspects.

Hamidian Georgian Muhajirs speak in Adjarian dialect, mostly in Kobuletian subdialect. Their old and new way of life is most of all reflected in the vocabulary, in phraseologisms. Hamidians have preserved the terms denoting agricultural buildings and tools (**house basement, fence, cow house, hen house... hoe, axe, mattock...**) Georgian (Kobuletian) names of dishes (**shrali phkhali, satsivi, zetiani qatami, dedluri, kukhiani lobio, amolesili lobio...**), as well as the names of plants, animals and birds. Among with Georgian terms and expressions Turkish can abundantly be found. Part of them is placed into Georgian mould (**Khisimity** – relatedness, Turk. **hısım** = relative; **khat / kat** – floor, Turk. **kat** = floor, storey; **chatal** – forks, **çatal** = fork; **chicheked** – flourished, Turk. **çiçek** = flower...), and the other part is transferred without any change (**Haziran**, Turk. **haziran** = June; **bayram, bayram** = holiday...).

Modern Georgian-Turkish relationships, we mean the program realized within the educational system of Turkey in recent years, in particular, opening “Georgian Language and Literature” specialty in higher education institutions, introducing Georgian language as optional subject in schools and bringing Georgian Language Courses into action, gives opportunity to Turkish Georgians, not to be cut off their own roots and native language.

## „ოსმალთა“ და პატარა ლიახვის ხეობა

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ოსმალთა ბატონობის დამყარებამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში მძიმე დალი დაასვა ჩვენს ქვეყანას.<sup>1</sup> „ოსმალთა“ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოებრიობას, მის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას. როგორც ცნობილია, ოსმალებმა თავიანთი პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერის – იესე ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1727 წ. ქართლი 6 წაწილად დაყვეს, რომელთაგან ერთ-ერთი, ზემო ქართლი, გივი ამილახვარს უბოძეს. ამილახვარი თავდაპირველად სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალებს. ერთ-ერთ ბრძოლაში, რომელიც სამაჩაბლოში, გუფთასთან გაიმართა, მან სძლია კიდევ მტერს, მაგრამ მალე იძულებული გახდა ოსმალებთან კავშირი შეეკრა<sup>2</sup> ოსმალთა მიერ ქართლის განაწილების შესახებ ინფორმაციას

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 434; ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მსკი, ნაკვ. 1, 1944, გვ. 179.

<sup>2</sup> დ. გვრიტიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქი და სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. I ნახ. (გივი ამილახვარის აჯანყება), „მომომხილველი“, III, გვ. 110.

\* მოგვიანებით გივი ამილახვარს ოსმალებმა ერთგული სამსახურის სანაცვლოდ თბილისის სანჯაყი და გორის ნაკვეთი არსებული არაერთი სოფელი, გადასცეს, მათ შორის, ცხინვალიც. იხ. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების

გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი, მისი ცნობით: „მაშინ ისაყ ფაშამ განჰყო ქართლი. სომხით – საბარათიანო მისცა ერასტი ყაფლანიშვილს, მცხეთას ზეთი ბაგრატი ციციშვილს, ზემო ქართლი გივი ამილახვარს, მუხრანი და საერისთაონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხუათა რაი იგი უხმდათ, არამედ შურითა ურთიერთა ქართველთა იყო უუფროსესნი ჭირნი და ართმიდიან და მარცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა, კულად უმეტესად ოხრებითა ტყვეობითა ლეკათა.“<sup>1</sup> ოსმალებმა ქვეყანას მძიმე გადასახადები შეაწერეს. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც პატარა ლიახვის ხეობა აღმოჩნდა. ქართველი მებატონეები პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ გლეხებს თავიანთი ოჯახებით ხშირად ოსმალური გადასახადების გამო ჰყიდდნენ. ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად ლევან მაჩაბელმა იმის გამო, რომ ოსმალთაგან დაკისრებულ გადასახადს ვეღარ იხდიდა, კუთვნილი ყმა-გლეხი გივი ამილახვარს მიჰყიდა. დოკუმენტი 1725 წლით არის დათარიღებული: „დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დიად ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვით წაკულთას ოვსი ნარიკაშვილი ვეფხიას საკვამლო მთასა და ბარში, რაც ალაგი ჰქონდეს და დიცს, რაც მამული აქუს.“<sup>2</sup> ოსმალთა დამპყრობლების განუკითხავმა ბატონობამ ანტიოსმალურ აჯანყებებს შეუმზადა საფუძველი. აჯანყებამ იფეთქა ქსნისა და არაგვის საერისთავოებში აგრეთვე, სამაჩაბლოში. ვახუშტის ცნობით: „ხოლო მაჩაბელი თეიმურაზ არა ერჩდა ამილახორს და სწყვეტდა ოსმალთ, სადა ვის მოიხელთდის.“<sup>3</sup> მაჩაბელთან ერთად ოსმალებს აუჯანყდა ქსნის ერისთავი შანშე. ოსმალებმა აჯანყებულთა დამსჯელ ექსპედიციას გივი ამილახვარი ჩაუყენეს სათავეში. შანშე ქსნის ერისთავის სამფლობელოს იავარქმნის შემდეგ<sup>4</sup> ამილახვარი სამაჩაბლოში შეიჭრა და მაჩაბელთა კუთვნილი სოფლები დაარბია.<sup>5</sup> თეიმურაზ მაჩაბელი რაჭაში გაიხიზნა, თუმცა იქიდან თავის საფეოდალოში მალე დაბრუნდა და ქსნის ერისთავთან-შანშესთან ერთად ანტიოსმალური ბრძოლა განაახლა. 1731 წელს, როგორც სეხნია ჩხეიძე გვამცნობს, თეიმურაზ II ქართველ-ოსმალთა ჯარით შანშე ქსნის ერისთავის სამფლობელო მოარბია, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოში გადავიდა და აიღო მუგუთისა და სვერის ციხეები, საცხენისი, ქვაბები.<sup>6</sup> ქსნის ერისთავი შანშე ოსმალთა მიმართ განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდა. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის პატარა ლიახვის ხეობა ქსნის საერისთავოში შედიოდა. აქ არსებული არაერთი ციხე-სიმაგრე შანშე ერისთავმა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის კერად გადააქცია. თავდაპირველად შანშე ერისთავს ოსმალურ ორიენტაციაზე მყოფი თეიმურაზ II ებრძოდა. თეიმურაზს ოსმალების დახმარებით პატარა ლიახვის ხეობაში ულაშქრია, როგორც ჩანს, აქ არსებული ციხეები შანშესთვის ყველაზე საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. თეიმურაზ II მიერ ოსმალთა ჯარით პატარა ლიახვის ხეობაში ლაშქრობის ფაქტს გადმოგვცემს სეხნია ჩხეიძე: „ქორონიკონს უით, თვესა ივლისსა, შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს, კახი ბატონი, ურუმთ ჯარი და ქართველნი, მრავალნი სულნი დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები. დააქციეს ციხე ვანათისა. ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე და შეირიგეს.“<sup>7</sup> როგორც ჩანს, ოსმალებმა ამ ლაშქრობის დროს გაანადგურეს არა მარტო პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები, მაგ.: საცხენისი\*, არამედ პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებული სოფლებიც ქვაბები,\*\* კოშკა,\*\* სეხნია ჩხეიძის

საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 222. ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 243-246.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. IV, გვ. 510.

<sup>2</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. გვ. 215-216.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა... ქართლის ცხოვრება ტ. IV, გვ. 510.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ა. იოსელიანის რედ., თბ., 1980, გვ. 61

<sup>5</sup> გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლო „ოსმალთა პერიოდში“, გორის სახემწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, 2015, გვ. 52.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 335; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 61; ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., გვ. 511;

<sup>7</sup> სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოც. ტ. II, გვ. 335.

\* აღნიშნული სოფელი ვანათის გვერდით მდებარეობს და დღეს ის საცხენეთის სახელით არის ცნობილი. საისტორიო წყაროების მიხედვით ამ სოფლის ძველი ფორმა იყო საცხუმეთი, რომელიც პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა. იხ. გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2007, გვ. 10; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 25.

\*\* აღნიშნული სოფელი მდებარეობდა სოფელ არბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ვანათსა და არბოს შორის. დღემდე შემორჩენილი ტაოკონიმი „ქვაბები“. იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, ხელნ. გვ. 2.

\*\*\* კოშკა მდებარეობს პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ არბოს აღმოსავლეთით.

თხზულებაში მოხსენიებულია ოსმალთა ჯარის მიერ აოხრებული სხვა სოფლებიც, კლდე და მესერი, თუმცა მათი ლოკალიზება ვერ ხერხდება. ამ ლაშქრობის შემდეგ შანშე ერისთავი ემიგრაციაში მყოფ ვახტანგ VI წერდა: „მაშინ, რომ თათრები და კახი ბატონი, ქართლელნი, მომადგნენ. ჯერ ახალგორს მობრძანდა კახი ბატონი და აქ ვერა გაარიგა რა, წაბრძანდა. მას უკან ლიახვზედა მომდგნენ, მღვთით და თქვენის დოვლათით ვერც იქიდან გაარიგეს. დიდი ჯარი იყო, თორმეტი ათასი იყო თათარი, ლეკი, ქართველნი და კახნი.“<sup>1</sup> შანშე განაგრძობდა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ციხეების გამაგრებას ოსმალთა წინააღმდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ბრძოლაში ვანათის ციხეს ენიჭებოდა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მიუდგომელი და ძნელად ასაღები იყო. ვანათის დანგრეული ციხე სწორედ შანშეს აღუდგენია. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შემუსრული (იგულისხმება ვანათის ციხე – გ. ს) განაახლა შანშე ქსნის ერისთავმა.“<sup>2</sup> ოსმალების წინააღმდეგ შანშეს ხელახალი აჯანყების დროს ქსნის ერისთავი ვანათის ციხეში გამაგრდა. ოსმალებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოახერხეს მისი დამორჩილება. ვახუშტის ცნობით: „კულად განდგა ქსნის ერისთავი შანშე და თეიმურაზ არაგვის ერისთავიცა განაძეს ოსმალთა და დასუეს რევაზაცა, არა ერჩდა ოსმალთა, ამისთვის უბრძანა ისაყ-ფასამ მაჰმად ყული-ხანს და წარმოავლინა ახალციხის სპანი. მოვიდნენ ქსანი მოარბიეს და მოადგნენ ვანათის ციხესა და ქუაბიდან მოსვრიდნენ მრავალთა ოსმალთა. არამედ ღამესა მას განილტვენენ ქუაბიდან, იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა ზავჰყო.“<sup>3</sup> საბოლოოდ პატარა ლიახვის ხეობაც ოსმალთა უღელქვეშ მოექცა. როგორც აღვნიშნეთ, ოსმალებმა ქართლის დაპყრობის შემდეგ გივი ამილახვარს თბილისის სანჯაყი და გორის ნაჭიეში არსებული სოფლები უბოძეს. ოსმალეთის ხელისუფლებამ გივი ამილახვარს ჩააბარა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლებიც. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი.“ თურქულ დოკუმენტში პატარა ლიახვის უმეტესი სოფლები წარმოდგენილი არ არის. ისინი გამოტოვილია, აღწერილია მხოლოდ ერედვი, გერი და არბო. არბოში დავთრის მიხედვით აღწუსებული იყო: „ 26 კაცი, სახლი 15, მიწის დღიური მფლობელობა 50, სამეუფო ველის დღიური მფლობელობა 20 სამეუფო ვენახის დღიური მფლობელობა 5 ჯამი მარცვლეულისა ისფენჯი კაცი 26 ახჩა 3120 ხორბალი ქილა 180 ახჩა 3600 ქერი ქილა 90 ახჩა 1350 ჭვავი ქილა 50 ახჩა 750 ფეტვი ქილა 80 ახჩა 1200 უშრის გადასახადი ვენახზე დონუმი 50 თითოეულს 40, ახჩა 2000 გადასახადი ერბოზე 350 გადასახადი არუსანეზე 120 გადასახადი ცხვარზე 390 გადასახადი სკაზე 100 დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 250 გადასახადი ღორზე 120 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვეკაჩკუნ, ბეითალმალი ამევე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ, დიმედიეთ 350 ჯამი 14400.“<sup>4</sup> როგორც ჩანს, სოფელ არბოში ამ დავთრის შედგენის დროს 15 კომლი ყოფილა, სადაც 26 ოჯახს უცხოვრია.\* როგორც ჩანს, არბოში სოფლის მეურნეობის არაერთი დარგი იყო განვითარებული, რაც მოსახლეობის ოსმალთაგან დაბეგვრის მიზეზს წარმოადგენდა. ოსმალურ დავთარში აღწერილია სოფელ გერის მოსახლეობაც.\*\* სოფელი გერი გივი ამილახვარს ექვემდებარებოდა. გერში ამ დროისთვის 11 კომლი და 24 ოჯახი ცხოვრობდა. აქ იყო: „მიწის დღიური მფლობელობა 50 სამეუფო ველის დღიური მფლობელობა 20 სამეუფო ვენახის დღიური მფლობელობა 3 ჯამი მარცვლეულისა ისფენჯი კაცი 24\*, ახჩა 2640 ხორბალი ქილა 110 ახჩა 2200 ქერი ქილა 60 ახჩა 900 ჭვავი ქილა 30 ახჩა 450 ფეტვი ქილა 40 ახჩა 600 უშრის გადასახი ვენახზე, დონუმი 50, თითოეულს 40 ახჩა 2000 გადასახადი ერბოზე 250 გადასახადი სკაზე 120 არუსანეს გადასახადი 120 გადასახადი ცხვარზე 290 დეშთიბანი მიწაზე თაფუს გადასახადი 180 გადასახადი ღორზე 120 წისქვილი თვალი

<sup>1</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 320.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 620.

<sup>4</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 370.

\* დოკუმენტში მოხსენიებული ტერმინი „კაცი“ XVIII საუკუნის აღწერებში გავრცელებული ტერმინის „თავი“ იდენტურია, შესაბამისად რამდენი კაციც იხსენიება დავთარში, იმდენი ოჯახი უნდა იგულისხმებოდეს. იხ. გ. სოსიაშვილი, ახალგორი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2013, გვ. 49.

\*\* დოკუმენტურ წყაროებში გერი იხსენიება XVII საუკუნიდან. ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად გერი რამდენიმე სოფელთან ერთად ნუგზარ არაგვის ერისთავმა სვეტიცხოველს შესწირა. გერში არსებობდა ქართლში განთქმული გერის წმინდა გიორგის სალოცავი, რომელიც გადმოცემით V საუკუნეში ქართლის მეფის, ფარსმანის, დროს აგებულა. იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 88-89.



1, სრული წლით გადასახადი 120 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ 200 ჯამი 10090<sup>1</sup>.<sup>1</sup> ოსმალურ დავთარში აღწერილია ასევე სოფელი ერედვი, აღნიშნული სოფელიც სხვა სოფლებთან ერთად გივი ამილახვარს ექვემდებარებოდა. ერედვი ოსმალური დავთრის შედგენის დროს 53 კომლი ცხოვრობდა სადაც 88 ოჯახი იყო გაერთიანებული. დოკუმენტში ვკითხულობთ: „სახლი 53 მიწის დღიური მფლობელობა 50 სამეფუფო ველის დღიური მფლობელობა 20 სამეფუფო ვენახის დღიური მფლობელობა 5 ჯამი მარცვლეულისა ისფენჯი კაცი 88 ახჩა 10560 ხორბალი ქილა 400 ახჩა 8000 ქერი ქილა 200 ახჩა 3000 ჭვავი ქილა 80 ახჩა 1200 ფეტვის ქილა 120 ახჩა 1800 უშრის გადასახადი ვენახზე გადასახადი ერბოზე 225 გადასახადი სკაზე 120 გადასახადი ცხვარზე 450 არუსანეს გადასახადი 120 დემთიბანი მიწაზე თაფუს გადასახადი 250 გადასახადი ღორზე 150 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი ამე ვე ხასე მალი გაიფ მალი მეფკუდ, დიმედიეთ 350. ჯამი 29425“.<sup>2</sup> XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში პატარა ლიახვის ხეობაში საისტორიო წყაროების მიხედვით არეაერთი სოფელია მოხსენიებული. 1720 წლის სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის ყმების ნუსხის თანახმად პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში მართლმადიდებელი ეკლესიას თავისი ყმა-გლეხები ჰყავდა, მათ შორის: ერედვი, ტირმნისში, ქორდში, თერგვისში.<sup>3</sup> პატარა ლიახვის ხეობის აღწერისას რამდენიმე სოფელს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი. მათ შორის: საცხენისს, აწერისხევს, ვანათს.<sup>4</sup> საინტერესოა, რა მიზეზით არ შევიდა პატარა ლიახვის ხეობის სოფლები ოსმალთა მიერ შედგენილ ფისკალურ დოკუმენტში. თუ გავითვალისწინებთ ოსმალური დოკუმენტების სიზუსტეს, შეუძლებელია, რომ ოსმალებს თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი რომელიმე სოფელი გამორჩენოდათ. ჩვენი აზრით, აქ ორი ვერსიაა დასაშვები: 1. შესაძლებელია ოსმალთა შემოსევებმა პატარა ლიახვის არაერთი სოფელი ნასოფლარად აქცია. მოსახლეობა შეეწირა მათ შემოსევებს ან გაიხიზნა; 2. როგორც აღვნიშნეთ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლები გივი ამილახვრის ნაჰიეში შედიოდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ გივი ამილახვარს ოსმალთა მოხელეებთან გარიგებით ეს სოფლები გადასახადების თავიდან აცილების მიზნით აღწერის დავთრებიდან ამოეღო.\* ოსმალების მიერ შედგენილ დოკუმენტში პატარა ლიახვის ხეობის მხოლოდ სამი სოფელია: არბო ერედვი და გერია წარმოდგენილი, თუმცა, დავთრის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დაახლოებით როგორი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 408.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 368-369.

<sup>3</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, 1940, გვ. 184.

<sup>4</sup> იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 362-363.

\* ოსმალთა მოხელეების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე არაერთი სახის გადასახადი იყო დაწესებული, მათ შორის გადასახადი: ცხვარზე, ფუტკარზე, ღორზე. მოსახლეობა გადასახადს იხდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, როგორც იყო ერბო, ქერი, ჭვავი, თივა და სხვ. დოკუმენტში მოსახლეობაზე შეწერილი სხვა სახის გადასახადებიც გვხვდება მაგ. ბედიჰავას გადასახადი, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი, ამევე ხასე, მალი, გაიფ მალი\* (ქართულ საგადასახადო სისტემაში მალი ითვლებოდა სულად გადასახადად, იხ. ვ. გაბაშვილი, ფეოდალური წყობილება საქართველოში, თბ., 1958, გვ. 199; მკვლევრის განმარტებით „სათათრო მალი“ უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ დაწესებულ ხარკს ეწოდებოდა. მალი საგადასახადო ტერმინის მნიშვნელობით, საქართველოში თათართა ბატონობის დროს ვრცელდება.“ იქვე, გვ. 251. მკვლევრის აზრით, მალი უფრო გვიან სათათრო ელფერს კარგავს და სამეფო გადასახადებს შორის მთავარ ადგილს იკვირს... XVI-XVIII ს.ს. „მალი“ სათათრო ხარკს აღარ ნიშნავს.“ იქვე, გვ. 253. ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან 1728 წლის თბილისის ვილაიათის დიდ დავთარში<sup>5</sup>, მალი როგორც გადასახადი, წარმოდგენილია სხვა ოსმალური გადასახადების გვერდით). ბადიჰავას გადასახადში ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით შედიოდა სხვადასხვა სახის ჯარიმა: საქორწინო გადასახადი, მიწის თაფუ და სხვ. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ბადიჰავას გადასახადი დამნაშავეების ფულად ჯარიმას წარმოადგენდა. ნ. გორგოძე, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის მიხედვით“ (1728წ.) მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწადი, ტ. 12, თბ., 2005, გვ. 426. როგორც ნ. გორგოძე აღნიშნავს: „ბადიჰავა უნდა იყოს გადასახადების ერთი ჯგუფის საერთო სახელწოდება. ამის საფუძველს იძლევა კანუნ-ნამეები. წყაროებში ჯარიმები, „იავა, „კაჩკუნ“, „მალი გაიფ“ და სხვა ერთადაა დასახელებული. ამრიგად წყაროებიდან ჩანს, რომ ბადიჰავაში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახის გადასახადი, რომლის გადახდა მწარმოებელი საზოგადოების უშუალოვალდებულებას წარმოადგენდა.“ (ნ. გორგოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 426). დავთარში მოხსენიებული სხვა გადასახადები, რომლებიც ოსმალური ტერმინოლოგიით არის წარმოდგენილი (მაგ. ჯურუმ ჯიბაიეთ), იგი შესაძლებელია წვრილმან გადასახადს წარმოადგენდა და „ბადიჰავას“ გადასახადების ჯგუფში შედიოდა. საინტერესოა ასევე დავთარში ერთ-ერთი გადასახადის აღმნიშვნელი ტერმინი „მეფკუდ“. როგორც ვ. გაბაშვილი განმარტავს: „ზოგიერთი გლეხი, მართალია, არ იყო მიწერილი სიფაჰიზე, მაგრამ ასეთად ჩანს უმიწაწყლო გლეხი, რომლის გადასახადელს, კერძოდ ბენაქს, მირის მოხელე(„მეფკუფჩე“) კრებდა.“ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219. დავთარში მოხსენიებული ტერმინი მეფკუდ და მეფკუფჩე, მსგავსი ტერმინებია. შესაძლებელია „მეფკუდ“-ი უმიწაწყლო გლეხთა გასადასახადს ერქვა.

მოცულობის სოფლები არსებობდა პატარა ლიახვის ხეობაში, დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს პატარა ლიახვის ხეობაში განვითარებული სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის შესახებ, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა მისდევდა. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქსნის ერისთავის შანშეს აჯანყებებმა და ოსმალთა დამსჯელმა ექსპედიციებმა, ბოლოს კი პატარა ლიახვის ხეობის მაცხოვრებლებზე დაწესებულმა ოსმალურმა გადასახადებმა ძალზე დააზარალა პატარა ლიახვის ხეობის სოფლები.

**OTTOMAN REGIME AND PATARA LIAKHVI GORGE**  
**Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

Establishment of Ottoman regime in 20s of 18<sup>th</sup> century produced dramatic effect on our country. Ottoman regime caused significant damage to Georgian State, and to a traditional social and economic order of the country. Establishment of Ottoman regime formed the basis for a number of revolts. In this regard, Ksani Saeristavo (a territorial unit in old Georgia, which was ruled by Eristavi) was particularly distinguished. Shanshe Eristavi turned many fortresses into the centres of struggle that caused a number of punitive campaigns by Ottomans. As it is known, after the Ottomans invasion of Kartli, they drafted a description of the villages, reflecting imposed taxes on population. Such kind of document was *Tbilisi Vilayet Great Book of 1728*. Only three villages – Arbo, Eredvi and Geri - are presented in the document drawn up by the Ottomans. Although, according to the Ottoman book, we can imagine approximate volume of villages existed in Patara Liakhvi Gorge. The document includes important information about many fields of agriculture, followed by local population.

**გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები თურქულსა და ქართულში**

**გიგა ქამუშაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**  
**ლუიზა ხაჭაპურიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი**

გული საოცარი ორგანოა. მის მუშაობაზე აისახება ორგანიზმში მიმდინარე ყოველი პროცესი, დადებითი თუ უარყოფითი განცდა, გარესამყაროსთან უწყვეტი კავშირი. იგი პასუხობს ადამიანის ცხოვრების ყოველ მოვლენას, ავსა თუ კარგს. გული მართლაც უნიკალური ორგანოა, გარკვეულწილად ავტონომიურიც, რადგან უნარი შესწევს, დამოუკიდებლად, ორგანიზმის სხვა სისტემების დაუხმარებლად იმუშაოს.

“ზევრ რელიგიაში გული ჭემმარიტების, სინდისისა და მორალური გამბედაობის ემბლემაა. ისლამურ, იუდეურ და ქრისტიანულ რელიგიურ აზროვნებაში გული ღმერთის ტაძარს ან ტახტს გამოხატავს“<sup>1</sup>.

გულით დააქვს ადამიანის შეგრძნებები, განცდები, წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ემოციები, რაც გამოსჭვივის სიტყვებში, ფრაზებში, რომლებსაც ჰქმნის კონკრეტული სოციუმი.

ნებისმიერ ენაში იდიომი არის ერთგვარი სურათების გალერეა, სადაც თავმოყრილია ერის ჩვეულებების, თვისებების, ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენებისა და ისტორიის ამსახველი ცოცხალი და ნათელი სურათები. სომატური ფრაზეოლოგიზმები გვევლინება უნივერსალურ კატეგორიად, რომელთა შინაარსი თითქმის ზევრ ენაში ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავებული ეროვნული რეალიების გამოყოფა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ენების განვითარების საერთო და სპეციფიკური კანონზომიერებანი.

ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ 2 განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის მქონე ხალხის მართლმადიდებელი ქართველებისა და მუსულმანი თურქების მეტყველებაში არსებული გულთან

<sup>1</sup> სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში - გ. კენჭოშვილი. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library>

დაკავშირებული ლექსები. საანალიზოდ ავიღეთ ჩვენ მიერ შეკრებილი და თურქულ-ქართულ ფაზიოლოგიურ ლექსიკონში დადასტურებული ფრაზეოლოგიზმები. აღმოჩნდა რომ ისინი ათეულობითაა. მოხსენებაში არ ვსაუბრობთ, მწერალთა მიერ შექმნილ მხატვრულ ფორმებზე.

**1. Kalbine doğdu:** გულში დაებადა

გულში გაივლო (გაიფიქრა) (გულმა რეჩხი უყო)

Onun böyle yapacağı kalbime doğmuştu. (გულში გავივლე , ასე იზამს - მეთქი.)

**2. Kalbine düştü:** გულში ჩაუვარდა

Bu kız Ahmed'in kalbine düştü. (ეს გოგონა აჰმედს გულში ჩაუვარდა.)

**3. Kalbine yer eder:** მის გულში ადგილს ჰპოვებს (სიტყვასიტყვით – გულში განათავსებს)

მის გულში დაისადგურებს

მის გულში ბინას ჰპოვებს

kalbime yer etmemiş. (მან ჩემს გულში ადგილი ვერ ჰპოვა.)

**4. Kalbi ışıklarla dolar:** გულში ნათელი (სხივი) უდგება

გულს ნათელი ეფინება - იმედი ეძლევა

Yeşil pencereden bir gül at , bana ışıklarla dolsun kalbimin içi. (მწვანე ფანჯრიდან მესროლე ვარდი , რათა ჩამიდგეს გულში ნათელი.)

**5. Kalbi kararır:** გული უშავდება

გულზე ღრუბელი აწვება

გული ეხურება

Nuri'nin başka şehire gitmesi Osman'ın kalbini kararttı. (ნურის სხვა ქალაქში გადასვლამ ოსმანს გული დაუხურა.)

**6. Kalbi olmayan:** გული არა აქვს

ქვის აქვს

გულის მაგივრად ქვა უდევს (უგრძნობი)

Kalbi olmayan insandan ne beklersin. (გული რომ არა აქვს , ისეთი კაცისგან რას ელოდები?)

**7. Kalbim kan ağlıyor:** გული მიტირის

Affedersiniz , ihtiyarın nasıl olduğunu biliyor musunuz? (უკაცრავად, იცით მოხუცი როგორ არის? ეჰ, როგორ იქნება?! მისი მდგომარეობით გული მეთუთქება.)

Ah, nasıl olabilir ? durumundan kalbim kan ağlıyor.

**8. Kalbi kırık:** გული აქვს გატეხილი

გული მკვდარი აქვს (უიმედო, სასოწარკვეთილი)

gittiğinden beri kalbim kırık. (მას შემდეგ, რაც ის წავიდა, ჩემი გული მკვდარია.)

**9. Kalbini kazanır:** (მის) გულს მოიგებს

O bir türlü kalbimi kazanamadı. (მისი გული ვერაფრით მოიგო.)

**10 .Kalbi durdu:** გული გაუჩერდა

სუნთქვა შეეკრა

Az kaldı kalbim duracaktı. (ცოტაც და გული გამიჩარდებოდა.)

**11. Kalbi temiz:** სუფთა გულისა

Kalbi temiz bir adamdır. (სუფთა გულის ადამიანია.)

**12. Kalpten gelen:** გულიდან მომდინარე (გულწრფელი)

გულიდან ამონეხათქი

გულით ნათქვამი

Kalpten gelen sözlerini hiç unutmam. (გულით ნათქვამ მის სიტყვებს ვერასოდეს დავივიწყებ).

მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს რადიკალურად განსხვავებულ კულტურებთან, განხილული მასალები ცხადყოფს, რომ გულთან დაკავშირებული ფორმულები ხშირ შემთხვევაში ქართულსა და თურქულში ერთმანეთის თანხვედრია.<sup>1</sup>

სომატურ იდიომთა შინაარსობლივი პლანი თითქმის ბევრ ენაში ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ ამას იმდენად ხშირი ხასიათი აქვს თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიზმებში, რომ სავარაუდებელია სიღრმისეული სტერეოტიპების არსებობა (ნ. კაჭარავა, 2006)

<sup>1</sup> როგორც კარდიოლოგები და ქიმიკოსები აღნიშნავენ ესა თუ ის ემოცია გარკვეული ქიმიური პროცესებით შეიგრძნობა გულში, ვფიქრობთ, ამიტომაც არის ასე ახლოს საანალიზო ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა ხალხებთან მაგასი.

საერთო ჯამში კი ქართულსა და თურქულში დაფიქსირებული მოცემული იდიომები ერთგვარად ჩამოყალიბებული შაბლონური ფორმებია, თუმცა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებობს უნივერსალური ადამიანური შეგრძნებები, რომლებსაც ყველა კერძო კულტურა თავისი პრიზმიდან აღწერს და ხშირ შემთხვევაში თანხვედრა სრულიად დაშორებულ და განსხვავებულ კულტურებში არსებულს.

#### ლიტერატურა:

1. თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2012
2. სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში - გ. კენჭოშვილი, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library>
3. ნ. კაჭარავა, კორპორალური ლექსიკა თურქულში, (ავტორეფერატი), თბ., 2006
4. <http://www.mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/kardiologia/2461-gulis-kunthis-dazianeba.html>

## PHRASEOLOGISMS DEALING WITH HEART IN TURKISH AND GEORGIAN

Giga Kamushadze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Luiza Khachapuridze, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor

### RESUME

Somatic Phraseologisms stand as universal categories, whose content is almost similar in many languages, but the separation of the different national realities allows us to show general and specific regularities of the Language development.

Despite the fact that we are dealing with radically different cultures, the reviewed materials reveals that the formulas dealing with the heart are identical in most cases in Georgian and Turkish;

All this proves that there is a universal human experience, that all private culture describes through the prism of his own and in many cases they coincide in the cultures completely isolated and different .

## მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი სიტუაციისათვის

გიგა ქამუშაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა, აჭარაში მცხოვრები მუსულმანი ქართველები კი სამშობლოდან გადაიხვეწნენ. ქართველების მასობრივად გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში ომის დამთავრებისთანავე დაიწყო.

ნაწილი ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილი კი მუჰაჯირობის შედეგად არის გადასახლებული და მთელი თურქეთის ტერიტორიაზეა გაბნეული. ქართველები არიან ბურსაში, ანკარაში, უნიეში, ორდუში, სამსუნში, სინოპსა თუ სტამბოლში.

თურქულ ენობრივ ველში ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, მათ დღემდე აქვთ შენარჩუნებული ქართული ენა და ტრადიციები, თუმცა, ბუნებრივია, სხვადასხვა ენის, მრწამსის, ტრადიციების მქონე ქართველი და თურქი ხალხების მრავალწლიანი ურთიერთობა აისახა არა მხოლოდ მუჰაჯირ ქართველთა სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზე, არამედ მათ მეტყველებაზეც. რამდენადაც ტრაგიკული და მწარეა ისტორია ქართველი მუჰაჯირების აყრისა და გასახლებისა, იმდენადვე მრავალფეროვანი და საყურადღებოა მათი ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ფორმები.

მუჰაჯირი (Muhacir) არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „ახალმოშენე, გადმოსული, გადმოსახლებული, ემიგრანტი, გაქცეული“. ქართველ მუჰაჯირთა პრობლემატიკას ბევრი მკვლევარი შეეხო.

როგორც ცნობილია, მუჰაჯირობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ოსმალეთის იმპერია, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი აეყარა და გაესახლებინა ოსმალეთში რუსეთის მიერ დაკავებული იმ ტერიტორიებიდან, რომელიც მაჰმადიანებით იყო დასახლებული. შ.

მეგრელიძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ „ეს ხალხი მას სჭირდებოდა ჯარის გასაძლიერებლად, დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად, მუდმივი ომებით, სხვადასხვა ტომთა ურთიერთდარბევებითა და ხოცვა-ჟლეტით შეთხელებული მცირე აზიის მოსახლეობის შესავსებად, რუსეთის მოსაზღვრე რაიონების საიმედო ელემენტით დასასახლებლად“ (მეგრელიძე, 1964:4).

თანამედროვე თურქეთი მრავალეთნიკური რესპუბლიკაა, იგი მრავალი ეთნოსის შერევის შედეგადაა წარმოქმნილი; მათ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თურქად მიიჩნევა თავს, რათა თავიდან აეცილებინათ მუდმივი დამაბულობა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის. ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკურობისა, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის უნდა ებრძოლა, მათ შორის ეთნიკურ ქართველებსაც. ათათურქის გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, „თურქეთში მცხოვრები ყველა მოქალაქე არის თურქი“.

მუჰაჯირებით დასახლებული უნიეს, ორდუს, სამსუნისა და სინოპის რეგიონები, ისევე როგორც თურქეთის სხვა რეგიონების უმეტესობა, მრავალეთნიკურია. აქ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ცხოვრობენ. როგორ გამოაცალკეებენ ეთნიკური ქართველები თავიანთ თავს სხვებისგან, რა ლექსიკური ერთეულები დასტურდება მათ მეტყველებაში ეთნიკური და ენობრივი იდენტობის გამოსახატავად?! ეს საინტერესოა, რადგანაც, როგორც ჯ. ფიშმანი მიუთითებს, „ჩვენი ცოდნა საკუთარი იდენტობის შესახებ არ არის ინვარიანტული, მაგრამ იცვლება შემთხვევიდან შემთხვევამდე“ (ფიშმანი, 1999 : 153 ).

2015 წლის აგვისტოს თვეში მოწყობილი ექსპედიციის მიზანიც მუჰაჯირ ქართველთა სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან ენობრივი ნიშნით გამოცალკეება და მათი თვითშეგნების ასახვა იყო.

ეთნიკურ ქართველებში, ჩვენი დაკვირვებით, გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ყოველთვის მიუთითებენ თავიანთი ქართული წარმომავლობისა და ენის შესახებ. ეს კი ყველაზე არსებითი და ძვირფასია მათთვის;

2. ეთნიკური ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას (მაჰმადიანურს) ენიჭება, მაგრამ აღნიშნავენ, რომ არიან გურჯები;

3. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ასიმილირებულნი არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას. თუმცა კი, რიგ შემთხვევაში ამყოფენ ამით, ყოველ შემთხვევაში ქართული წარმომავლობის დამალვას არ ცდილობენ;

ქართულის ცოდნის თვალსაზრისით შემდეგი ჯგუფები შეგვიძლია გამოვყოთ:

1. 80 წელს გადაცილებული ქალები (მათი რაოდენობა დიდი არ არის, ან ჩვენ მათთან კონტაქტი ვერ მოვახერხეთ), რომელთაც ცუდად იციან თურქული ენა და ძირითადად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ქალები ძირითადად ოჯახში საქმიანობდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ზემოაღნიშნული ასაკის ადამიანებისთვის ქართული პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც მშობლიური ენაა;

2. 75-80 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად ქართულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ ქართულია, თურქულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა ან კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას რაიმე ფორმით. ამათგან გარკვეულ ნაწილს სკოლაშიც არ უვლია გასაგები მიზეზების გამო;

3. 60-75 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად თურქულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ თურქულია, ქართულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც საქართველოდან ჩასულ სტუმრებთან უხდებათ ურთიერთობა. ამ ფაქტის გამო გაკვირვება ვერ დავმალეთ და რესპოდენტს ორდუს ერთ-ერთ სოფელში შევეკითხეთ; როცა აქ ყოფნის განმავლობაში ერთმანეთში ძირითადად თურქულად საუბრობთ, ჩვენთან კი-ქართულად, მაინც როგორ მოახერხეთ, რომ ქართული, მისი გამოყენების ძალიან მცირე სიხშირის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნეთ?. ამ შეკითხვაზე ერთმა მათგანმა გვიპასუხა, რომ „ქართული დედის ენაა და მისი დავიწყება არ იქნების-ო“.

4. 35-60 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც განათლება თურქულ ენაზე აქვთ მიღებული. ეს ნაწილი მიუთითებს, რომ თურქული ენა მხოლოდ სკოლაში წასვლის შემდეგ ისწავლეს, რაც მათ პრობლემებს უქმნიდათ, ძირითადად, ქართული ფონემატური სტრუქტურისათვის უცხო, თურქული ხმოვნითი ბგერების ვერწარმოქმნის გამო;

4. რაც შეეხება ეთნიკურ ქართველებს 35 წელს ქვემოთ, აქ შემდეგი ჯგუფები შეიძლება გამოიყოს:

- ა) ახალგაზრდები საუბრობენ ქართულად და ერთმანეთთან ურთიერთობა ქართულ ენაზე მათთვის პრობლემა არ არის;
- ბ) ჯგუფი, რომელიც ქართულად სუსტად ლაპარაკობს;
- გ) ესმის, რასაც ეუბნებიან, მაგრამ ვერ ლაპარაკობს;
- დ) არ ესმის ქართულად არც ერთი სიტყვა და, შესაბამისად, ვერც ლაპარაკობს;
- ე) ჯგუფი, რომელმაც ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლა.

საუკუნეების მანძილზე სამწიგნობრო ქართულს დაშორებულ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველება საინტერესოა როგორც საკუთრივ გრამატიკული, ასევე ლექსიკური თვალსაზრისითაც. თურქული ენის გავლენა მეტ-ნაკლებად ყველა დონეზე შეიმჩნევა: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში... თურქული ენობრივი ელემენტების მოძალემა განსაკუთრებით ლექსიკაში იგრძნობა.

მუჰაჯირ ქართველთა მეტყველება ძალზე საინტერესო სურათს ხატავს სწორედ სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით.

**წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:**

1. შერევე არის, მაგრამ **საქართველომდე** არ არის „სადღეგრძელო არის, მაგრამ ისე არა, როგორც საქართველოში“.
  2. ლაზებთან ვართ, მაგრამ **მეტი** კარგად არაა „ლაზებთან ვმეგობრობთ, მაგრამ არც ისე კარგად“.
  3. ვინ მოკტაო? - **ვინმე** არ მოკტაო „ვინ მოკვდაო? - არავინ მომკვდარაო“.
  4. **ისიც** ლაპარაკი იცის „მანაც ლაპარაკი იცის“.
  5. თეთრი მატარებელი **ამდგარა** ბათომიდან „თეთრი მატარებელი გასულა ბათუმიდან“.
  6. ქალის **უკან** ღარჭებთანაც ქართულად დელილაპარაკოვს „ქალის გარდა ბავშვებთანაც ქართულად ლაპარაკობს“.
  7. **მეზობლის ერთზე** ცხენი მუუთხოვია „ერთი მეზობლისათვის ცხენი უთხოვებია“.
  8. გუშინ დილით თიფლისიდან **ავდექი**, დღეს დილით აქა ამოვედი „გუშინ დილით თბილისიდან გამოვემგზავრე, დღეს დილით აქ მოვედი“.
  9. იქა **პოეტებთან** შეეხვდით „იქ პოეტებს შეეხვდით“.
  10. ვინცხადან რო **სოფას შეჭამ**, იმის შვილს შიიყვარებ? „ვინც ჯოხით გცემს, მის შვილს შეიყვარებ?“
  11. **ძალიან** ქართული არ ვიცი „ქართული კარგად არ ვიცი“
  12. მე ცოლი **გამოვაქციე** „ცოლი მოვიტაცე“.
  13. თოფები **დუუთესლიმით** „თოფები ჩავაბარეთ“.
  14. დღეს რო კაცი მოკტება, მეორე დღეს **ავწევთ, ჩავფლავთ** „დღეს რომ კაცი მოკვდება, მეორე დღეს დავასაფლავებთ“.
  15. მაგენმა **ჭამეს** დეპორტი „ისინი დაადეპორტეს“.
  16. იმ კაცის ცოლი **რა** ქართველია, **რა** რუსია, **რა** თურქია, ამერიკელია „იმ კაცის ცოლი არც ქართველია, არც რუსია, არც თურქია, ამერიკელია“.
  17. ქართველმა ქალებმა მე **გამარეზილეს** „ქართველმა ქალებმა მე შემარცხვინეს“.
- განალიზებულმა მასალამ აჩვენა, რომ მუჰაჯირთა ქართულში, თურქული სალიტერატურო ენისა თუ დიალექტების გავლენის შედეგად, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დონეზე კალკური გადართვა სპონტანურად ხდება, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს სიტყვათა სემანტიკური ცვლილებები... სამეტყველო კოდთა შერევით განპირობებულ ფორმათა სემანტიკური განსხვავებულობა-თავისებურებათა საფუძველი კი მუჰაჯირ ქართველთა სრული ბილინგვიზმია.

**ლიტერატურა:**

დორიანი, 1999 - N. C. DORIAN, Linguistic and Ethnographic Fieldwork – Language and Ethnic Identity, Edited by JOSHUA A. FISHMAN, NEW York, Oxford, Oxford University Press, 1999.

დროება, 1880, 1882 – გაზეთი „დროება“, 1880, 100; 1882, 38.

თოფჩიშვილი, 2005 – რ. თოფჩიშვილი, ეთნოლინგვისტური ეტიუდები, I, თბ., 2005.

კახიძე, 2008 - ნ. კახიძე, მუჰაჯირობის ასახვა ქართულ პრესაში (გაზეთ „დროებაში“ აჭარაზე დაცული ცნობების მიხედვით), სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, ბათუმი, 2008.

მეგრელიძე, 1963 - შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963.

ტაბიძე, 2005 – მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.

ფიშმანი, 1999 - J . A. FISHMAN, Sociolinguistics – Language and Ethnic Identity, Edited by JOSHUA A. FISHMAN, New York, Oxford, Oxford University Press, 1999.

ჭიჭინაძე, 1912 – ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში – მუჰაჯირ-ემიგრაცია, თფილისი, 1912.

**FOR THE LINGUISTIC SITUATION OF MUHAJIRUN GEORGIANS**  
**Giga Kamushadze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor**  
**RESUME**

In Turkish linguistic field in conditions of ling living coexistence Muhajir Georgians, until now maintain the Georgian language and traditions, however, they are gradually gaining a different tone; It happens the interference of Georgian and Turkish languages and culture in general.

The centuries-old relationship of Georgian and Turkish people with different language, belief, traditions was reflected not only in the social and ethnographic life of Muhajirs, but their speech too.

As a result of long-term coexistence of Turkish linguistic space, today almost all the Muhajirs (except some of the old people) speak the state language, naturally it is Turkish language. Also it is quite often used it in families and at the time of everyday life. In their speech all five sub-types of Code-Switching are presented. In this paper, we point to the Calque switch cover (Calque switching), in particular, about how spontaneously arise Lexical and grammatical calques A in Language / dialect (Georgian), B by the influence of Language / dialect (Turkish). For testing is represented the expeditions organized by Akaki Tsereteli State University in 2015 Imerkhevi different villages (Saiaja Yeni (Ordu Viliety), Erpekli, Lala (Sinop), Unie, Therme...) recorded dialectal material.

We will discuss some of the samples to illustrate the mixing of speech codes: Sherefe is, but to **Georgia** up is not; are with Laz people but not **more** than well; Yesterday morning I got up from Tiplisi, **I came** here this morning...

The article analyzed the material showed, that in Muhajirs, Georgian as a result of the impact of Turkish literary language and dialects, Calque switching occurs spontaneously, as a result, there is a semantic change of words... Speech code by mixing the conditioned forms of semantic differences, peculiarities. The basis is the full billigua of Muhajir Georgians.

**ჯადოების, შელოცვებისა და „საზოგადოების“ ურთიერთმიმართება ქართული და  
თურქული ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მასალების მიხედვით**

**რამაზ ხაჭაპურიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი**

ადამიანები ბედნიერების მისაღწევად, უფრო ხშირად კი შურისძიების მიზნით, ან უბრალოდ შურის გამო ძველთაგანვე სხვადასხვა ხერხს, ყველაზე ხშირად კი შავ მაგიას მიმართავდნენ, რასაც საქართველოს მოსახლეობა ჯადოს უწოდებს, ხოლო ძველ ქართულში იგი ძირითადად გრძნების, გრძნეულობის სახელით მოიხსენიება და ეშმაკულ ქმედებად განიხილება.

**ჯადო** (შდრ. ჯადეგი) წერს სულხან-საბა ორბელიანი, **ჯადეგი** კი – გრძნეულობის მოქმედი – განმარტავს იგი (საბა, ლექსიკონი, ტ. II, 1993). **გრძნება** კი მისივე განმარტებით ეშმაკით მოქმედებაა, **გრძნეული** კი – ეშმაკურობის მოქმედი (საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991).

ანალოგიურ განმარტებას იძლევა ილ. აბულაძე: გრძნება – მისნობა, კუდიანობა, გრძნეულობა – ცდუნება, ჯადო.

„ჯადოს აკეთებდნენ დაკვეთით „ავი ანგელოზის“, ეშმაკის მსახურად მიჩნეული წყეულები: „კუდიანები“, (რაჭა), მაზაკვლები (სამეგრელო), უცხო რელიგიის წარმომადგენლები“, მაჰმადიანი მაგები და სხვ. ჯადოს შეკვეთა მოტივირებული იყო შურისძიებით ან შურით. გამწარებული ადამიანი თუ თავის გამაუბედურებელს ვერაფერს დააკლებდა, მაშინ ზოგჯერ ჯადოს მკეთებელს მიაკითხავდა. ჯადოს ზოგჯერ ცუდი, ბოროტი ადამიანებიც აკეთებდნენ, თუ რომელიმე ოჯახის ბედი შემურდებოდათ, მაგრამ ეს უფრო იშვიათად ხდებოდა, რადგან იცოდნენ, რომ ღმერთისგან ჯადოს მკეთებელიც ისჯებოდა და ისიც, ვინც ჯადოს გაკეთებას მოინდომებდა (მ. მინდაძე, 2000, გვ. 123).

ჯადოქრობა ყველა ქრისტიანულ და არა მარტო ქრისტიანულ ქვეყნებში ოფიციალური რელიგიით და სახელმწიფო კანონმდებლობითაც იკრძალებოდა: „თუ კაცმა კაცს გრძნეულობა შეჰყივლოს, სისხლის ნახევარი დაეკარგოს“ – აღნიშნულია ბაგრატის სამართალში (ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 468).

ხოლო ვახტანგის სამართლის მუხლში აღნიშნულია:

„მისანთა და კუდიანთა ამყოლი კაცი ღმრთისაგანაც დაწყველილი არის და პატრონისაგანაც წასაზღვნი. ამ მისნისა და კუდიანისაგან დაჩხიბულნი კაცნი თუ სამართალში მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახეიბრებელი არის...“ (სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, 1981, გვ. 258-259).

საქართველოში კუდიანებზე არსებობდა ისეთივე წარმოდგენები, როგორც გავრცელებული იყო შუა საუკუნეების და უფრო მოგვიანო ხანის ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში. ეკლესიის მამების განცხადებიდან ჩანს, რომ არსებული შეხედულებების მიხედვით „კუდიანობას“ და „ჯადოქრობას“ ვნება მოჰქონდა საქონლისა და ყანებისათვის, შეემლო სეტყვის გამოწვევა და სხვ. (მ. ნადარაია, 1981, გვ. 184).

წარმოდგენები „კუდიანებისა“ და „კუდიანობის“ შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, მთელ საქართველოშია გავრცელებული, მაგრამ ეს თემა თითქოს აკრძალულია და მოსახლეობა მასზე ლაპარაკს გაურბის. დასავლეთ საქართველოში დადასტურებული წარმოდგენების მიხედვით: „კუდიანს უწოდებენ ადამიანს, რომელსაც ხალხის ძველი რწმენით, კავშირი აქვს ეშმაკთან, მზაკვართან და მათთან ანალოგიით კუდი აქვს ხილული. კუდიანის დანიშნულებაა: ავნოს ადამიანს, ფეხი წაატეხინოს ყველაფერში, ხელი მოუცაროს საქმიანობაში.

კუდიანების უფროსის – როკაპის მუდმივი სამყოფელი ტაბაკონის მთაა (სამეგრელოში, მარტვილის ახლოს), სადაც ყოველ წელიწადს „ელიობა“ ღამეს ივლისის 20-ს) დღეობაა – კუდიანობა (ჭეჭეთობა), ცრურწმენით ქვეყნის ყველა მხრიდან თავს იყრიან კუდიანები და თავიანთი მოღვაწეობის წლიურ ანგარიშს აბარებენ თავიანთ უფროსს. კუდიანების საქმიანობას კუდიანობა ეწოდება“ (თ. სახოკია, 1979, გვ. 346).

ჯადოქრების საქმიანობას უფრო ფართოდ ეხება ს. მაკალათია, რომელიც წერს: „ელიობა“-ს ასრულებდენ „ჭეჭეთობის მეორე დღეს – 20 მკათათვეს. ხალხის წარმოდგენით ეს დღე იყო ავსულებისა და კუდიანების დღესასწაული. ამ დღეს იკრიბებოდნენ ტაბაკონის მთაზე (მარტვილის მახლობლად მდებარე მაღალი მთა), სადაც ისინი მიემგზავრებოდნენ საწნახლებით, რომელშიაც თეთრი მგლები იყო შებმული. ზოგი კუდიანი დედაკაცი თეთრ მგელზე შეჯდებოდა თურმე და ხელში თითისტარით ტაბაკონისაკენ გაემგზავრებოდაო. ტაბაკონზე ელიობა ღამეს კუდიანები დიდი მოლხენით ატარებდნენ. აქვე ბჭობდნენ ადამიანების ბედ-იღბალზე და ბოროტ გემგებს იმუშავებდნენო. მათგან თავდაცვის მიზნით ოჯახებში აკეთებდნენ თავლის სანთლის პაწია ჯვრებს და მას მიაკრავდნენ ოჯახის ჭურჭელს, საქონელს და ადამიანებს შემდეგი სიტყვებით: „ჯვარი აქა, ჯვარი აქა, ჯვარი აქა, შენი სვი და შენი ჭამე, ამას (დაასახელებენ) ჯვარი დაუწერე, ფუი, ურიასა“-ო (ამას ქართულად ამბობდნენ). კუდიანების მოჯადოებისაგან ყანებიც რომ დაიფარონ, ასეთივე ჯვრიან ჯოხებს ყანაში დაარჭობდნენ. ნივთებსა და ტანისამოსს ყუთებში ჩაკეტავდნენ, რადგანაც ხალხის რწმენით, იმ ღამეს კუდიანები სახლებში შეიპარებოდნენ და თუ ვინმეს ტანისამოსს იპოვნიდნენ, მაშინვე ამოჭრიდნენ და ამ ნაჭერს პატრონის მოსაჯადოებლად თან წაიღებდნენო. ამის გამო ოჯახის უფროსები ელიობა ღამეს ფეხიზლობდნენ, გაუქრობელი სანთელი ენთოთ, რომ კუდიანები სახლში არ შესულიყვნენ.

ხალხს ეს კუდიანები წარმოდგენილი ჰყავდათ სხვადასხვა ცხოველების სახით, უმეტესად კი კატის სახით. თუ ელიობა ღამეს სახლში შავი კატა შემოდგებოდა, მაშინვე დაიჭიდნენ მას, სცემდნენ უწყალოდ, ცხვირ-პირს ცეცხლზე შეუტრუსავდნენ და შემდეგ კი კატას კარში გააგდებდნენ. სოფლის ახალგაზრდობა ამ ღამეს არ იძინებდა, ეშინოდათ მოჯადოების, შეიკრიბებოდნენ სოფლის მოედანზე და დროს ცეკვა-თამაშში ატარებდნენ. იქვე ანთებდნენ ცეცხლს, კოცონს, ზედ ხტებოდნენ და გაიძახოდნენ: „ალული კუდიანებსაო“. ელიობის მეორე დღეს ოჯახში გამოაცხობდნენ მოზრდილ ხაჭაპურს, ხონჩაზე დასდებდნენ მას და ზედ ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ამ ხაჭაპურიან ხონჩას კერიის ცეცხლთან მიიტანდნენ, დიასახლისი ამ ხონჩის ქვეშ ნამგალს გამოატარებდა და იტყოდა: „...წმ. ილია, შენ დაგვიფარე ცეცხლისაგან, მარცხისაგან და ზიანისაგან, შენ ნუ მისცემ ამაზე ზევით ცეცხლს ძალასაო“ (ს. მაკალათია, 1947, გვ. 319).

შევეცდებით, ექსპედიციებისას ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული საკითხი.

თითქმის მთელ საქართველოში, წარმოდგენები ჯადოქრობის, კუდიანობის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ მათ შესახებ მასალის შეკრება ჭირს, რადგან მოსახლეობა ერიდება ამ თემაზე ლაპარაკს.

კუდიანს, ჯადოს მკეთებელს, ჩვენში **ტურა ქალს** ეძახიან. **ტურა-ქალი** – კუდიანი ქალი, განმარტავს ვუკოლ ბერიძე (ვ. ბერიძე, 1912 წ.).

მაგიურ ქმედებათა შესასრულებლად, მთელ საქართველოში, მაგები, კუდიანები სხვადასხვა საგნებს იყენებდნენ: თმებს, ფრჩხილებს, კვერცხს, ბოქლომს, ნემსს, გამხმარ ბაყაყს, ყვავის ფეხებს, კატის ბეწვს და სხვ.

ჯადოს, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა მიზნით აკეთებენ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჩვენ მიერ შეკრებილ მასალას. ამ საკითხზე ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გვემუშავა თურქეთშიც, სადაც



გამოლოცვები მხოლოდ კლასიკურ არაბულ ენაზეა ზეპირად ან წერილობით, მაგრამ მათი მნიშვნელობა გაუგებარია თავად მისწავლისთვისაც. რაც შეეხება მისწავლისათვის აუცილებელ ატრიბუტებს, თურქულში გვხვდება ქვეწარმავლებისა და წვრილად დაჭრილი სახედრის ენის გამოყენების შემთხვევებიც.

**I – შეყვარება:** ვინმესთვის თავის მოსაწონებლად, შესაყვარებლად, როგორც ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, იყენებენ გამხმარ ბაყაყს, ან ღამურას სისხლს: „ბაყაყს მოკლავენ, გაახმობენ, დაფშვნიან და ჩუმად, ფარულად შეაყრიან, ან ჯიბეში ჩაუყრიან მას, ვინც მოსწონთ. ამისათვის საჭიროა მწვანე ვასაკა ბაყაყი...“ (დსკი, ფონდი A, მასტრედია დალაქიშვილი-გვეტამე);

„...ღამურა რო არის, დეიჭირე ის, დეიჭირე ღამურა, ღამე რო დადის, დეიჭირე და მოკალი, ოღონდ ისე, რო სისხლი გამოადინო, ან დანა გაუყარე, დააწვეთე ბამბაზე, ეს ბამბა ნელ-ნელა გაახვიე ქალაჩი და ჩაიდევინე ჯიბეში და როცა შეხვდები შენ სანატრელს, ეს წაუსვი სადმე ჩუმად ტანსაცმელზე ან სადმე...“ (დსკი, ფონდი A, ელენა კურტანიძე-მორჩაძე).

თურქული მასალების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში გამოიყენებენ სხვადასხვა სახის ბალახის ნაყენს ან ნახშირს, რომლის სახელწოდებაც მხოლოდ „ბიუჯუმ“ იცის. ზოგჯერ მიმართავენ წყალში გახსნილ სანელებლებსაც. შესაყვარებელ ჯადო-წამლად თურქი ჯადოქრები იყენებენ სახედრის წვრილად დაჭრილ ენასაც. რას გვიამბობს ამის შესახებ თურქეთის ქალაქ იოზგათში მცხოვრები ოქთაი ჩელქი (22 წლის): „ბიჭს არ უნდოდა გოგო და ძალით დაუქორწინებიათ. ქალს ჰყვარებია და არ სურდა მისი დაკარგვა. იგი ჯადოქართან წასულა, რომელმაც სახედრის მოჭრილი ენა გამოატანა და თან დაარიგა წვრილად დაჭერი და აჭამეო. 50 წელი გავიდა, ერთად ცხოვრობენ და დღეს 4 შვილი ჰყავთ...“

თურქი ჯადოქრების გადმოცემის თანახმად, შენალოცი წამლების გამოყენების დოზა დამოკიდებულია ადამიანთა სიახლოვეზე. თუ შესაყვარებელი ობიექტი შენთან ახლოსაა, ცოტა დოზით უნდა მიაღებინო წამალი, თუ შორსაა, არ გიცნობს, ან სამოგზაუროდ აპირებს წასვლას, დიდი რაოდენობით ხდება წამლის დოზის მიღება. ასეთი რამ ჩვენთან არ დაფიქსირებულა.

**II – შესაძლებელი:** ცოლ-ქმრის დასაშორებლად მიმართავენ მგლის ქონს, რომელსაც ჩუმად წაუსვამენ ტანსაცმელზე ან სადმე. ეს ნივთიერება მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ერყვევა პიროვნული მე და ადვილად სამართავი ხდება. ხშირ შემთხვევაში ამგვარი ჯადო-წამლობით ადამიანები ილუპებიან. ჩვენი ერთ-ერთი მთქმელი გვიამბობს შემდეგსაც: „...დანაშნული ვიყავი, ქორწილამდე საქმროსთან ერთად ქალაქში გავისეირნეთ, შინ რომ დავბრუნდით, იგი გამომემშვიდობა და მამაჩემს უთხრა: ადრე სხვა ქალი გამაცანით, ეს კი ის არ არისო. ამ საოცარმა განცხადებამ ძალიან ამანერვიულა, ვერაფერს მივხვდი, რაღაც მხოლოდ მაშინ ვიეჭვე, როდესაც სადედოფლო კაბაზე რაღაც ლაქები აღმოვაჩინე. დედაჩემმა დასახმარებლად მარჩიელს მიმართა. მან ჩვენი ოჯახი დაათვალიერა, შემდეგ ჩავიდა ეზოში, მოითხოვა ბარი და ადუღებული წყალი. ერთ ადგილზე ამოიღო მიწა და თან მდულარე წყალი გადაასხა. თავად ეს ქალი ისე იყო დამაბული, ხელები უკანკალებდა და სახეზე ოფლი ჩამოდიოდა. მან მიწაში ნახა ჩიტის ბუდის მსგავსი რაღაც, რომელიც გახსნა და შიგ ადმოჩნდა ორი პატარა სანთლის თოჯინა, რომლებშიც ჯვარედინად, „გამრავლების ნიშნის მაგვარად“, გაყრილი იყო ორ-ორი ნემსი, მასში იყო, აგრეთვე, ჩემი თმების გარკვეული რაოდენობა, მამაჩემის თმები და ჩემი და მამაჩემის ფრჩხილები. ეს ამბავი რომ ვინმეს მოეყოლა, არ დავიჯერებდი, მაგრამ ჩემი თვალთ ვიხილე. შემდეგ მე და დედამ გავიხსენეთ, მეზობლის პატარა გოგონამ როგორ აკრიბა მამაჩემის მონაჭერი ფრჩხილები და დედაჩემს უთხრა: ნახე, მე ბაბუას ფრჩხილები მაქვსო. მართალია, დედაჩემმა მაშინვე მიუგო, ცეცხლში ჩაყარეო, მაგრამ ეტყობა ბავშვს დავალებული ჰქონდა და შეინახა. როგორც ეს მარჩიელი მეუბნებოდა, ჯადოს გაკეთება შეიძლება ძაფზე, კვერცხზე და უბრალო ჯოხზეც კი, რომელსაც მტერი ხელუკუღმა შემოგიგდებს ეზოში, ოჯახში. ჯადოს გასანეიტრალებლად ის გამდინარე წყალს უნდა გაატანო. თავად ეს მარჩიელი ქალი ხულოში დადიოდა ხოჯასთან (დსკი, ფონდი A, ჟენია ბაკურაძე).

თურქული მასალების მიხედვით, შესაძლებლად გამოიყენებენ ბოქლომს. მაგ: „ჯადოქარი გამოგატანს კლასიკურ არაბულ ენაზე, რომლის მნიშვნელობა გაუგებარია თვით მისთვისაც, შელოცვილია ბოქლომს, რომელსაც ჩუმად ჩაკეტავენ იმ პიროვნებასთან სიახლოვისას, რომელმაც გინდა შეიძულოს სხვა...“

**III – ადამიანის მოსაკვდინებელი („ადამიანის სულის მოსაშორებელი“):**

არის შემთხვევა, როდესაც ჯადო კეთდება ადამიანის სასიკვდილოდ. ქუთაისში ჩაწერილ მასალებში ვკითხულობთ: **1)** „... თუ ოჯახში უჩვეულო ადგილზე ნახავთ ცუდი ფერის კვერცხს, უნდა იცოდეთ, რომ ის ჯადოა და არ გატეხოთ. აუცილებლად გამდინარე წყალში გადააგდეთ, თორემ შეიძლება მის გატეხვას იმ ადამიანის სიკვდილი მოყვეს, ვის სახელზედაც ისაა გაკეთებული...“ (დსკი, ფონდი E, დალი ჟვანია, 67 წ.);

**2)** „...ჩემმა მეზობელმა ქალმა საწოლ ოთახში კვერცხი ნახა დამალული, აიღო და აივნიდან გადააგდო. რამდენიმე დღის შემდეგ მისი ქმარი აივნიდან გადმოვარდა და მოკვდა“ (დსკი, ფონდი E, მარინე მაჭარაშვილი, 35 წ.);

3) „... ერთმა ბავშვმა მამის ლეიბის ქვეშ ნახა მამის სურათი ქინძისთავით, რომელიც გახსნეს და წყალში გადაყარეს.“ (დსკი, ფონდი E, მარინე მაჭარაშვილი, 35 წ.).

ჩვენი მთხრობელები მიუთითებენ, თუ მიხვდები, რომ ეს ჯადაოა, მაშინ ის ნახევარ ძალას კარგავს.

ადამიანის მოსაკვდინებლად, თურქული მასალების მიხედვით, გამოიყენებენ სარკეს. ჯადოქრის (ბიუჯუს) მიერ შელოცვილ სარკეს მოსაკლავად განწირულს ჩუმად ჩაუდებენ საწოლში, ან დადებენ სახლში ან სამყოფ ოთახში, სადაც ცხოვრობს.

სარკის პარალელურად ზოგჯერ გამოიყენება შელოცვილი ქათმის ბუმბული, კვერცხი, იმ ადამიანის თმა, რომელიც უნდა მოკლან.

**ჯადოს გამკეთებლებს**, რომლებიც მხოლოდ შესაკრავ წამლებს მიმართავდნენ, როგორც დიალექტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მოძიებულ მასალებში ვპოულობთ, ადრე **ტურა-ქალებს** იგივე **კატებს** ეძახდნენ. აი, რას გვიამბობს მთქმელი - მარგალიტა ბაბუხადია-მორჩაძე: „...კუსია მორჩაძე იყო ჩვენთან, იმის დედას ეძახოდნენ ტურა-ქალს. სულ აჩხუბებდა თავის რძალს და შვილს. სულ ამოწყვეტა მთელი ოჯახი. ასევე ჩვენც, ოთხი შვილი მყავდა და ოთხივე მისი წამლობით მომიკვდა. ხანდახან ბავშვის შარდს მთხოვდა, წამლისათვის მიიწვია, მივცემდი და რამდენიმე დღეში ჯანმრთელი ბოვში მომიკვდებოდა. ადრე კიდე თხა მოვიყვანე, მომიკლა, უშობელი მოვიყვანე, მომიკლა, მერე ბავშვები დამიხოცა. თურმე რაღაც შელოცვილ მოჯადოებულ ნაჭერს მიაკრავდა ხეზე ან ღობეზე, ჩემი ეზოსკენ. ერთხელ გავხსენი და ვნახე, იყო რაღაცის ბანალი გაბურღული და კვერცხი. რამდენჯერმე ვნახე, არ ვიცოდი და დავეწვი, რის გამოც ბოვშები დამეხოცა. ერთხელ ეს მოხუცებულ ქალს ვუთხარი, ილიტა ქვიოდა, იგი ცხონდა და განათდა, მითხრა: არ დაწვა, შვილო, არ დეიღუპო, წყალს გაატანეო. მერე თვითონ, რაღაც გაუგებარი სიტყვებით, მილოცა, ჩემი ეზო-კარიც ასევე ლოცვით შემოიარა და იმის შემდეგ კიდე ოთხი შვილი გავზარდე. ამ მოხუცმა კიდეც ერთი რამე მასწავლა: „ფული შემევივლე თავზე, დაწვი და დანამწვარი ფერფლი ხელუკუღმა მის ეზოში გადაუყარე და რაც შენ დაგიტრიალა, იგი დოუტრიალდება თვითონ... მაგრამ ეს მე ვერ გავაკეთე...“ (დსკი, ფონდი A, მარგალიტა ბაბუხადია-მორჩაძე);

„...სოფელ ძიროვანში, ერთ ოჯახში ყოველ ღამე მოდიოდა კატა, ცოლ-ქმრის საწოლ ოთახში შედიოდა და ჩხაოდა. ერთ საღამოს კაცს რაღაც უსვრია მისთვის, მეორე დღეს ნახა, რომ დედამისი კოჭლობით დადიოდა, მაგრამ არაფერი უეჭვებია. ერთ საღამოს კატა ისევ მოსულა, კაცი თოვით გამოდევნებია, კატა გაქცეულა, მაგრამ კაცს უსვრია და კატა მოუკლავს, მომაკვდავი კატა თითქოს ადამიანის თმით წაქცეულა. მივიდა და ნახა, რომ დედამისი მომქეტარა“ ... (იქვე).

ჩვენ მიერ მოპოვებული თურქული მასალების მიხედვით, იქაც არსებობს მსგავსი არსება, მაგრამ არა როგორც კატა, არამედ წვრილფეხება, ინდაურის ტანის მქონე, რომლის თავი არავის დაუნახავს, რადგან არ აჩვენებს, ღამით დაწოლისას მოდის, ადამიანს დააჯდება, რის გამოც კაცს სული ეკვრის, ეხუთება, სუნთქვა უჭირს... თუ მოხდა და დაიჭირე, თურქეთში ძალზე მდიდარი კაცი გახდები: თუმცა დღემდე ეს არსება კაცთაგან არავის დაუჭერია.

მთხრობელთა მიერ მოყოლილი ამბები ზღაპრულ სიუჟეტებს მოგვაცხადებენ, მაგრამ თუ ამ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულ თანამედროვე „შავი მაგიის“ წარმომადგენლებს დავუჯერებთ, ეს არც თუ ისე ზღაპარია. მით უმეტეს, რომ მათ ჯადოქრობის სპეციალური უმაღლესი რანგის სასწავლებელი აქვთ დამთავრებული ქ. მოსკოვში.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხალხში გავრცელებულია რწმენა ამ სახის წამლობის შესახებ, თუმცა მეორე ნაწილი ამას არ იზიარებს, ან უბრალოდ, უფრთხის მისწინებს და ბოლომდე ღვთის იმედად რჩება. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტი მარგალიტა ბოჭორიშვილი სოფელ ნაბოსლებიდან: „... არაფლამდე არ შამევიტან წამალს ვოჯახში, იმიტო, რო აგერ საშუალებას რო გაგიჩენს, ათ იმდენს გლუპავს კიდო... არა, არ მწამს მაგის ისინი მე, აგრე რო აგიშვეფს, ცოტათი საშუალებას მოგცემს, მერე იმისანა საქმეს გაგიკითხეფს, რო... დანაცვლებას ამბობენ კიდე, ერც რო მოარჩენს, მეორეს იმსხვერპლეფს ოჯახში. ბევრი გაჭირვება გადამიტანია, მარა არასოდეს მკითხავთან არ მივსულვარ და არც წამალი შამომიტანია არაფერი, არასოდეს, საშიშია ძან, მკითხავის წამლები ძან საშიშია. მაგათ არ უნდა ენდოს ადამიანი. ისეც ღმერთი, ღმერთის შეხვეწით მხოლოდ“... (დსკი, ფონდი A, მარგალიტა ბოჭორიშვილი).

ჯადოქრობა, მიუხედავად მისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, მაინც გარკვეულ როლს თამაშობს საქართველოს მოსახლეობის ყოფაში. ამავე დროს ამ უარყოფით მაგიურ ქმედებებთან ერთად ფართოდ არის გავრცელებული საპირისპირო ე.წ. გასანეიტრალელები „ჯადოს მოხნის“ ქმედებანი. ჯადოს მოხსნა შეუძლია ან თვითონ ჯადოს გამკეთებელს, მკითხავს, ან შემლოცველს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ჯადოს მოსახსნელად“ ე.წ. **გამოლოცვას** მიმართავენ, რომელსაც წინ უსწრებს ე.წ. დიაგნოსტიკა, მკითხავის მიერ მოჯადოების დადგენის ფაქტი.

დასტურდება „ჯადოს გამოხსნის“ – გამოლოცვის სპეციალური ტექსტები. თუმცა ხშირად ამ მიზნით „ნათვალევის“ შელოცვითაც იცოდნენ გამოლოცვა.

ჯადოს გამოსალოცი ტექსტები ხასიათდება გაუგებარი სიტყვების სიმრავლით. მაგალითად მოვიყვანოთ **ჯადოს მოსახსნელ გამოლოცვის** ნიმუშებს, როგორც გამოქვეყნებული, ასევე ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან.

I. „სახელითა ხეთისათა, მამისა და ძისათა და სულისა წმინდისათა!  
ედენიენთა დაიღე, შამათე, ედენია იავა ეგრამათე,  
ეგრესემ იოსი ერივანე და იონა იოსავე (ამ სიტყვების მნიშვნელობა უცნობია)  
ამათითა სახელითა შეიკრა პირი დევთა,  
ქაჯთა და გველთა და ყოველთა საჩინოთა და უჩინოთა მავნებელთა.  
იესო ქრისტე, მეო და სიტყვაო ღვთისაო ცხოველისაო,  
იხსენი ყოველივე ჭირისაგან და ყოვლისა საემმაკოსაგან  
და ყოველისა ცრუსა მავნისა და საცთურისაგან მონა ესე ღვთისა!“  
(თ. შიოშვილი, ქართული ხალხური შელოცვები, გვ. 200).

II. „არკოს, მარკოს, ლოცვამ გარგოს!  
იანგრის მთასა, მთასა მივდივარ ლელამისასა.  
კვალს ვეძებ ნაქაჯურებისას!“  
(იქვე).

ჩვენ მიერ ჩაწერილ **ემმაკეულის გამოლოცვა**, რომელიც თავის მხრივ ჰგავს „ნათვალების“ შელოცვას. თან ახლავს სათანადო რიტუალი. მასალა მოგვაწოდა 76 წლის ქალბატონმა – ლილი ბერომემ, რომელმაც ეს გამოლოცვა ისწავლა ბებიისაგან – ტასია ჭიქაბერისძისაგან ორმოცდაათი წლის წინ:

„... კორო, კორო, კოროსანი მთას მივალ ალისასა, ვერას კვალი ვერა ვნახე, ემმაკისა მეტი. დავსჭერი ფეხი ჭიქისა, დავსჭერი თმა გიშრისა, დავსჭერი ფრჩხილი ალისა. ნუ, შენი ჭირიმე, ნუ დამჭრი ფეხსა ჭიქისას, ნუ დამსჭრი ფრჩხილს ალისას. და მიდღემში არ გავივლი ამის (სახელი, ვისაც ულოცავენ) ტანში. გამოდით, გამეყარეთ, ძვალში იყოთ-რბილში გამოდით, რბილში-იყოთ კანში გამოდით, კანში-იყოთ კარში გამოდით, გამოდით, გამეყარეთ. თეოს (პირობითი სახელია) თავისი ჯანი და ღონე მიეცით. ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, შეაწიე მაღლი შენი, ამინ!...“

სამჯერ უნდა გაიმეორო ეგი, თან ხელში მარილი უნდა გქონდეს და მოჯადოებულს ხელის გულზე-ზე დოუყარე, მერე შენს ხელზე გადმოყარე და უთხარი: „როგორც ეს მარილი გაქრეს, ისე გაქრეს თეოს (პირობითი სახელია) ემმაკულობა. ამინ! მარილი წყალში უნდა გადაყარო, რო დადნეს... ამას იტყვი და აუცილებლათ მორჩება ემმაკეულობა“... (დსკი, ფონდი A, ლილი ბერომემ).

თუ ჩვენში ჯადოს მოსახსნელად ზემოთ აღნიშნულ გამოლოცვებს მიმართავენ და მკითხავთან, მისანთან მიდიან, თურქეთში ასეთ შემთხვევაში უკვე სხვა ჯადოქართან მიმართავენ, რომელთანაც ადრე არ ყოფილან და მის მიერ ჩატარებულ რიტუალს „**დიდი გამოხსნა**“ ეწოდება. ასეთ შემთხვევაში თურქი „ბიუჯუ“ ხშირად იყენებს ქვეწარმავლებსაც, რაც განსხვავებულია საქართველოში მოპოვებული მასალებიდან. მაგალითად, თურქეთის ქ. გაზიანთეფში მცხოვრები, მუსლუმ არიჯაქი (20 წლის) გვიამბობს: „ჯადოგანაკეთები, მძიმე მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი მიიყვანეს ჯადოქართან, რომელმაც ავადმყოფს სხეულზე წაუსვა რაღაც მალამო, პირადმა დააწვინა და რამდენიმე გველი დაასხა. ქვეწარმავლები საშინლად დასრიალებდნენ მის ტანზე და ათასგვარ ფორმებს იღებდნენ. სამი საათის შემდეგ კაცი წამოდგა და პირღებინება დაიწყო. ბიუჯუმ გააფრთხილა, სამ დღეში სრულიად გამოხვალ მდგომარეობიდანო. მართლაც, მოჯადოებული საბოლოოდ გამოჯანმრთელდა“.

მისნების, ჯადოქრებისა და საერთოდ, როგორც ავი სულების, ასევე მათგან აღძრული სხვადასხვა ვნების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს ეკლესიას.

ემმაკეულებითა განსაკურნებლად და ჯადოს მოსახსნელად ეკლესიაში გამორჩეული (სპეციალურად გამოარჩევენ მღვდლებს, ყველას ამის წაკითხვის უფლება არა აქვს) მღვდლების მიერ იკითხება „კვეთებულის“ ლოცვები, რომლის დროსაც მრავალი სასწაული აღესრულება. მსგავსი ავადმყოფებისათვის (რომლებიც დაავადდნენ ჯადოთი) მეტად კარგია შვიდეჯერ ზეთისცხებაც. საერთოდ, მორწმუნე საზოგადოება ბოროტისაგან თავდასახსნელად და თავდაცვისათვის ხშირად წირვაზე აგზავნის სამშვიდობო-საჯანმრთელო მოსახსნელებს, რომელზედაც ახლობლების სახელებია ჩამოწერილი და სეფისკვერს, წირვის შემდეგ ამოკვეთილი სეფისკვერი მოაქვს სახლში და დილით, ლოცვის შემდეგ, უზმოდ მიიღებს ან მიაღებინებს ავადმყოფს წმინდა წყალთან ერთად. ამით ხდება, როგორც დაცვა ბოროტებისაგან, ასევე, მოჯადოებულთა განკურნებაც. ასეთ დროს მოძღვრის კურთხევით იკითხება ჯადოს საწინააღმდეგო დაუჯდომელი ლოცვა კვიპრიანე კართაგენელისა. გარდა ამისა, წმინდა მამათა მიერ შექმნილია სპეციალური ლოცვები ბოროტი სულისა და მათი საქმიანობისაგან თავდასახსნელი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

1) **ლოცვა ბოროტა გულის-სიტყვათათვის, პარასკევს დილით:** „წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა, უფალსა ღმერთსა ჩემსა თაყვანისვსცე და მას მხოლოსა ვმსახურო. ხოლო შენი სალმობა და რისხვა მიიქეცი თავსავე შენსა და თხემსა შენსა ზედა გმობა შენი დაჰხედინ აწინდელსა ჟამსა შინა და ყოფადსა საუკუნისა. უფსკრულსა შინა. რაი არს შენი და ჩვენი უცხო ღვთისაგან, ლტოლვილო ცათაგან და მონაო ბოროტო და განდგომილო! არა გვაქს შენ ფლობაი ჩვენი, ქრისტესა ძესა ღვთისასა აქვს ფლობაი ჩვენი, ყოველი მასა ვჰსცოდეთ და მასვე სიტყვა უგოთცა. ხოლო შენ ივლტოდე ჩემგან მომრველოიდა წინააღმდეგომო მტერო ყოვლისა ჭეშმარიტებისა და სამართლიანისაო, და გენისა და ყოვლისა სატანჯ-ველისა დამმკვიდრებულო! ჩვენ სიმტკიცედ გვაქვს ჯვარი პატიოსანი და მით დავჰსტორგუნავთ შენ გველისა თავსა სახელითა ერთარსისა წმიდისა სამებისათა და მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობ-ელისათა მიქაელისათა, რამეთუ მასსა ჰშვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

(ლოცვანი, აღსარება, 2000, გვ. 150)

## 2) **ლოცვა ბოროტ ძალთაგან განსარინებელი**

„... უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისაო, გარემშობლუდე მე წმიდათა შენთა ანგელოსთა მიერ, და ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძალითა პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა“თა (წმიდისა მთავარანგელოსისა მიქაელისა და სხვა ზეციურთა უხორცოთა ძალთათა, და ყოველთა წმიდათა შენთათა, შემეწიე მე უღირსსა და უხმარსა მონასა შენსა (სახელი), მიხსენ მე ბოროტის ყოველგვარი შემასმენლობათაგან, ყოველთა მისნობათა, ჯადოქრობათა, მჩხიბაობათაგან და აგრეთვე მზაკვარ კაცთაგან, რა“თა ვერ უძღონ მათ ვნე-ბად ჩემდა რომლისამე ბოროტებითა. უფალო, შენისა ღვთივბრწყინვალითა ნათლითა მფარვიდე მე ყოველსა ჟამსა ცისკარსა, დღესა, მწუხრსა თუ ძილად მისლვასა ზედა და ძალითა მადლისა შენისა“თა მრიდე და განმშორე ჩემგან ყოველი ბოროტი უკეთურებანი ეშმაკის შემასმენლობით მოქმედებულნი. ვინა“ცა ზრახვიდა და იქმოდა? უკუნაქციე მათი ბოროტება უფსკრულსა შინა, რამეთუ შენი არს მეუფება, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ამინ!“.

(სხვადასხვა ლოცვანი ერისკაცთაგან საკითხავი, წიგნიდან „ლოცვანი, საღვთო წირვა“, 2001)

ეშმაკისაგან თავდასაცავად იკითხება წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის ლოცვაც, რადგან მისი ძალით დამხობილი იქნა გამაჰარტავნებული ანგელოზი (სატანაელი), რომელიც ციდან გადმოაგდეს. ამიტომ მორწმუნენი სასოებით მიმართავენ მთავარანგელოზთა მთავარ მიქაელს:

„...ჰოი, წმიდაო მთავარანგელოზო მიქაელ, დაგვიცვე ჩვენ ყოვლისაგან კვეთებისა დაურღვევლად, ძვრისა, რღვნისა, ცეცხლისა, მახვილისა, ქარისაგან მომსერელისა, ყოვლისაგან ბოროტისა და სიკვდილშემოსილისა წყლულებისა ზედამოსვლისა სულთა უკეთურთა“სა და მათგან აღძრულთა ბა-რბაროსთა“სა. დაგვიცვე და დაგვიფარე, ძალო ღვთისაო მიქაელ მთავარანგელოზო, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითით უკუნისამდე, ამინ!“

ვფიქრობთ, როგორც მოჯადოებას, ისე „**ჯადოს მოხსნას**“ ადამიანზე გარკვეული ზემოქმედება ჰქონდა. თუ მოჯადოების ფაქტი პიროვნებისათვის ცნობილია, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ როგორც მოჯადოებით დაავადება, ისე „ჯადოს მოხსნის“ შედეგად გამოჯანმრთელება ერთი და იგივე ფსიქოლოგიური მეთოდის – შთაგონების – ზემოქმედების შედეგი ყოფილიყო.

ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აქ იმ ქრისტიანული ლოცვების მოტანა, რომლებიც ჯადოს მოხსნის მიზნით იკითხება. ამჯერად ჩვენ ხელთ არ გვეწიფება გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ ხალხური გამოლოცვებისა და ჯადოს მოხსნის ქრისტიანული ლოცვების შედარების საფუძველზე. მაგრამ ის გაუგებარი სიტყვები, რომლებითაც ხალხური გამოლოცვები გამოირჩევა, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს ქრისტიანული შელოცვების დამახინჯებული ფორმები იყოს. არ არის გამორიცხული, რომ წერა-კითხვის უცოდინარ მოსახლეობას (გვულისხმობ, რა თქმა უნდა წარსულს) ეკლესიაში წაკითხული ლოცვების ტექსტები ზოგ შემთხვევაში დამახინჯებულად აღექვათ და დაემახსოვრებინათ.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, მისნობა-ჯადოქრობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები, ორივე ერისა (საქართველო, თურქეთი) და რელიგიისთვის ოდითგანვე ცნობილი იყო. ამიტომაც ვფიქრობთ, იგი წარმოადგენს ერთ მთლიან სისტემას, ხოლო სხვადასხვა ადგილებში ჩაწერილი მასალები, რომლებიც ამჟღავნებს მათთან როგორც მსგავსებას, ასევე მეტ-ნაკლებ განსხვავებას, ამ მთლიანი სისტემის სხვადასხვა ვარიანტად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

## **ლიტერატურა:**

1. დ. ბაგრატიონი, 1992 – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი; თბ., 1992
2. ლოცვანი, აღსარება; ქუთაისი, 2000
3. პ. უმიკაშვილი, 1964 – პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV; თბ., 1964
4. ქართული ზეპირსიტყვიერება შეკრებილი კახეთში ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ; თბ., 1976

5. თ. შიომშვილი, 1994 – თ. შიომშვილი, ქართული ხალხური შელოცვები, ბათ., 1994
6. დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდის მასალები, 1994-2007

## **CASTING OF SPELLS, CONJURATIONS AND "PUBLIC" ACCORDING TO GEORGIAN AND TURKISH ETHNOGRAPHIC AND ANTHROPOLOGICAL MATERIALS**

**Ramaz Khatchapuridze, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor**

### **RESUME**

People from all nations to reach true happiness, even more often, to revenge, or simply out because of envy applied for different old methods, mostly often for black magic, which is called as cast by Georgian population, cast makers or explainers are called as “Biuju” in Turkish language.

As the review of demonstrated materials has shown, spirit- witchcraft materials and combating methods against them was well-known for both nations (Georgia, Turkey) from ancient time. Therefore, we consider it as a single integrated system; recorded materials in different places, which reveals their similarities as well as more or less difference, can be considered as the various options of this whole system.

### **ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები (1921-1924 წლები)**

**ოთარ ჯანელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი**

ოსმალეთის იმპერია ისტორიულად საქართველოსათვის რთული მეზობელი იყო. სამხრეთ-დასავლეთიდან მომდინარე საფრთხე არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ყოფილა აღკვეთილი. ორი ქვეყნის ურთიერთობა სიმწვავეთ ხასიათდებოდა ამ წლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უმძიმესი გამოწვევების ხანა ედგა თვით ოსმალეთსაც, რაც იმპერიის დაცემითა და თურქეთის რესპუბლიკის წარმოშობით დასრულდა.

1920 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა.<sup>1</sup> ეს ფაქტი სულ რაღაც ორიოდე თვით უსწრებდა წინ თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის გამოჩენას, რომელიც საქართველოში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ 1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თვითონ იღებდა და თავის მიწა-წყალზე თავშესაფარს აძლევდა ოსმალეთიდან დევნილ, უმთავრესად სომეხი ეროვნების ათეულათასობით ლტოლვილს.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთს და მის ყოფილ დედაქალაქ სტამბოლს, რომელიც იმ ხანად ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლად იწოდებოდა. 1921 წლის გაზაფხულიდან, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა სამხედრო აგრესიის შედეგად დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სწორედ თურქეთის ეს მთავარი სანავსადგურო ქალაქი იქცა სამშობლოდან ლტოლვილი ასეულობით ქართველის პირველ სახიზნავად „უცხოეთის ცის ქვეშ“.<sup>2</sup> კონსტანტინოპოლის გავლით მიემართებოდნენ ასევე ემიგრანტთა ნაკადები დასავლეთის ქვეყნებში აზერბაიჯანისა და რუსეთის სამხრეთიდანაც. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა ე. წ. „თეთრი ემიგრაცია“,

<sup>1</sup> საქართველოს ელჩად ანკორაში სიმონ მდივანი დაინიშნა, თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის დაეკისრა.

<sup>2</sup> საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს გაქცეულმა მრავალმა ქართველმა პირველ ხანებში თავი ტრაპიზონსაც შეაფარა.

რომლის რაოდენობა თურქეთში 190 ათასამდე ადამიანს მოითვლიდა,<sup>1</sup> აზერბაიჯანელ ემიგრანტთა რიცხვი კი 50 ათასს აღემატებოდა.<sup>2</sup>

რაც შეეხება საქართველოდან თურქეთს შეხიზნული ქართველების ოდენობას, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის გადმოცემით, მათი რიცხვი 1921 წლის მარტის შემდეგ თანდათან მატულობდა და მალე ორი ათასს გადასცდა.<sup>3</sup> პარიზში გამომავალი ქართული ემიგრანტული გაზეთის „დამოუკიდებელი საქართველოს“ ცნობით, 1922 წლისათვის ოსმალეთში „1000-ზე მეტი ქართველია გადმოხვეწილი, უმუშევარი, უბინაო, ულუკმაპურო, ელიან, აქეთ როდის წამოვიყვანო“.<sup>4</sup>

ემიგრანტობა სახარბიელო არც ერთ ქვეყანაშია, მაგრამ კიდევ უფრო რთული იყო მათი ყოფა თურქეთში, რომელსაც იმ ხანად თავადაც მძიმე პერიოდი ედგა. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ზავის შემდეგ, რასაც ოსმალეთის იმპერიის კაპიტულაცია მოჰყვა, კონსტანტინოპოლი ანტანტის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ ანატოლიაში კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ხელისუფლებას გენერალი მუსტაფა ქემალი (შემდეგში ათა თურქი) დაეუფლა. მისმა სამხედრო და დიპლომატიურმა წარმატებებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აიძულა მოკავშირენი 1922 წლის სექტემბერში ქვეყნიდან გაეყვანათ თავიანთი საოკუპაციო ნაწილები. 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, პირველ პრეზიდენტად მუსტაფა ქემალი აირჩიეს. შეწყვეტილ იქნა სულთნის ხელისუფლება და მალე ხალიფატიც გაუქმდა.

ცნობილია, რომ 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში ხელმოწერილი თურქეთ-საბჭოთა რუსეთის „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულების მერვე პუნქტი ორივე სახელმწიფოს ავალდებულებდა

„<sup>5</sup> ეს დებულება უცვლელად გადავიდა ყარსის ხელშეკრულებაშიც (მუხლი 10), რომელიც თურქეთმა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები - 1921 წლის 13 ოქტომბერს გააფორმა და ამით ისინი ფაქტობრივად აღიარა კიდევ.<sup>6</sup> მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობილი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობა, რომლებმაც სამშობლო 1921 წლის 18 მარტს დატოვეს,<sup>7</sup> თურქეთში დიდხანს არ გაჩერებულან და კონსტანტინოპოლში ჩასვლის შემდეგ მალევე საფრანგეთში გაემგზავრნენ, მაგრამ მრავალ ქართველს, მათ შორის პოლიტიკურ მოღვაწეს, აქ კარგა ხანს მოუწია ყოფნა.

თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩომ მუშაობა შეწყვიტა, თუმცა კონსტანტინოპოლში დარჩა მთავრობის რწმუნებული კონსტანტინე გვარჯალაძე და იქვე მოქმედებდა საკონსულოც, რომელსაც სათავეში იოსებ გოგოლაშვილი ედგა. სულთნის ხელისუფლება დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან ოფიციალურ კავშირს, ცხადია, ერიდებოდა. კიდევ უფრო ძნელი იყო ანგორას მთავრობასთან

<sup>1</sup> ( ). ., 1994, . 10. <http://demoscope.ru/weekly/2006/0251/analit01.php>

<sup>2</sup> [http://www.azerbaijans.com/content\\_494\\_ru.html](http://www.azerbaijans.com/content_494_ru.html)

<sup>3</sup> შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003, გვ. 300.

<sup>4</sup> ეს თვალსაჩინო სხვაობა იმით აიხსნება, რომ ემიგრანტები, სხვა ქვეყნების ვიზების მიღებისთანავე, ტოვებდნენ თურქეთს. 1921 წელს ერთა ლიგის ეგიდით ჩამოყალიბდა ლტოლვილთა განსახლების კომისია (Refugees Settlement Commission), რომლის თავმჯდომარედ დაინიშნულ იქნა ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი, ფილანტროპი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ფრიტიოფ ნანსენი – იმხანად ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში. კომისიამ, პირველ რიგში რუსეთიდან ლტოლვილთა დასახმარებლად, შემოიღო პირადობის დამადასტურებელი სპეციალური საერთაშორისო დოკუმენტი (ე. წ. „ნანსენის პასპორტი“), რომელიც ემიგრანტს, მოქალაქეობის მინიჭების გარეშე, სხვა ქვეყანებში გადაადგილებისა და დასაქმების უფლებას აძლევდა. ეს „პასპორტი“ მსოფლიოს 30-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ იყო აღიარებული, თვით ფ. ნანსენს კი ამგვარი ჰუმანიტარული მოღვაწეობისათვის 1922 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

<sup>5</sup> ., 1959, . III, . 597-604.

<sup>6</sup> Документы внешней политики СССР, . IV, М., 1960, . 420-429.

<sup>7</sup> 1921 წლის 22 მარტს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ სტატიაში „სამარცხვინო ბოლო სამარცხვინო მთავრობისა“, ფილიპე მახარაძე ირწმუნებოდა: „მენშევიკების ყოფილი მთავრობა ასკერების მფარველობის ქვეშ გავიდა ბათუმიდან“-ო. ეს ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. არსებობს თვითმხილველთა არაერთი ცნობა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, პოლიტიკური პარტიების მეთაურები, მაღალი ჩინის სამხედროები და სხვ. ბათუმის ნავსადგურიდან ფრანგული და იტალიური გემებით გაემგზავრნენ. ამ გემების სახელწოდებები იყო: „კირალი“, „ვესტა“ და „მარია“.

დაკავშირება, რომელიც რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა და „მეგობრობდა“ კიდეც.

1921 წლის ოქტომბრისათვის კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: რაჟდენ არსენიძე, ნოე ხომერიკი, გიორგი ერაძე, ვალიკო ჯუღელი, რუბენ ყიფიანი, კონსტანტინე სულაქველიძე, მელიტონ რუსია, რუბენ აუშტროვი, ნიკო ელიავა, ივანე ჭავჭავაძე, ვასო წულაძე, არზაყან ემუხვარი, ფილიპე ლორია და სხვ.<sup>1</sup>

ბედმა კონსტანტინოპოლში გადაისროლა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ინფანტერიის გენერალი გიორგი ყაზბეგიც, რომელმაც ჯერ კიდევ 1874 წელს სამთვლიანი ექსპედიცია ჩაატარა ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში.<sup>2</sup> 1908-1918 წლებში გ. ყაზბეგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში - საპატიო თავმჯდომარე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, ღრმად-მოხუცებული გიორგი ყაზბეგი „საქართველოს ყოფილ მთავრობას სტამბოლში გაჰყვა და ეს ყოვლად პატიოსანი კაცი, საქართველოს ერისა და მწიგნობრობის მოყვარე იქ გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული“.<sup>3</sup> სპეციალურ ნუსხაში იმ ქართველ ემიგრანტთა შორის, რომლებიც 1921 წელს მონასტრიდან საკვებით დახმარებას იღებდნენ, ყაზბეგის სახელი და გვარიცაა მოხსენიებული; მომდევნო წლის სიაში კი მის გასწვრივ ერთი სიტყვაა მითითებული: გარდაიცვალა.<sup>4</sup>

შემდგომ ქართველთაგან ჩემს საკვლევ პერიოდში თურქეთში მხოლოდ ცნობილი მეწარმე და ქველმოქმედი აკაკი ხომტარია და ალექსანდრე ჯაყელი იმყოფებოდნენ. ხომტარიას „თურქულ-სპარსულ ბანკს“ კონსტანტინოპოლში სათავეში ედგა ივანე ზურაბიშვილი. ბანკში რამდენიმე სხვა ქართველიც იყო დასაქმებული.

საქართველოდან ლტოლვილ თანამემამულეებს დიდი სამსახური გაუწია ქართველ კათოლიკეთა მონასტერმა, რომელიც სტამბოლის განაპირა უბანში, ფერ-იკეიში მდებარეობს. 1920-იან წლებში ამ სავანის წინამძღვრის, პიო ბალიძის განცხადებით, „ქართველ კათოლიკეთა საზოგადოება ... თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ“.<sup>5</sup>

1918 წელს სწორედ ამ მონასტრის სტამბაში დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ (მოკლე სამახსოვრო ცნობა)“. შალვა ვარდიძემ 1921 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა იტალიელი მწერლისა და დიპლომატის ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ნაშრომი „ქართველები კონსტანტინეპოლში“, რომელიც მისივე წინასიტყვაობით აქვე გამოქვეყნდა. მონასტრის სტამბაში აიწყო და გამოიცა პირველი ქართული ემიგრანტული გაზეთი „თავისუფალი საქართველოც“, ხოლო მომდევნო წელს დაიბეჭდა პოეტ ნიკოლო მიწიშვილის პოემა „შავი ვარსკვლავი“. 1922 წელს მონასტრის სტამბაში დაიბეჭდა მიხეილ წერეთლის „გილგამეშიანის“ ქართული თარგმანი, ხოლო 1924 წელს - გამოკვლევა „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“.<sup>6</sup> საგულისხმოა, რომ ამავე მონასტერთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილსაც, რომელიც 1919 წელს, კონსტანტინოპოლში ყოფნისას, უშუალოდ გაეცნო მის მოღვაწეობას და შთაბეჭდილებათა წიგნში ამგვარი ჩანაწერი დატოვა: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო ღრმა სიყვარულს ვგრძნობ.“

ივანე ჯავახიშვილი. 1919. 16 თებერვალი.<sup>7</sup>

სტამბოლის მონასტერი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაარსდა ახალციხელი მღვდლის პეტრე ხარისჭარიშვილის ძალისხმევით. მონასტერთან აიგო მაღალი ქვის კედლით გარშემორტყმულ სამსართულიანი შენობა უკან მიდგმული სამლოცველოთი და პატარა ბაღით,

<sup>1</sup> გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., №12, 31 ოქტომბერი, გვ. 6-7.

<sup>2</sup> მისი კვლევის შედეგები აისახა ორ ვრცელ ნაშრომში: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“.

<sup>3</sup> გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ., №99-100.

<sup>4</sup> tao-klarjeti.ge/stambolis\_qartuli\_eklesia.html

<sup>5</sup> ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში (ფრანგულიდან) პ. შალვა ვარდიძისა მისივე წინასიტყვაობით, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, სტამბოლი, 1921, გვ. 29. ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულოს მდივნის თანამდებობა ეკავა.

<sup>6</sup> პროფ. შუმანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სტამბოლის ქართველთა მონასტერთან არსებული წიგნთსაცავის, ბიბლიოთეკის, საარქივო მასალებისა და სამუზეუმო ექსპონატების შესწავლა.

<sup>7</sup> <http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926>

სადაც ბერებს ხეხილი და ბოსტანი ჰქონდათ გამწვანებული. ბერებმა გარკვეული დროით შეფარეს და დააპურეს სამშობლოდან გადმოხვეწილი მრავალი ქართველი ემიგრანტი. მამაკაცებს ბინა სენაკებში მიუჩინეს. „თითოეულ ოთახში სამი, ოთხი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ მონასტერში ყოფნა მაინც კომფორტი იყო, ვინაიდან ქართველი ლტოლვილები დღითი დღე ღარიბდებოდნენ“, - მოგვითხრობს ამ მოვლენების თვითმხილველი ნიკოლო მიწიშვილი.<sup>1</sup>

გაზეთი „კომუნისტი“ ასე აღწერდა თურქეთში მყოფი ლტოლვილი ქართველების ყოფას: „ქართველ ლტოლვილთა მდგომარეობა სტამბოლში ფრიად ტრადიკულია. ამერიკულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი მათ დახმარებას მოუსპობს ივნისის პირველიდან, მენშევიკთა ლიდერები ლტოლვილთ არავითარ დახმარებას არ უწყვენ, მხოლოდ ერთხელ მისცეს მათ ექვს-ექვსი ლირა. მენშევიკური მინისტრები და მოხელეები თვეში 100-250 ლირას იღებენ, ასე რომ ისინი არავითარ გაჭირვებას არ განიცდიან. ბევრ ლტოლვილს დაბრუნება სურს, მაგრამ მათ წამოსვლას აფერხებს მენშევიკთა აგიტაცია“.<sup>2</sup>

ვნახოთ, როგორ იყო საქმე სინამდვილეში: ლტოლვილი ქართველების უმეტესობა, რომელთა ვიზების მიღება დროში გაიწელა, კონსტანტინოპოლში ერთ ბანაკად დააბინავეს (რამდენიმე ოჯახი, ძირითადად ქალები და ბავშვები, საქართველოს საკონსულოშიც განთავსდა). მათ დასახმარებლად ემიგრირებულმა მთავრობამ შექმნა ლტოლვილთა კომიტეტი (ზოგიერთ დოკუმენტში კომისიადაც იწოდება) ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. წევრები იყვნენ გენერალი ალექსანდრე მდივანი, ოსებ კემულარია, ძნელაძე და სხვ. ბანაკის კომენდანტად გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა.<sup>3</sup>

გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის სიტყვით, „მთავრობა, შეძლებისდაგვარად, ყველას ეხმარებოდა, მაგრამ ყველანი ვიმყოფებოდით მატერიალურად დიდ გაჭირვებაში“.<sup>4</sup>

ქართული ემიგრანტული გაზეთის ინფორმაციით, რომელიც 1921 წლის აგვისტოთი თარიღდება, „კონსტანტინოპოლში ლტოლვილთა რიცხვი შემცირდა. ბევრმა სამუშაო გაიჩინა, ბევრი უკანვე დაბრუნდა. ვისაც დაბრუნება არ შეუძლია და არც საქმე გამოუჩნდა დღემდე, იღებდნენ 8-6 და 4 ლირას მთავრობიდან თვიურათ და ამას გარდა ამერიკელებისაგან ეძლეოდათ პური. ამერიკელების დახმარება უკვე მოესპოთ ამ უკანასკნელ ხანებში. მთავრობა იძულებული იყო მათ გამოკვებაზე ეზრუნა და გადაუდევს მათთვის 25-20-17 ლირა თითოეულისათვის თვიურათ, იმ პირობით, რომ იაფათ თავსარჩენ ქვეყანას შეეხიზნონ, რადგან სტამბოლში ეს თანხა ბინის ფასათაც არ კმარა“.<sup>5</sup>

ქართველ ემიგრანტთა რიცხვი კონსტანტინოპოლში მართლაც მცირდებოდა, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ თურქეთს ბოლშევიკურ რეპრესიებს გადარჩენილი ქართველების ახალი ნაკადი მიაწყდა.

ქართველების თავშეყრის მთავარი ადგილი კონსტანტინოპოლში პერას ქუჩაზე, სასტუმრო „რომას“ გვერდით მდებარე „ჩაი-ხანე“ იყო. იქვე, ბოსფორის ნაპირას, დოღმა-ბახჩეს უბანში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებას დაქირავებული ჰქონდა სამსართულიანი შენობა, რომელშიც ორმოციოდე ჩვენი თანამემამულე ცხოვრობდა. მათ შორის: პლატონ ფაჩულია, ბიქტორ ჟღენტე, ვანო ქარცივაძე, ფილიპე ლორია, ვალოდია გოგუაძე, კოკი დადიანი და სხვ.<sup>6</sup>

ქართველ ლტოლვილებს თურქეთში მხოლოდ მატერიალურად როდი უჭირდათ, გაურკვეველი იყო მათი სამართლებრივი სტატუსი, რაც დამატებით სიძნელეებს წარმოშობდა. არ იყო სამუშაო და უნუგემო ჩანდა ბურუსით მოცული პერსპექტივაც. ემიგრანტთა უმრავლესობა არ ფიქრობდა, რომ სამშობლოს სამუდამოდ ეთხოვებოდა, თუმცა არც რეპატრაციას ჩქარობდა, რადგან ბოლშევიკური რეჟიმი, რომელსაც ეს ხალხი გამოექცა, საქართველოში ძალმოსილებას ინარჩუნებდა (ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, 1921 წელს თურქეთიდან სამშობლოში 14 იუნკერი დაბრუნდა).

ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი და შრომის საერთაშორისო ბიურო (დირექტორი ცნობილი ფრანგი სოციალისტი ალბერ ტომა) ცდილობდნენ უყურადღებოთ არ დაეტოვებინათ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები, გამოყოფდნენ მათთვის საკვებსა და

<sup>1</sup> მიწიშვილი ნ., ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ., 2006, გვ. 30.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 9 ივნისი.

<sup>3</sup> დაუშვილი რ., სტამბოლის პოლიტიკური კომისია, კრებული მიძღვნილი უშანგი სიადამონიძის ხსოვნისადმი, თსუ, IV, 2002, გვ. 148; მისივე, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 15, 94.

<sup>4</sup> შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003, გვ. 298.

<sup>5</sup> გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., №7, 31 აგვისტო, გვ. 11.

<sup>6</sup> მიწიშვილი ნ., ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ., 2006, გვ. 130.



პირველი მოთხოვნების საგნებს, ხოლო ლტოლვილთა განსახლების კომისია ემიგრანტებს სხვა ქვეყნებისაკენ გამგზავრებაში ეხმარებოდა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საქართველოდან დევნილმა 400-მა ადამიანმა ისარგებლა.<sup>1</sup> ქართველთა ნაწილი 1921 წელსვე გაიყვანეს ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. პოლონეთმა ძირითადად მაღალი ჩინის ქართველი სამხედროები და იუნკრები მიიღო. ოფიცრები და გენერლები მალევე სათანადო სამსახურში დაასაქმეს, ხოლო იუნკრებს უმაღლესი სამხედრო განათლების დაუფლების პირობები შეუქმნეს.

თურქეთში დარჩენილმა ზოგიერთმა ქართველმა ამ რთულ სიტუაციაშიც შეძლო გამკლავებოდა გამოწვევებს. ევგენი დალეჯიო დალესიოს მოწმობით, კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ ემიგრანტებს გაუხსნიათ რამდენიმე სასტუმრო და სასადილო, დაუარსებიათ სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებები, მათ შორის: „პრომეთე“, „მარგო“, „მაქარი“ (დამფუძნებლები მ. ლორთქიფანიძე, ი. ქარცივაძე და ბ. მიქელაძე), ქართულ-სომხური საზოგადოება (ეკუთვნოდა ჯორჯაძესა და მძებ აგრიევებს) და სხვ.<sup>2</sup>

ლტოლვილ ქართველთა ერთმა ნაწილმა სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილი წევრის დათა მაჭავარიანის, გენერალ ალექსანდრე კონიაშვილისა და სხვ. თაოსნობით კონსტანტინოპოლში ქართული კლუბი ჩამოაყალიბა. გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებების თანახმად, „ქართული კლუბი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თბილისის გარემოს დაუბრუნდებოდი და დაისვენებდი; იქ შეიძლებოდა ყველა ჩვენთან ნახვა“.<sup>3</sup>

არსებობს თვალსაზრისი, რომ საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად, საქართველოსთან მიმართებაში, საიდუმლო გარიგებაც შედგა. თურქი მკვლევარი დოდან ავჯიოღლუ ნაშრომში “ეროვნული მოძრაობის ისტორია”, განიხილავს რა მოსკოვის ხელშეკრულებას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამ დოკუმენტის ჩვენს მიერ ნახსენებ მერვე მუხლზე, რომლის განმარტებისას შენიშნავს: თურქეთის მხარემ იკისრა, რომ ბოლშევიკური საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით, მენშევიკ ქართველებს თურქეთში არავითარი საქმიანობის საშუალება არ მიეცემოდა.<sup>4</sup>

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ითქვას შემდეგი: თუ ასეთი გარიგება მართლაც არსებობდა, მას ორივე მხარე არღვევდა, თუმცა საბჭოთა რუსეთი უფრო მეტად. ცნობილია, რომ კრემლის მფარველობით ჯერ მოსკოვში, ხოლო 1921 წლის ივლისის ბოლოდან სექტემბრის ჩათვლით ბათუმში იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი, ახალგაზრდა თურქთა პარტიის „ერთიანობისა და პროგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ენვერ ფაშა, რომელსაც მოსკოვი ქემალის ალტერნატივად მოიაზრებდა და ამზადებდა კიდევ თურქეთში შესაყვანად.<sup>5</sup> თურქეთს იყო შეხიზნული და 1922 წლიდან კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა აზერბაიჯანის დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, მუსავატის პარტიის ლიდერი მ. რასულზადე. აზერბაიჯანული პოლიტიკური ემიგრაციის კონსოლიდაციის მიზნით მან აქ შექმნა ორგანიზაცია „აზერბაიჯანის ეროვნული ცენტრი“, წერდა წიგნებს, გამოსცემდა ჟურნალ-გაზეთებსა და სხვ.<sup>6</sup> თურქეთის მთავრობამ მისი დეპორტაცია მხოლოდ 1931 წელს განახორციელა.<sup>7</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ხელისუფლებას ქართველი ემიგრანტებისათვის ხელი არ შეუშლია არც სხვა ქვეყნების დიპლომატიური და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან კონტაქტებში და არც საბჭოთა ოკუპაციისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის მუშაობაში. მართალია, მუსტაფა ქემალის მთავრობა ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ წრეებს ამ კუთხით პრაქტიკულად არაფერში დახმარებია, მაგრამ, თავისი თუნდაც ლოიალური დამოკიდებულებით (პასიური ნეიტრალიტეტით), იმით, რომ ქართველებს ამგვარ საქმიანობას არ უკრძალავდა, ერთგვარად მათი თანამდგომლის როლში გვევლინებოდა.

<sup>1</sup> სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბ., 2010, გვ. 60-62.

<sup>2</sup> ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში, გვ. 43-44.

<sup>3</sup> კვინიტაძე გ., გ. მოგონებები, ტ. II, თბ., 1999, გვ. 237.

<sup>4</sup> ყავრელიშვილი რ., 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი) თბ., 2002, გვ. 60.

<sup>5</sup> ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტალიანისტური ენიგმა (1920-1922), თბ., გვ. 208-215.

<sup>6</sup> „...“, 2011, . 30.

<sup>7</sup> <http://www.ourbaku.com/index.php5/>

უცხოეთში ემიგრირებულმა მთავრობამ, ითვალისწინებდა რა კონსტანტინოპოლის მნიშვნელობას საქართველოსთან კავშირებისა და ანტიბოლშევიკური მუშაობისათვის, 1921 წლის მარტის ბოლოს აქ ჩამოაყალიბა პოლიტიკური კომისია, რომელსაც ჯერ ნოე ხომერიკი, შემდეგ კი რაჟდენ არსენიძე ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ამ კომისიაში შედიოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ლელი ჯაფარიძე, პეტრე სურგულაძე და რევაზ გაბაშვილი, ფედერალისტი სიმონ მდივანი, სოციალ-დემოკრატი ვასო წულაძე და სხვ.

კომისიასთან არსებობდა საინფორმაციო სამსახური, რომელსაც სათავეში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ჟურნალისტი დავით შარაშიძე ედგა.<sup>1</sup> კომისიას საბჭოთა პროპაგანდასთან დაპირისპირება და დაპყრობილ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოების მუდმივი ინფორმირება ევალებოდა.<sup>2</sup> 1921 წლის 15 მაისს კომისიამ გამოსცა პირველი ქართული ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“.<sup>3</sup> გამოიცემოდა ასევე ბიულეტენი, რომელშიც თბილისიდან კონსპირაციული არხებით მიღებული ინფორმაცია ქვეყნდებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და სხვ.

ამ კომისიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ერთიანი ფრონტისა და საზღვარგარეთ ინტერპარტიული (განმათავისუფლებელი) კომიტეტის ჩამოყალიბების საქმეში.<sup>4</sup> გარკვეული დროით სტამბოლის პოლიტკომისიასთან არსებობდა სამხედრო კომისიაც, რომლის სხდომებს გენერალი ილია ოდიშელიძე უძღვებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ კომისიის წევრმა ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა საქართველოს დამფუძნებელი კრების სპეციალური ანკეტის საფუძველზე მოამზადეს ორი მოხსენება, რომლებშიც პასუხი იყო გაცემული კითხვაზე, რამ განაპირობა საქართველოს წარუმატებლობა რუსეთის საბჭოთა არმიასთან ომში 1921 წლის თებერვალ-მარტში, გამოთქმული იყო მოსაზრება მომავალში ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და ორგანიზაციის შესახებ და სხვ. ერთ მოხსენებას ხელს აწერდა გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, ხოლო მეორე შედგენილი იყო ილია ოდიშელიძის მიერ. ამ უკანასკნელმა თავისი მოხსენება „საქართველოს დამარცხების შესახებ“ ორ ნაწილად წაიკითხა კომისიის სხდომებზე 1921 წლის დეკემბერსა და 1922 წლის მარტში.<sup>5</sup>

დიდ მუშაობას ეწეოდა კონსტანტინოპოლში საქართველოს ემიგრირებული მთავრობის რწმუნებული კონსტანტინე გვარჯალაძე, რომელიც ცდილობდა კავშირი გაეხა თურქეთში აკრედიტებულ ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, სულთნის მინისტრებთან და სხვ. საქართველოს პრობლემას განსაკუთრებით გულისხმიერებით მოეკიდა იაპონიის დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც კ. გვარჯალაძეს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარებაშიც ეხმარებოდა.<sup>6</sup>

1923 წლის გაზაფხულზე კონსტანტინოპოლში ჩავიდა სამშობლოდან უცხოეთში გაძევებული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კეღია. ამ დროისათვის აქ უკვე არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონსტანტინოპოლის ბიურო, რომელიც ახლა კონკრეტული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდა, საქართველოს დეოკუპაციისათვის საჭირო გზებისა და საშუალებების ძიებაშიც იყო.

ს. კედიამ იტალიაში მყოფ გიორგი მაჩაბელთან ერთად შეიმუშავა საქართველოს განთავისუფლებისათვის მოღვაწეობის გეგმა, რომელიც ემიგრირებული მთავრობისაგან ცალკე, დამოუკიდებელი მუშაობის პრინციპს ეფუძნებოდა. თავდაპირველად, თურქეთის სახელისუფლებო წრეებთან ურთიერთობა გიორგი მაჩაბელმა იკისრა. მას უნდა გაერკვია, თვლიდა თუ არა ოფიციალური ანკარა შესაძლებლად ქართველებთან მუშაობას ან ქართული ორგანიზაციის დაშვებას თავის ტერიტორიაზე. 1923 წლის მაისში, ლოზანის კონფერენციის მიმდინარეობისას,

<sup>1</sup> დ. შარაშიძის ძმა, საქართველოში თავუნას ფსევდონიმით ცნობილი პოეტი შალვა შარაშიძე, ხოლო მათი და ქრისტინე შარაშიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, შემდეგში მკვლევარი-ისტორიკოსი იყო.

<sup>2</sup> დაუშვილი რ., სტამბოლის პოლიტიკური კომისია, კრებული მიმდინარე უშანგი სიდამონიძის ხსოვნისადმი, თსუ, IV, 2002, გვ. 153.

<sup>3</sup> ჟურნალის გამოცემა მალე პარიზში გაგრძელდა. 1922 წლის 15 ოქტომბრამდე სულ 27 ნომერი გამოვიდა.

<sup>4</sup> ვადაჭკორია შ., პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი (1921 წლის აპრილი - 1922 წლის მარტი), კრებულში - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2015, I, გვ. 101-149.

<sup>5</sup> ბახტაძე მ., გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებების სრული ვერსიის შესახებ, საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, I, მასალები, თბ., 2015, გვ. 22.

<sup>6</sup> გვარჯალაძე კ., ანგარიში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, სტამბოლი, 1923.

მაჩაბელი შვეიცარიაში ჩავიდა, შეხვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ისმეთ ფაშას მდივანსა და ადიუტანტს,<sup>1</sup> შემდეგ კი საუბარი ჰქონდა თავად ისმეთთანაც.

სამწუხაროდ, ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. თურქები ქართველებს თანამშრომლობაზე გადაჭრით უარს არ ეუბნებოდნენ, გარკვეული იმედებით კვებავდნენ, ეუბნებოდნენ: „დაიცადეთ, ჯერ ადრეაო“.

მოისინჯა თურქებთან დაახლოების სხვა გზაც. საქართველოში მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა კონსტანტინოპოლში შალვა ქარუმიძე გაგზავნა. მან საზღვრის გადაკვეთა თბილისში გერმანიის წარმომადგენლობის დახმარებით შეძლო. შ. ქარუმიძეს შეხვედრა ჰქონდა თურქეთის მთავრობის ერთ-ერთ წევრთან. საქართველოსათვის ჯარითა და იარაღით დახმარების თხოვნაზე მინისტრს დადებითი პოზიცია გამოუხატავს, მაგრამ სანაცვლოდ მიუღებელი პირობები წამოუყენებია, კერძოდ: ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების თურქეთისათვის გადაცემა და სხვა,<sup>2</sup> რაზეც დათანხმება შეუძლებელი იყო.

მოლაპარაკების შედეგების პარტიის ხელმძღვანელობისათვის გასაცნობად თურქეთიდან თბილისში სოლომონ ზალდასტანიშვილი გამოიგზავნა. საქართველოში ჩამოსულმა ს. ზალდასტანიშვილმა თურქეთის პირობები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს კონსტანტინე აფხაზს გადასცა. აფხაზის პასუხი კატეგორიული იყო: „ქართველი ხალხისათვის ამნაირი პირობების შესრულება მიუღებელია, ამიტომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ჯერ-ჯერობით საკუთარ ძალებზე დავყრდნობით. თუ თურქები საქართველოს დამოუკიდებლობას აფასებენ და მეგობრობა ჰსურთ, მათ დღეს უპირობოდ უნდა გაგვიწიონ დახმარება“. თურქეთის წინადადება მთელმა პარტიამ უარყო და თავისი აზრი საზღვარგარეთის კომიტეტსაც აცნობა.<sup>3</sup>

არსებობს ცნობები, რომლის თანახმადაც, ინგლისის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან კონსტანტინოპოლში კავშირი დაუმყარებია სპირიდონ კედიასაც. ეს ჩანს „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის“ თავმჯდომარის კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ ნოე ჟორდანიასათვის გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც აღნიშნულია: „ნაციონალ-დემოკრატები ავანტურისტობენ. ...უნდათ თურქები მოიყვანონ და კაპიტალი შეიძინონ“. მსგავს ინფორმაციას შეიცავს კონსტანტინოპოლიდან საქართველოში გამოგზავნილი დავით შალიკაშვილის წერილიც, რომელიც 1923 წლის 19 აგვისტოთა დათარიღებული.

სპირიდონ კედიასა და გიორგი მაჩაბლის გეგმის შესაბამისად, კონსტანტინოპოლში მცირე ჯგუფი ჩამოაყალიბეს მიხაკო წერეთელმა, ლეო კერესელიძემ და დავით ვაჩნაძემ, მაგრამ უსახსრობის გამო ჯგუფმა მუშაობა მალევე შეწყვიტა.

ამავე პერიოდში თურქეთის წარმომადგენელი საქართველოში მუხტარ ბეი – უნდა ვიფიქროთ, – თავისი მთავრობის მითითებით, თბილისში დავით ვაჩნაძესა და იასონ ჯავახიშვილს შეხვდა, ესაუბრა და დახმარება აღუთქვა, თუ ეროვნულ-დემოკრატები უარს იტყოდნენ ნოე ჟორდანიას მთავრობაზე და სცნობდნენ თურქეთის პროტექტორატს.<sup>4</sup>

1923 წლის აგვისტოში ეროვნულ-დემოკრატებმა კიდევ ერთხელ მოსინჯეს თურქეთისაგან ფულისა და იარაღის მიღების შესაძლებლობა და სტამბოლს ახლა სამი თვით დავით ვაჩნაძე მიავლინეს. მას უნდა მოეგვარებინა ასევე თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრების ახლოს ქართველ მოხალისეთა თავმოყრის, მომზადებისა და მათთვის ფარული ბინების მოწყობის საკითხი, უნდა უზრუნველყო ქართველ ემიგრანტთა წრეებში შეგროვილი თანხის საქართველოში დროულად გადმოგზავნა. დ. ვაჩნაძემ თურქეთის საზღვრებში შეღწევა დიდი წვალებით მხოლოდ 1924 წლის თებერვალში მოახერხა და ბინა არდაგანთან ახლომდებარე სოფელ სარძევეში დაიდო. მას დიდი პატივით დახვდნენ და თანადგომა აღმოუჩინეს „გამაჰმადიანებულმა ძველმა ქართველმა გვარიშვილებმა“ – ვაჩნაძეებმა, ერისთავებმა, ჭავჭავაძეებმა და ხიმშიაშვილებმა. ერთი თვის შემდეგ დავით ვაჩნაძე თურქეთის ხელისუფლებისაგან იღებს სტამბოლში ჩასვლის ნებართვას. მან მიხეილ წერეთლისა და ოსმალეთის იმპერიის ყოფილი მინისტრის მაჰმუდ ფაშა

<sup>1</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 32.

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. №212, ფურც. 76. ასევე, ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 14.

<sup>3</sup> ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 427.

<sup>4</sup> ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 427.

თავდგირიძის დახმარებით მემორანდუმით მიმართა თურქეთის მთავრობას. თურქებმა ამჯერად განაცხადეს: ჩვენ “მოსკოვის მეგობრობა გვესაჭიროება და ქართველებს ვერ დავეხმარებით”.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, ქართველ ემიგრანტებს არ ტოვებდათ იმედი, რომ თურქეთის მეგობრობა საბჭოეთთან ხანგრძლივი არ იქნებოდა და თურქები უპირატესობას კავკასიის დამოუკიდებლობის პოლიტიკას მიანიჭებდნენ. ეს აზრი გამოსჭვივის საქართველოს სახალხო გვარდიის ყოფილი უფროსის ვალიკო ჯუღელის დღიურიდან, რომელსაც იგი 1924 წლის თებერვალში, პარიზიდან, ბენია ჩხიკვიშვილსა და ბიქტორ ცენტერამესთან ერთად, სამშობლოში აჯანყების სახელმძღვანელოდ გამოგზავნილი, ჯერ გემზე, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში აწარმოებდა.

ვ. ჯუღელის სიტყვით: „ნუ თუ თურქები დღესაც ვერ მიხვდენ, რომ საქართველოს და ამიერ კავკასიის აღსდგენა – მათ საქმეს და მომავალსაც აძლიერებს! მგონი მიხვდენ”.<sup>2</sup>

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ბევრ მონაწილეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წამოწყებულ ამ ბრძოლაში თურქეთი მათი მხარდამჭერი იქნებოდა. ეს მოლოდინი არ გამართლდა, თურქეთის „მხარდაჭერა“ მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ მან თავის ტერიტორიაზე გაატარა და საფრანგეთისაკენ გზა მისცა მარცხგანცდილი აჯანყების მეთაურებს სპირიდონ ჭავჭავაძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის შეფიცულთა რაზმის წევრებს, მათ შორის: ელიზბარ ვაჩნაძეს, ალექსანდრე სულხანიშვილს, ლელო ჩიქოვანს, შალვა ნებიერიძეს, რაფიელ ერისთავს, ალექსანდრე კარგარეთელს, მერაბ ჯორჯაძეს და სხვ.<sup>3</sup> ესენი თურქეთში არდაგან-ართვინი-ხოფის გზით გადავიდნენ, ტრაპიზონში ჩააღწიეს, ხოლო იქიდან გემით სტამბოლში ჩავიდნენ და შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრნენ.

1924 წლის ოქტომბერში, პოლონელთა ხელშეწყობით, სტამბოლში კავკასიელ კონფედერალისტთა კომიტეტი დაარსდა. მასში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების სამ-სამი წევრი შედიოდა.

ამავე პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ემიგრირებული მთავრობების წარმომადგენელთა შეთანხმებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სახელმწიფოების კავკასიის კონფედერაციად გაერთიანების შესახებ. კავკასიის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის კოორდინაციის მიზნით პარიზში დაფუძნდა კავკასიის კომიტეტიც, რომელიც თანამშრომლობდა სტამბოლის კომიტეტთან.<sup>4</sup>

სტამბოლის კომიტეტის დავალებით დავით ვაჩნაძე, არჩილ ლომიძის გვართ, გაიგზავნა ართვინსა და არდაგანში, ასევე ტრაპიზონსა და ხოფაში, რათა კავშირი დაემყარებინა საქართველოში არსებულ ანტისაბჭოთა მოძრაობასთან. ამ მისიის შესახებ დ. ვაჩნაძე ვრცლად მოგვითხრობს თავის დღიურში „1924-1926 წწ. თურქეთში“.

თურქეთის ტერიტორიაზე ორი-სამწლიანი ყოფნა და საქმიანობა ქართული ემიგრაციის ისტორიის საყურადღებო ფურცელია. ამ კუთხით კვლევის გაგრძელება და ახალი მნიშვნელოვანი ფაქტების გამოვლენა კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება.

## TURKISH PAGES OF GEORGIAN EMIGRATION (1921-1924 YEARS)

Otar Janelidze, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

Turkey has an important place in the history of Georgian emigration. Since the spring of 1921, after Russia overthrew the Democratic Republic of Georgia, two thousand Georgians found shelter in this country. Many of them had to stay here for two or three years, before they could obtain visas to European countries.

Emigrated government of Georgia appointed its authorized representative in Turkey and formed a refugee committee to assist persecuted compatriots.

<sup>1</sup> ვაჩნაძე დ., სამშობლოს სამსახურში (მოგონებები), ჟურნ. „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, №1, გვ. 131-132.

<sup>2</sup> ჯუღელი ვ., დღიური - 1924. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, №2, გვ. 24-26 (პ. ნაცვლიშვილის პუბლიკაცია).

<sup>3</sup> დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 12.

<sup>4</sup> „<http://www.chechen.org/page,5,348-zhurnal-chast.html>“

1926 წლისათვის ხსენებული კომიტეტები გაერთიანდნენ და სტამბოლში ჩამოყალიბდა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი. თუმცა, თურქეთის მთავრობის მითითებით, რომელიც ერიდებოდა მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავებას, მალე მისი მუშაობა პარიზში იქნა გადატანილი.

Together with active in Turkey Georgian consulate, refugees from Georgia were greatly assisted by a monastery of Georgian Catholics which was founded in Constantinople in the 60s of the XIX century by a priest Peter Kharischarishvili.

400 persecuted people from Georgia benefited from the international organizations like the League of Nations American Committee for Refugees and the International Labour Organization (ILO).

After the defeat of anti-Soviet uprising of August 1924 a new stream of Georgian survivors of the repressions rushed to Turkey. Among them were the head of the military uprising General S. Chavchavadze, Qaikhosro Cholokashvili and members of his „Oath " squad.

Mustafa Kemal government actually gave no assistance to Georgian immigrant political circles in liberation from the Soviet occupation, but it did not prohibit such activities.

## განათლება E d u c a t i o n

### ელექტრონული ტექნოლოგიები ქართულ-თურქული ენების სწავლების ეფექტურობისათვის

თინათინ მშვიდლობაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული  
პროფესორი

საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში.

ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია არაერთმა ჟურნალმა („ჩვენებურები“, „ფიროსმანი“ და სხვა). ამ ჟურნალების ირგვლივ შემოკრებილი ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოების მიერ დღესაც დიდი პროპაგანდა ეწევა ქართული კულტურის და საქართველოს ისტორიის საკითხების მართებულად გაშუქებას თურქულენოვანი მედიის საშუალებით. თურქულად ითარგმნება ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკური ნიმუშები (რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის), ასევე თანამედროვე ეპოქის ნაწარმოებები (ნოდარ დუმბაძის, ფრიდონ ხალვაშის და სხვა). ქართულ ენაზე იბეჭდება სახელმძღვანელოები, ანბანი და ანდაზები და სხვა პედაგოგიური დანიშნულების ლიტერატურა ქართული წარმოშობის თურქი ახალგაზრდებისათვის. უკანასკნელი ათწლეულები გამოირჩევა ასევე თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის პუბლიკაციებით.

დღეისათვის არსებობს უამრავი თურქულ-ქართული ელექტრონული ლექსიკონი, რომელთაგან აღსანიშნავია Glosbe უნიკალური ლექსიკონები. სტატისტიკის მიხედვით ამ ლექსიკონებით ამჟამად განხორციელებულია 10,050 ფრაზის და 5729350 თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული წინადადებების თარგმანი.

კომპიუტერული ეპოქის გარიჟრაჟზე – ლექსიკონების შემდგენლებს განსაკუთრებით ხიბლავდა ენის კორპუსების გამოყენების შესაძლებლობა სიტყვებისა და ფრაზების უფრო ზუსტი განმარტების ჩამოსაყალიბებლად ნებისმიერ ენაზე. ზეპირმეტყველებითი მასალის კორპუსული კვლევა გვიჩვენებს არა მარტო იმას, როგორ არის აგებული ესა თუ ის ენა, არამედ ასევე გვაწვდის ფასეულ ინფორმაციას ენისა და შემეცნების ურთიერთობის შესახებ.

ენის კორპუსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენის ან მისი რომელიმე ქვესისტემის ვირტუალური მიკრომოდელი (ანუ ენის ელექტრონული რესურსების საწყობი) - დიდი მოცულობის ელექტრონული ტექსტური მასივი.

ენის ეროვნული კორპუსი, ენის კორპუსისაგან განსხვავებით, წარმოადგენს სახელმწიფო ენისათვის შექმნილ ვირტუალურ სივრცეს, რომელშიც განთავსებულია სახელმწიფო ენის ისტორიული და თანამედროვე მემკვიდრეობა და 21-ე საუკუნის სახელმწიფოსათვის ისეთსავე აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, როგორც დამწერლობა, ლექსიკონი, ენციკლოპედია... და განიხილება სახელმწიფო ატრიბუტიკის - გერბის, დროშისა და ჰიმნის გვერდით.

ეროვნული კორპუსები იქმნება სამეცნიერო კვლევებისა და ენის გადრეკილი შესწავლის მიზნით. თანამედროვე მიდგომებით ენის კვლევა წარმოადგენს ენის კონკრეტული გამოვლინებების, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის გარეშე. განვითარებული მსოფლიოს ენათა უმრავლესობას უკვე აქვს ნაციონალური კორპუსები.


ქართული ენის ეროვნულ კორპუსს მიმდინარე ეტაპზე საფუძვლად დაედო ქართული ენისათვის შექმნილი ოთხი ელექტრონული რესურსი.

1. TITUS-ის ელექტრონული ტექსტების ბაზა (ფრანკფურტის უნივერსიტეტი) ;
2. ARMAZI -ს ელექტრონული ტექსტების ბაზა (ფრანკფურტის უნივერსიტეტი) ;
3. GEKKO - ქართული ენის ელექტრონული კორპუსის ანალიზატორი (ნორვეგია) ;
4. ქართული დიალექტური კორპუსი (საქართველო).

ქართული ენის კორპუსის ფორმა:

- ✓ არის ციფრული და წარმოადგენს ქართული ენის სისტემის ამსახველ ვირტუალურ სივრცეს;
- ✓ მისი მიზანია ენის ელექტრონული დოკუმენტაცია, ენის კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდეს;
- ✓ მისი აქტუალობა მდგომარეობს კვლევის ეფექტურობაში და გამოირჩევა ვერიფიკაციის მაღალი ხარისხით.

თურქული ეროვნული კორპუსი (TNC) - არის დაბალანსებული, ფართომასშტაბიანი (50 მილიონი სიტყვა) და ზოგადი დანიშნულების კორპუსი თანამედროვე თურქული ენისათვის. მონაცემთა ბაზა მოიცავს ყველა TNC ტექსტებს, მათ მეტა-ტექსტურ ინფორმაციას და სრულ ტექსტურ ინდექსებს საძიებო შესრულების ოპტიმიზაციისათვის. მომხმარებელს შეუძლია განსაზღვროს ანბანური საძიებლის მიხედვით კონკრეტული სფეროს ჟანრი, გამოქვეყნების თარიღი, ავტორები, ტექსტის ტიპები და ა.შ. (იხ. სურათი 1). ინტერფეისი ასევე სიტყვის ძირეული ფორმის ძიების საშუალებას იძლევა. ანბანური საძიებლის ფანჯარა აჩვენებს ძებნის შედეგს სიტყვის კონტექსტურ რეჟიმში. მომხმარებელს შეუძლია ასევე ანბანური საძიებლის გადატანა XLS ფორმატში (MS Excel), რომელშიც ყოველი სიტყვა იძებნება ცალკეულ სვეტებში, რათა დახარისხება და ძიება ადვილი გახდეს მკვლევარებისათვის.



სურათი 1.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება თურქული და ქართული ენების სწავლების კუთხით. ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა უცხო ენების სწავლის პროცესში უახლესი ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, რამაც შეცვალა სასწავლო პროცესში გამოყენებული დიდაქტიკური მეთოდოლოგია და, შესაბამისად, მასწავლებლისა და სტუდენტის როლებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა.



ელექტრონული სწავლების დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულ E-learning-ის პროგრამას წარმოადგენს Moodle (Modular Object-Oriented Dynamic Learning Environment) – რომელიც ერგება ყველა პროგრამულ ფორმატს და ჰყავს მომხმარებლების ფართო წრე. ელექტრონული სწავლების პროგრამა OLAT (Online Learning And Training), რომელიც ონლაინ სწავლების ინოვაციურ პროგრამას წარმოადგენს და დიდაქტიკური სცენარის მოქნილობითა და დახვეწილობით გამოირჩევა – OLAT-ში ძირითადი აქცენტი გადატანილია არა სალექციო კურსების შინაარსობრივ მხარეზე, არამედ სტუდენტთა მხრიდან აქტიურ ჩართულობაზე – თვითგანათლებაზე, თვითკონტროლზე და თვითგანვითარებაზე. Moodle-ისაგან განსხვავებით OLAT-ს აქვს ალმა-მატერის ძლიერი ინდივიდუალური რეპრეზენტაბელურობა, აღჭურვილია ინდივიდუალური მოხმარებისათვის საჭირო ძლიერი ტექნიკური ხელსაწყოებით, უზრუნველყოფს დღესდღეობით არსებული ნებისმიერი ფორმატის გამოყენებას და ხელს უწყობს ინტენსიური სწავლების ინტერაქციას ჯგუფებს შორის, გაცილებით მოქნილია სწავლების პროცესში გლობალური დაგეგმვისა და პარტიციპაციის თვალსაზრისით, იყენებს განსხვავებული კომუნიკაციის არხებს, იძლევა სასწავლო სცენარის ინდივიდუალური შედგენისა და განხორციელების საშუალებას.

მეტა-კომუნიკაციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ენების შესწავლის პროცესში. მეტა-კომუნიკაცია ეს არის კომუნიკაცია კომუნიკაციის შესახებ. პირისპირ შეხვედრებისას სტუდენტებს აქვთ უფრო ფართო შესაძლებლობა გამოხატონ თავისი დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენების მიმართ, მაშინ, როდესაც ვირტუალური კომუნიკაციისას ამ მიზნით სხვადასხვა სიმბოლოები გამოიყენება. მაგალითად, სიმბოლო :-) აღნიშნავს მხიარულებას, კმაყოფილებას, :-( აღნიშნავს მოწყენილობას და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ქართულ-თურქული ენების სწავლების კუთხით. ელექტრონულ ლექსიკონებში ენის კორპუსების გამოყენების შესაძლებლობა კი საშუალებას იძლევა სიტყვებისა და ფრაზების უფრო ზუსტი განმარტების ჩამოსაყალიბებლად ნებისმიერ ენაზე.

#### ლიტერატურა:

1. ქართული ენის ეროვნული კორპუსი-მნიშვნელობა და პერსპექტივები, მ. თანდაშვილი -ისტორიული კორპუსი: გამოწვევები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ისტორიული კორპუსი 2012“, ფრანკფურტი, 6-8 დეკემბერი, 2012.
2. Aksan, Y., Aksan, M. (2009). Building a national corpus of Turkish: Design and implementation. Working Papers in Corpus-based Linguistics and Language Education no. 3, 299-31. Tokyo: TUFSS.
3. ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინგლისური ენის სწავლის პროცესში მეტა-კომუნიკაციის ელემენტებით. /უ. დემირაი, თ. ლომინაძე, ი. ისტიფიჩი/. ბიზნეს-ინჟინერინგი. – 2011. - გვ. 30-40.

## ELECTRONIC TECHNOLOGIES FOR EFFECTIVE TEACHING GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES

Tinatin Mshvidobadze, Gori State Teaching University, Associate Professor  
RESUME

The paper highlights the Georgian-Turkish literary relations.

It is noted in the Turkish-Georgian effectiveness of electronic dictionaries, and the dictionaries of words and phrases are more accurate interpretation of the language of the buildings use the opportunity to develop into any language. There are described Georgian and Turkish language in the corpus.

Georgian language was based on a national corps of Georgian Language for four electronic resources.

1. TITUS- electronic texts base;
2. ARMAZI of electronic texts base;
3. GEKKO - Georgian language electronic Corps Analyzer;
4. Georgian Dialect Corpus.

Turkish National Corpus (TNC) is a representative and a well-balanced general reference corpus of contemporary Turkish.

TNC will serve as an important resource for researchers who are interested in linguistic aspects of Turkish.

It is particularly important to use of e-learning technologies in the Turkish and Georgian language teaching.

E-learning- program described in Moodle (Modular Object-Oriented Dynamic Learning Environment) and OLAT (Online Learning And Training).

## სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები Social and Economic Sciences

### თურქეთის ახალი გეოპოლიტიკური მისია 21-ე საუკუნეში

მაია მანჩაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
დოქტორანტი

XX საუკუნე საინტერესო საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში. ამ საუკუნემ იმ დროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები თავდაყირა დააყენა: ბევრი პოლიტიკური ერთეული წაიშალა მსოფლიო რუკიდან და ბევრიც ახალი რესპუბლიკა წარმოშვა. სწორედ ამ საუკუნის დამდეგს უკავშირდება თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნება, რასაც მოჰყვა ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და პოლიტიკურ რუკაზე დამკვიდრების ურთულესი, მაგრამ წარმატებული საუკუნე.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე თურქეთის რესპუბლიკისათვის ძალზე საინტერესო პერიოდი იდგა: ეს იყო ბრძოლის, არაერთი საშინაო და საგარეო გამოწვევისა და პრობლემების გადალახვის პერიოდი, რომელიც ქვეყანამ წარმატებით გაიარა. ქემალ ათათურქის გონივრულმა გათვლებმა და შორსმხედვალმა გეგმებმა ქვეყნის მშენებლობას მყარი საფუძველი ჩაუყარა და ეს პროცესები შეუქცევადი გახდა. ქვეყანაში ინსტიტუტების განვითარების პროცესი დაიწყო. ინსტიტუტების არსებობა კი მყარი საფუძველია დემოკრატიული, თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე. ეს არ იყო მარტივი პროცესი, მაგრამ ქვეყნის სათავეებთან მყოფი ადამიანები აცნობიერებდნენ მათ უდიდეს პასუხისმგებლობას და შედეგებიც ნელ-ნელა დაეტყო ქვეყანას.

50-იანი წლებიდან კი ქვეყანა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის: განვითარებისა და აღმასვლის ახალმა ტალღამ მრავალპარტიულ სისტემაზე გადაიყვანა ქვეყანა და საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის თურქეთი უკვე ძლიერ სახელმწიფოდ გვევლინება, რომელიც დასავლეთთან ერთად ჩაერთო დიდ პოლიტიკურ თამაშებში.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე პერიოდის ანალიზის დროს, თურქეთის ადგილის შეფასებისას, ძნელია ეს სახელმწიფო შეაფასო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე. ერთი მხრივ, ეს ბუნებრივიცაა: ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოსათვის ძნელია სულ რაღაც რამდენიმე ათეულ წელიწადში გავლენიანი მოთამაშე გახდეს. მაგრამ, არც ისაა ადვილი გასაცნობიერებელი, ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა გონივრულად გამოიყენო და საკუთარი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მართო პროცესები. ეს დიდი ფუფუნებაა. ბევრი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს ამ რეალობაზე გადაიყვანოს პროცესები. თურქეთმა ამ გამოწვევას გაართვა თავი. მიუხედავად იმისა, რომ იგი აშშ-ისა და ევროკავშირის ინტერესების შესაბამისად ხდებოდა თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის მართვა, მან მოახერხა ქვეყნის შიდა განვითარების, ეკონომიკისა და საკუთარი ადგილის ძიების ლაბირინთებში გზის გაგნება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი პოლიტიკური ტენდენციების გაჩენას და პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების ახალ ტალღას თურქეთმა ფეხი კარგად აუწყო. მთავარი კი ის იყო, რომ ამ პროცესებს თურქეთი მზად დახვდა. 15 დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის და განსაკუთრებით, თურქულენოვანი რესპუბლიკების ხელახლა წარმოქმნამ, თურქეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე ახალი მიმართულებები და გამოწვევები წარმოშვა - თურქეთს უკვე რეგიონული მოთამაშის როლი შეეძლო აეღო თავის თავზე. ეს ის მომენტი იყო, როცა უნდა გადაწყვეტი ნაბიჯი გადაედგა თურქეთს. თუ ახლა არ აიღებდა თავის თავზე რეგიონული მოთამაშის როლს, ის სამუდამოდ დარჩებოდა რუსეთის ჩრდილქვეშ და მომავლისათვის კი რუსეთი ამითაც არ დაკმაყოფილდებოდა.

ბევრი ექსპერტი სკეპტიკურად უყურებდა თურქეთის შესაძლებლობებს და რესურსებს. ბუნებრივია, უდიდეს ძალისხმევასა და პირველ რიგში, ფინანსებს მოითხოვდა იმ პოლიტიკის გატარება, რომელიც თურქეთს დაეხმარებოდა მახლობელ რეგიონებში სასურველი პოლიტიკის გატარებას. მეორეს მხრივ, კი მხოლოდ კარგად დაგეგმილ პოლიტიკასა და ფინანსებს არ შეეძლო გადაეწყვიტა მთელი რიგი გამოწვევებისა ისე, როგორც ეს თურქეთს აწყობდა. რეგიონის ნომერ პირველი მოთამაშე, რუსეთი,



ცხადია, არ დაუშვებდა მისი გავლენის რეგიონებში ახალი მოთამაშის შემოსვლას და ახლად ფეხადგმულ თურქეთს კარგად გამოცდილ რუსულ დიპლომატიასთან შეჯახება მოუწევდა.

თუ რეალურად შევხედავთ პროცესებს, თურქეთმა მართალია მოახერხა მეზობელ რეგიონებში - სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზია და ახლო აღმოსავლეთში გაერღვია ის კედელი, რომელიც მის წინაშე იყო აღმართული, მაგრამ მისი შესაძლებლობები ვერ გასწვდა რუსეთის როლის გადაფარვას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სტრატეგია და დიპლომატიური ბრძოლის მეთოდების სწორი არჩევა ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია. თურქეთმა ამ პროცესებში ეკონომიკური შედეგის მეთოდი და განათლების სფერო ძალიან წარმატებით გამოიყენა. ამით კი შედარებით ნაკლებ დროში ბევრად უფრო მეტი შეძლო, ვიდრე რუსეთმა ეს წლების განმავლობაში მოახერხა ძალით. უნდა ითქვას ერთი რამ, რაც აშკარაა და განასხვავებს რუსეთისა და თურქეთის დიპლომატიურ მეთოდებსა და მიდგომებს - თურქეთის დიპლომატიური მეთოდებიდან ურთიერთსარგებლიანობის პრინციპი უმნიშვნელოვანესია მეზობლებთან ურთიერთობებისას. რუსეთისათვის კი სრულიად წარმოუდგენელია ითანამშრომლოს და თანასწორუფლებიან პარტნიორად აღიქვას რომელიმე სახელმწიფო. ეს პრინციპული მიდგომა კი განაპირობებს ნაკლები „მეგობარი“ სახელმწიფოს არსებობას მის გარშემო. რაც ჯაჭვურ რეაქციაში რუსეთისაგან მეტ ძალისხმევას ითხოვს, გააკონტროლოს პროცესები მის გარშემო, ვიდრე მოქნილი დიპლომატიური მეთოდების გამოყენების შემთხვევაში დასჭირდებოდა.

დავუბრუნდეთ ისევ თურქეთს. შეიძლება ითქვას, მან თავის შესაძლებლობების კლასი გამოავლინა დიპლომატიური ბრძოლის გზაზე რუსეთისა და არა მხოლოდ ამ ქვეყნის ინტერესებთან შეჯახების დროს. გაცვლითი პროგრამებისა და საერთო პროექტების დაგეგმვით, თურქეთმა მეზობელი რეგიონების სამეცნიერო და კულტურული წრეების გულის მოგება ადვილად მოახერხა, როცა მათ უკვე განვითარებული თურქული სახელმწიფოს უკეთ გაცნობისა და განვითარებულ სახელმწიფოში ცხოვრების სიკეთეებით სარგებლობის ნება მისცა, ანუ პოზიტიური ადამიანური განწყობების შექმნამ თურქეთისადმი მიდგომები ძალზედ პოზიტიური გახადა. ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მომენტი კი, სინამდვილეში, დროთა განმავლობაში ისეთი ძლიერი იარაღი ხდება, უკვე ავტომატურად იწყებს მუშაობას იმ ქვეყნის სასარგებლოდ, რომელიც მას იყენებს. არადა, ასეც უნდა იყოს, ვინაიდან, ადამიანი და მის განწყობებზე მუშაობა ხომ საფუძველთა საფუძველია ნებისმიერი ტიპის პროცესების მართვისას. მართალია მხოლოდ ამ მაგალითით ვერ ამოვწურავთ თურქული დიპლომატიის მეთოდებსა და შედეგებზე საუბარს, მაგრამ, იმის თქმა მინდა, რომ თანამედროვე სამყაროში ძველი მეთოდებით ბრძოლა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია და თურქეთმა ამ გზაზე სწორი, დახვეწილი მიდგომები აირჩია, რომელიც ადამიანურ ფაქტორს წინა პლანზე აყენებს.

იცის რა თურქეთმა, რას ნიშნავს შიდა ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობები, იგი ყოველთვის მეზობელი სახელმწიფოებისადმი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე აგებულ პოლიტიკურ პლატფორმებს უჭერს მხარს. როცა 2008 წელს საქართველო-რუსეთის 5 დღიანი ომის დროს იგრძნობოდა საფრთხე პროცესების კატასტროფულ შედეგებში გადაზრდის ტენდენციისა, თურქეთის მიერ რეგიონული უსაფრთხოების პლატფორმის ინიციატივით გამოსვლამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ: 1) სურვილი აქვს არა ძალისმიერი გზით, არამედ ურთიერთთანამშრომლობის გზით გადაწყვიტოს ნებისმიერი პრობლემური საკითხი და ყველაზე მთავარი - 2) გამოჩნდა, რომ იგი უკვე შემდგარი რეგიონული ლიდერი სახელმწიფოა და მისი უგულვებელყოფა, მიუხედავად რუსეთის სიძლიერისა, მეზობელ რეგიონებში მიმდინარე პროცესების დარეგულირებისას, შეუძლებელია.

ამ მოსაზრებას კიდევ ერთი პატარა ფაქტიც, და არა მხოლოდ ეს, აძლიერებს. მაგალითად, თუ მეთიუ ბრაიზას კომენტარი, რომელიც მაშინ ამერიკის წარმომადგენელი იყო სამხრეთ კავკასიის საკითხებში, რომ ამერიკა არ იყო ინფორმირებული თურქეთის ახალი ინიციატივის შესახებ რეგიონული უსაფრთხოების პლატფორმის წამოყენებისას, შეიცავს სიმართლის მარცვალს, მითუმეტეს ნათელია, რომ თურქეთი ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში უკვე, როგორც დამოუკიდებელი რეგიონული მოთამაშე, ისე გვევლინება. თურქეთმა თუ ვერ შეძლო და ვერ შეინარჩუნა ეს მდგომარეობა, ის დაკარგავს გავლენას ისეთ პროცესებზე, რომელთა პროცესებმაც შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს თავად ამ ქვეყნის მომავალზე და დაასუსტოს ქვეყანა. იმისათვის, რომ პროცესები მის საწინააღმდეგოდ არ წარიმართოს, თურქეთმა უნდა მოახერხოს და არ აცდეს შიდა ეკონომიკური განვითარების გზასა და შიდა სტაბილურობას, რაც საფუძველი იქნება საგარეო ასპარეზზე წარმატებული პოლიტიკის გატარებისა. თუ ამ გზაზე თურქეთს მერყეობა დაეტყო, მას ქვეყნის შიდა პრობლემების გააქტიურებით უპასუხებენ სხვა ძლიერი პოლიტიკური ერთეულები.

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ, თურქეთის მთავარ საზრუნავად უნდა იქცეს, დარჩეს ძლიერ რეგიონულ მოთამაშედ, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ქვეყანას. ვინაიდან, თურქეთს, როგორც განვითარებულ სახელმწიფოს, შეუძლია ინსტიტუტების მშენებლობის გამოცდილების ექსპორტი მოახდინოს მეზობელ სახელმწიფოებში. მათ შორის ახლო აღმოსავლეთში და

თავად ირანშიც. დიდი ხნის განმავლობაში ირანის ფინანსური შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი მის ირგვლივ არსებული ბლოკადის გარღვევის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამან კი ირანის, როგორც ინსტიტუტებზე დაფუძნებული სახელმწიფოს, მშენებლობის პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ბუნებრივი რესურსების მარაგი ახლოსაც კი ვერ მოვა ირანის ბუნებრივ მარაგებთან და მიუხედავად იმისა, რომ ირანი სანავთობო პოლიტიკაში საკუთარ წესებს კარნახობს მსოფლიოს, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე კარგი იქნებოდა თუ იგი მუსლიმური თურქეთის მაგალითს აიღებდა.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ცენტრალური აზიის სახელმწიფოების მაგალითზეც. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოები ღიადაც აცხადებენ, რომ თურქეთი მათთვის მოდელია, განათლების, საბანკო, ეკონომიკის, ჯანდაცვის, ტურიზმის სფეროებში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის თურქეთთან თანამშრომლობა მათთვის დიდი სარგებლის მომტანი იქნება.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის ანალიზისას, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ თურქეთი იდეაფიქსად არ აქცევს ევროკავშირის წევრობას. მასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში თურქეთმა უნდა მოახერხოს და მიიღოს ის მაქსიმუმი, რაც კი შესაძლებელია მიიღოს: ინსტიტუტების განვითარების, ეკონომიკური პროგრესისა და განათლების სისტემის მეტად მაღალ დონეზე აყვანის თვალთახედვით. ევროკავშირის შესაძლო უარმა წევრობაზე, იმედგაცრუება და მისი პოლიტიკურ ასპარეზზე წინსვლის რწმენა არ უნდა შეარყიოს. ეს შეცდომა იქნება. ნატო-ს სამხედრო -პოლიტიკურ ბლოკში ყოფნა კი ამ ქვეყნის მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის. თურქეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა ისარგებლოს ამ სიკეთით. ვფიქრობთ, აშშ-თან თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული ინტერესთა აცდენები, თურქეთს მეტად გამოადგება მის პოლიტიკურ თამაშებში.

თურქეთის სახელმწიფოებრივი განვითარების კუთხით განვლილი გზის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სახელმწიფო არა მხოლოდ რეგიონული ლიდერია, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში და ასევე, მეზობელ რეგიონებში, შეუძლებელია თურქეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობდეს. იგი ამჟამად იმ პოზიციაზე იმყოფება, როცა ძალზედ ფრთხილ და მიზანმიმართულ მოქმედებებს მისი პოზიციების გამყარება შეუძლია. ამ პროცესებში ახლა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი თავად თურქეთის ქმედებებია.

**NEW GEOPOLITICAL MISSION OF TURKEY IN THE 21<sup>ST</sup> CENTURY**  
**Maia Manchkhavili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD student**  
**RESUME**

At analyzing choice of Turkey in foreign policy, we believe it would be better if EU membership will not become an *idée fixe* for the country. Within the tight cooperation with EU, Turkey should manage to get the maximum possible: from the point of view of developing institutions, economic progress and bringing educational system to the highest level. Possible rejection of EU membership should not result in disappointment and should not make the country lose faith in moving forward on the political arena. It will be a mistake. Membership of NATO military-political block increases significance of the country profoundly. Political management of Turkey should benefit from it. We believe that cooperation with the US, despite the fact that some of their interests do not coincide with each other, will still be very beneficial for Turkey.

Basing on Turkey's state development path analysis we can say that not only is this state a leader in the region, but also it is impossible to consider the processes taking place in the world politics, especially in Middle East, leaving out the factor of Turkey. It is now in the position when very careful and purposeful actions can reinforce its positions. The most important actions in these processes now are the actions of Turkey itself.

## ინტერნეტგამოცემებში ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების მდგომარეობისა და აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხების გაშუქება

ნანა შენგელია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
ეკატერინე კახიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ცენტრის  
მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა ქართული მედიასაშუალებების განხილვის პრიორიტეტულ თემად იქცა, რომელსაც დაერთო ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხის განხილვა. როგორია დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ტაძრების რეალური მდგომარეობა? ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული უძველესი ქართული ტაძრებისთვის ყოველი წამი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, რადგან კულტურული ძეგლების მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება. ქართული ტაძრები გადაუდებელ და სასწრაფო შველას საჭიროებენ. საკითხის სიმწვავემ აშკარად გამოკვეთა საზოგადოების დიდი დაინტერესება. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულეს ინტერნეტგამოცემებმა და სოციალურმა მედიამ. საქართველოსა და თურქეთის მთავრობებმა განიხილეს შესაძლებლობა ხელი მოეწერათ სპეციალური ხელშეკრულებისათვის, რომლის თანახმად, თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების - ხანძთის, ოშკის, იშხნისა და ოთხთა ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყებოდა. ამ თემის გაგრძელებას საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ბათუმში სამი მეჩეთის განახლების და ერთი, გასული საუკუნის 40-იან წლებში დამწვარი ბათუმის აზიზიეს მეჩეთის აშენების საკითხის განხილვა მოჰყვა. შესაბამისად, ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია დაფიქსირდა. ხელშეკრულების ამ სახით გაფორმებას გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენი. თურქეთისა და საქართველოს მთავრობების შეთანხმების ოქმის ის ნაწილი, რომელიც საქართველოში მეჩეთების აღდგენა-რესტავრაციას შეეხება, დაიწუნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა. ინტერნეტგამოცემა [pressa.ge](http://pressa.ge)-ს მიხედვით, 2008 წლის 20 ივნისს ილია მეორემ მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძეს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მიგვაჩნია, რომ მაშინ, როდესაც საქართველოში ფუნქციონირებს 240-ზე მეტი ჯამე და მეჩეთი, 8 მედრესე, აღარაფერს ვამბობთ საერო სასწავლებლებზე, ხოლო თურქეთში ერთი ქართული ტაძარიც არ მოქმედებს, აღნიშნული სახით ხელშეკრულების დადება გაუმართლებელია. შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოში უკვე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების და თეოლოგიური სასწავლებლების რაოდენობა გაცილებით აჭარბებს ქვეყნის მუსლიმი მოსახლეობის რელიგიურ მოთხოვნილებებს. ჟურნალისტი შემდეგი პასაჟით ასრულებს სტატიას: „თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მთავრობების დონეზე საბოლოოდ გადაწყვეტილი არა არის, თუ რომელი ნაგებობა, რა სახითა და ფუნქციური დატვირთვით აღდგება როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის ტერიტორიაზე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს განმარტებით, მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში დასრულდება“. „რადიო თავისუფლების“ ინტერნეტგამოცემამ გაავრცელა პუბლიკაცია „ილია მეორე თურქეთს ქართული ეკლესიების გადაცემას თხოვს“. ეს საკითხი განიხილეს სხვა ინტერნეტპორტალებზეც და ვეცნობით სტატიებს სათაურებით: „აზიზიეს მეჩეთი და გზაჯვარედინი“, „აზიზიეს მეჩეთი აშენდება“, „აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა“, „აზიზიეს მეჩეთის აღდგენა მოლაპარაკებების პროცესში ჩანაცვლდა...“ [1]

ინტერნეტ გამოცემების გვერდებზე მრავლად გამოქვეყნდა მსგავსი შინაარსის პუბლიკაციები: „ბათუმში საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“ გაიხსნა“; „ილია II: მაწუხებს, რომ თურქეთში ქართული ტაძრები თანდათან ინგრევა“; „ოშკი და იშხანი რესტავრაციის მოლოდინში“; აზიზიეს მეჩეთზე ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტი არ არსებობს“; „ისტორიული ძეგლების აღდგენაზე საბოლოო შეთანხმება ჯერ არ მომხდარა“; „საპატრიარქო პირობას უყენებს საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლებას!“; „რას ფიქრობენ ახალციხეში მეჩეთის რეაბილიტაციის თაობაზე“; „ვენებთაღელვა ახალ მეჩეთთან დაკავშირებით“ ... [4]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო პუბლიკაცია გამოაქვეყნა ინტერნეტგამოცემა „ისლამ.გე“-მ სათაურით - „ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა“. **ისტორიის აკადემიური დოქტორის რუსლან ბარამიძის მიერ** 2009 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ წაკითხულ იქნა მოხსენება. ნაშრომში ასახულია ბათუმში არსებული მეჩეთების ისტორია ქალაქის ისტორიის კონტექსტში ოსმალეთის პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ჩათვლით: „ბათუმში მეჩეთების არსებობასა და ფუნქციონირებაზე

მირითად გავლენას ქალაქის განაშენიანების თავისებურებანი ახდენდა. ოსმალეთის პერიოდში, ქალაქის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, შენდება მეჩეთები ოსმალთა სამხედროებისათვის და ქართველი მუსლიმებისათვის. დამოუკიდებლობის პერიოდიდან ბათუმის მეჩეთი აჭარის სამუფთოს ცენტრი ხდება და მას შესაბამისი ადმინისტრაციული, საფინანსო და საგანმანათლებლო ფუნქციები ემატება“...

„რასაკვირველია, შეგვიძლია ვთქვათ, ხახულიც და ოშკიც ქართულ კულტურას ეკუთვნის და ოდესღაც შედიოდა ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში... მაგრამ ისევე როგორც თურქეთის ტერიტორიაზე იყო ბერძნული თემი და ამ თემს ეკუთვნოდა ბერძნული ეკლესიები, ასეთი ქართული მართლმადიდებლური თემი თურქეთის ტერიტორიაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში არ ყოფილა“, - აღნიშნავდა რადიო თავისუფლებასთან საუბრისას თეოლოგი ლევან აბაშიძე. [2]

„რადიო თავისუფლების“ ინტერნეტპორტალში 2011 წლის 24 ოქტომბერს ლელა კუნჭულია ვრცელ წერილს უძღვნის ქართული ეკლესია-მონასტრების საკითხის განხილვას სათაურით „ქართული ეკლესია ჯერ ისევ ელოდება თურქეთის პასუხს“. ავტორი განიხილავს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მიერ ერდოღანისთვის გაგზავნილ წერილს, რომელშიც საუბარი შეეხება ერდოღანის მთავრობისთვის პატრიარქის 26 სექტემბრით დათარიღებულ მიმართვას და აღნიშნავს, რომ თურქეთის მხრიდან პასუხი არ ჩანს. ფაქტია, რომ საქართველოს პრიორიტეტების განხილვა თურქულ მხარეს მნიშვნელოვნად მაინცადამაინც არ მიაჩნია. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ წლების მანძილზე ჭიანჭურდება ხელშეკრულების გაფორმების პროცესი თურქეთსა და საქართველოს შორის. ჟურნალისტი აქცენტს აკეთებს სამთავრობო დონეზე პრინციპულად მხარდაჭერილ ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდებოდა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქართული ეკლესიების გადარჩენა-რესტავრაცია. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ „ხელშეკრულების ამ სახით გაფორმებას საქართველოში სერიოზული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. მათ შორის იყო საპატრიარქოც“... „რადიო თავისუფლება“, მცდელობის მიუხედავად, 24 ოქტომბერს ვერ შეძლო იმის დადგენა, თუ რა პოზიცია ჰქონდა საპატრიარქოს. ფაქტია, რომ ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ თურქეთსა და საქართველოს შორის და, შესაბამისად, ვერ მოხერხდა ქართული ხუროთმოძღვრების ოთხი უძველესი ძეგლის გადარჩენა-რესტავრაცია. [3]

ჯერ კიდევ 2011 წლის 23 თებერვალს ისევ „რადიო თავისუფლება“ აქვეყნებს ნინო თარხნიშვილის სტატიას: „ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართული ტაძრები ნადგურდება“. ავტორი წერილს იწყებს პირდაპირი მოწოდებით „ოშკი და იშხანი საფრთხეშია!“, ხოლო 2011 წლის 14 იანვარს ჯიმშერ რეხვიაშვილის ავტორობით ინტერნეტ გამოცემის ფურცლებზე ვეცნობით სტატიას „კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქართულად: ოშკი გვინდა, აზიზიე - არა!“ ჟურნალისტი გვთავაზობს გიორგი კალანდიას (ისტორიკოსი და თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმების ავტორი) ინტერვიუს. „გამორჩეულად მძიმე მდგომარეობაშია ის საეტაპო მნიშვნელობის ქართული ისტორიული ძეგლები, როგორცაა ოშკი, ხანძთა, იშხანი და ასე შემდეგ. ამ ძეგლებს სჭირდება სასწრაფო დახმარება. დრო არ ითმენს, რადგანაც დანგრეული ოშკის, დანგრეული ხანძთის აღდგენა გაცილებით დიდ მორალურ რესურსს ითხოვს და, თანაც, ეს ის ძეგლები აღარ იქნება, რაც იყო! საქართველომ არ უნდა თქვას უარი მდიდარ ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ მდიდარი ისტორიის განუყოფელი ნაწილია ქართული მუსლიმანური მოსახლეობა და თურქეთის ყოფნა საქართველოში. ეს არის ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ისტორია და, ამასთანავე, ამ ისტორიის მდიდარი ფურცელი. ვფიქრობ, რომ ქართველებს არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ისტორიული ძეგლები აღდგება, მით უფრო, რომ არ არის ლაპარაკი ახლის აშენებაზე. აღადგენენ ისტორიულ ძეგლებს“, - აღნიშნა გიორგი კალანდიამ „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტთან საუბრისას.

2012 წლის 3 აპრილს ვასილ მაღლაფერიძის ავტორობით ვეცნობით სტატიას „ახალი ოსმალეთი, აზიზიეს მეჩეთი და გზაჯვარედინი“. „აზიზიეს მეჩეთის თემა განყენებულად არ უნდა განვიხილოთ. ამჟამად ჩვენს გვერდით სრულიად სხვა თურქეთია – სხვა მიზნებით და სხვა ამბიციებით, რომელიც აღარ მალავს, რომ განსხვავებულად ხედავს საკუთარ გეოპოლიტიკურ ფუნქციას, ვიდრე ხედავდა, თუნდაც, მე-20 საუკუნის ბოლოს. აქედან გამომდინარე მკვეთრად შეიცვალა მისი როლი ნატოში, ისევე როგორც – ევროკავშირში გაწევრიანების გეგმები... აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გავიაზროთ, რა არის ნეოსმანიზმი და რას უქადის იგი საქართველოს?!“ პროფესორ დაუთოლლუს კონცეფციის თანახმად თურქეთის „სტრატეგიული სივრცის“ გეოგრაფიული არეალი განისაზღვრება ისტორიული წარსულით, ანუ თურქეთია ყველაფერი ის, რაც ოდესმე ოტომანთა იმპერიაში შედიოდა და ამ ტერიტორიების დაბრუნება წარმოადგენს ისტორიული კანონზომიერებით დადასტურებულ თურქეთის სტრატეგიულ ინტერესებს“. ავტორი ვრცლად განიხილავს საკითხს და ამთავრებს დამაინტრიგებელი ფრაზით: „რაც შეეხება აზიზიეს მეჩეთს... აზიზიეს მეჩეთი არის მხოლოდ პატარა წვერი უზარმაზარი აისბერგისა,

რომელიც ჩვენსკენ მოცურავს! [5] ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი.გე“ 2012 წლის 31 მარტს საზოგადოებას

ბათუმში ჩატარებული ხალხმრავალი აქციის შესახებ მოუთხრობს, რომელიც აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საწინააღმდეგოდ ჩატარდა. აქციის მონაწილეებმა დაგმეს ბათუმში მეჩეთის მშენებლობა და ხელისუფლებისგან იმ ხელშეკრულების გასაჯაროება მოითხოვეს, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა. აღნიშნულია, რომ აქცია პოლიტიკოსების განცხადებების ფონზე მიმდინარეობდა, რომელთა შორის გამოირჩეოდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი აჭარაში მურმან დუმბაძე. ჟურნალისტი მსუბუქად შეახსენებს მკითხველს რომ პროცესებს პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავს. ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის თემამ პირველ რიგში ბათუმელთა და შემდეგ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ზოგი ამბობდა, რომ ამ მეჩეთს მუზეუმის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ზოგიც თვლიდა, რომ ეს იქნებოდა მუსულმანთა კულტურული ცენტრის პროტოტიპი. „აზიზიეს მეჩეთი“ ბათუმში 1869 წელს ოსმალეთის 32-ე სულთნის აბდულ აზიზიეს სახელზე ტრაპიზონის ფაშამ ემინ მუჰლის ფაშამ ააგო. მეჩეთი ახლანდელი თეატრის უკანა ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა და საბჭოთა პერიოდში ჯერ ხანძარმა იმსხვერპლა, შემდეგ კი დაანგრიეს.

„აზრები.გე“ 2012 წლის 16 ივლისს გიორგი ცინარიძის პუბლიკაციით ეხმაურება ტაოკლარჯეთის ტაძრების სავალალო მდგომარეობასა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების საკითხს. ქართულ საზოგადოებას ეს საკითხი აღელვებს, გრძნობს პრობლემის სიმწვავეს, სურს მის მოგვარებაში ჩართულობა. ამის დასტურია ისიც, რომ ეს პუბლიკაცია ნანახია 11501-ჯერ. [6]

„პოლიტგორუმი“ - ევრაზიის ინსტიტუტის საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი (2012.16.09) აქვეყნებს პუბლიკაციას „საქართველო-თურქეთის ურთიერთობების და ჟურნალ „ტაბულა“-ში გამოქვეყნებული ერთი წერილის შესახებ“. თურქული პრესა, პოლიტიკური მიმომხილველები და ექსპერტები, ერთხმად აცხადებდნენ, რომ თურქეთი ნელ-ნელა ცვლის თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის მუსტაფა ქემალ ათათურქის პოლიტიკურ კურსს და საერო-ლაციისტური ქვეყნიდან იქცევა „ნეოოსმანურ“ და ისლამურ სახელმწიფოდ. სწორედ „ნეოოსმანური“ და „მცოცავი“ რელიგიური მიმართულების წინააღმდეგია დღევანდელი თურქეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება საქართველოს „მეგობრის“ და თავისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ჩვენგან განსხვავებით, არასდროს ავიწყდება „მეგობარ“ საქართველოსთან ურთიერთობებში თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესები. დღეს აჭარაში თურქი მოქალაქეების მიერ სახლების, მიწების და ა.შ. თავისუფლად შესყიდვა, ქართველ ქალებზე დაქორწინება და მოქალაქეობის მიღება მარტივია. „და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს თურქეთში, თურქული კანონმდებლობის შესაბამისად, ეკრძალებათ მუშაობა და არალეგალურად მუდმივად პოლიციის კონტროლისა და დეპორტაციის შიშის ქვეშ უხდებთ დამამცირებელი შრომა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად“. ავტორი აკრიტიკებს „ტაბულას“ ჟურნალისტის პოზიციასაც: „ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს ჟურნალ „ტაბულა“-ს 3-9 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „წინასაარჩევნო თურქოფობია“ (ავტორი - ბექა მინდიაშვილი), რომელიც, ვფიქრობთ, არასწორად სდებს ბრალს ქართველ ხალხს „ფობიაში“ თურქების მიმართ. ვინაიდან არ შეიძლება, რომ შენი ქვეყნის გარე სამხედრო თუ პოლიტიკური და უკვე ჩამოყალიბებული რეალური კულტურულ-მორალური საფრთხეები აღქმული იქნას, როგორც რაღაც „ფობია“. ...დიახაც, სტატიაში მოყვანილ ფრაზებს და თურქულ პრესასაც თუ დავესესხებით, „დაწყებულია დიდი თურქობა“, ნამდვილად არის „თურქების პარპაში“, „ბათუმი იქცა ჰოვად“. ქართველთა მოგონილი ფრაზები არ გახლავთ, აგრეთვე „თურქულის ლამის გეოგრაფიული ზრდადამცოცავი ანექსია“, „ნეოოსმანური იმპერიალიზმი“. თურქეთის პრესა, თურქული საზოგადოება თვითონ აცხადებს და უკმაყოფილებას გამოხატავს იმ ფაქტებზე, რაც დღეს ხდება ორი ქვეყნის ურთიერთობების კუთხით. პუბლიკაციის ავტორს, თავისი პოზიციის დასამოწმებლად, არგუმენტად მოჰყავს გაზეთ „მილიეთის“ (21.05.2015) თურქი ჟურნალისტის თვალთ დასახული ბათუმი. ჟურნალისტი მირაზზეინბოზ ქართალი საქართველოს, ბათუმის შესახებ საუბრობს. გახშირებულმა მსგავსმა მოვლენებმა გადააწყვეტინა თურქი ჟურნალისტს, თავისი თვალთ ენახა ბათუმი და მისი შემოგარენი, რომელიც მის გონებაში ორგვარად იყო წარმოდგენილი. რა არის ეს, „თავისუფლების ბაღნარი“, თუ „ცოდვათა ქალაქი“? ზოგი მას „მომავალ კვიპროსსაც“ კი უწოდებს, თურქეთის შავიზღვისპირეთის მოსახლეობა კი მას აღიქვამს, როგორც „ცოდვათა ქალაქს“. ბათუმისკენ მიმავალ გზაზე ხაფანგია დაგებული. ეს არის დასახლებული პუნქტი გონიო, რომელზეც არ შეიძლება ითქვას, რომ წმიდა ადგილია: დაბალი ხარისხის პავილიონები, საროსკიპოები, მოტელები..., ამის დამნახავი ახალჩამოსულთა უმრავლესობა აქვე ჩერდება. როგორც ამბობენ, აქ 1500-მდე მსუბუქი ყოფაქცევის ქალია.. ერთი თვალისშეგლებითაც კარგად ჩანს, რომ ქალაქს დაკარგული აქვს ძველი დროის იერი და მთლიანად ჩაბარდა კაპიტალისტური ყოფის წესებს. ყველგან მიმდინარეობს მშენებლობა, აქვე დგას

ფემინისტური სასტუმროების რიგი... შერატონი, რედისონი. ამბობენ, 2 წელიწადში კვლავ დაუწესებენ ვიზებს. ერთ-ერთი თურქი მოქალაქის თქმით, „რატომ უნდა ვუყვარდეთ? თან უხეშად ვეპყრობით მათ და თანაც სხვა თვალთ ვუყურებთ მათ ქალებს“.

ფეისბუქზე ფუნქციონირებს გვერდი „გადავარჩინოთ ოშკი და იშხანი (საზოგადოება)“, სადაც განთავსებულია ფოტოები ოშკისა და იშხანის შესახებ. 2012 წლის 10 თებერვალს აქ გავრცელდა ონლაინ პეტიცია ოშკისა და იშხანის ტაძრების გადასარჩენად. „ჩვენ ვაცხადებთ, რომ აღარავის მივცემთ ნებას, გაწიროს ქართული ხუროთმოძღვრების შედეგები – ოშკი და იშხანი. ჩვენ მხარს ვუჭერთ, როგორც მეჩეთების მშენებლობასა და რესტავრირებას, რისი უფლება ისედაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე, მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. მოვითხოვთ ოშკისა და იშხანის რესტავრაციის პროცესის დაუყოვნებელ დაწყებას, რადგან ეს ტაძრები ნადგურდება. მკაცრად მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ გაითვალისწინოს საპატრიარქოს მორიგი ულტიმატუმი, რაკი რეალური პასუხისმგებელი ამ ძეგლების ყოფნა-არყოფნაზე სწორედ ქართული სახელმწიფოა და არა საპატრიარქო. დაუშვებელია, რომ ჩვენ, მთელი საზოგადოება, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მომავალი თაობების წინაშე წარვდგეთ, როგორც ტაო-კლარჯეთის უნიკალური ხუროთმოძღვრული მშენიერების გამნადგურებლები. ჩვენ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, უნდა გამოვიყენოთ საუკუნეების შემდეგ პირველად მოპოვებული შანსი დანგრევას გადავარჩინოთ ჩვენი დიდებული წარსული! გთხოვთ შემოუერთდეთ პეტიციას გვერდის მოწონებით“. ამ მოწოდებამ დაიმსახურა მხოლოდ 88 მოწონება, 23 გაზიარება და 33 კომენტარი. ამკარაა, რომ მართლმადიდებელი ინტერნეტაუდიტორია დიდად არ მოიხიბლა საპატრიარქოს კრიტიკით.

2012 წლის 1 მარტს „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა მამა გიორგი (რაზმაძე) -სთან ჩაწერილი ინტერვიუ „წესი ჰქონდათ, დაპყრობილ ქვეყნებში აზიზიეს მეჩეთი აემენებით“, რომელსაც აქვს 7336 ნახვა. ციფრების ეს რაოდენობა მიუთითებს ინტერნეტაუდიტორიის დიდ ყურადღებაზე. ეს ის ციფრია, რომელიც სანატრელიც კი გახდებოდა ნებისმიერი ტრადიციული (ბეჭდური) მედია საშუალებისთვის: „სიმართლე ყოველთვის უნდა ითქვას. კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ არა განკითხვა... მთავარია, ამ უხეშობას, რაც დღეს ხდება, წინ აღვუდგეთ. მაგალითად, საპატრიარქოს წინ კაზინოს ხსნიან. ამაზე დიდი დაცინვა და უხეშობა წარმოუდგენელია. ვინც ამას აკეთებს, მეტი შეგნება არ უნდა ჰქონდეს? ევროპულ ქვეყნებში, რომელთაც დემოკრატიის მამებად მიიჩნევენ ჩვენი ხელისუფლებისა თუ საზოგადოების წარმომადგენლები, ასეთი დაწესებულებები ქალაქიდან მოშორებითაა. ისრაელში კი საერთოდ აკრძალულია.“ ამავე თემას მიეძღვანა პუბლიკაციები: „DFWATCH STAFF-ის (2014 წლის 8 აპრილს) - „აჭარის მთავრობამ ახალი მეჩეთის აშენება გადაიფიქრა“; ნიუს.გე“-ს (2012 წლის 1 მარტს) - „წირვა და საპროტესტო აქცია“ (126000 მოწონება).

კვლევა ითვალისწინებდა არა მარტო პუბლიკაციათა რაოდენობის, შინაარსობრივი მნიშვნელობის, პოზიციების მრავალფეროვნების შესწავლას, არამედ როგორ იღებდა ინტერნეტ აუდიტორია კონკრეტულ პუბლიკაციას - ანუ ამ პუბლიკაციით დაფიქსირებულ პოზიციას და როგორ აფიქსირებდა კომენტარების თუ გაზიარება/მოწონების სახით თავის დამოკიდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარების მიხედვით საზოგადოების ნაწილი (თითქმის 35 %) ეწინააღმდეგება ბათუმში კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობას, თუნდაც ეს ოშკისა და იშხანზე უარის თქმის ფასად დაჯდეს. „თანახმა ვარ დაინგრეს ოშკი და იშხანი, ოღონდ მეჩეთი არ აშენდეს საქართველოში“ - თემაში ამ განწყობის „იუზერი“ 39-ია, რაც პროცენტულად 32.50-ს შეადგენს. ხოლო პასუხი - „აშენდეს მეჩეთები, ოღონდ შევინარჩუნოთ ოშკი და იშხანი“ - 81-მა ფორუმელმა (67.50%) მონიშნა.

„ტაბულა.გე“ 2013 წლის 10 მაისს გვთავაზობს საინტერესო პუბლიკაციას „იშხანი-ერთ მეჩეთს შეწირული კულტურული მემკვიდრეობა“ ლევან სუთიძის ავტორობით. მედია ჰოლდინგი „დრონი.გე“ (2012.11.03) ავრცელებს პუბლიკაციას „სოციალური ქსელების ჰიტი: „აზიზიეს მეჩეთის შოკისმომგვრელი პროექტი უკრაინული აღმოჩნდა“. აჭარა PS“-ის „შოკისმომგვრელი ექსკლუზივი“ უკრაინაში არსებული მეჩეთი აღმოჩნდა. 6 მარტის ნომერში, გაზეთმა თითქოს აზიზიეს მეჩეთის პროექტის ფოტო ექსკლუზიურად გამოაქვეყნა, რომელიც აშენების შემთხვევაში რამდენიმე მილიარდი დაჯდებოდა. გაზეთი იუწყებოდა, რომ მეჩეთის მაკეტი სარწმუნო წყარომ მიაწოდა და იგი მშენებლობის შემთხვევაში, გრანდიოზული ნაგებობა იქნებოდა“. ამ ფოტოსა და თანდართულ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. გაზეთი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგანაც აღნიშნული ფოტო ფეისბუქში რამდენიმე თვის განმავლობაში იდო.

„ანგელ.გე“ (27.08.2012) „ოშკი ვეღარ დაგველოდება“ - ნანახია 5183-ჯერ. შინაარსობრივად და დიზაინის მხრივაც სტატია მაღალხარისხიანია, დატვირთულია მეტყველი ფოტოებით. სტატიასთან დაკავშირებით გამოთქმულია 77 კომენტარი. (მაგ. nensi: 28 ივნისი 2012 20:42 - ID: 75, „პირადად ჩემთვის მიუღებელია მეჩეთის აშენება ბათუმში და საერთოდ საქართველოში...“; INNA. 27 ივნისი 2012 20:56 - ID: 68, ოშკი ინგრევა უკვე დიდი ხანია და საპატრიარქოს პოზიციამ ვერაფერი შედეგი გამოიღო. ახლა თუ არ

ჩვერევიტ როდის ჩვერიოთ რომ დაინგრევა? ხალხო რატომ გგონიათ თქვენ იცით ამ ძეგლების მნიშვნელობა და საპატრიარქომ არა ??!!!! ისედაც ნახევარი საქართველო მუსლიმია, კიდე ეს ოხერი აზიზიეს მეჩეთ გვინდა? თან სად, შუაგულ ბათუმში!! საპატრიარქოს მიეცით საშუალება თავისი საქმე გააკეთოს და ნეტა იქ ჩაყოთ ცხვირები ასე ღრმად, სადაც საჭიროა!!; Britain: 27 ივნისი 2012 18:41 - ID: 64 რატომ უნდა აშენდეს ბათუმში იმ ვიღაც სირისტიანი აზიზიეს მეჩეთი იმის მეჩეთი ვინც თავი დააძრო ქართველებს მუსლიმის რელიგიის არ მიღებისთვის!; LisbethSalanders: 27 ივნისი 2012 18:12 - ID: 62, ხალხო თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ერთი მეჩეთის გამო ასეთი ძეგლი უნდა დაგვარგოთ?? იცით საერთოდ ოშკის ისტორია ან ამ ტაძრების? ამის დაკარგვაზე დიდ ცოდვას ქართველი ადამიანი ვერ დაიდებს... ვერ ხვდებით რას ვკარგავთ? ამ მეჩეთის აშენებაზე დარდს გირჩენიათ იმაზე იდარდოთ უდიდეს ქრისტიანულ ძეგლს რომ ვკარგავთ“...

კომენტარებში მეტი დამაჯერებლობისათვის მოცემულია ლინკები, სადაც ადრესატები სთავაზობენ სხვებს წაიკითხოთ და გაიგონ თუ რას წერენ კიდეც სხვა მედიაპორტალები. თუმცა ზოგიერთი წარმოდგენილი ლინკი სამწუხაროდ უკვე გაუქმებულია (მაგ. <http://www.tabula.ge/article-5357.html> - „მთავრობა რელიგიურ უმცირესობებს ქონებას უბრუნებს“; <http://geo.palitravt.ge/.../14180-religiuri-pansionebi-> „რელიგიური პანსიონები აჭარაში-ყურანი ზეპირად“ ავტორი ნინო ხოზრევანიძე: <http://geo.palitravt.ge/.../14215-zurab-khalilovi..> - ზურაბ ხალილოვი: აჭარასა და ქვემო ქართლში 300-მდე შიიტური .. ავტორია გიორგი ბერიძე), ხოლო რომელიც იკითხება მათ შორისაა: <http://www.ambebi.ge/sazogadoeba>.

ასეთ განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ ინტერნეტმომხმარებლები. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა ადევკატურად აფასებს პრობლემის სიმწვავეს და პოზიციაც დაბალანსებულია, აკადემიური, თუმცა უნდა აღინიშნოს იმ ნაწილზეც, რომელთა ლექსიკა უცენზუროა და ჰომოფობიური განცხადებებით დატვირთული. ფაქტი ერთია - პრობლემის სიმწვავე საზოგადოების მხრიდან იგნორირებას არ იღებს, პირიქით - საქართველოს მოქალაქეები საჭიროდ და მოვალედ თვლიან თავს, რათა საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ, აზრი გამოთქვან, მიაწვდინონ ხმა ხელისუფლებას და მათ, ვისაც ხელეწიფებათ ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება. ინტერნეტგამოცემების უპირატესობა სწორედ ის არის, რომ ინტერნეტმომხმარებელი მყისიერად ახდენს საკუთარი აზრის დაფიქსირებას, ერთვება ფორუმში, აზიარებს პუბლიკაციას და სხვებსაც აძლევს მისი გაცნობის საშუალებას (რასაც ჩვეულებრივ მოკლებულია ბეჭდური მედია). თუმცა უნდა განვსაზღვროთ ნეგატიური მხარეებიც: ინტერნეტგამოცემების ფორუმებში, კომენტარებში ადგილი აქვს უცენზურო და ჰომოფობიურ განცხადებებს და ასეთი კომენტარებიც ყველასთვის არის ხელმისაწვდომი. ამგვარი ადრესატებისათვის მახასიათებელია შინაგანი კულტურისა და თვითცენზურის აბსოლუტური იგნორი.

#### ინტერნეტ რესურსები:

1. <http://www.ambioni.ge/tao-klarjetis-zeglebi-saswrafo-svelas-sawiroeben>
2. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24369586.html>
3. [am.ge/ra/index.php?optio](http://am.ge/ra/index.php?optio)
4. [http://for.ge/view.php?for\\_id=10417&cat=2](http://for.ge/view.php?for_id=10417&cat=2)
5. <http://azrebi.ge>
6. <http://www.netgazeti.ge>
7. <http://geworld.ge>
8. <http://news.ge>

## DISCUSSION OF THE ISSUES ON THE CONDITION OF CHURCH-MONASTERIES IN TAO-KLARJETI AND BUILDING OF AZIZIE MOSQUE IN INTERNETMEDIA

Nana Shengelia, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Ekaterine Kakhidze, Akaki Tsereteli State University, Researcher of Science Center, Doctor of Historical Sciences

### RESUME

Reconstruction of Georgian church-monasteries in Tao-klarjeti and building of Azizie mosque in Batumi was widely discussed two years ago in traditional Georgian media as well as internetmedia. The actuality and importance of the issue is obvious from the public interest that was expressed by the number of likes, comments and shares. Some of the material was seen more than one thousand times. This number would be desirable for any traditional typed media. However not only the number is essential, but the opinions as well. As the society is differentiated, as are the opinions - different. As a result of our research, we studied how was discussed and shared the issues on the reconstruction-

conservation on Georgian church-monasteries in Tao-Klarjeti and The building of Azizie mosque in Batumi in 201-2013 (that was requested from Turkey). Some internet-editions had very provocative headlines. In some cases the content is more actual. The given issues were discussed in the following internet editions: "Islam.ge" with the headline: "Batumi mosques- (past and modern life)". Academic doctor of history, Ruslan Baramidze widely and interestingly discusses historical aspects, parallels and modern life. It is also interesting that many articles were devoted to these issues in many popular internet editions. Such as: "American voice", "Radio Liberty", "Ambioni", "Resonamsi", "News ge." and so on.

As the titles of internet editions, as the contents of the articles are quite a lot. Most of the articles have a lot of likes, comments and shares. This shows a great desire of the society to be involved in this issue.

The priority of the internet edition, in the contrast of the traditional media, is that the public instantly shows his opinion and reacts on the issues.

## იდეალის გაგების ზოგიერთი ასპექტისათვის

სალომე ხიზანიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
თამარ კილასონია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

მსჯელობას დავიწყებთ ანტიკური ეპოქის დიდი მოაზროვნის, სოკრატეს გამონათქვამით, რომელიც რჩევას უფრო ჰგავს: „ცხოვრება გამოკითხვისა და განხილვის გარეშე არ ღირს“-ო. ჩვენი შეხვედრაც ამაზე მეტყველებს. კიდევ და კიდევ ვრწმუნდებით, რომ სამყაროს ყველაზე ფხიზელი და მამაცი მეპატრონე ადამიანია. რაც უფრო გონიერი, ცივილიზებული და ჰუმანურია ის, ყოფიერების საზრისი უფრო ადამიანურდება და მართლდება. „გონით შენობას“, რომელსაც კაცობრიობის ისტორია ჰქვია, სხვადასხვა ეპოქის, მენტალობისა და კულტურის საზოგადოებები აშენებენ და ავითარებენ. იქ თითოეულს თავისი ინდივიდუალობა და თავისი იდეალი აქვს, რომელიც, ბოლოს, ერთიანდება და ზოგადადამიანურ ღირებულებას იძენს. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს განსხვავებულ კულტურათა შორის მსოფლმხედველობრივი (ფილოსოფიურ პლანში) ერთიანობის საკითხი. ის რამდენიმე ქვესაკითხის გარკვევას გულისხმობს. კერძოდ: რა ფაქტორები განაპირობებს დღესდღეობით, კულტურათშორისი დიალოგის არსებობის აუცილებლობას? რა საერთო პრობლემები იყრის თავს კაცობრიობის წინაშე? რა გზები არსებობს მათ გადასაწყვეტად? სად ან რაში უნდა ვეძებოთ ეპოქალური ჭეშმარიტება? რა არის კაცობრიობის უკეთესი მომავლის იდეა?

ჩვენს ნაშრომში განხილული საკითხების თანმიმდევრობა ამ კითხვებზე გარკვეული, მოკრძალებული პასუხების გაცემის მცდელობაა. ორი კულტურის – ქრისტიანული და მუსლიმანური სახელმწიფოების რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობების ანალიზის საფუძველზე დავრწმუნდებით, რომ ადამიანური სამყარო იდეალების ძიებაში ერთი მიმართულებით მოძრაობს. მთავარია, ამ საერთო გზების გადაკვეთის წერტილების მოძებნა და ურთიერთსასიკეთოდ გამოყენება. ჩვენი მიზანი სწორედ ესაა – რეფლექსია გავაკეთოთ ზოგადადამიანურ ღირებულებათა ერთიანობაზე და ჰუმანიზმის პრინციპებით მათ გამოყენებაზე. რამდენად იძლევიან განსხვავებული კულტურები მსოფლმხედველობრივად, ამის შესაძლებლობას, და დღესდღეობით, რამდენად იკვეთება ამის საჭიროება, მივყვით საკითხის განხილვის ლოგიკას. მით უმეტეს, ცხადი ჭეშმარიტებაა – წინააღმდეგობათა აღმოჩენა, მათი დაძლევის ყველაზე სანდო გზაა.

დიახ, თანამედროვე მსოფლიო, ცივილიზებული საზოგადოება, თუნდაც რელიგიური მრწამსის განსხვავების მიუხედავად, ერთნაირად რეაგირებს მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ვინაიდან, უახლოესმა მსოფლიო მოვლენებმა ამის გარდაუვალობა ცოტა ხნის წინ პრაქტიკულად გამოკვეთა. ცივილიზაციათა დიალოგი აუცილებელი გახდა, მით უმეტეს, 2001 წლის სექტემბერის მოვლენების შემდეგ. ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა და შემდგომ ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულმა ომმა შეცვალა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციათა მოღვაწეობის სავარაუდო სივრცე. მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდამსხმელებმა თანამედროვე უსაფრთხოების ნამდვილი პარადოქსი შექმნეს.



P.S. სულ რამდენიმე დღის წინ, 2015 წლის 13 ნოემბერს მსოფლიო საზოგადოება კიდევ ერთხელ შეძრა ტერორიზმის დაუნდობელმა ძალამ. შუაგულ ევროპაში, პარიზში, უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანების სასაკლავო გაჩნდა. ამ ფაქტმა, კიდევ ერთხელ აჩვენა სადი აზრის გამარჯვების აუცილებლობა.

ახალს ვერაფერს ვიტყვით იმ აზრით, რომ შეუძლებელია სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით და განსაკუთრებით, კულტურული მენტალობით, სუყველა ერთნაირი იყოს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთთან მისასვლელი გზები ვერ მოვძებნოთ, რაც არ უნდა რთული იყოს ეს. დიახ, თუნდაც განსხვავებული მრწამსის ადამიანებმა, ერებმა, სახელმწიფოებმა უთუოდ უნდა აღმოვაჩინოთ მსგავსებები ჩვენს შორის და მაშინ, ცხოვრების გზის გარკვეულ მონაკვეთზე ერთმანეთისათვის ხელის ჩაჭიდებასაც შევძლებთ. ამ აზრზე დაყრდნობით, (განსხვავებული მრწამსის ადამიანთა შორის ხიდების დაკავშირების თვალსაზრისით), დიდ მოაზროვნეთა შემოქმედებაში, გზები ნამდვილად იძებნება.

განსხვავებული რელიგიური მრწამსის მუსლიმ მოაზროვნეთა ფილოსოფიური თვალსაზრისები ჩვენ ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებთან, კერძოდ, კამიუსთან პოლემიკაში გვანტერესებს. ვინაიდან, ზოგიერთი მათგანი მართლაც არ სწყალობს ეგზისტენციალიზმს, უფრო მეტიც, აკრიტიკებს მის წარმომადგენლებს, მაგალითად, იგივე სარტრს. არ სწყალობს იმათაც, ვინც თუნდაც სხვა რომელიმე ფილოსოფიურმა მიმართულებამ გაიტაცა. მაგალითად, მოიხიბლა ფროიდით, ან „მისეულ კომლექსებში ჩაიძირა“.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ღრმად მორწმუნე თეისტის მოსალოდნელი საყვედური კამიუს მიმართ, როგორც „აბსურდის ფილოსოფოსთან“ მიმართებაში, გარკვეულწილად, ლოგიკურია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კამიუმ, საკვლევ თემად არსებობის საზრისთან დაკავშირებულ საკითხთა შორის, ყველაზე აქტუალურად თვითმკვლელობა ჩათვალა. „ონტოლოგიური არგუმენტებისათვის რომ კვდებოდნენ, არავინ მინახავს. ...სამაგიეროდ, ბევრი კვდება იმიტომ, რომ მიაჩნია, ცხოვრება იმად არ ღირს, რომ მისი ჭაპანი სწიო“, [4. გვ. 9] აცხადებს ფილოსოფოსი. ანუ, იმ აზრითაც, რომ სამყარო აბსურდულია. „აბსურდი, შენიშნავს იგი, ჩნდება კონფრონტაციით, ადამიანურ მოწოდებასა და სამყაროს გონმოკლებულ მდუმარებას შორის“. მაგრამ, მიუხედავად ასეთი დასკვნისა, ყოფიერების ონტოლოგიურ საფუძვლად აბსურდის აღიარება კამიუს მიზანი არაა. აბსურდი აღიარებულია აზროვნებისათვის ათვლის წერტილად, მეთოდური ეჭვის ექსისტენციალურ ექვივალენტად, რომლის ფონზე ფილოსოფოსმა ადამიანის სამოქმედო არე უნდა შემოსაზღვროს და რაც მთავარია, ცხადყოს უტყუარი ღირებულებები, რომელიც მოაზროვნე გონს აბსურდულობას დაამლევენებს. და რაც მთავარია, ეს იქნება გზა ნიჭილიზმის დასაძლევად, რომელმაც მთელი მეოცე საუკუნის აზროვნება მოიცვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კამიუს ფილოსოფიური ხედვის ევოლუცია უშუალო კავშირშია ისტორიულ რეალობასთან. „არსებობს ვნებით შთაგონებული და ცივი გონებით ნაკარნახევი დანაშაულობანი“, ასე აშიშვლებს ფილოსოფოსი ცივილიზებული სამყაროს სინდისს და გვარწმუნებს: „... კვლავაც უმნიშვნელოა საგანთა არსში ჩაწვდომა, ვიდრე არ გვეცოდინება როგორ ვმართოთ საკუთარი თავი ამ სამყაროში. ...იდეოლოგიის ეპოქაში საჭიროა გავარკვიოთ, ჩვენი დამოკიდებულება მკვლელობასთან. თუ მკვლელობას გამართლებები აქვს, ჩვენ ეპოქასთან თანაზიარობაში ვართ, თუკი ასეთი გამართლებები არა აქვს, უნდა გამოვავლინოთ ან მას ზურგი უნდა ვაქციოთ. ყოველ შემთხვევაში, მოგვიწევს მკაფიოდ გაცვეთ პასუხი კითხვას, რომელიც ჩვენი საუკუნის სისხლსა და გოდებაში წამოიჭრა“. [4. გვ. 11] როგორ ახლობელია ფილოსოფოსის განაცხადი თანამედროვე კაცობრიობის მოთხოვნებთან, როგორი მკავია პრობლემები დღევანდელი მსოფლიოსათვის.

ალბერ კამიუმ პირადად განიცადა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, ის თავად მონაწილეობდა (იატაკვეშეთიდან) ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იყო სიკვდილიმისჯილიც. მისი შემოქმედებითი ძალისხმევაც ეპოქალური კრიზისების დამლევაზეა მიმართული.

ცხადია, სირთულეები ყველა ეპოქის თანამდევია. მაგრამ, რაშია გამოსავალი? ალბერ კამიუს პასუხი ზოგადია – თავად ადამიანში, მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში, ზოგადად, სამყაროსი და კერძოდ, ადამიანური არსებობის წინაშე.

დიახ, ეგზისტენციალიზმის უპირატესობა (თუ შეიძლება ასე ითქვას), ისაა, რომ ადამიანის ბედს მის პირად საქმედ აღიარებს, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეცვალო უკეთესობისაკენ. „ნათელხილვა, რომელიც სიზიფეს ტანჯვის საფუძველია, იმავდროულად, მისი გამარჯვებაცაა“, ეს აზრი კამიუს და, საერთოდ, ეგზისტენციალისტების მთელ შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს. რაც შეეხება ღირებულებათა სისტემისა თუ ღმერთის არსებობის საკითხს არსებობის ფილოსოფიაში, ის კვლავაც ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხის გაგებას უკავშირდება. „ეგზისტენციალიზმი არც ისეთი ათეისტურია, როგორც ის ჩანს იმის გამო, რომ ღვთის არსებობას უარყოფს. ის აცხადებს, რომ ღმერთი რომც არსებობდეს, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა“ –ო, ასეთია სარტრის აზრი. მაინც რა არის ადამიანური

მოქმედების ორიენტირი? არსებობის ფილოსოფოსების პასუხი ერთია: ადამიანი თავისუფალია საკუთარ არჩევანში, და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც მას ეკისრება მოქმედების შედეგებზე. თუმცა, მისი თავისუფლება სიბნელეში ხეტიალი როდია. „მშვენიერების დაცვით, შენიშნავს კამიუ, ალორძინებისათვის ვემზადებით, იმ დღისათვის, როცა ცივილიზაცია რეფლექსიის ცენტრში მოათავსებს არა ფორმალურ პრინციპებსა და გადაგვარებულ ღირებულებებს, არამედ ცოცხალ სათნოებებს, სამყაროსი და ადამიანის ერთიანობას რომ უკვდავყოფს...“ დიახ, „ქვეყანასა ზედა მრავალი კეთილი აღმოჩენაა, ვიეთი სარგო, ვიეთი საამო: მათი გულისთვის ღირს მიწის სიყვარული“, აღიარა სიცოცხლის ფილოსოფოსმა ნიცშემ. [1. გვ. 157] „კეთილი აღმოჩენის“ დასაცავად ღირს ბრძოლა და თავგანწირვა, კვლავაც მრავალგზის გვარწმუნებს არსებობის ფილოსოფოსი, კამიუ.

საგულისხმოა, რომ საკაცობრიო იდეალების ძიების პათოსით, იგივე ღირებულებებზეა ორიენტირებული მუსლიმ თეოლოგთა მოძღვრებაც. და ეს გასაგებიცაა. ვინაიდან, თუკი მივიღებთ იმ აზრს, რომ კაცობრიობა ღვთის წარმომადგენლობაა დედამიწაზე და ადამიანი უმთავრესია უზენაესის ქმნილებებს შორის, მისი ღვთიურობა სავარაუდოდ, მოგვეცემს სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნის საშუალებას. თუნდაც იმ ლოგიკით, რომ ადამიანური არსებობის განმსაზღვრელი და გჭკმარიტი გზის მაჩვენებელი, მისი თავისუფლება, უფრო კონკრეტულად, მისი თავისუფალი ნებაა. ამ კონტექსტში, მართლაც არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას, რომელი რელიგიური მიმართულების წარმომადგენელი აღიარებს ჭკმარიტებას. მით უფრო, რომ თავისუფლების საკითხის აქტუალობა არარელიგიური თუ რელიგიური ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენელთა პოზიციებიდან (სარტრი, კამიუ, ჰაიდეგერი ან კარლ იასპერსი, გაბრიელ მარსელი თუ სხვები იქნებიან) უმთავრესია. და აი, რატომ: „ჩვენ ვებლაუქებით იმ აზრს, რომ თითქოს ბედნიერები ვიყოთ. ბავშვებს ვასწავლით, რომ ჩვენი თაობა ნებისმიერ თაობაზე ბედნიერია, ჩვენამდე რომ უცხოვრია. რომ ადრე თუ გვიან, ჩვენი სურვილი შესრულდება და ყველაფერს მივაღწევთ“, [2.გვ.145] შენიშნავს ერის ფრომი და იქვე კითხულობს: „მაგრამ, ჩვენს ბავშვებს მოუსმენიათ როდისმე აზრი იმის შესახებ, თუ საით უნდა ვიაროთ და რისთვის უნდა ვიცხოვროთ? რადაცნაირად გრძნობენ, რომ ცხოვრებნას უნდა ჰქონდეს აზრი, მაგრამ რაშია იგი?“ [2.გვ.145] (უნებლიედ გაგვახსენდება დოსტოევსკის უმთავრესი კითხვაც: „რა შუაშია აქ ბავშვები... სრულიად გაუგებარია, ისინი რატომ უნდა დაიტანჯნენ...“)

ნათელია, რომ ნებისმიერი დიდი მოაზროვნე, ეგზისტენციალისტების მსგავსად, ადამიანის პასუხისმგებლობაზე აკეთებენ აქცენტს, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მათ მხედველობაში აქვთ უპირველესად, ზოგადად ადამიანური პასუხისმგებლობა შემოქმედის მიერ ან თუნდაც მის გარეშე შექმნილ სამყაროში, რომლის ძირი სიკეთეა. თუმცა, მათთვის (როგორც თითოეული ჩვენთაგანისათვის), ისიც ცხადია, რომ ადამიანი ზოროტისკენაცაა მიდრეკილი, ამდენად მის ქცევას მართვა სჭირდება. აი, აქედან გამომდინარე საუბრობენ ისინი ცივილიზაციათა შორის დიალოგის აუცილებლობაზე. უდავოა, დიალოგი, მოლაპარაკება, კონსულტაციების გამართვა, როგორც ქრისტიანებისათვის, ასევე, მუსლიმანებისათვის, ცალკ-ცალკე და ერთიანობაში, აუცილებლობაცაა და ვალდებულებაც მშვიდობიანი და უსაფრთხო სამყაროსათვის ბრძოლაში. და მით უმეტეს, დასაფასებელი და საყურადღებოა მათ შორის საქმიანი თანამოაზრობა უახლოესი მოვლენების ფონზე. მხედველობაში გვაქვს მიმდინარე წლის 13 ნოემბრი, რომელმაც ერთნაირად შესძრა მსოფლიო.

დღესდღეობით, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს. მსოფლიო ჰორიზონტზე ხალხთა ერთიანობისაკენ იმედიანი გზები იკვეთება, მაგრამ ჩნდება პარადოქსებიც. რაც უფრო მეტად ფართოვდება საკომუნიკაციო ველი განსხვავებულ კულტურათა შორის, იმდენად ვიწროვდება მსოფლიო სივრცე. ეს თავის მხრივ, წინააღმდეგობებს აჩენს, რომელთა მშვიდობიანი გზით გადალახვა ბირთვული შეიარაღების ეპოქაში სათუო ხდება. გამოსავალი კვლავ და კვლავ, ადამიანურ გონიერებაშია. რომელი რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელი გახდება ღვთაებრივი სიტყვის ინიციატორი და მომტანი კაცობრიობის საჭირბოროტო საქმეების მოსაგვარებლად, ეს მხოლოდ მისი პიროვნული სიმაღლისა და ღირსების მაჩვენებელია, სასიკეთო საქმის კეთება კი თითოეული ჩვენთაგანის ვალია, ყველასი ერთად, ვისაც ამ სამყაროში ყოფნა სურს და ვისთვისაც სიცოცხლე ყველაზე დიდი ღირებულებაა.

მადლობას მოვასხენებთ ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს, უნივერსიტეტის მესვეურთ, ვინც საკაცობრიო იდეალების მოძიებასა და რეალურ ცხოვრებაში მათ დამკვიდრებას ძალისხმევას არ აკლებს. მიგვაჩნია, რომ მიმდინარე კონფერენცია იმ დიალოგის ნაწილია, რომლის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე წარმოდგენილ ნაშრომში არაერთხელ ითქვა. ვიმედოვნებთ, აღებული კურსი სხვა ჰუმანური ქმედებებითაც გააჯერდება. საქართველოსა და თურქეთს, ბევრი საერთო შეხების წერტილი აქვთ. მათი სტრატეგიული ამოცანა შავ ზღვის რეგიონში მშვიდობიანი, პარტნიორული თანაარსებობაა, ხოლო სამამისოდ ხელის შეწყობა ორივე მათგანის მოვალეობაცაა და პასუხისმგებლობაც.

**ლიტერატურა:**

1. ნიკმე ფრიდრიხ. ასე ამზობდა ზარატუსტრა, თბ., 1993.
2. Фром Эрих. Психоанализ и религия. Сумерки богов. М., 1998.
3. Ницше Фридрих. Т. 1. М., 1990.
4. Камю Albert, L'homme revolte. Paris, 1951.

**UNDERSTANDING OF IDEAL FOR GENERAL ASPECT**  
**Salome Khizanishvili**, Georgian Technical University, Professor  
**Tamar Kilasonia**, Georgian Technical University, PhD student  
**RESUME**

The owner of the world is person . Its existence enjoy, he creates ideals and therefore, makes history. He connects the ideals to reality and he is establishing them a way of life. Different cultures trained individually in this way. However, human values their unity on the basis of established. Therefore, their protection Therefore, the protection of life and positive introduction, each with its own share of responsibility. This conference and our modest thesis is oriented in the human world clarify liability and the responsibility to clarify rate.